# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№ 4 (416) ◆ 27 იანვარი – 2 თებერვალი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „პარტიზანული მოძრაობა უფრო სასტიკი უნდა ყოფილიყო“

...გამორიცხული არ არის, რუსეთის ხელისუფლება თავის მოსახლეობას საქართველოს მიმართ დაგეგმილი აგრესიისთვის ამზადებდეს.

...პარტიზანული მოძრაობა აფხაზეთში იმდენად სასტიკი უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთს პროვოკაციულ ქმედებათა განხორციელება ვერ მოეხერხებინა. რკინიგზა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს პარტიზანების „საყვარელი“ სამიზნე იყო.

...3-4 წელიწადში შუა აზიიდან მომავალი გაზსადენი ჩაირთვება და ის ენერგეტიკული ჯაჭვიც ჩაიჭრება, რომლითაც დღეს რუსეთზე ვართ მიბმულნი.

... 10-წუთიან ტელეშოუში, კამათის მიწურულს, ეფექტიც მის მხარეს აღმოჩნდა — მისი ტყვია გავარდა და ჩემი — არა... გვ.3 **რამაზ საყვარელიძე**

## ექსკლუზიური ინფორმაცია — 75 წლის პრეზიდენტი



შევარდნაძისთვის ნაყიდი ფრანგული შვეულმფრენი EC155

## ახალი შვეულმფრენით იფრენს

„კვირის პალიტრამ“ შეიტყო, რომ საფრანგეთში შეისყიდეს ახალი სამგზავრო შვეულმფრენი, რომელიც პრეზიდენტს უნდა მოემსახუროს ქვეყნის შიგნით მოგზაურობისას.

Daufin-2-ის თანამედროვე მოდიფიკაცია EC155, სავარაუდოდ, ექვს მილიონ დოლარამდე დაჯდა. ეს შვეულმფრენი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საიმედო მფრინავ აპარატად ითვლება. ჩვენი ინფორმაციით, ამ საჩუქრის მთავარი დამფინანსებელი საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტია. გვ.9

## ნახევარი წელი მეკობრეების ტყვეობაში



### „ორი კვირა მატლიანი ფქვილის გარდა არაფერი გვიჭამია“

შტორმის გამო იძულებული გავხდით ნაპირთან გავჩერებულიყავით. სხვა შემთხვევაში, გემი დაიღუპებოდა. მეორე დღეს, დილით მეკობრეები დაგვესხნენ. მას შემდეგ მათგან მხოლოდ ერთი სიტყვა გვესმის — „ფული“.

შუამავალმა, ჩვენი ინფორმაციით, ფული გადასცა, მაგრამ... ჩვენ ვერაფერს ვეუბნებით, იარაღიანი ხალხია, ჩხუბს ხომ ვერ დავუწყებთ. 30 ივლისიდან ასეთ დღეში ვართ. გვ.5

## „მომეცით საშუალება, ზატულინს საკადრისად ვუპასუხო...“ გვ.7



### წინა ხაზზე ასამდე მოკლული რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი ვნახე...

მერამდენედ უნდა მოგვიგონ რუსებმა ინფორმაციულად? ეს ხომ კიდევ უფრო თრგუნავს ჩვენს მოსახლეობას და განსაკუთრებით, ლტოლვილებს, რომლებმაც ამიკლეს იმ საღამოს — ეს რა არის, რას გვასმენინებენო... ჩვენი ეროვნული სირცხვილია, რომ თავის დაცვას ვერ ვახერხებთ.

## უშბაზე „ჩამოკიდებულნი“

### ინტერვიუ მფრინავთან — გვიან ვიგრძენი, რომ მართვის სახელურზე ხელი ლამის მიმყინვოდა

... თუკი ვერ შევძლებდით შვეულმფრენის კლდის ძალზე ციცაბო კედელზე დასმას, მაშინ ჰაერში უნდა ჩამოვკიდებულიყავით და მთამსვლელები ჯალამბრით სათითაოდ უნდა აგვეყვანა.

... კაბინის გვერდითი ფანჯარა ღია მქონდა, გარეთ კი ყინვა -25⁰C-ზე მეტი იყო, თუმცა ეს მაშინ ვერც ვიგრძენი... გვ.8

## ბოლოს და ბოლოს, მიხედეთ ხალხო, სირცხვილია! გვ.6



ასეთი რამ სხვასაც რომ არ დაემართოს და უცხოელ სტუმართან თავი არ შეირცხვინოს, მოვუწოდებ, ვისაც ეს ხელეწიფება — სირცხვილია, ხალხო, ბოლოს და ბოლოს, ადამიანები ვართ, ცხოველები ხომ არა! მიხედეთ! მართალია, ვიღაც იტყვის, ამდენი ხანია მაგ ბაზარში დადიხარ და რაღა ახლა გაგიკვირდაო, მაგრამ, მერწმუნეთ, მეტის მოთმენა მართლა აღარ შეიძლება.

## სილუეტები ათასწლეულ(ებ)ისა



მესამე დღეს ჩამოვიდა ნინო მცხეთას და მეფის მებაღის ოჯახს შეაფარა თავი. ცხრა თვე ცხოვრობდა მებაღესა და მის მეუღლესთან. პირველი სასწაულიც მათვე მოუვლინა — უშვილო ცოლ-ქმარს შვილი ეყოლათ და ისინი გახდნენ კიდევაც პირველი მიმდევრები და მოწაფენი ქრისტეს სჯულისა. გვ.20

## რატომ ველარ ჩადის დავით შენგელია ზუგდიდში?

ვიღაცას ასეთი ჭორების გავრცელება აწყობს და ის ვიღაც, ძალიან მალე ცხვირ-პირს მოიმტვრევს... გვ.5



გვ.16

პლატონის როლზე დამტკიცებულივით ვიყავი. სინჯები მე და იმედა კახიანმა გავიარეთ. მე ამირჩიეს. ჩოხის ზომაც კი ამიღეს. მერე მოხდა ისე, რომ იმედა კახიანი ამჯობინეს. გული არ დამწყვეტია. მასე აგულის როლზე იმედაც გასინჯეს, მაგრამ მე დამამტკიცეს.

დარჩა და დარჩა ჩემი თეთრი ქვა... რა ვუყოთ, მერე. ყველამ რომ ყველაფერი გააკეთოს, არ იქნება საინტერესო.

## რას იყენებდნენ კრემლში იჟოგის საწინააღმდეგოდ

## ფოსფალუგელი „კრემლის ანტაციდი“

გვ.25

## ვერსია — დავით სანიკიძის მკვლელობის ახალი დეტალები...

### მოხდება თუ არა პაატა ბურჭულაძის ვაჟის ექსტრადიცია

ჩვენი ინფორმაციით, საქმე უნდა ეხებოდეს ავიაკომპანია „ორბთან“ დაკავშირებულ ინტრიგებს, რომლის ერთ-ერთი მფლობელი სანიკიძე გახლდათ. ისიც არ დაუმალავთ, რომ პაატამ ამ საქმეში ჩაუხედაობის გამო გერმანიაში მცხოვრები ქართველი ადვოკატი აიყვანა, რამაც ეტყობა, კიდევ უფრო გააღიზიანა ნაცისტი პროკურორი ქალი.

როცა ბრალდებას ზანგთან ინციდენტი დაერთო, მსაჯულები შუქრის წინააღმდეგ განეწყვნენ, დააპატიმრეს და ოცდასამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. გვ.10

## წმინდა ნინოს მადლი გფარავდეთ!

## პრეზიდენტის იუბილე

საქართველოს პრეზიდენტს 25 იანვარს 75 წელი შეუსრულდა. მრგვალი თარიღის აღსანიშნავად, პატრიარქისა და სინოდის გადაწყვეტილებით, ედუარდ შევარდნაძე წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. უმაღლესი საეკლესიო ჯილდო პრეზიდენტს გაწეული ღვაწლისთვის, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაღრმავებისთვის და მშვიდობის განმტკიცებისთვის გადაეცა.

## FBI-ის ცენტრი საქართველოში

საქართველოს მიმართ განხორციელებული რუსეთის პროვოკაციების ფონზე ამერიკის შეერთებული შტატები ერთგვარ დემარშზე მიდის — საქართველოში FBI-ის კავკასიური წარმომადგენლობის ცენტრი გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის მასშტაბით ანალოგიური ცენტრი მხოლოდ თურქეთში, ანკარაში მდებარეობს. ცენტრის გახსნაზე თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდა FBI-ის საგარეო ოპერაციების დეპარტამენტის უფროსი, მაიკლ ფუშემშუკა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, FBI-ის წარმომადგენლობის რეალური ამუშავებისთვის მხოლოდ ტექნიკური საკითხების მოგვარებაა საჭირო, რისთვისაც უკვე ზრუნავენ.

## რუსული ყულფი ვიწროვდება...

როგორც ჩანს, რუსეთს ბევრად უფრო სერიოზული და ავი ზრახვები აქვს, ვიდრე ქართველ პოლიტიკოსებს წარმოუდგენიათ — რკინიგზის ამოქმედებასა და პასპორტიზაციას გაზსადენების აფეთქება მოჰყვა (დივერსიას თვით რუსეთიც არ უარყოფს). ახლახან კი საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელმა კომისიამ „როსტელკომისგან" ოფიციალური წერილი მიიღო. მასში რუსეთის მხარე მთელი სერიოზულობით ითხოვდა სიხშირეების შეთანხმებას რადიოსადგურისთვის, რომელიც თურმე კრასნოდარის ოლქში... ბიჭვინთაში მდებარეობს! მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ წერილის შინაარსი გააპროტესტა, „როსტელკომმა" მორიგი წერილი გამოგზავნა, სადაც ბიჭვინთის მოხსენიებას რუსეთის ტერიტორიად „მექანიკური შეცდომა" უწოდა. სადგური, რომლის დაკანონებასაც რუსეთი ითხოვს, სტრატეგიული დანიშნულებისაა, რადგან მისი მეშვეობით სოხუმს გარე სამყაროსთან სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის დამყარება რუსეთის მეშვეობით, თბილისის გვერდის ავლით შეუძლია.

## პარლამენტის სპიკერის „მძიმე დღეები" მოსკოვში

თბილისიდან გამგზავრებისას საქართველოს პარლამენტის სპიკერს კოლეგებმა რუს პოლიტიკოსებთან „ძლვნად" ცხარე და მძაფრი კრიტიკა „გაატანეს". მიუხედავად სუსტი სქესისთვის უჩვეულო მამაცური შემართებისა (რასაც ნინო ბურჯანაძეს ნამდვილად ვერ დავუკარგავთ), სამწუხაროდ, თბილისიდან გატანებული „ძღვენით" რუსები თვითონ ქართველ სპიკერს გაუმასპინძლდნენ. რუს პოლიტიკოსთა უმრავლესობისთვის ველიკოდერჟავული მანია ქალის პატივისცემის ფაქტორზე ბევრად ძლიერი აღმოჩნდა. სხვადასხვა ბრიფინგსა და შეხვედრაზე ისინი ჩვეული ისტერიით გაჰკიოდნენ სამშვიდობო მანდატის გაუქმების შემთხვევაში საქართველოში წამოსულ სისხლის მდინარეებზე, დესტაბილიზაციასა და შიმშილზე. როგორც ჩანს, რუს ისტებლიშმენტს ჯერაც ვერ შეუგნია, რომ საქართველოში სისხლიც, დესტაბილიზაციაც და შიმშილიც უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე სწორედ რუსეთთან ასოცირდება...

ესოდენ „გულთბილი" შეხვედრების შემდეგ თბილისში დაბრუნებული დელეგაცია ვითარებაში გასარკვევად შექმნილ ერთობლივ რუსულ-ქართულ კომისიებზე და რუს ჩინოვნიკთა დაპირებებზე ლაპარაკობდა — კომისიები და დაპირებები რუსეთის მხრიდან არც აქამდე გვაკლდა.

## ამერიკიდან უსტარი მოვიდა...

ტრადიციულ რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტი ბუშის გამოგზავნილ წერილს გაკვრით შეეხო და ამერიკელთა კეთილგანწყობაზეც ჩვეული სიფრთხილით ილაპარაკა. კანცელარიიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მხრიდან მრავალგზის დადასტურებული პატივისცემის მიღმა, ჯორჯ ბუში შევარდნაძეს რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას არ ურჩევს და ენგურის ზონიდან სამშვიდობოების გაყვანის შემთხვევაში პასუხისმგებლობას საქართველოს მხარეს აკისრებს.

## დევნილთა აქციები აქტიურ ფორმას იღებს

რუსეთის საელჩოსთან დაბანაკებულმა აფხაზეთიდან ლტოლვილებმა საქართველოს პარლამენტის წინ ხალხმრავალი აქცია მოაწყვეს, სადაც ხელისუფლებას რუსეთის პროვოკაციებზე დაუყოვნებლივი და ქმედითი რეაქციის გამომჟღავნება მოსთხოვეს. ოპერატიულად მოსულმა მღებრიშვილის რაზმმა მომიტინგეებს კარვების გაშლის საშუალება არ მისცა. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, გიორგი ლოლუამ თავის დაწვა სცადა. საბედნიეროდ, ხალხმა მისი გადარჩენა შეძლო. მოგვიანებით, გალიდან ლტოლვილმა განაცხადა, რომ თავგანწირული ნაბიჯის გადადგმა დუხჭირმა ცხოვრებამ და აფხაზეთის დაბრუნების აბსოლუტურმა იმედგაცრუებამ აიძულა.

## „ეი-ი-ეს თელასი" იმპორტს რუსეთიდან განახორციელებს

მიუხედავად არაერთგზის გაკეთებული განცხადებისა, კომპანია „ვინკ-ფილდის" საეჭვო წარმოშობის შესახებ, „ეი-ი-ეს თელასმა" მასთან ხელშეკრულების გაფორმების გარდა, ენერგეტიკული კრიზისიდან სხვა გამოსავალი ვერ ნახა. ხელშეკრულების მიხედვით, თბილისი რუსეთიდან დამატებით 100-150 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას მიიღებს. დენის იმპორტს „ეი-ი-ეს თელასი" საკუთარი ფინანსური რესურსებით აანაზღაურებს. აღნიშნული გადაწყვეტილება იგნასიო ირიბარენმა თბილისის მერთან, ვანო ზოდელავასთან გამართული, დახურული შეხვედრის შემდეგ მიიღო.

თბილისში დამატებითი ელექტროენერგიის შესყიდვის აუცილებლობა მას მერე დადგა, რაც მოზდოკი-თბილისის მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო მე-9 ენერგობლოკს გაზის მიწოდება შეუწყდა და თბილისს 200 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგია დააკლდა.

„ეი-ი-ეს თელასის" გენერალური მენეჯერის განცხადებით, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი მე-9 ენერგობლოკისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებისთანავე შეწყდება.

## გაიგე ახლა, ვინ ვის და სად უჩივის...

თუ „ელექტრომეტოქეებმა", ლეიბორისტულმა პარტიამ და ამერიკულმა „ეი-ი-ეს თელასმა" მუქარა შეასრულეს, მთელი წელი სასამართლოებში და პროკურატურაში სირბილი მოუწევთ. სანამ ირიბარენი „ვინკ-ფილდთან" ხელშეკრულებასა და რუსეთში ელექტროენერგიის შეძენაზე ფიქრობდა, შალვა ნათელაშვილი თავისი გამარჯვების ამსახველ ვიდეოკლიპს ამზადებდა, რომელშიც მოსახლეობას მოუწოდებს, დენის ფული არ გადაიხადოთო.

ირიბარენი ლეიბორისტული პარტიის „უპასუხისმგებლო" ქმედებით აღშფოთდა და მის სახელზე სასამართლოში სარჩელის აღძვრით დაიმუქრა. მისი თქმით, შალვა ნათელაშვილი მასმედიის საშუალებით პოპულისტურ განცხადებებს აკეთებს და მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავს. ამერიკული კომპანია დათმობაზე არ მიდის და აცხადებს, რომ ყველას, ვინც მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არ გადაიხდის, დენის მიწოდება შეუწყდება. გადაუხდელობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა თავად შალვა ნათელაშვილსაც. ლეიბორისტების ლიდერი დენის ჩამჭრელებს გენერალურ პროკურატურაში უჩივის, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების შეუსრულებლობის გამო.

## ბიუჯეტის განაწილება კრიტიკულ სტადიაშია...

საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტში 2003 წლის ბიუჯეტის მეორე მოსმენისთვის მზადება დაიწყო. მუხლობრივი განხილვის დასაწყისშივე საკმაოდ უცნაური ტენდენციები წარმოჩინდა — პენსიონერთა დავალიანების დასაფარი ფონდი 1 მილიონი ლარით შემცირებული აღმოჩნდა, სამაგიეროდ, ცხინვალის საფეხბურთო გუნდი(!) 80 ათასი ლარით დაფინანსდა, მწერლობის განვითარება კი 104 ათასით. როგორც ჩანს, ბიუჯეტისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ დეპუტატებმა ცალკეულ სფეროებში საკმაოდ უცნაური დაფინანსება მიიღეს. ალბათ, მთავრობას ნაკლებად აინტერესებს, შესრულდება თუ არა ბიუჯეტი — მთავარია, მის ოფიციალურად მიღებას მიაღწიოს...

## ჯვრიან დროშას არაქართველი მოსახლეობაც იწონებს

ჯვრიანი დროშის სახელმწიფო სიმბოლოდ აღიარების მოწინააღმდეგენი მთავარ არგუმენტად საქართველოს მრავალეროვნულობას იშველიებდნენ. არგუმენტი პირველად აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობამ შეარყია. საქართველოს პარლამენტში მათმა წარმომადგენელმა, იზუმრუდ ყურბანოვმა 400 ათასი აზერბაიჯანელი მოსახლის სახელით, სრული პასუხისმგებლობით განაცხადა, რომ თუ საქართველოს ჯვრიანი დროშა ექნება, მას ღირსეულ პატივს მიაგებენ.

## ან რკინიგზა, ან სამშვიდობო მანდატი

კვირას გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის საკითხისადმი ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო — თუ კიევში დაგეგმილ დსთ-ის სამიტზე პრეზიდენტი პუტინი დათმობაზე არ წავა და აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს არ აღკვეთს (იგულისხმება რკინიგზა და პასპორტიზაცია), რუს სამშვიდობო ძალებს მანდატი გაუუქმდებათ. პარალელურად, საბჭომ ნადარეიშვილის მიერ შექმნილი პროექტი აფხაზეთში ძალით მშვიდობის დამყარების თაობაზე განსახილველად ნიუ-იორკში, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გააგზავნა.

## წერეთელი გაიბუტა...

ირაკლი წერეთლის განცხადებით, მისი პარტია მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. ამის მიზეზად იგი უსახსრობას ასახელებს. გულნატკენი პოლიტიკოსის განცხადებით, დღევანდელ ქართველობას იდეა აღარ აინტერესებს და პოლიტიკოსები პოპულარობას მხოლოდ ფულის საშუალებით აღწევენ.

## მასპინძლობისთვის სასტიკად დაისაჯნენ...

ტრაგედია დატრიალდა გალის რაიონის სოფელ განახლებაში. აქ მცხოვრებ ფირცხელავას ოჯახში ღამით ოთხი ნიღბიანი, შეიარაღებული პირი მივიდა. ისინი მასპინძელს ქართველ პარტიზანებად გაეცნენ. ქეიფმა ღამის 12 საათამდე გასტანა, რის შემდეგაც აფხაზმა ბოევიკებმა თავი გაამჟღავნეს და ოჯახის წევრებს სასტიკად სცემეს. მერე დიასახლისი აიძულეს, საკუთარი მეუღლისთვის მდუღარე წყალი დაესხა, შემდეგ ოჯახის დანარჩენი წევრები აიძულეს, მეზობელ სოფლამდე ფეხით ევლოთ. შინ დაბრუნებულებს ნიკოლოზ ფირცხელავა წამებით მკვდარი დახვდათ. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილის ვაჟს აფხაზმა სეპარატისტებმა გალის ტრაგიკული მოვლენების დროს კიდურები გადაუმტვრიეს და სხვა 4 ქართველ მძევალთან ერთად ცოცხლად დამარხეს.

## მოუთმენელი ქართველი ჯარისკაცები

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ საქართველო ნატოში შესასვლელად ემზადება. ამასთან დაკავშირებით ქართველმა სამხედრო და პოლიტიკურმა მაღალჩინოსნებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთეს. გარდა ამისა, ევროპიდან საქართველოში უკვე ჩამოვიდა ინსტრუქტორთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ინდივიდუალურ კურსზე მუშაობს. ერთი სიტყვით, როგორც ჩვენი პრეზიდენტი იტყოდა, საქართველო მთელი სერიოზულობით აკაკუნებს ნატოს კარზე. უბრალოდ, პრობლემა ის არის, რომ ამ კაკუნის პროცესში კართან მომლოდინეთა შორის უპასუხისმგებლო და მოუთმენელი ჯარისკაცებიც აღმოჩნდებიან ხოლმე და ნატოსკენ მიმავალი დერეფნიდან ფორმიან-იარაღიანად იპარებიან. თავდაცვის სამინისტროს დაცვის პოლკიდან გაქცეული რიგითი, ნიკოლოზ ჯანდარაშვილი თბილისის კომენდატურის თანამშრომლებმა დააკავეს. მიმდინარეობს გამოძიება (იხ. გვ.9).

## მორიგი პოლიტიკური ზეწოლა, თუ...

რუსეთის საჰაერო მიმოსვლის რეგულირების ცენტრი საქართველოს 15 ავიაკომპანიისგან 3,6 მლნ დოლარზე მეტი დავალიანების გადახდას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოდან მიმავალი თვითმფრინავებისთვის საჰაერო სივრცის დაკეტვით იმუქრება. რუსეთის აღნიშნული სტრუქტურის ვალი მართლაც აქვთ, ოღონდ წვრილ-წვრილ კერძო ავიაკომპანიებს, რომელთა უმრავლესობა დღეს უკვე აღარ არსებობს და რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში სოკოებივით ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. უცნაურია, რატომ გაახსენდათ რუს ავიატორებს მაინცდამაინც ამ პერიოდში ქართველი კოლეგების დავალიანება, ან რატომ ითხოვენ კერძო ფირმების ქმედებაზე პასუხს სახელმწიფოსგან. ყოველ შემთხვევაში, რკინიგზის სფეროში ასეთ წესებს რუსეთი არ ცნობს და „კერძო ფირმის" მიერ სოჭი-სოხუმის რკინიგზის აღდგენაზე პასუხისმგებლობას თავიდან იხსნის.

## კონკურენციაში რეკეტმა პოლიცია დაჯაბნა...

მარნეულთან მდებარე სადახლოს ბაზრობა დღემდე თავისი ინტერნაციონალური განწყობით იყო ცნობილი. საქართველოს მზის ქვეშ მოყვანილ მწვანილს და პომიდორს აზერბაიჯანელები და სომხები აქ ძმური სიყვარულით ყიდდნენ და ყიდულობდნენ. იქნებ ამ ამბავს გაერომდეც მიეღწია და სადახლოში სამშვიდობო კონფერენციაც გამართულიყო, მაგრამ როგორც იტყვიან, მუდმივი არაფერია. უკვე პოსტფაქტუმ მარნეულის პოლიციის ქართველი უფროსი ირწმუნება, სომხებს და აზერბაიჯანელებს შორის საბაზრო ურთიერთობის განვითარებას ხელს მაქსიმალურად ვუწყობდითო, მაგრამ თავად ფაქტი სხვას ამბობს: პოლიციელთა წაქეზებით (ვითომ, ჩვენ დაგიცავთო) სომეხმა მოვაჭრეებმა აზერბაიჯანელ რეკეტიორებს ფულის გადახდა შეუწყვიტეს. საქმე საქმეზე რომ მიდგა, განრისხებულმა რეკეტიორებმა სომხები ქართველ პოლიციელებთან ერთად გალახეს.

## ცხინვალი ომისთვის ემზადება?

ცხინვალის მახლობლად, სოფელ დოდოთში, ადგილობრივმა ქართველმა მოსახლეობამ რამდენიმე ტანკი, ჯავშანტექნიკა და ჯარისკაცები დააფიქსირა, რომელთაც რუსი ოფიცერი ხელმძღვანელობდა. ცხინვალის სეპატრატისტული მთავრობა შეიარაღების კონცენტრაციას კატეგორიულად უარყოფს, თუმცა, თბილისის მხრიდან აგრესიისგან თავის დასაცავად დახმარებისთვის რუსეთს მიმართავს. თუ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, ჩრდილოელი მეზობელი სამაჩაბლოში მორიგ პროვოკაციას გვიმზადებდეს.

## გაზის მოწოდება აღდგა

პრეზიდენტ პუტინის მოწოდების შემდეგ მოზდოკი-თბილისის 700-მილიმეტრიან გაზსადენზე სარემონტო სამუშაოები სწრაფად დასრულდა, მოგვიანებით კი მაგისტრალური გაზსადენი აირით მთლიანად შეივსო. ყაზბეგის მოსახლეობამ ბუნებრივი აირი ვადაზე ადრე მიიღო. საშუალო წნევის ქსელების დატვირთვის შემდეგ კი ბუნებრივი აირის მიწოდება გლდანის მოსახლეობას აღუდგა. მთელი ქალაქის სრული დატვირთვისთვის „თბილგაზს" ორი კვირა სჭირდება. რაც შეეხება „იტერასადმი" დავალიანებას, ქართული მხარის განცხადებით, თანხები მობილიზებულია და იგი „იტერას" ანგარიშზე ორშაბათს ჩაირიცხება.




## ამერიკა ევროპას ვერ არწმუნებს

მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მცდელობისა, კოლინ პაუელი გაეროს უშიშროების სხდომაზე ლამის აბსოლუტურ უმცირესობაში აღმოჩნდა. კრახისგან ამერიკის დიპლომატიური უწყების მეთაური ბრიტანელმა კოლეგამ გადაარჩინა. ჩინეთის და რუსეთის პოზიცია თავიდანვე ცნობილი იყო, მაგრამ ამჯერად ერაყთან ომის დაწყების კატეგორიული წინააღმდეგნი საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენლებიც გამოვიდნენ. შრედერმაც და შირაკმაც სპარსეთის ყურის კონფლიქტთან დაკავშირებით თავიანთი პოზიცია ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირეს: ახალი ომის წამოწყება უდიდესი მსოფლიო კრიზისის წინაპირობად შეიძლება იქცეს.

## ჩეჩნეთს შერიგება სურს თუ დროის მოგება?

იჩქერიის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის, ასლან მასხადოვის წარმომადგენელთა განცხადებით, ჩეჩენი მებრძოლები მზად არიან საბრძოლო მოქმედებები შეწყვიტონ და რუს პოლიტიკოსებთან მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ. ეს განცხადება მას შემდეგ გავრცელდა, რაც პრეზიდენტმა პუტინმა ჩეჩნეთში რეფერენდუმის ჩატარების სურვილი გამოთქვა ამ მხარის ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით. საეჭვოა, ჩეჩენი მოსახლეობის უმრავლესობა თავისი ნებით დათანხმდეს რეფერენდუმის მთავარ საკითხს — ჩეჩნეთის შეზღუდულ ავტონომიად გამოცხადების თაობაზე, მაგრამ როდესაც რეფერენდუმს ჯარისკაცები და მძიმე ტექნიკა ატარებენ, თავისუფალი არჩევანის გაკეთება ძნელია...

## მიწისძვრა მექსიკაში

მექსიკაში, კოლიმას შტატში მომხდარი მიწისძვრის ეპიცენტრი წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარეობდა. სეისმოლოგთა მონაცემებით, რიხტერის შკალით 7,5 ბალის სიმძლავრის სტიქია საკმაოდ დიდხანს, 45 წამის მანძილზე გრძელდებოდა. უკანასკნელი მონაცემებით, დაღუპულთა რიცხვი 30-ს აღწევს, თუმცა ექსპერტები შიშობენ, რომ მსხვერპლის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან შენობების ნანგრევებში ბევრი ადამიანია მოყოლილი.

## საჰაერო იერიშები გრძელდება

ისრაელის არმიამ პალესტინელთა ტერიტორიაზე მორიგი რეიდი განახორციელა. ვერტმფრენებმა ქალაქ ბეით ჰანუნის მახლობლად სულ მცირე ექვსი რაკეტა ჩამოაგდეს. საჰაერო იერიშებს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა სისხლის ღვრის გარეშე სამხედრო ოპერაციას არ ჩაუვლია. რეიდს ერთი პალესტინელი და სამი ებრაელი ემსხვერპლა. ებრაელთა სამხედრო აქციას წინ დაჯგუფება ჰამასის სარაკეტო თავდასხმა უძღოდა. პალესტინელებმა ჭურვები ებრაულ ქალაქ სდეროტში ჩამოაგდეს.

## შეტაკება გაეროს წარმომადგენლობასთან

ორმა ერაყელმა მამაკაცმა ერაყში განთავსებულ გაეროს წარმომადგენლობაში შეჭრა სცადა. ერთ-ერთი მათგანი დანებით იყო შეიარაღებული. სანამ ის შენობაში შეღწევას ცდილობდა, მეორემ გაეროს კუთვნილი ჯიპი გაიტაცა. ორივე თავდამსხმელი წარმომადგენლობის დაცვამ დააკავა. ინსპექტორებს მომხდარზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ. როგორც ჩანს, ერაყში მიმდინარე ანტიამერიკული კამპანიის ფონზე გაეროს ინსპექტორებზე თავდასხმები გაგრძელდება.

# „პარტიზანული მოძრაობა უფრო სასტიკი უნდა ყოფილიყო“



„ შესაძლოა რუსეთის ხელისუფლება თავის მოსახლეობას საქართველოს მიმართ დაგეგმილი აგრესიისთვის ამზადებდეს“

საქართველოში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაზე მსჯელობისას მავანნი ხშირად იშველიებენ ხოლმე სიტყვებს: „ჭაობი“, „უძრაობა“ და „სტაგნაცია“. შესაძლებელია, გარკვეულწილად ასეც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილებები მაინც ხდება — თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე ნაკლები წვლილი ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს მიუძღვის. უბრალოდ, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება და მსოფლიო გადანაწილების პროცესი უფრო და უფრო მწვავდება და აზარტულ სახეს იძენს. ნებსით თუ უნებლიეთ, ამ დიდ პოლიტიკურ თამაშებში თავისი წილი (და არცთუ უმნიშვნელო) ფსონი პატარა საქართველოსაც ერგო. ჩვენი ქვეყნის გარშემო არსებული „ჯადოსნური წრე“ თანდათან იკვრება და ვიწროვდება. ამის პარალელურად, ხისტი ხდება საქართველოს შინაპოლიტიკური დამოკიდებულებებიც — სულ რამდენიმე წლის წინ ძნელი სათქმელი იყო, ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ვინ რომელი მხარის ინტერესებს წარმოადგენდა. დღეს კი პროცესები გაცილებით ღია და გამჭვირვალე გახდა. სპარსეთის ყურეში ვითარების ესკალაციასთან ერთად, იძაბება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაც და აქ კვლავ შემოდის ყბადაღებული თემა რუსეთ-ამერიკის ვაჭრობისა, სადაც გაცვლის ობიექტებად საქართველო და ერაყი გამოდიან. როგორც ყოველთვის, ჩვენი ხელისუფლება ახლაც ზესახელმწიფოებს შეჰყურებს ხელებში და საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის სხდომაზე იმის მიხედვით აკეთებს განცხადებებს, თუ როგორ გუნებაზე გაიღვიძებენ იმ დღეს ბუში ან პუტინი. ამიტომაც არის, რომ ერთ დღეს რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანას მოვითხოვთ, მეორე დღეს კი მათ დიდ მნიშვნელობასა და მისიაზე ვლაპარაკობთ. საქართველოს გამო რუსეთის მიმართ ტრადიციულად მკაცრი ვაშინგტონის ადმინისტრაცია ამჯერად ტონს არბილებს და თბილისსაც რუსეთთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარებას ურჩევს. პარალელურად, რუსეთი საეჭვოდ ჩქარობს აფხაზეთის „ათვისებას“ და საქართველოს მიმართ სახრისა და შაქრის საკმაოდ უხეშ პოლიტიკას მიმართავს — საქართველოსკენ მომავალი ორივე გაზსადენი ტროტილით ფეთქდება, და დაბნეული ქართველი ენერგეტიკოსები მისი აღდგენის ვადებზე საკმაოდ ბუნდოვნად ლაპარაკობენ. მოგვიანებით, რუსეთის ტელევიზია გულის ამაჩუყებელ კადრებს უჩვენებს — პრეზიდენტი პუტინი რუსეთის „გაზპრომის“ დირექტორს ესაუბრება და ამაღლებული განწყობით 24 საათის განმავლობაში გაზსადენების აღდგენას ავალებს — „უფროსი ძმისთვის“ შეუძლებელი არაფერია, ოღონდ, აღარ გააბრაზო... მოსკოვში ჩასულ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას ისევე დახვდნენ, როგორც ოდესღაც ყაენის კარზე ჩასულ ქართველ დიდებულებს ხვდებოდნენ. თუმცა, მაშინ ერთობლივი კომისიები არ არსებობდა და გაკიცხვის შემდეგ, ჭკვიანად მოქცევის შემთხვევაში, საქართველოს მხოლოდღა სიტუაციაში გარკვევას ჰპირდებოდნენ. ძველ დროში არც ტელევიზია და პირდაპირი ეთერი არსებობდა, ამიტომაც ისტორიას ბიზანტიის იმპერატორის კარის ლაქიასთან ქართველ მოღვაწეთა კამათის ამსახველი კადრები არ შემორჩენია... სამაგიეროდ, რამდენიმე დღის წინ ქართველი და რუსი პოლიტოლოგების ტელეპაექრობით ბევრ ქართველს დაუკმაყოფილებლობის შეურაცხმყოფელი გრძნობა დარჩა. იმის გამო, რომ გადაცემაში ქართულ მხარეს „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის კარგად ნაცნობი პოლიტოლოგი, **რამაზ საყვარელიძე** წარმოადგენდა, ზემოთ ნახსენები საკითხების განხილვას სწორედ მასთან და სწორედ გახმაურებულ ტელედისკუსიაზე საუბრით დავიწყებთ:

**— ტელეგადაცემამ ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს საქართველოს რუსეთთან საკამათოდ არავითარი არგუმენტები არ ჰქონდა. უფრო მეტიც — საქართველოს „სიყვარულით“ ცნობილი პოლიტოლოგი ზატულინი, ქართველებს აქეთ გვაყვედრიდა დაშვებულ შეცდომებს და დემაგოგიურად ამტკიცებდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ყველა უბედურება ჩვენივე სურვილით დაგვატყდა თავს. ხომ არ აჯობებდა, მას ეთერში ისეთი პიროვნება შეპაექრებოდა, ვინც დემაგოგიას კონკრეტული ფაქტებით უპასუხებდა?**

— სიტყვა „დემაგოგია“ ზატულინზე სასაუბროდ ზედგამოჭრილია. ბუნებრივია, მე ვერ ვიქნები ისე ჩახედული აფხაზეთთან დაკავშირებულ კონკრეტულ დეტალებში, როგორც ცალკეული ქართველი პოლიტიკოსები. ალბათ ასეთ პიროვნებასთან დაპირისპირება მართლაც კონკრეტული ფაქტებით და იმავე დემაგოგიით აჯობებდა (ამ შემთხვევაში დემაგოგიას არა სალანძღავი მნიშვნელობით, არამედ სადისკუსიო მეთოდად მოვიხსენიებ); მაგრამ როდესაც გადაცემაში მონაწილეობა შემომთავაზეს, ამიხსნეს, რამაც განაპირობა მათი არჩევანი — ამ შემთხვევაში, პოლიტოლოგთან საპაექროდ პოლიტიკოსის დასმა რუსეთისთვის ზედმეტი პატივი იქნებოდა. პოლიტოლოგთან პოლიტოლოგს უნდა ესაუბრა. სიმართლე გითხრათ, ამ ამბავს თავიდან აზარტულადაც კი შევხვდი და ორთაბრძოლაზე უარის თქმა არც მიფიქრია, მაგრამ რამდენიმე ფაქტორი ვერ გავითვალისწინე — ეს გახლავთ გადაცემის მცირე დრო და ოპონენტის სტრატეგია. საპაექროდ აკადემიურ, ლოგიკურ მსჯელობაზე აგებული მდორე სტილი მქონდა არჩეული, რაც 10-წუთიან ტელეშოუში გაუმართლებელი აღმოჩნდა. როდესაც შენი მოწინააღმდეგე დემაგოგიას მიმართავს და ფსონს ეფექტის მოხდენაზე, მკვახე რეპლიკებსა და მოკლე, დაუსაბუთებელ ბრალდებებზე დებს, კამათისთვის ორი ვარიანტი გრჩება — პირველი, შენც იმავე ტონით და ლოგიკით ილაპარაკო, რაც საბოლოოდ, ყაყანში გადაიზრდება და ამას ქართველ პოლიტიკოსთა დებატებისას ძალიან ხშირად შევსწრებივართ. არის მეორე გზა — ოპონენტს სვლის გაკეთება ბოლომდე აცალო, შემდეგ კი მისი ერთი შეხედვით ეფექტიანი, დემაგოგიური ფრაზა მშვიდი, ლოგიკური მსჯელობით ნაწილ-ნაწილ დაშალო და საზოგადოება მის ნამდვილ არსში, ანუ არარაობაში დაარწმუნო. სამწუხაროდ, ამის გასაკეთებლად დრო საკმარისი არ აღმოჩნდა და ისე გამოვიდა, რომ ზატულინის ბრტყელ-ბრტყელი, დემაგოგიური ფრაზები „დაუშლელი“ დამრჩა. გადაცემის დასასრულს, იმედი მქონდა, რომ ბოლო სიტყვის საშუალება მაინც მექნებოდა, მაგრამ ეს გადაცემისთვის, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც შეუძლებელი აღმოჩნდა (ნაყიდი საეთერო დროის გამო). ამდენად, კამათის მიწურულს, ეფექტიც მის მხარეს აღმოჩნდა — მისი ტყვია გავარდა და ჩემი — არა. მაგრამ ერთჯერადი ეფექტის მიღმა ამ ტელედისკუსიამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა რუსული „ველიკოდერჟავული“ მიდრეკილება. ეს ფაქტი, უპირველესად, თვით რუსეთისთვის არის დამღუპველი — როდესაც ქვეყანა თავზე გენგრევა და შენ მაინც შენსას გაჰკივი, არავითარ კომპრომისზე არ წამოვალ, მე ვარ აბსოლუტურად მართალი და შენ აბსოლუტურად მტყუანიო... ერთჯერადი ეფექტების მიღმა ხომ არსებობს სიმართლე და რეალობა, რომელიც თავისი გზით ვითარდება — ციმბირიდან ჩინეთის ექსპანსია ძლიერდება; ჩეჩნეთი რომ რუსეთის კიბოდ იქცა, სადავო აღარ არის; ქვეყნის ეკონომიკა გაპარტახებულია და რამდენიმე დიდი ქალაქის გარდა, რუსეთის 90% შიმშილობის ზღვარზეა. ასეთ პირობებში ჯარისა და კუნთების იმედზე ყოფნა, დამეთანხმებით, საკმაოდ არარეალურია. სამწუხაროდ, ეს მოსაზრება ზემოთ ნახსენები მიზეზებით, ზატულინის თანდასწრებით ვერ გამოვთქვი...

**რაც შეეხება მოქალაქეობას — ამისი არჩევის უფლება ყველას აქვს, მაგრამ მას, ვინც უცხო ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს (მით უმეტეს, ორგანიზებული წესით), აფხაზეთში არ უნდა დაედგომებოდეს — იგი თავის საშველად იქ უნდა გარბოდეს, რომელი ქვეყნის მოქალაქეც გახდა...**

**— საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება თანდათან თქვენ მიერ ახსნილ პროგნოზს უახლოვდება და „შემოდგომის ბუზის“ კბენაც უფრო მწარე ხდება — თუ შეიძლება, თიხის ფეხებზე მდგომი გოლიათი ბუზს შევადაროთ... მოსკოვში ჩასულ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას რუსი პოლიტიკოსები უმტკიცებდნენ, რომ ისეთი გიგანტი ქვეყანა, როგორიც რუსეთია, პატარა საქართველოში პროვოკაციების მოსაწყობად არ გაირჯება. ამავდროულად, ქართველ პოლიტიკოსებს ერთგვარად აბნევს ბოლო ხანს ვაშინგტონის მიერ რუსეთის მიმართ დაკავებული „შემრიგებლური“ პოზიციაც.**

— რუსეთთან მიმართებაში ალბათ „გიგანტომანია“ უფრო შესაფერისი სიტყვა იქნება. რუსეთს რომ საქართველო აინტერესებს, ესეც ფაქტია და ვრცელი ახსნა-განმარტება არც ამას სჭირდება — გნებავთ, ისტორიული, გნებავთ, პოლიტიკური ან ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ უკანასკნელში იარაღისა და ნარკოტიკების ტრანზიტიც იგულისხმება, რაშიც რუსული გენერალიტეტი მილიარდებს შოულობს. რაც შეეხება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობას საქართველოსთან მიმართებაში, ჩემი აზრით, მიმდინარე მოვლენების ახსნა სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. დღესდღეობით, საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველოსთვის ძალიან დელიკატური ვითარებაა შექმნილი. საზოგადოების გაკვირვებას მოსკოვის მიმართ ვაშინგტონის დატკბობის გამო საფუძველი მართლაც გააჩნია. ყველას კარგად გვეხსომება წამყვანი ამერიკელი პოლიტიკოსების საკმაოდ მწვავე განცხადებები რუსეთის მიმართ, როდესაც საქმე საქართველოს შეეხებოდა. ამჯერად კი ვითარება თითქოს კარდინალურად შეიცვალა — როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა განცხადება გააკეთა რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე, ცოტა ხანში ჯორჯ ბუშის წერილი მიიღო — თავშეკავებას ურჩევდნენ. რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკება და „გაცვლა-გამოცვლა“ აქ არაფერ შუაშია. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ერაყული კამპანიის საბოლოო მიზანი ნავთობი და მისი მეშვეობით ისლამური ქვეყნების ეკონომიკის გაკონტროლებაა. კავკასია და შუა აზია ამ გეგმის მეორე ნაწილი გახლავთ, რომლის განხორციელების შემდეგაც ამერიკის კონტროლს უკვე რუსეთის ეკონომიკა დაექვემდებარება. ამ მიზანს ემსახურება შუა აზიაში 3 ათასი ამერიკელი ჯარისკაცის დისლოცირება, კომანდოსთა წვრთნები და FBI-ის კავკასიური წარმომადგენლობის გახსნა საქართველოში. მაგრამ, სანამ ვაშინგტონს სპარსეთის ყურეში პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, კავკასიაში „მეორე ფრონტის“ გახსნა არანაირად არ აძლევს ხელს. ამიტომაც რუსეთთან დროის მოგების პოლიტიკას მიმართავს — რუსეთი ტერორიზმთან ბრძოლაში ამერიკის სწორუპოვარ თანამებრძოლად და პარტნიორად ცხადდება, იმავდროულად კი, ქართველებს ემოციების დაოკებას გვირჩევენ. შექმნილი ვითარება, ბუნებრივია, ყველაზე უკეთ კრემლს მოეხსენება და ამით აიხსნება მისი გააქტიურება საქართველოსთან, უფრო ზუსტად კი, აფხაზეთთან მიმართებაში. სპარსეთის ყურის კონფლიქტი დიდხანს არ გაგრძელდება და ამის შემდეგ აუცილებლად დადგება კავკასიის ჯერი. ამ დროისთვის რუსეთი მაქსიმალურად ეცდება აფხაზეთის ათვისებას, რათა ამერიკასთან პირისპირ დარჩენის შემთხვევაში კავკასიიდან გასვლისთვის (ეს რომ გარდაუვალია, რუსებმა შესანიშნავად იციან), რაც შეიძლება დიდი საფასური მოითხოვოს. ცხადია, სიტუაცია მოყვანილი სქემით, ერთმნიშვნელოვნად მარტივად არ ვითარდება — მას უამრავი ქვედინებები ახლავს თან. თუნდაც, იმავე გაზსადენის აფეთქება და შემდეგ პუტინის ბრძანებით მისი აღდგენა. ამით თბილისს მიანიშნებენ, თუ ვისზეა სინამდვილეში დამოკიდებული ყველაფერი. საქართველოს ახლა გაძლების პერიოდი უდგას — კავკასიაში გავლენის გაყოფა დასასრულს უახლოვდება. რუსეთის მხრიდან სხვასთან ერთად ენერგეტიკული ბერკეტების ამოქმედება უკანასკნელი არ იქნება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სულ რაღაც 3-4 წელიწადში შუა აზიიდან მომავალი გაზსადენი ჩაირთვება და ის ენერგეტიკული ჯაჭვიც ჩაიჭრება, რომლითაც დღეს რუსეთზე ვართ მიბმულნი. მაგრამ ამ პერიოდში შეიძლება უფრო მეტის გადატანა მოგვიხდეს, ამიტომაც მაქსიმალური მოთმინება და დიპლომატიის გამოჩენა გვმართებს. ამ შემთხვევაში, საგულისხმო უნდა იყოს მოსკოვში მყოფი კოლინ პაუელის მოადგილის, რიჩარდ არმიტიჯის გამოსვლის პერიფრაზირება საქართველოს დაბომბვასთან დაკავშირებით — ამერიკელმა დიპლომატმა პრევენციულ დარტყმებზე კომენტარი სრულიად განსხვავებულ კონტექსტში გააკეთა (არმიტიჯის გამოსვლის შესახებ იხილეთ მე-14 გვ.-ზე. — დ.გ.), რუსულმა მედიამ კი იგი საქართველოს დაუკავშირა — ამ შემთხვევაში დეზინფორმაცია მხოლოდ საქართველოზე არ იყო გათვლილი, გამორიცხული არ არის, რუსეთის ხელისუფლება თავის მოსახლეობას საქართველოს მიმართ დაგეგმილი აგრესიისთვის ამზადებდეს, მით უმეტეს, რომ რუსი გენერლები კვლავ ალაპარაკდნენ საქართველოში ჩეჩნური „ბანდ-ფორმირებების“ გამოჩენის თაობაზე.

**— მაგრამ სანამ ამერიკა კავკასიისთვის მოიცლის, ვაითუ, რუსეთმა საბოლოოდ აითვისოს აფხაზეთი და ამერიკასთან თქვენ მიერ ნახსენები ვაჭრობაც დე ფაქტო პოზიციიდან დაიწყოს, მით უმეტეს, რომ აფხაზეთში უკვე ყველა ბერკეტი ამუშავა — ახლახან საქართველოს საპატრიარქომაც კი რუსეთის საპატრიარქოდან ოფიციალური წერილი მიიღო, სადაც ქართული იურისდიქციის აღდგენამდე აფხაზეთში რუსი სამღვდელოების გაგზავნის და ქადაგების უფლებას ითხოვს.**

— აფხაზეთთან მიმართებაში რუსეთის გააქტიურება მართლაც საშიშ ფორმებს იღებს. ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო, აფხაზეთი გლობალურ პოლიტიკურ მოვლენებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კოზირად იქცა. თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, იმას, რაც დღეს აფხაზეთში ხდება, ომი ეწოდება. მაგრამ ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ამ სიტყვის ხსენებაზე ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს მაინცდამაინც ავტომატი, ხელყუმბარები და ფრონტი ახსენდება. ვფიქრობ, უახლესი ისტორიიდან მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ აფხაზეთის ომით დაბრუნების მცდელობა საქართველოსთვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს და რუსი პოლიტიკოსების მუქარამ რეალური სახე მიიღოს. როგორც უკვე ვთქვი, აფხაზეთი გლობალური პოლიტიკის ნაწილად იქცა და „სეპარატისტებისთვის ჭკუის სწავლებაზე“ ისე მსუბუქად საუბარი, თითქოს მერვეკლასელი ბიჭები მეზობელ უბანში გადასვლას და მათ ჭკუის სწავლებას აპირებდნენ, გაუმართლებლად მიმაჩნია. უნდა ვიომოთ იმ სტანდარტებით, რითაც გვებრძვიან. პირველ რიგში, საქართველოს ყველა სტრუქტურამ უნდა გააცნობიეროს, რომ ქვეყანა საომარ ვითარებაში იმყოფება. საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის გარდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პარტიზანული მოძრაობის გააქტიურებას, არა აღებ-მიცემობის დღევანდელი ფორმებით — პარტიზანული მოძრაობა აფხაზეთში იმდენად სასტიკი უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთს პროვოკაციულ ქმედებათა განხორციელება ვერ გაებედა. რკინიგზა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი პარტიზანების „საყვარელი“ სამიზნე იყო, რადგან ლიანდაგის ყოველ მეტრზე ჯარისკაცის დაყენება შეუძლებელია, ჩვენ კი მხოლოდ ზეპირი მუქარით შემოვიფარგლებით. რაც შეეხება მოქალაქეობას — ამისი არჩევის უფლება ყველას აქვს, მაგრამ მას, ვინც უცხო ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს (მით უმეტეს, ორგანიზებული წესით), აფხაზეთში არ უნდა დაედგომებოდეს — იგი თავის საშველად იქ უნდა გარბოდეს, რომელი ქვეყნის მოქალაქეც გახდა...

რაც შეეხება დე ფაქტო საფრთხეს იმ დროისთვის, როდესაც ამერიკა კავკასიისთვის მოიცლის: სუფსაში განთავსებული ნავთობტერმინალის გათვალისწინებით, აფხაზეთს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება და საეჭვოა, დასავლეთმა აიტანოს რუსული გავლენის არსებობა ასე ახლოს. ასეთ შემთხვევაში თვითონ ნავთობსადენის პროექტის წარმატება ხდება საეჭვო...

**— ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესები შიდაპოლიტიკურში სინქრონიზდება ხოლმე. საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ქართულ პოლიტიკურ სპექტრში აქტიური გადაჯგუფებები ხდება. რამდენად იმოქმედებს ყოველივე ქართულ პოლიტიკაში რუსული გავლენის შემცირება-გაზრდაზე?**

— ალბათ, უპირველეს ყოვლისა, „აღორძინებაში“ მიმდინარე პროცესებს გულისხმობთ. საქმე ის არის, რომ ამ გაერთიანებიდან თუნდაც ძლიერი ფიგურების წასვლა მის პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ვერ იმოქმედებს. „აღორძინების“ საპარლამენტო მანდატების რიცხვი აღნიშნულ პიროვნებებზე დამოკიდებული არ არის და ეს გაერთიანება კვლავინდებურად ფლობს აჭარის ხმებს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია — ქართულ პოლიტიკურ სპექტრში კი ყოველთვის მოიძებნება ხალხი, ვინც ამ „მზა“ მანდატებით სარგებლობას მოინდომებს. ასე რომ, მიმდინარე პროცესების მიხედვით, შესაძლებელია, საქმე „აღორძინების“ დაშლასთან გვქონდეს, მაგრამ ეს არანაირად არ ნიშნავს მის მარცხს. რუსეთზე ორიენტირებული მეორე პოლიტიკური ორგანიზაცია „დათვი“ გახლავთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს პუტინის პარტიაა, რომელსაც თავისი პოზიცია, ჯერჯერობით, ჩეჩენი ტერორისტების გარდა, სხვა საკითხებზე მკაფიოდ არ დაუფიქსირებია. მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ ალბათ „დათვი“ საპარლამენტო არჩევნებში „აღორძინების“ ზემოთ ნახსენები გათავისუფლებული რეიტინგით ისარგებლებს. ეს კი პუტინის პარტიის საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლასაც ნიშნავს — მეტი, ან ნაკლები გავლენით, რასაც ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. საქართველოში რუსული პოლიტიკის კიდევ ერთი ბასტიონი არსებობდა — „ერთობის“, ანუ პატიაშვილი-ჭაჭიას პარტიის სახით, რომელიც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, „ნაციონალური მოძრაობის“ პარტნიორთა სიაში აღმოჩნდა. პატიაშვილის და ჭაჭიას სიმპათიები რუსეთის მიმართ სადავო არ უნდა იყოს. ალბათ არც შევარდნაძისადმი რუსული ისტებლიშმენტის განსაკუთრებული სიძულვილია საეჭვო. ისიც ფაქტია, რომ ამერიკასთან ზემოთ ნახსენებ ჭიდილში და დარჩენილ მცირე დროში რუსეთს ჰაერივით სჭირდება შევარდნაძის მოშორება. დადებითი თუ უარყოფითი მხარეების მიუხედავად, საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს კავკასიაში დასავლეთის დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანი მისია ეკისრება — თუ რატომ, ამის უამრავი ასპექტი არსებობს — პოლიტიკური, ეკონომიკური, საერთაშორისო... ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს. ყოველ შემთხვევაში, ფიზიკურადაც და მორალურადაც შეერთებული შტატები შევარდნაძეს პოსტსაბჭოთა სივრცეში აშკარად გამორჩეულად მფარველობს. გამიჭირდება იმის თქმა, რომ სააკაშვილმა პოლიტიკური ორიენტაცია შეიცვალა. როგორც ჩანს, ის მოქმედებს პრინციპით — „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“. ზოგიერთი პოლიტიკოსისთვის ეს შეიძლება მომგებიანიც იყოს, მაგრამ დამეთანხმებით, ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, საკმაოდ სახიფათო ტენდენციაა. ზემოთაც ვამბობდი და გავიმეორებ — ახლოვდება გადამწყვეტი მომენტი, მანამდე კი ბევრი რამის გადატანა, უდიდესი მოთმინებისა და დიპლომატიის გამოჩენა მოგვიწევს. ალბათ, სასურველი იქნებოდა, თუ პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოებრივი განვითარების ერთ, საერთო დოქტრინამდე მივიდოდნენ. ხოლო ვინ როგორ გზას აირჩევს მის განსახორციელებლად, რა თქმა უნდა, თითოეული მათგანის საქმეა.

*დაჩი გრძელიშვილი*

CMYK



# ღირსების ორდენი ანანიაშვილს

## საქართველოსთვის და საქართველოს სახელით

22 იანვარს საქართველოს ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოადგინეს მინკუსის ბალეტი „დონ-კიხოტი“. მთავარ პარტიებს ცეკვავდნენ ნინო ანანიაშვილი და სერგეი ფილინი. ორკესტრს დირიჟორობდა ალექსანდრ სოტნიკოვი.

წლევანდელი გასტროლი სამშობლოში გამორჩეული აღმოჩნდა როგორც მუსიკალური თბილისისთვის, ისე თვით პრიმა-ბალერინასთვის — კონცერტამდე, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ნინო ანანიაშვილი ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

**ედუარდ შევარდნაძე:** „ამ საქმეში ექსპერტად არ გამოვდგები, მაგრამ რაც მინახავს ნინოს შესრულებით, უთუოდ უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. ნინო ანანიაშვილი ჭეშმარიტად მსოფლიო ბალერინაა“.

დაჯილდოების ცერემონიალმა ამაღლებულ და პრეზიდენტისთვის დამახასიათებელ ხუმრობანარევ ატმოსფეროში ჩაიარა. ნინო ანანიაშვილს ეტყობოდა, რომ ღელავდა — იგი პირველი ბალერინაა, რომელსაც ღირსების ორდენი მიენიჭა.

**ნინო ანანიაშვილი:** „ეს ჩემთვის დიდი და მოულოდნელი პატივია. ყველაფერს, რასაც ვქმნი, საქართველოს სახელით ვაკეთებ. დღეს დიდი თეატრისა და მეტროპოლიტენ-ოპერის პრიმა-ბალერინა მქვია, მაგრამ ყველგან, მთელ მსოფლიოში გამოვდივარ როგორც ქართველი და რომ არა ჩემი ქვეყანა და ხალხი, არ ვიქნებოდი ის ნინო ანანიაშვილი, რომელიც დღეს ვარ. საქართველოს გარეშე არ მექნებოდა ის არტისტიზმი, რომლითაც ასე გამომარჩევენ“.

ნინო ანანიაშვილი 1981 წლიდან მოსკოვის დიდი თეატრის ბალერინაა. დაჯილდოებულია საბალეტო ხელოვნების ოთხი უმაღლესი ჯილდოთი.

იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი მოცეკვავეა, რომელიც მიიწვიეს ამერიკაში, ნიუ-იორკ სითი-ბალეტში, ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფიის შესასრულებლად. ნინომ დიდი ბრიტანეთის სამეფო თეატრთან ერთად შეასრულა ფ. ეშტონისა და კ. მაკმილანის ქორეოგრაფია. მინიჭებული აქვს რუსეთის ყველაზე პრესტიჟული პრემია — „ტრიუმფი“.

მიუხედავად უამრავი ავტორიტეტული პრემიისა, ალბათ, ქართველი მაყურებლის სიმპათიას ნინო ვერ მოიპოვებდა, რომ არ ჰქონდეს ის, რასაც უშუალობა, თავმდაბლობა და გულწრფელობა ჰქვია და კიდევ... უსაზღვრო სიყვარული ქვეყნისა და მაყურებლისა.

22 იანვარს ნინო ანანიაშვილს პარტნიორობას უწევდა დიდი თეატრის პრემიერი სერგეი ფილინი. კლასიკა მასთან ნინომ პირველად საქართველოში ჯერ კიდევ 1999 წელს იცეკვა. მაშინ სერგეი მხოლოდ ამომავალი ვარსკვლავი იყო. მას 1994 წელს მიენიჭა „პრინცის“ წოდება „მძინარე მზეთუნახავში“, პრინცის პარტიის შესრულებისთვის.

**სერგეი ფილინი:** „ნინოს ჩვენი პროფესიის წყალობით შევხვდი. უპირველესად იგი კარგი ადამიანია, ერთდროულად არის მომაჯადოებელი ქალი, კარგი მეგობარი, შესანიშნავი პიროვნება და, რაღა თქმა უნდა, უმაღლესი კლასის ბალერინა. მასთან ცეკვა უდიდესი სიამოვნებაა და... უმძიმესი შრომა!“

წინა გასტროლებისგან განსხვავებით, ამჯერად ძალზე გართულდა ნინო ანანიაშვილთან გასაუბრება. აიკრძალა სპექტაკლის შემდეგ ბალერინასთან მასმედიის წარმომადგენლების შეშვება. ინტერვიუზე ნინოს ინდივიდუალურად უნდა შევთანხმებოდით, მაგრამ მასთან დაკავშირება პრაქტიკულად შეუძლებელი გახლდათ. მაინც მოვახერხეთ:

— **ქალბატონო ნინო, როგორც ვიცით, ეს საღამო წინასწარ დაუგეგმავი იყო...**

— დიახ. ოპერის დირექტორმა, ბატონმა ზურაბ ლომიძემ დამირეკა და მთხოვა, ერთი სპექტაკლი, „დონ- კიხოტი“ მეცეკვა თბილისში.

— **როგორც წესი, პარტნიორობას გიწევთ დირიჟორი ალექსანდრ სოტნიკოვი...**

— იგი უნიკალური ადამიანია. არის დიდი თეატრის წამყვანი დირიჟორი. მის რეპერტუარში 60-მდე ოპერა და ბალეტია. თითქმის ყველა ჩემს სპექტაკლს იგი დირიჟორობს.

— **გამორჩეული პარტია თუ გაქვთ?**

— ყველა პარტიას სიამოვნებით ვცეკვავ, მაგრამ „გედის ტბაში“ — ოდეტა-ოდილია და „დონ-კიხოტში“ — ჩელიტა ჩემი უსაყვარლესი პარტიებია.

— **თქვენი საგასტროლო ტურნეს შესახებ რას გვეტყვით?**

— კვლავ მოსკოვში ვბრუნდები, სადაც „იაპონურ სიზმრებს“ შევასრულებ, შემდეგ კი სხვადასხვა ქვეყანაში ვიმოგზაურებ.

— **ქალბატონო ნინო, საბალეტო ხელოვნების თითქმის ყველა მწვერვალი დაიპყარით. თუ გაქვთ აუხდენელი ოცნება?**

— ჩემი ოცნება საბალეტო ხელოვნებას არ შეეხება. იცით, კახეთში დიდი ვენახი მაქვს — მინდა, ჩემი სახელობის ღვინო ჩამოისხას.

იმედი გვაქვს, ღვინო „ანანიაშვილი“ ისევე მოხიბლავს მსოფლიო ელიტას, როგორც ეს ნინო ანანიაშვილმა — ბალერინამ შეძლო და ქართული ღვინის უპირატესობასაც დაამტკიცებს ყველგან.

***ალექსანდრე ბერიძე***

## მას სანქტ-პეტერბურგსა და ესპანეთში ელიან...

დროის არცთუ ისე დიდ მონაკვეთში ქართველებმა ცხრა აპრილის ტრაგედია რამდენჯერმე გადაავაფასეთ, მაგრამ იმ ღამის კინოარქივს ისეთი დეტალებიც შემორჩა, რასაც გადაფასება არ უხერხდება. ეს არის ტანკების გრუხუნის ფონზე ზარივით გაჟღერებული ქართული სიმღერა, რომლის მოსმენაც ყოველთვის გვიჩუყებს გულს. სხვათა შორის, მთელმა თბილისმა იცის, რომ აპრილის მომღერლებიდან ერთ-ერთი, ქუჩაში სიმღერით შოულობს პურის ფულს. რამდენიმე წლის წინ ამ ქალმა შვილიც ქუჩაში გამოიყვანა — დედა-შვილი ერთად ამღერდა და... თბილისს ისევ აუჩუყდა გული... ამ ორი წლის წინ ბავშვი ერთ მადლიან ხანში შესულ კაცს, დავით



პაპაშვილს შეეცოდა. ვისზეც ხელი მიუწვდა, ყველა შეაწუხა. დიდმა მაესტრომ, ნოდარ ანდღულაძემ გოგონა სპეციალურ სკოლაში ჩარიცხა. მალე ის კონსერვატორიის სტუდენტიც გახდება. შესაძლოა მეტროსადგურის მომღერალი უპოვარი გოგონა ბედნიერ კონკიად იქცეს — ბუნებამ ნატო ვეფხვაძე მომაჯადოებელი ხმით დააჯილდოვა. ზარივით წკრიალა ხმის წყალობით მას სანქტ-პეტერბურგის საერთაშორისო კონკურსზე უკვე იწვევენ სიმღერის ამომავალი ვარსკვლავის სტატუსით.

— **ნატო, საიდან დავიწყოთ, — პირველად რომ იმღერე ქუჩაში?**

— არა, იქიდან — წლის და სამი თვისა რომ ვმღეროდი — ძალიან მიხარია იმ დროზე ლაპარაკი. მაშინ თურმე ჩემთვის ვმღეროდი. 8 წლის ვიყავი, როცა სასიმღეროდ ხალხში გავედი — ისნის ბაზრობიდან დავიწყე. ბაზრობის შუაგულში ვიჯექი, დედა ფანდურზე უკრავდა და ვმღეროდით. ხალხმა რკინის მანეთიანები მაჩუქა. თვლა ვიცოდი, მაგრამ ფული არ დამითვლია, არც ახლა ვითვლი, ფული არ მიყვარს — ქუჩაში მაგის გულისთვის ვდგავარ... ისნის ბაზრობის შემდეგ ვაგზლის მოედანზე ჩავედით მეტროში. 4 წელია, იქ ვმღერი.

— **მე როცა განახე, ყოველთვის ფეხზე მდგარი მღეროდი.**

— იმიტომ, რომ მომღერალი არ უნდა იჯდეს, ჯდომა სიმღერას უშლის, არ გამოდის.

— **მეტროში ათასი ჯურის ხალხი დადის. შენთვის ხომ არავის უწყენინებია?**

— ეგ არასდროს მომხდარა. პირიქით, რაც მეტია ხალხი, მით მეტ ყურადღებას ვგრძნობ. თავისთვის მიდი-მოდიან, მისმენენ და ტირიან. სულ მეფერებიან. ხანდახან მგონია, ძალიან ცნობილ მომღერლებსაც კი არ ექცევიან ასეთი ყურადღებით... რა ვიცი, იქნებ ქუჩის მსმენელები სხვანაირები არიან, ისინი უფრო გამოხატავენ მოწონებას, სიხარულს.

— **როგორ ფიქრობ, რატომ ტირიან ადამიანები, როცა მღერი?**

— შეიძლება, ვეცოდები, შეიძლება ისეთ სიმღერებს ვმღერი, რომლებიც მათზე მოქმედებს.

— **ჰო, ალბათ. თანაც უმეტესად სამშობლოზე მღერი, ჩვენი სამშობლო კი კარგ დღეში ნამდვილად არ არის...**

— მაგრამ მე მიყვარს ჩემი საქართველო და ვიცი, რომ ის ყველაზე ლამაზი და კარგია. არ შეიძლება ღვთისმშობლის ქვეყანა ცუდი იყოს, ოღონდ ქართველები ვერ ვუფრთხილდებით.

— **როგორც მითხრეს, შენს სწავლა-განათლებას ნოდარ ანდღულაძე ხელმძღვანელობს, მეგობრობთ?**

— კი. ძალიან კარგი კაცია. ყოველთვის მეკითხება ჩემს დასა და დედაზე — როგორ არიანო. მამა არ მყავს, არც ბაბუა. ბატონ ნოდარს ვუთხარი, თქვენ ხართ ჩემი ბაბუა-მეთქი. კიო, — მითხრა.

— **მამა გარდაგეცვალა?**

— არა, უბრალოდ მიგვატოვა. მინდოდა ჩემთან ყოფილიყო და ამის შანსი მივეცი. ვერ შეძლო, ისევ დაიკარგა. აწი აღარ მივცემ ამ შანსს. უკვე შევეჩვიე უმამობას.

— **ნატო, საკონცერტო მიწვევები გქონია. გასამგზავრებელ ფულს ვინ გიხდის?**

— არავინ და ამიტომაც ვერსად მივდივარ. შარშან პოპულარობის ბევრი შანსი დავკარგე, მხოლოდ ერევანში მოვახერხე წასვლა — პრეზიდენტის სტიპენდია მაქვს დანიშნული. ერთი წელი ვაგროვებდი. რაც შევაგროვე, დოლარებად დავახურდავე და მე და დედა წავედით.

(გაგრძელება იხ. გვ.27)





ქართველ პოეტს, ექსმინისტრ და ექსპარლამენტარ **დავით მაღრაძეს** კემბრიჯის ბიოგრაფიულმა ცენტრმა „წლის საერთაშორისო“ მწერლის ტიტული და ოქროს მედალი მიანიჭა... ინგლისელთაგან აღიარებულ პოეტს შარშან თბილისში ლექსების კრებულ „ნიკალასთვის“ წიგნის მე-6 ფესტივალის გამარჯვებულის ტიტული ერგო. ეტყობა, გაიგეს ეს ინგლისელებმა და ამიტომ დამაჯილდოესო, — ეღიმება პოეტს, რომელმაც ზუსტად ვერ გვითხრა (რადგან თავადაც არ იცოდა), რისთვის გამოარჩიეს უცხოელებმა...

— ***პოლიტიკოსს ისევ მაინც პოეტმა სძლია?***

— არასოდეს მიფიქრია, მოვწყვეტოდი საზოგადოებას და ნარცისივით ცალკე ვყოფილიყავი. ჩვენ ხომ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ერთთავად საბედისწერო ხიდზე რომ უწევს სიარული. მე ქვეყნის ორომტრიალში მიყვარს ყოფნა — ეს ჩემი არჩევანია...

— ***ალბათ ამიტომაც არის, რომ ადგილსამყოფელსაც ხშირად იცვლით... სად უფრო უკეთ გრძნობდით თავს — მინისტრის სავარძელში, პარლამენტში თუ საწერ მაგიდასთან...***

— ეს არჩევანი უცებ არ გამიკეთებია. გულგრილი ვერ ვიქნები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისადმი. ავად თუ კარგად, ვერთვები ხოლმე ამ პროცესში. არ მგონია, ხელოვანის ღირსებაზე მეტყველებდეს ის, რომ საყოველთაო გასაჭირის და უბედურების დროს განცალკევებულად, კომფორტულად მოკალათდეს რომელიმე სენაკში (აქ მონასტერს არ ვგულისხმობ). თავს არ ვადრი ნიკოლოზ ბარათაშვილს, მაგრამ ხომ ცხადია, რომ ამ დიდი ხელოვანის ცხოვრებას თვითხიბლის ნატამალიც არ ახლავს. ის სახელმწიფო სამსახურშიც იყო, საზოგადოებაშიც ტრიალებდა და განჯიდან გამოგზავნილ წერილებში თბილისურ ჭორებსა და სალონის ამბებს კითხულობდა. ნიკო ფიროსმანი გავიხსენოთ, რომელსაც თავისი ღირსება (ალბათ, გენიალურობაც) არ აძლევდა უფლებას, ვინმესთვის მოწყალება ეთხოვა. თავისი დახლი გამართა და ამით ირჩენდა თავს. ან ვაჟა... თავისი მეურნეობა ჰქონდა, ნადირობდა... ისინი მამაკაცები იყვნენ უპირველეს ყოვლისა და, საერთოდ, ხელოვნება არც არის დედალი ხალხის საქმე.

ცხოვრებამ შეიძლება სხვადასხვა ადგილას მოგახვედროს, — იქნება ეს სახელმწიფო, საზოგადოებრივი სამსახური თუ საწერი მაგიდა. ერთი კია, ლიტერატურა საწერ მაგიდასთან იწერება, მაგრამ იქ არ იქმნება... და კიდევ, ჩემნაირი ბუნების ადამიანი კომფორტულად ვერსად იგრძნობს თავს.

— ***ეს სიახლის ძიების თუ მოვლენების ეპიცენტრში ყოფნის წადილია?***

— იმ ნიშან-თვისებებს ვიძენ, რაც უწინ იყო ქართველ საზოგადოებაში. მინდა ჩამოყალიბდეს ქართველი საზოგადოება და რითიც შემიძლია, იმით შევეწევი ამ საქმეს. მე მოვესწარი იმ ადამიანებს, რომელთა კეთილშობილება გამოხედვაში, გამომეტყველებაშიც იგრძნობოდა.

(გაგრძელება იხ. გვ. 23)

# რატომ ველარ ჩადის დავით შენგელია ზუგდიდში?

## „მე დაცვა არ მჭირდება, მე ღმერთი მიცავს...“



გასულ კვირას დავით შენგელია მეთერთმეტედ გადაურჩა სიკვდილს. დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის შემოვლითმა ჯგუფმა მის სადარბაზოსთან რუსი სამშვიდობოების მოსამსახურე სერგეი ნიკოლაევი დააკავა, რომელსაც დავით შენგელიას მკვლელობა ჰქონდა შეკვეთილი. მისივე ჩვენებით აიყვანეს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის მცხოვრები ყოლბაია. გამოძიების ვერსიით, სწორედ მან ჩამოიყვანა ნიკოლაევი თბილისში და აჩვენა შენგელიას საცხოვრებელი სახლი. შენგელიას მოკვლისთვის ნიკოლაევისთვის 1.000 დოლარი, ხოლო ყოლბაიასთვის 5.000 დოლარი უნდა გადაეხადათ.

პოლიციას საეჭვოდ მოეჩვენა სადარბაზოსთან წინ და უკან მოსიარულე პიროვნება. ნიკოლაევს შემოწმების შემდეგ ქურთუკში „Ï ÑÌ “-ის სისტემის მაყუჩიანი იარაღი აღმოაჩნდა. დაკავებისას მან პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია და ხელყუმბარა ააფეთქა, რის შედეგადაც სამი პოლიციელი დაიჭრა. აღმოჩნდა, რომ ნიკოლაევი ფეხში იყო დაჭრილი. ყოლბაიას და ნიკოლაევს სხეულზე დრაკონის გამოსახულება აქვთ ამოტვიფრული. შსს-ს პრესცენტრის უფროსის, პაატა გომელაურის განცხადებით, დრაკონი პროფესიონალი კილერების სიმბოლოდ ითვლება. ამასვე ადასტურებს თავად **დავით შენგელიაც**.

ამ ეგრეთ წოდებული განუხორციელებელი ტერაქტის უკან ერთი საინტერესო დეტალი იკვეთება. დავით შენგელიაზე განუხორციელებელი ტერაქტი ბადრი ზარანდიას დაკრძალვიდან რამდენიმე დღეში ხდება. ბოროტი ენები ამბობენ, ე.წ. ზემოაღნიშნული ტერაქტი გათამაშებული სცენარი იყო. რომ ეს შენგელიას სჭირდებოდა, რადგან ამ ფაქტის შემდეგ იგი ნადარეიშვილის სტრუქტურიდან ოფიციალურად დაცვის გამოყოფას მოითხოვს. მართალია, ერთ-ერთი ვერსიით, შენგელია აფხაზებისკენ იშვერს ხელს, მაგრამ მას უფრო მეტად, მისი „ძმების“, ქართველების ეშინია.

როგორც ამბობენ, დათო შენგელია უკვე დიდი ხანია ზუგდიდში ველარ ჩადის. იგი არც ზარანდიას დაკრძალვას დასწრებია. და ეს მაშინ, როდესაც დაკრძალვას თითქმის მთელი სამეგრელო დაესწრო. ამ ფაქტმა ადგილობრივ მცხოვრებლებს ბადრი ზარანდიასა და დათო შენგელიას ძველი დაპირისპირება გაახსენა. როდესაც ბადრი ზარანდია ციხიდან გამოვიდა, მათ შორის კონტრაბანდულ ბიზნესში გავლენის გადანაწილების მიზნით საქმის გარჩევა დაიწყო. ამ ვერსიის თანახმად, ზარანდიამ შენგელიას ულტიმატუმი წაუყენა: „შენ გალი გააკონტროლე, მე ჩემს ზუგდიდს მივხედავ“. გარიგება მაინც არ შედგა. ამ პერიოდს ემთხვევა რამდენიმეჯერ ზუგდიდში ბაზრის დარბევა, სროლები და საერთოდ ძალის დემონსტრირება. ყოველივე თავის დროზე მასმედიითაც გაშუქდა. ამბობენ, რომ ამ ორმა კონკურენტმა, თავის დროზე, ერთმანეთს ესროლეს კიდეც. ეს იყო ორი წლის წინ. მოგვიანებით სიმშვიდე ისადგურებს და ვრცელდება ხმები, რომ დავით შენგელიამ და ბადრი ზარანდიამ ბიზნესში შეთანხმებას მიაღწიეს. თითქოს შერიგდნენ კიდეც. ამბობენ, რომ ამ შერიგებაში დიდი როლი ჯაბა იოსელიანმა ითამაშა, თუმცა დღეს „მხედრიონის“ ლიდერს ძველი დაპირისპირებები აღარ ახსოვს. დავით შენგელიამ ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ ის მართლაც კარგა ხანია ზუგდიდში ჩასვლას ერიდება.

არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რამაც დათო შენგელიას ახალი მტრები გაუჩინა. ეს არის ჩეჩნური ვალები, რომელიც კახა თარგამაძის მინისტრობის დროს კოდორის ხეობაში გადასროლილ ჩეჩენთა რაზმს უკავშირდება. „კვირის პალიტრა“ ამ საკითხებთან დაკავშირებით დავით შენგელიას ესაუბრა.

**— ბატონო დათო, თქვენ მიმართ განუხორციელებელი ტერაქტის შემკვეთებად სეპარატისტული აფხაზეთის შს მინისტრი ასლანბეი ქჩაჩი, ასტამურ ტანია და არძინბას პირადი დაცვის უფროსი დაასახელეთ. რის საფუძველზე?**

— ადრე აფხაზები რომ დავაკავეთ (ისინიც ამათ მსგავსად იყვნენ ჩამოსულები), სწორედ მათ უნდა მოეხდინათ ჩემი ლიკვიდაცია. ზუგდიდი-თბილისის მატარებელი უნდა აეფეთქებინათ. ყველაფერი მათი ჩვენებების საფუძველზე განვაცხადე.

**— ვის მისცეს ჩვენება, იქნებ უფრო დაწვრილებით მოგვიყვეთ?**

— ჩვენთან ილაპარაკეს.

**— ვინ არის გოგოხია და გოგოხიას ჯგუფი, რომელთაც, როგორც ამბობთ, თქვენი ლიკვიდაცია ჰქონდათ დაგეგმილი.**

— ზუსტად ამაზეა საუბარი. გოგოხიასთან იმყოფებოდა რუსი ეროვნების ყოფილი სამხედრო, რომელიც სამშვიდობოებში მსახურობდა, ისევე როგორც დღევანდელი ნიკოლაევი. ჯერ კიდევ გადასამოწმებელია მისი ზუსტი ვინაობა. გოგოხიას ჯგუფთან ერთად იყო ერთი ჩეჩენიც, რომელსაც (ისევე როგორც დღევანდელ დაკავებულებს) სხეულზე დრაკონის სვირინგი ჰქონდა. სწორედ მათ გვითხრეს, რომ ისინი გოგოხიას ჯგუფის წევრები იყვნენ, თავად გოგოხია აფხაზეთის ორგზის გმირი გახლავთ.

**— თქვენ ზარანდიას დაკრძალვას არ ესწრებოდით. რატომ?**

— მოწოდებული ინფორმაციით, იქ ჩემი ჩასვლა არ შეიძლებოდა. ამჯერად ამაზე მეტს ვერ გეტყვით.

**— ზუგდიდში საუბრობენ, რომ დათო შენგელია ზუგდიდში ვერ ჩამოდისო.**

— გარკვეული მიზეზების გამო იქ არ ჩავდივარ, მაგრამ ის, რომ ზუგდიდში ვერ ჩავდივარ, ტყუილია. თუ საჭიროება მოითხოვს, რა თქმა უნდა, ჩავალ.

**— ამბობენ, რომ თქვენსა და ბადრი ზარანდიას შორის სერიოზული დაპირისპირება არსებობდა.**

— ჩვენ შორის იყო დიდი ხნის მეგობრობა, ეს ყველაზე კარგად მისმა ოჯახმა იცის. ვიღაცას ასეთი ჭორების გავრცელება აწყობს და ის ვიღაც, ძალიან მალე ცხვირ-პირს მოიმტვრევს.

**— ეს ვიღაც ვინ არის?**

— ვინც არის.

**— ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, ალბათ დაცვას აიყვანთ.**

— დაცვა არ მჭირდება, მე ღმერთი მიცავს.

**— სხვათა შორის კახა თარგამაძის შს მინისტრობის დროს თქვენ შესახებ პრესაში გავრცელდა, რომ კოდორის ხეობაში გადაყვანილ ჩეჩნებს უვარგისი იარაღი მიჰყიდეთ, რის გამოც გელაევი დაგიპირისპირდათ, ფული მოგთხოვათ და ლიკვიდაციით დაგემუქრათ.**

— ცრუ ინფორმაციაა. შემიძლია გელაევის უახლოეს მეგობარს (ვინც მის ფინანსებს მართავდა) შეგახვედროთ. ეს ყველაფერი ჩემი მტრების მიერ არის მოგონილი.

# ნახევარი წელი მეკობრეების ტყვეობაში

## „ორი კვირა მატლიანი ფქვილის გარდა არაფერი გვიჭამია“

სომალის ტერიტორიაზე მეკობრეების მიერ დატყვევებული ექვსი ფოთელი მეზღვაურის ბედი კვლავ საფრთხის ქვეშაა, მეკობრეები მძევლების გათავისუფლებას არ ჩქარობენ, არადა, გამოსასყიდი თანხა — 100 ათასი დოლარი, უკვე გადახდილია. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და ომბუდსმენის აპარატი გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდნენ. მათ აღარ იციან დახმარებისთვის ვის მიმართონ. ნანა დევდარიანი ამჯერად ევროსაბჭოს, ევროკავშირს და საქართველოში ამერიკის საელჩოს დაუკავშირდა. გამოსავალი მაინც არსაიდან ჩანს.



გემი „ჯენლილი“, რომელზეც მეზღვაურები იმყოფებიან, საბერძნეთის მოქალაქის კუთვნილებაა. დღეს მიღებულ პრაქტიკად ითვლება, რომ გემის მფლობელები მეზღვაურებს სხვადასხვა ქვეყნიდან ქირაობენ. განსაკუთრებით ხელსაყრელი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მეზღვაურების ხელში ჩაგდებაა. გაღატაკებული მეზღვაურები მცირე ჯამაგირზეც თანახმანი არიან. „ჯენლილზე“ მყოფი ქართველი მეზღვაურების ხელფასიც თვეში 500-დან 1.000 დოლარამდე მერყეობს. ომბუდსმენის მოადგილე, თემურ ლომსაძე აცხადებს, რომ ეს კონტრაქტი, რომელიც მეზღვაურებმა „ნევიგეიშენის“ კომპანიასთან გააფორმეს, აბსოლუტურად კანონიერი, მაგრამ მაინც არასაიმედოა. ხშირია შემთხვევები, როდესაც გემის მფლობელი კონტრაქტს არღვევს, პირობებს არ ასრულებს. სხვათა შორის, ამ შემთხვევაშიც გამონაკლისი არც ბერძნული გემის, „ჯენლილის“ მფლობელი აღმოჩნდა.

ნანა დევდარიანის განცხადებით, ბერძნული გემი სომალის იმ ტერიტორიულ წყლებში შევიდა, სადაც ყველასთვის ცნობილია, რომ მეკობრეები თავისუფლად გრძნობენ თავს. ეს ტერიტორია არ კონტროლდება. როგორ და რატომ აღმოჩნდა გემი სწორედ ამ ადგილას — გაუგებარია. „კვირის პალიტრასთან“ საუბარში გემზე მყოფმა მძევალმა გულადი რუხაძემ განგვიცხადა, რომ ამის მიზეზი მხოლოდ მოულოდნელად ამოვარდნილი შტორმია. მასთან ინტერვიუს ცოტა ქვემოთ შემოგთავაზებთ.

ერთი სიტყვით, სომალელმა მეკობრეებმა თავდაპირველად გემის გათავისუფლების სანაცვლოდ, 600 ათასი დოლარი მოითხოვეს. თანხის რაოდენობით შეშინებულმა გემის მფლობელმა მეკობრეებს შეუთვალა — აღარ მჭირდება ეგ გემიო და თავი ბანკროტად გამოაცხადა. დაახლოებით ოქტომბერში, გემის მფლობელის ბანკროტობა სახელმწიფომ არ ცნო და ისიც იძულებული გახდა, თანხის გადახდაზე ეზრუნა.

მეკობრეები მოლაპარაკების შემდეგ 100 ათას დოლარზე ჩამოვიდნენ.

დაახლოებით ერთი თვის წინ, მძევლებისა და გემის გასათავისუფლებლად ბერძნულმა მხარემ აღნიშნული თანხა გადაიხადა. თემურ ლომსაძის განცხადებით, მეზღვაურებმაც და საშუამავლო იურიდიულმა კომპანიამაც დაადასტურეს ეს, რომ თანხა ანგარიშზე დაჯდა, მაგრამ... მეკობრეებმა თანხა ვერ გაიყვეს და ერთმანეთს დაერივნენ. ერთი ნაწილი, ვინც თანხა აიღო, თანახმა იყო, მეზღვაურები გაეშვა, მეორე ნაწილი კი, თავის წილს ითხოვდა. საინტერესოა ისიც, რომ 15 ათასი დოლარი საშუამავლო ფირმას გადაერიცხა. მძევლების გათავისუფლების ნაცვლად, ქართულ მხარეს ბერძენი ადვოკატი, ვინმე ნიკო ფაქსით ატყობინებს, რომ კომპანიამ გადაიხადა თანხა, მაგრამ ვერ უკავშირდებიან კონკრეტულ შუამავალს, მუჰამედ იბრაჰიმს, რომელმაც მეკობრეებს თანხა გადასცა. სხვათა შორის, იბრაჰიმთან დაკავშირება დღემდე ვერ ხერხდება.

გაჩნდა ვერსია, რომ შუამავალმა იბრაჰიმმა თანხა მოტეხა და მეკობრეებიც ამიტომ არიან გემის გათავისუფლების წინააღმდეგნი.

გასულ კვირას ომბუდსმენის აპარატში **თემურ ლომსაძემ** საბერძნეთის ომბუდსმენისგან პასუხი მიიღო, სადაც აღნიშნულია, რომ გემი „ჯენლილი“ პანამის დროშით დაცურავდა და ამდენად, საბერძნეთის რესპუბლიკას ამ მოვლენებში სამართლებრივი ჩარევის უფლება არა აქვს, ხოლო სომალის რეგიონში, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არარსებობის გამო და კიდევ იმიტომ, რომ ამ ტერიტორიას ვერავინ აკონტროლებს, ქვეყნებს შორის ურთიერთობის მოსაგვარებლად ვერ გამოიძებნა საკონტაქტო პირი.

**— ბატონო თემურ, დახმარებაზე უკვე უარს ამბობენ?**

— ასე გამოდის, რადგან გვეუბნებიან, რომ მეკობრეებთან უძლურნი არიან. XXI საუკუნეში ცოტა სასაცილოდ გამოიყურება, რომ ასეთი რამ კიდევ ხდება. მდგომარეობა ძალზე რთულია და გადამჭრელი ზომების გატარებაა აუცილებელი. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ევროსაბჭოს, ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების იმედად ვიყოთ.

**— რატომ დაცურავდა გემი პანამის დროშით?**

— ძალიან ხშირად ხდება, როდესაც კერძო კომპანიის გემები სხვადასხვა ქვეყნის დროშებით დაცურავენ. არის შემთხვევები, საქართველოს დროშითაც რომ სარგებლობენ სხვადასხვა ქვეყნის გემები.

**— გამოდის, რომ გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდით...**

— შუამავალთან დარეკვა შეუძლებელია. ამიტომ ვცადეთ იმ იურიდიულ სააგენტოს დავკავშირებოდით, საიდანაც ტელეფონის ნომრების გაგება შეიძლებოდა. მაგრამ იქიდან საკმაოდ უხეშად გვიპასუხეს, გვითხრეს, რომ მათ რაც იცოდნენ, ყველაფერი გვითხრეს. იგულისხმეს, რომ იბრაჰიმის ტელეფონის ნომერი მოგვცეს. გვაგრძნობინეს, რომ მეტს ნუღარ შეგვაწუხებთო.

გასულ კვირას რამდენიმე დღის განმავლობაში მძევლებთან კონტაქტი შეწყდა. თუმცა კვირის ბოლოს გემზე დარეკვა მაინც შევძელით და ერთ-ერთ მძევალს, **გულადი რუხაძეს** ვესაუბრეთ.

**— როგორ ხართ?**

— ისევ ძველებურად.

**— საჭმელი გაქვთ?**

— ახლა ცოტა არა გვიშავს, თევზი გვაქვს.

**— ფული ხომ გადაიხადეს, რატომ არ გიშვებენ?**

— ამათ რას გაუგებ, საშინელი ხალხია.

**— შეურაცხყოფას ხომ არ გაყენებენ?**

იძულებული გავხდით ნაპირთან გავჩერებულიყავით. სხვა შემთხვევაში, გემი დაიღუპებოდა. მეორე დღეს, დილით მეკობრეები დაგვესხნენ. 20 კაცი იქნებოდა. იარაღით დაგვადგნენ. მას შემდეგ მათგან მხოლოდ ერთი სიტყვა გვესმის „ფული“. მერე როგორც იქნა, მორიგდნენ, 100 ათასზე შეთანხმდნენ. ფული რომ მოიტანეს, ახლა გვეუბნებიან, ფული არ მიგვიღიაო.

— არა, მაგრამ ყოველდღე გვატყუებენ — ხუთ დღეში გაგიშვებთ, ათ დღეში გაგიშვებთო... აღარ დამთავრდა, ასე გრძელდება და გრძელდება.

**— თუ იცოდით, რომ მაგ ტერიტორიას მეკობრეები აკონტროლებდნენ, გეზი რატომ არ იცვალეთ?**

— ამ ტერიტორიას არც გავეკარებოდით. შემოვლითი გზით მივცურავდით, მაგრამ შტორმის გამო იძულებული გავხდით ნაპირთან გავჩერებულიყავით. სხვა შემთხვევაში, გემი დაიღუპებოდა. მეორე დღეს, დილით მეკობრეები დაგვესხნენ. 20 კაცი იქნებოდა. იარაღით დაგვადგნენ. მას შემდეგ მათგან მხოლოდ ერთი სიტყვა გვესმის „ფული“. მერე როგორც იქნა, მორიგდნენ, 100 ათასზე შეთანხმდნენ. ფული რომ მოიტანეს, ახლა გვეუბნებიან, ფული არ მიგვიღიაო. ათასნაირ ხრიკს მიმართავენ. არ ვიცით ზუსტად, რა აქვთ ჩაფიქრებული.

**— ჩემი ინფორმაციით, მეკობრეები ფულს ვერ იყოფდნენ. თქვენ რა იცით ამის შესახებ?**

— თავიდან თითქოს ერთმანეთში ვერ მორიგდნენ, მაგრამ მე ეს მაინც თამაში მგონია. იმიტომ, რომ ვიცი ფული ჩამოუვიდათ. ახლა წითელი ჯვარი შეგვპირდა დახმარებას და ვნახოთ.

**— თვითონ გემის მფლობელი არ გიკავშირდებათ?**

— კი, მაგრამ ისიც მოატყუეს. ამბობს, რომ ვისაც ფული გამოატანა, სწორედ იმან მოტეხა თანხის ნაწილი და ესენიც იმიტომ არ უშვებენ გემს.

**— მუჰამედ იბრაჰიმზეა საუბარი?**

— კი. მაგრამ ხომ გითხარით, გაურკვეველი სიტუაციაა. ერთი ერთს ამბობს, მეორე — მეორეს, მესამე — მესამეს. შუამავალმა, ჩვენი ინფორმაციით, ფული გადასცა, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ იქცევიან. ჩვენც ვერაფერს ვეუბნებით, იარაღიანი ხალხია, ჩხუბს ხომ ვერ დავუწყებთ. 30 ივლისიდან ასეთ მდგომარეობაში ვართ. ახლა ნაპირზე ვართ გაჩერებულები და ახალ ინფორმაციას ველოდებით, ვნახოთ.

**— ტერიტორიულად რომელ ქალაქთან ხართ?**

— მგონი გასასო ჰქვია, პატარა ქალაქია.

**— ერთი პერიოდი მშივრები ყოფილხართ...**

— ისეთ ადგილზე ვიდექით, რომ არაფერი აღარ გვქონდა. არც თევზის დაჭერა შეგვეძლო. ვიშიმშილეთ ორი კვირა. მატლიანი ფქვილის გარდა არაფერი გვიჭამია. ახლა თევზი გვაქვს. ხუთი თვეა მხოლოდ თევზს ვჭამთ.

**— თვითონ მოაქვთ თუ თქვენ იჭერთ?**

— ჩვენ ვიჭერდით, მაგრამ აქ ახლა თევზი არ არის და თვითონ მოაქვთ მეთევზეებისგან.

**— სანამ დაგაკავებდნენ, სად მიდიოდით, ან გემი რითი უნდა დაგეტვირთათ?**

— ინდოეთისკენ მივდიოდით, მაგრამ რა ტვირთი უნდა აგვეღო, არ ვიცი.

**— რამდენი ხანია, რაც „ჯენლილზე“ მუშაობთ?**

— ერთი წელი ახლა გავიდა.

**— რატომ დაცურავდა თქვენი გემი პანამის დროშით?**

— არ ვიცი, მე ვინ რას მეკითხება... მადლობა გადაეცით ყველას, ვინც გვეხმარება და ჩვენზე ზრუნავს.

*აი, ასეთი გაურკვეველი ვითარებაა 2002 წლის 30 ივლისს დატყვევებული ფოთელი მეზღვაურების ირგვლივ. საინტერესოა, რას ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება. რატომ ხდება, რომ მაშინ, როდესაც ევროპული მხარე საქართველოში გატაცებული მძევლის გამო 40-მილიონიან დახმარებას წყვეტს, ანალოგიურ სიტუაციაში ქართული მხარე რაიმე ზეწოლის განსახორციელებლად აბსოლუტურად უძლურია.*

***გვერდი მოამზადა მარინა მამისაშვილმა***



# როცა ერთ სკამზე ორი კაცი აპირებს დაჯდომას...

ბზარშეპარული მეგობრობის აღდგენა გაცილებით ადვილია, როცა ამას პოლიტიკური მიზნები მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, ჟვანიას და სააკაშვილს ეს არ გასჭირვებიათ. მართალია, მათ შორის მასშტაბურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ერთმანეთის მიმართ პატარ-პატარა კენჭების სროლით შიგადაშიგ თავს იქცევდნენ ხოლმე.

ამ ბოლო ხანს ოპოზიციის გაერთიანების პროცესმა ლამის ქრონიკული ხასიათი მიიღო. ამაში არც ცუდია რამე და არც საოცარი. თანაც, ალიანსების გაფორმების ბოლო ვადა შემოდგომამდეა და საბოლოოდ ვინ ვის უღელს მოირგებს, დღეს ცოტა ძნელი სათქმელია — პოლიტიკური ბლოკის შექმნა შემოქმედებითი პროცესი გახლავთ და იმპროვიზაციასაც ითვალისწინებს.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის ლიდერს, ის შეიძლება სწორედ იმ პოლიტიკოსად აღვიქვათ, ვისაც პარლამენტში მოსახვედრად მოკავშირეების ძებნა ნაკლებად სჭირდება. ნაციონალურ მოძრაობას და მასთან გაიგივებულ ძალებს უსავარძლობა ნამდვილად არ ემუქრებათ. ახალი ალიანსი კი ახალ საფრთხეს და ახალ პრობლემებსაც გულისხმობს — ფაქტია, რომ ასეთი სახის კავშირები საკმაოდ მყიფეა და მათი რღვევა ხშირად ჩასახვისთანავე იწყება, რაც შესაძლოა ამ ალიანსში მონაწილე ძალებისათვის პოზიციების დაკარგვითაც დამთავრდეს. არარეიტინგული ძალისათვის ასეთი ნაბიჯი იოლი გადასადგმელია, თუ დასაკარგი ბევრი არაფერი გაქვს, რისკიც მინიმალურია, მაგრამ თუკი ამ ნაბიჯს მოწინავე პოზიციაზე მყოფი პოლიტიკური პარტია დგამს, ის რისკავს და, სავარაუდოდ, დასახული მიზნის მიღწევა უღირს ამ რისკად.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა მიზანზეა საუბარი? გაერთიანებიდან ყველა თავის სარგებელს ელის ხოლმე, ერთია სისტემის დემონტაჟი და მეორე — თითოეული პარტიის ინტერესისა და ამბიციის დაკმაყოფილება. თუ ასეა, მაშინ რა დაისახეს მიზნად ნაციონალებმა და რატომ ეწვია სააკაშვილს გორში ერთიანობის მუზა?

ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ არჩევნების მოახლოებისას ამ მოძრაობას სულ უფრო მეტად სჭირდება კონსტრუქციული ძალის იმიჯი. რადიკალიზმი მოსახლეობას მაინც აშინებს და ამასთან, ასეთი ძალა თანამშრომლობისათვის ნაკლებად განწყობილად აღიქმება. შესაბამისად, ერთიანობისაკენ მოწოდება ამ ხარვეზს კარგად ავსებს, მიუხედავად იმისა, შედგება თანამშრომლობა პოლიტიკურ ძალებს შორის თუ არა.

მეორე მიზეზი კი შეიძლება უფრო შორსმჭვრეტელური იყოს — სააკაშვილმა განაცხადა, რომ თავად არ აპირებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას და მისი პოზიცია ლოგიკურია — დღევანდელ პოსტზე იგი გაცილებით უკეთ მოახერხებს საკუთარი თავის დემონსტრირებას, ვიდრე რიგითი პარლამენტარის სავარძელში, მაგრამ თუ სკამი რიგითი კანონმდებლის არ იქნა, მაშინ რას იზამს ნაციონალების ლიდერი? მაგალითად, დატოვებს თუ არა საკრებულოს თავმჯდომარის პოსტს, თუკი ეცოდინება, რომ პარლამენტის თავმჯდომარეობის შანსი აქვს? ალბათ კი. ხსენებული პოზიციიდან ნებისმიერი მიზნის მიღწევა გაცილებით ადვილია, თანაც, ეს მისი გენერალური რეპეტიცია იქნება საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ასეთ პოსტს კი გაცილებით მეტი ხმა სჭირდება, ვიდრე ნაციონალები დამოუკიდებლად შეაგროვებენ. ამ შემთხვევაში ალიანსზე ფიქრი სწორედ რომ დროულია. ცხადია, ეს სქემა მარტივი არ გახლავთ, თუ იმ ლიდერთა ამბიციასაც გავითვალისწინებთ, რომლებიც შეიძლება ასეთ ბლოკში აღმოჩნდნენ, მაგრამ ეს ოქროს ჩიტი ბდღვნად ხომ ღირს?

გაერთიანებული დემოკრატები კი პოზიციის გამყარებას ნამდვილად საჭიროებენ. თვითმმართველობის არჩევნებმა ისინი ამ ფაქტში ალბათ დაარწმუნა. იგივე შეიძლება ითქვას ჯუმბერ პატიაშვილზე. ასე რომ, საერთო ბარიერის გადალახვამდე შესაძლებელია მათი დროებითი კავშირი შედგეს კიდეც, თუმცა არც ისაა დასამალი, რომ ზურაბ ჟვანია, სააკაშვილის ამბიციებს საკუთარს შეაგებებს და ამ ორ პიროვნებას შორის სერიოზული დუელი გაიმართება. როცა ერთ სკამზე ორი კაცი ცდილობს დაჯდომას, ჩხუბი გარდაუვალია. ეს აქსიომა არც პოლიტიკურ სიბრტყეში იცვლება. სკამი კი გნებავთ, საპრეზიდენტო იყოს და გნებავთ, პარლამენტის სპიკერისა (თან ექსსპიკერმა უკვე იცის, როგორია ამ სავარძლიდან დანახული საქართველო).

**მაია გაბუნია**

# აშშ რუსეთს სიურპრიზს უმზადებს?

## ყველა გენერალი ვერ იქნება

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელისა და წევრების წინასწარი განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 31 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ქართული მხარე თავის პოზიციებს დააფიქსირებს და მკაცრ კომენტარებს გააკეთებს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, რაც უპირველესად, აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის კატეგორიული მოთხოვნით გამოიხატება. თუმცა გაეროში ქართული მხარის პოზიციებზე ალბათ 27-28 იანვარს კიევში დსთ-ის მეთაურების შეხვედრის დროს შევარდნაძესა და პუტინს შორის გამართული პოლიტიკური ვაჭრობის შედეგები უფრო იქონიებს გავლენას. თუ შევარდნაძე პუტინს შეხვდება, ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობები ალბათ დროებით დათბება. გამორიცხული არ არის, შევარდნაძე რუსებს აფხაზეთში სამშვიდობოების მანდატის გაგრძელებაზე დათანხმდეს. სანაცვლოდ, პუტინი ბუნებრივი აირით ეცდება ქართველების „გაყინული გულების“ გალღობას და კოლეგას აუცილებლად შეახსენებს სოჭი-სოხუმი-თბილისი-ერევნის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის ასე „გაჭიანურებულ“ საკითხს. ამ შემთხვევაში ედუარდ შევარდნაძე, ალბათ, უარს იტყვის სომხეთთან რუსეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენაზე მანამ, ვიდრე აფხაზეთის კონფლიქტი პოლიტიკურად არ მოწესრიგდება და ლტოლვილების დაბრუნების პროცესი არ დაიწყება. შესაძლებელია სხვა ვარიანტიც: აფხაზეთის ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და რკინიგზის აღდგენაზე თანხმობა რუსი სამშვიდობოების გაყვანის სანაცვლოდ განაცხადოს, რითაც რუსეთის კავკასიაში ერთგულ მოკავშირეს, სომხეთს ხელ-ფეხს გაუხსნის. ეს კი დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოსაც, ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების სახით.

კულუარებში ამბობენ, რომ ქართული მხარე ამერიკის ხელისუფლების მითითებით მოქმედებს. თუ ეს ასეა, მაშინ რა აერთიანებს აშშ-ისა და საქართველოს პოზიციას? იქნებ კულუარული ვარაუდები გასულ კვირას თბილისში აშშ-ის საგამოძიებო ფედერალური ბიუროს ოფისის გახსნის ფაქტს ეყრდნობა? რუსეთ-საქართველოს არეულ-დარეული პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე, ჯერჯერობით, ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა ვარაუდით თუ შეიძლება. შესაძლოა გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე ქართველების რადიკალური განცხადებები მართლაც აშშ-ის მთავრობის მიერ ნაკარნახევი იყოს. ამერიკამ არაერთხელ განაცხადა, საქართველო რუსეთის პრევენციული დარტყმებისთვის აკრძალული ზონააო (სხვა საკითხია, როგორ ესმით აკრძალვები რუსებს). და მაინც, დავუშვათ, აფხაზეთიდან „ცისფერჩაფხუტიანების“ გაყვანას მივაღწიეთ, მაშინ აუცილებლად უნდა არსებობდეს მათი ალტერნატივა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსების აფხაზეთიდან გასვლა დამატებით პრობლემას შეგვიქმნის და შესაძლოა ჩვენს ხელთ არსებული ექსკლუზიური ინფორმაციის თანახმად, ყოფილი სამშვიდობოები აფხაზური მილიციის ფორმებით გამოგვეცხადონ. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, პირველი დარტყმა კვლავ გალის მოსახლეობამ იგემოს და, შესაბამისად, ლტოლვილთა რიცხვიც გაიზარდოს. რუსი სამშვიდობოების ალტერნატივად შეიძლება ასევე მოვიაზროთ უკრაინელები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა თანახმა იყო სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობაზე, ეს საკითხი დღემდე არ გადაწყვეტილა. საქართველოს ასევე შეუძლია მოითხოვოს სამშვიდობო მანდატის დსთ-ისთვის ჩამორთმევა და მისი გაეროსთვის გადაცემა. ამ შემთხვევაშიც რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს არ დაუშვას. ასე რომ, შესაძლოა აშშ მართლაც სიურპრიზს უმზადებს რუსეთს. თუმცა ამერიკელები, ჯერჯერობით, თავიანთ გადაწყვეტილებებს საჯაროდ არ ახმოვანებენ და სამშვიდობო მანდატის შესახებ საკუთარი მოსაზრებების (შესაძლოა, მოქმედებების) გამჟღავნებას 31 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭოს მიღებული რეზოლუციის შემდეგ აპირებენ. ვნახოთ, რა მოხდება. თუ აშშ აქტიურად ჩაერთვება ქართული საგარეო პოლიტიკის მოგვარებაში, ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდება, შეასრულოს აშშ-ის ხელისუფლებისთვის აქამდე მიცემული დაპირებები კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, რასაც ცხადია, შინა და საგარეო პოლიტიკის გააქტიურება მოჰყვება. ამერიკელები გვასწავლიან იმას, რასაც გასულ საუკუნეში კონსტანტინე გამსახურდია ქადაგებდა — პოლიტიკური ძალები უნდა შეთანხმდნენ იმაზე, რომ ყველა გენერალი ვერ იქნება. ზოგს ოფიცრობა მოუწევს, ზოგს კი — ჯარისკაცობა. და თუ ყველას მაინც გენერლობა მოუნდა, მუდმივი დაპირისპირება გარდაუვალი იქნება და შინაკონფლიქტების მოსაგვარებლად რუსი სამშვიდობოებიც აღარ გვეყოფა.

**ეკა ლომიძე**

# SOS!..

# ბოლოს და ბოლოს მიხედეთ, ხალხო, სირცხვილია!

ხელჩანთიდან ფოტოაპარატი ამოვიღე, ფოკუსი გავასწორე და ხაჭაპურის გამყიდველი ქალი დავაფიქსირე. ერთ სურათს მეორე მიჰყვა, ეშხში შესულს მოულოდნელად ქალის წყევლა-კრულვა მომესმა. მოვიხედე, ხანში შესული ხელით მოვაჭრე ღვეზელების გამყიდველისათვის ერთ პატარა მაწანწალას ღვეზელები ხონჩიდან მოეტაცებინა. ამდენ ვიშვიშსა და ვაი-ვაგლახში საწყალს კიდევ ვიღაც დაეტაკა, შეიძლება საგანგებოდაც და ღვეზელები მიწაზე დააყრევინა. ქალმა ჩაიმუხლა და მათი აკრეფა დაიწყო, კვლავ გაყიდვის მიზნით. ამ ფაქტის გადაულებლობას საკუთარ თავს არ ვაპატიებდი და ფოტოაპარატი მოვიმარჯვე. მოულოდნელად,



ვილაცამ მხარზე ძლიერად დამქაჩა, შემომაბრუნა და მიყვირა: „ვინ გდიხარ, რომ სურათებს იღებ. ვინ მოგცა ამის უფლება?!“ სანამ ჯიბიდან ჟურნალისტის მოწმობას ამოვიღებდი, კაცმა უწმაწური სიტყვების კორიანტელი დააყენა, ფოტოაპარატი ხელიდან გამომგლიჯა და სანამ გონს მოვიდოდი, ფირი დამიშუქა. მივხვდი, რომ პროვოკაციას მიწყობდა. ბაზრის ტერიტორიაზე სეირის მოყვარულებს რა გამოლევს და ჩვენ ირგვლივ წრე შეიკრა. ამაოდ ვუმტკიცებდი ყველას, რომ ჟურნალისტი ვიყავი და რედაქციამ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიიდან რეპორტაჟის მომზადება დამავალა. ყველაფერი ამაო გამოდგა. ჩემმა დამარბეველმა, რომელიც პოლიციელად გამეცნო, ცოცხალი თავით არ მაჩვენა პირადობის მოწმობა, თუმცა იქვე მოყურყუტე (სეირის მაყურებელი) ხალხისგან გავიგე, რომ მას გოდერძი ერქვა. ეს ამბავი ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს მოხდა. რაღა დაგიმალოთ და მაშინ ნერვებმოშლილმა ხელი ჩავიქნიე დავალების შესრულებაზე, თუმცა მოგვიანებით ისევ გამიჩნდა ამის სურვილი.




ძველით ახალი წლის დღეებში, რუმინეთიდან მეგობარი ჟურნალისტი მეწვია (ჩვენი ოჯახებით მეგობრობა 12 წლის წინ დაიწყო, ამაზე შემდეგში გიამბობთ). მას ძალიან უყვარს ჩვენი ქვეყანა და განსაკუთრებით, თბილისი. ანდრე რუმინეთის ერთ-ერთი გაზეთის წამყვანი რეპორტიორია. ჩემმა სტუმარმა დაიჟინა, მეც წამოვალ და სანოვაგის მოტანაში მოგეხმარებიო და აი, ერთ დღეს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ამოვყავით თავი (ჩემი ჭკუით, პროდუქტების შესაძენად). ნეტავ, არ მივსულიყავით! გაკვირვებული და შეძრწუნებული სტუმარი თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა ჭუჭყიან ვაჭრებს, რომლებსაც პროდუქტი ყუთებზე დაეწყოთ და შუა ქუჩაში გამვლელებს კატლეტს, შემწვარ თევზს, ქათამს და თქვენ წარმოიდგინეთ, მწყერსაც კი სთავაზობდნენ. სოსისზე, სარდელსა და სხვა მისთანაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ჩვენი მოქალაქეები დიდი სიამოვნებით ყიდულობდნენ მზა პროდუქტს და იქვე გასაყიდად გამოტანილი, რა თქმა უნდა, ფალსიფიცირებული არყისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების შეძენის შემდეგ, შუა ქუჩაში ღრეობდნენ. მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული საზკვების ობიექტები კი ცარიელი იყო გარემოვაჭრეებისგან წართმეული კლიენტების მოლოდინში.

ზოგიერთ კლიენტს გამყიდველთან მისასვლელად წარმოუდგენლად დიდი ნაგვის გროვების გადალახვა უხდებოდა. იქვე „დისლოცირებული“ რკინიგზის სანიტარული სამსახურის თანამშრომლები კი (ეს ტერიტორია მათ სამოქმედო არეალში შედის) ვითომ არაფერიო, ყურადღებას არ აქცევდნენ მიმდინარე პროცესებს (ეტყობა, გოდერძიც ამით არჩენდა ოჯახს და ამიტომაც არ ეპიტნავა ჩემი ფოტორეპორტაჟი). ნირწამხდარი სტუმარს მივუბრუნდი. სახეზე ეწერა, რომ ნანახით გაოგნებული იყო და მკითხა: გამაგებინე, ეს რა, სანაგვეა თუ დედაქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური უბანი, ან თუნდაც ცენტრალური ბაზარიო? რუმინელ ჟურნალისტთან როგორმე თავი უნდა მემართლებინა და ჩვენი ქალაქის ავტორიტეტი დამეცვა: „ანდრე, ორშაბათობით თბილისთან ახლოს მდებარე სოფლებიდან გლეხებს უამრავი სანოვაგე ჩამოაქვთ. დღეს მენაგვეების პროფკავშირებმა ხელფასის მომატების მიზნით ქალაქის მერიას საპროტესტო აქცია მოუწყვეს და სამუშაოდ არ გამოვიდნენ.“ სტუმარმა ვითომ დაიჯერა, მაგრამ ბოლოს თავი ვერ შეიკავა და ისევ მკითხა: „კი, ბატონო, მენაგვეები გაიფიცნენ, მაგრამ ამ ხაჭაპურის, ფუნთუშების, ღვეზლების გამყიდველებზეც ხომ ვერ მეტყვი, გაფიცულები არიანო, ერთი საპონი მაინც ვერ იყიდეს, რომ ხელ-პირი დაიბანონ ან სუფთა თეთრი ხალათები ჩაიცვან. ასეთ პროდუქტებს როგორ ჭამთ, ნუთუ თქვენი მომნელებელი სისტემა რკინისაა?!“ რა უნდა მეთქვა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ბაზრის შესასვლელს, მით მეტად მატულობდა ანტისანიტარია და აუტანელი სუნი. შეგნებულად სხვა ქუჩისკენ გადავუხვიე. ვიფიქრე, იქნებ აქ მაინც შედარებით სისუფთავე იყოს-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად. იქ უფრო უარესი მდგომარეობა დამხვდა.

ერთი სიტყვით, სირცხვილისგან ბროწეულივით გავწითლდი. თურმე უფრო დიდი სირცხვილი წინ მელოდა. რუმინელი ჟურნალისტი ერთ ხაჭაპურის გამყიდველ ქალს აეკიდა. გამიკვირდა, ქალს ხონჩაზე თითქმის აღარ ჰქონდა ხაჭაპურები და ნეტავ, ანდრე რატომ დაინტერესდა ამ ქალით-მეთქი. მერე მივხვდი, რუმინელ ჟურნალისტს პროფესიული ინტერესი გაეღვიძა — ეძებდა იმ საწარმოს, სადაც ხელზე მოვაჭრეები გამოცხობილ პურეულს იღებდნენ. ხაჭაპურის გამყიდველმა ქალმა ბორჯომის სადგურის ქვეშ მოთავსებულ საამქროსთან მიგვიყვანა და სანამ შევიდოდა, ჩვენც მოვასწარით შიგნით შეგვეხედა. ნეტავ, არ დაგვენახა, იქ რაც ხდებოდა და როგორ „სუფთად“ ჩაცმული (და რა პირობებში) ხალხი ზელდა ხაჭაპურებისთვის ცომს. რაღა უნდა მეთქვა, სტუმარს ხელი ვტაცე და სახლისაკენ წავაჩაქჩაქე.

როგორც იქნა, წერეთლის პროსპექტზე გამოვაღწიეთ. უფრო სწორად, ჩემს სტუმარს ძალით შევაწყვეტინე ჟურნალისტური საქმიანობა. ბოლოს, ანდრე შემეხვეწა, როგორმე თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში მიმიყვანეო. მივხვდი, დარწმუნებული იყო, ინფექციურ საავადმყოფოში მოწამლულთა ტევა აღარ იქნებოდა. ბოლოს, შინ მივედით და სუფრასთან ვცდილობდი, რუმინელი სტუმრისთვის მიღებული შთაბეჭდილებები გამექარწყლებინა, თუმცა, უნდა ვაღიარო, ვერ შევძელი. ყოველი კერძის აღებაზე მეკითხებოდა: სად იყო შეძენილი პროდუქტი და როცა მეუღლემ ფენოვანი ხაჭაპური შემოიტანა, ანდრემაც იკივლა და მეც.

ასეთი რამ სხვასაც რომ არ დაემართოს და უცხოელ სტუმართან თავი არ შეირცხვინოს, მოვუწოდებ, ვისაც ეს ხელეწიფება — სირცხვილია, ხალხო, ბოლოს და ბოლოს, ადამიანები ვართ, ცხოველები ხომ არა! მიხედეთ! მართალია, ვიღაც იტყვის, ამდენი ხანია მაგ ბაზარში დადიხარ და რაღა ახლა გაგიკვირდაო, მაგრამ, მერწმუნეთ, მეტის მოთმენა მართლა აღარ შეიძლება. ნებისმიერ თბილისელს არაერთხელ უნახავს ის აუტანელი ანტისანიტარია, რომელიც თბილისის ბაზრობებისა და ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებზე სუფევს. თუმცა უკეთესი მდგომარეობა არც სხვაგან არის. მთელი თბილისი ერთი დიდი ბაზარია. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, სხვა რომ არაფერი, გაზაფხული მოდის და მერე?!..

**ზვიად ჩაკვეტაძე**



# „მომეცით საშუალება, ზატულინს საკადრისად ვუპასუხო...“

## წინა ხაზზე ასამდე მოკლული რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი ვნახე...

სანამ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გასაღებს ხან გაეროში, ხანაც სტრასბურგში ეძებს და ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა, რომ მთავარი დამნაშავე თვითონ არის, რუსები ჩვენი ქვეყნის ამ უმშვენიერეს კუთხეში აშკარა ანექსიის გზას დაადგნენ. რუსები ძალუმად გვიტევენ, ჩვენ კი თავდაცვისა და მცირედი გაბრძოლების უნარიც დაგვიკარგავს. „დადედლებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდენ მამლადა“, — სწორედ ისეთ „ვაჟკაცებზე“ ამბობდა გურამიშვილი, სამშობლოს დასაცავად ხელის გამოღება რომ არ შეეძლოთ. რა მოგვივიდა, ქალების ვაჟკაცობის იმედადღა დავრჩით ქართველები? მოსკოვში პარლამენტის თავმჯდომარის მტკიცე ნათქვამმა, — სუსტები ვართ, მაგრამ არა იოლად დასაძლევები, აფხაზეთს რუსებს არ დავანებებთო, — ოდნავ მაინც მოგვფხანა გული, მაგრამ ერთ-ერთი ტელეარხით კონსტანტინ ზატულინის თითის ქნევამ და მის ბრალდებებზე გაუცემელმა პასუხმა ისევ დაგვაღონა, საკუთარი უსუსურობის განცდა გაგვიმძაფრა (გვაპატიეთ, მაგრამ ბრალდებებზე გაუცემელ პასუხს ზრდილობის ნორმის დაცვად ვერ ჩავთვლით).

ვესაუბრებით აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების თავმჯდომარეს, **თამაზ ნადარეიშვილს:**

— გაოცებული დავრჩი, როცა ის მარაზმი ვნახე. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელ არხს ეკუთვნოდა ის პირდაპირი ეთერი, ქართველები ხომ არიან... ამიტომ საქართველოს ინტერესების დაცვა თუ უნდოდათ, უფრო უკეთ უნდა მომზადებულიყვნენ. უამრავ ადამიანს შეეძლო ეპასუხა იმ დღეს ზატულინისთვის და, პირიქით, უკუბრალდებებიც წაეყენებინა. ბევრმა დამირეკა, ქუჩაში მსაყვედურობენ, — ზატულინის ოპონენტად რატომ არ წახვედითო. ჩემთვის ეს არავის უკითხავს და არც ვიცოდი, თუ ასეთი დიალოგი მზადდებოდა. გვინდა კიდევ ერთხელ გაიმართოს იმავე ტელეარხით რუსულ მხარესთან საუბარი, რათა უკმარისობის გრძნობა მოგვეხსნას. მინდა მომეცეს საშუალება ზატულინის მსგავს აღვირახსნილებს საკადრისი პასუხი გავცე. იმ დღეს უამრავი კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი, არადა გვაქვს პასუხები და თანაც არგუმენტირებული.

— **როგორც იტყვიან, ჩხუბის მერე მუშტებს აღარ უღერებენო, მაგრამ რა არის ის მთავარი, რითაც შეგვიძლია რუსებს ვეკამათოთ?**

— დსთ-ის 1996 წლის 19 იანვრის ხელშეკრულების მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ ნებისმიერ სამთავრობო, არასამთავრობო და კომერციულ სტრუქტურას ეკრძალება აფხაზებთან რაიმე ხელშეკრულების დადება ან ურთიერთობის დამყარება სოციალურ-ეკონომიკურ, ტრანსპორტისა და ვაჭრობის სფეროში. როდესაც ზატულინს ვეტყოდით, რუსებმა დსთ-ის ხელშეკრულების ეს პუნქტი დაარღვიესო, რას გვიპასუხებდა?

საგანგაშო არ არის ის ფაქტი, რომ ერთი ქვეყნის მატარებელი მეორე სახელმწიფოს საზღვარს კვეთს?! კურილის კუნძულებზე, კენიგსბერგში იაპონიის ან გერმანიის მატარებელი რომ შეგრიალდეს, რა ამბავს დააწევდნენ რუსები? ხომ მთელი მსოფლიოს გასაგონად ატეხდნენ ისტერიკას, ჩვენი საზღვარი დაირღვაო. კენიგსბერგში ვინმემ გერმანიის და იაპონიის პასპორტების გაცემა რომ დაიწყოს, გაუხარდებათ რუსებს? ჩვენ უამრავი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსების გასაჩუმებლად და იმის წარმოსაჩენად, რომ რუსეთი კადრულობს იმას, რაც არც ერთ ქვეყანას არ უკადრებია მსოფლიოში. როდესაც რუსი სახელმწიფო ჩინოსნები ამბობენ, ეს რეისი კომერციული იყო და ჩვენ არაფერი ვიცოდითო, ვის ატყუებენ?.. კომერციული რკინიგზა არ არსებობს. რუსეთის რკინიგზა სახელმწიფოს ექვემდებარება. დავუშვათ, რეისი კომერციული იყო, მებაჟე და მესაზღვრე, რომელთაც ეს მატარებელი გაატარეს, რას აკეთებდნენ, ისინიც „კომერციულები“ იყვნენ?..

— **ალბათ იცით, ვინ ისხდნენ იმ მატარებელში, რომელიც სოხუმში ჩავიდა...**

— იმ მატარებელში კომერსანტები კი არა, რუსი მაღალჩინოსნები ისხდნენ — პრეზიდენტის რწმუნებული, კრასნოდარის მხარის გუბერნატორი და სოჭის მერი. რას მიპასუხებდა ამაზე ზატულინი? რუს ამხანაგებს შევახსენებდი თავიანთ წვლილს კონფედერანტთა ყრილობის ჩატარებაშიც, როცა სოხუმი კონფედერაციის დედაქალაქად გამოცხადდა. მათ შევახსენებდი, რომ ბასაევი და ყველა ტერორისტი, რომელთაც დღეს თვითონვე ებრძვიან, მათი გაზრდილები და გამოწვრთნილები არიან. რუსებს ვეტყოდი იმასაც, რომ მათ დაიპყრეს საქართველო და არა — აფხაზებმა. შემიძლია ჩამოვთვალო იმ რუსი გენერლების გვარები (სიგუდკინი, ჩინდაროვი, საროკინი), რომლებმაც შტურმი განახორციელეს სოხუმზე. როდესაც მათ დავუკავშირდი და ვუთხარი — თქვენ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიას ბომბავთ-მეთქი, მიპასუხეს, — ქართველებს თქვენსავე სისხლში ჩაგახრჩობთო. ჩვენ რუსების წინააღმდეგ უამრავი დოკუმენტი გვაქვს. როდესაც „Ñó-27“ ჩამოვაგდეთ, აღმოჩნდა, რომ მას რუსი მფრინავი, შიპკო მართავდა. ჩვენ ვიპოვეთ გეგმა, რომელიც შიპკოს უნდა განეხორციელებინა. მას განზრახული ჰქონდა სოხუმის ბაზრის დაბომბვა, რათა მეტი მსხვერპლი ყოფილიყო. შესაძლოა ბ-ნ რამაზ საყვარელიძეს, რომელიც იმ დღეს ზატულინის მოპასუხე იყო (ინტერვიუ რამაზ საყვარელიძესთან იხ. გვ. 3 — რედ.), ეს დეტალები არ სცოდნოდა და მას ამის ცოდნას ვერც მოვთხოვთ. აქ ლაპარაკია გადაცემის კვალიფიციურად მომზადებაზე და არა იმაზე, რა იცოდა და რა არ იცოდა ზატულინის ოპონენტმა. მერამდენედ უნდა მოგვიგონ რუსებმა ინფორმაციულად? ეს ხომ კიდევ უფრო თრგუნავს ჩვენს მოსახლეობას და განსაკუთრებით, ლტოლვილებს, რომლებმაც ამიკლეს იმ საღამოს — ეს რა არის, რას გვასმენინებენო... ჩვენი ეროვნული სირცხვილია, რომ თავის დაცვას ვერ ვახერხებთ. მე კი შუაღამისას რომ გამაღვიძონ და მკითხონ, ყოველ დღეს გავიხსენებ, რადგან ვიცი, ვინ რას აკეთებდა იქ... რუსებმა აფხაზებს იარაღი, თვითმფრინავები და გემები გადასცეს. როდესაც 14-15 მარტის შეტევა მოვიგერიეთ, წინა ხაზზე გავედი და 100-მდე მოკლული რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი ვნახე (ჯიბიდან ამოვუღეთ დოკუმენტები).



კონსტანტინ ზატულინი

რუსებმა კარგად უნდა იცოდნენ, სანამ საქართველო არ გამთლიანდება, რუსეთს ყოველთვის ექნება პრობლემა. თუ ჩვენ აფხაზეთს დავკარგავთ, რუსეთი თათრეთს, ბაშკირეთს და სხვა ტერიტორიებს დაკარგავს. რუსებს ბუმერანგივით უბრუნდებათ თავიანთი სიავე: ჩვენ აფხაზეთში შეგვიქმნეს პრობლემა, თვითონ ჩეჩნეთში აერიათ საქმე. საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების შემდეგ, რუსებს კენიგსბერგში შეექმნათ სირთულეები. როცა გაზი და დენი გამოგვირთეს, რუსეთში ათეულობით სოფელში სიცივისგან გაიყინა ხალხი. ასეა, არავის არაფერი შერჩება...

თბილისში გამოცემულ წიგნში ეწერა — ქართველო ოკუპანტებო, ქართველო ფაშისტებოო... როგორ დაუშვა ეს ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ? გრანტის ჯიბეში ჩასადებად ყველაფერი ხომ არ უნდა იკადრო?! არ ვიცი, როგორ სძინავს მშვიდად იმ წიგნის გამომცემელს.

— **ერთადერთი, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ რუსების აგრესიის საპასუხოდ მოიფიქრა, მათი სამხედრო ბაზებისთვის კომუნიკაციის საშუალებების შეწყვეტაა. მოიტანს ეს რაიმე შედეგს?**

— ბალტიისპირეთმა, რუსეთის ბაზების გასაყვანად, სწორედ ეს ხერხი გამოიყენა. მათ რუსეთის ბაზებს არაკომფორტული გარემო შეუქმნეს, გადაუკეტეს ყველა მაგისტრალი, რუს სამხედროებს ქალაქში გამოჩენა აუკრძალეს, პროდუქტის და ტყვია-წამლის გადატანისთვის დიდი საბაჟო გადასახადი დაუწესეს... ჩვენთან კი რუსული სამხედრო ბაზები ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში. სავსებით სწორია ტრანსპორტის სამინისტროს პოზიცია — რუსების სამხედრო ბაზებს საჰაერო სივრცე უნდა ჩავუკეტოთ. ერთი და ორი მაგალითი ხომ არ გვაქვს, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიებს ბომბავენ აფხაზეთში, სამაჩაბლოში, პანკისში, თუშეთში. რა გარანტია გვაქვს, რომ ისინი ქალაქებში არ ჩამოყრიან ჭურვებს? რადგან ასეთ აგრესიულ ქვეყანასთან გვიწევს ურთიერთობა, საგანგებო რეჟიმით უნდა ვიცხოვროთ, რათა ჩვენი მოსახლეობა უკეთ იყოს დაცული.

— **აფხაზეთის რკინიგზა დღესაც მუშაობს?**

— დიახ, მაგრამ აფხაზებს ძალიან უჭირთ... ამ რკინიგზას ხალხი იცავს. მატარებელს, რომელიც 20 კმ სიჩქარით მოძრაობს, წინ, აქეთ-იქით და უკან აფხაზი სამხედროები მიჰყვებიან, რათა ვინმემ არ ააფეთქოს. მიუხედავად ამისა, დღეს თუ არა ხვალ, მაინც ააფეთქებენ იმ მატარებელს.

— **კულუარებში ითქვა, რომ აფხაზეთის რკინიგზის გახსნაში ქართველების ხელიც ერია...**

— იყო ლაპარაკი, აფხაზებთან კომერციული და ბიზნესურთიერთობა აღვადგინოთო. ერთხანს სოხუმში „კოკა-კოლას“ საწარმოს გახსნასაც აპირებდნენ, მაგრამ ეს არასწორად მიმაჩნია. ყოველთვის შევეწინააღმდეგები აფხაზებთან რაიმე სახის ბიზნესურთიერთობას. თუ რომელიმე ქართველი მონაწილეობდა აფხაზეთის რკინიგზის გახსნაში, ის მოღალატეა. იმან, ვინც ამ რკინიგზის გახსნას დაეთანხმა, სახელმწიფო დანაშაული ჩაიდინა.

— **მაგრამ არაერთხელ მსმენია, აფხაზებთან კომერციული საქმიანობა შესაძლოა შერიგების საფუძველი გახდესო. ისიც ითქვა, აფხაზებისთვის ქართული პასპორტები რომ მიგვეცა, აღარ გარუსდებოდნენო.**

— გამორიცხულია ამ გზით მოგვარდეს პრობლემა, სამაჩაბლოს მაგალითი ამის დასტურია. სამხრეთ ოსეთთან ხომ არ გვაქვს ეკონომიკური ბლოკადა, სავაჭრო ურთიერთობები მათთან არც შეწყვეტილა. პასპორტებიც მივეცით, მაგრამ შემოვაბრუნეთ ოსები ჩვენკენ? როცა მშიერ აფხაზებს ვერ ვიბრუნებთ, მაძღარს დავიბრუნებთ?! მათ ქართული პასპორტის ხსენებაც არ უნდათ. ამბობენ, — თავს მოვიკლავთ და საქართველოს მოქალაქის პასპორტს ჯიბეში არ ჩავიდებთო.

დღემდე რატომღაც ილუზიით ვიტყუებთ თავს — ქართულ-აფხაზური ურთიერთობა დათბებაო. აფხაზურ სკოლებში ბავშვებს ასწავლიან, — თავისუფალი ხალხი ვიყავით და ქართველებმა დაგვიპყრესო.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

პაატა ბელთაძე
საქ. კორ. ლონდონიდან

# პანკისის ხეობა — ახალი სავიზიტო ბარათი ევროპაში

## რა იქნება ხვალ?

ევროპის სახელმწიფოები გააფთრებით იბრძვიან მომძლავრებული ტერორიზმის წინააღმდეგ. საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და, განსაკუთრებით, დიდ ბრიტანეთში უშიშროების სამსახურები გამადიდებელი შუშით აკვირდებიან ყველას და ყველაფერს. ასეთი პანიკური მდგომარეობის დროს, პანკისის ხეობა ყურადღების ცენტრში მოექცა. არც მეტი, არც ნაკლები, ინგლისური პრესა საქართველოს ამ მართლაცდა აქილევსის ქუსლს „ალ-ქაიდას“ ევროპული ქსელის შტაბბინად მიიჩნევს. გთავაზობთ რამდენიმე დღის წინ „Sunday Times“-ში გამოქვეყნებული წერილიდან ამონარიდს:

„ყველაზე საშიში ტერორისტი, რომელიც ევროპას ემუქრება, „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი აბუ მუსაბ ალ ზარქავი, ეჭვმიტანილია ამერიკის წინააღმდეგ 11 სექტემბერს განხორციელებულ ტერაქტებში. საკმაოდ გამჭრიახი, მომწამვლელი ნივთიერებების დამზადება-გამოყენების სპეციალისტი, ავღანეთში თავის დროზე საექსპერიმენტოდ შინაურ ცხოველებს იყენებდა. მასვე მიეწერება იორდანიაში ერთი წლის წინ ამერიკელი დიპლომატის მკვლელობაც. სპეცსამსახურები ვარაუდობენ, რომ მას მჭიდრო კავშირი აქვს ერაყის დიქტატორ სადამ ჰუსეინთანაც, რომელიც ციანიდით ამარაგებდა. ზარქავიმ ციანიდი თურქეთში გადაიტანა, ხოლო იქიდან პანკისის ხეობაში აღმოჩნდა. ეს ადგილი საქართველოს ტერიტორიას ეკუთვნის და რუსეთის საზღვარზე მდებარეობს. სწორედ იქიდან იმართება გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში ტერორისტული დაჯგუფებები“.

უპირველესი ინფორმაცია სწორედ საფრანგეთის სადაზვერვო სამსახურმა მიაწოდა დიდ ბრიტანეთს. მაშინ ამოტივტივდა პანკისის ხეობა და გაჩნდა საშიშროება, რომ ბრიტანეთში დიდი ტერორისტული კამპანია იწყებოდა. იგივე წყარო იუწყებოდა, რომ „ალ-ქაიდას“ კიდევ ორი მომწამვლელი ნივთიერება ჰქონდა არსენალში: რაისინი და პოტასიუმის ციანიდი. ისინი პანკისიდან ევროპაში საპონსა და კბილის პასტებში დამალული შეჰქონდათ.

„ინგლისის უშიშროება ტერორისტულ დაჯგუფებებს, ჩრდილოეთ ერაყსა და პანკისის ხეობას ერთმანეთს უკავშირებს. საფრანგეთის სპეცსამსახურები პირდაპირ მიუთითებენ, რომ ერთიანი ტერორისტული ქსელი დირექტივებს პანკისის ხეობიდან იღებს. გერმანიის სპეცსამსახური კი ამტკიცებს, რომ ზარქავი ნამდვილად იყო პანკისის ხეობაში“. „ალ-ქაიდას“ ევროპული განშტოების წინამძღოლის ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია, მაგრამ პუბლიკაციის ქვეტექსტებით იოლი მისახვედრია — ალბათ არცთუ უსაფუძვლოდ ეჭვობენ, რომ ზარქავი ამჟამადაც პანკისშია, თუმცა გადაჭრით ამას არავინ ამბობს. საინტერესოა, საქართველოს უშიშროების მინისტრს ჰქონდა თუ არა ასეთი საშიში დამნაშავის შესახებ ინფორმაცია და რა ვითარებაა ამ მხრივ დღეს? ალბათ ეს სახელმწიფო საიდუმლოების რანგშია აყვანილი, მაგრამ ერაყის წინააღმდეგ ანგლოამერიკული ომი საცაა იფეთქებს, სადამის მთავარი მეკავშირე თუ, ღმერთმა ნუ ქნას და, მართლაც ჩვენს ტერიტორიაზეა, დიდი უსიამოვნება გველის. მიუხედავად ინგლისურ პრესაში ასეთი მძაფრი გამონათქვამებისა, დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩი ბატონი თემურ მამაცაშვილი საკმაოდ გულარხეინი დამიხვდა და მითხრა: „საინტერესოა, როგორ შეიტანეს ციანიდი ევროპაში პანკისიდან, ამ მომწამვლელი ნივთიერების წარმოება ხომ ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება კუსტარული წესით. ჩემი აზრით, ეს წერილი სინამდვილეს არ შეესაბამება და იგი საქართველოს დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. პიტერ შოუს მოტაცებაც იმავე ყალიბშია მოქცეული. ერთი სიტყვით, კარგად ვიცი, სად დაწერეს ეს წერილი, მაგრამ ამის თქმა ნამდვილად არ შემიძლია. ცდილობენ, შეგვიქმნან ისეთი რეპუტაცია, თითქოს ჩვენ სიტუაციას ვერ ვაკონტროლებთ, ეს კი ხელს აძლევს ჩვენს მტრებს, რომლებსაც არ სურთ საქართველოს ძლიერება, ტურიზმის აყვავება, ნავთობსადენის გაყვანა“. ქართველი დიპლომატის ამგვარი სიმშვიდე ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ მის უწყებას ბრიტანეთის მთავრობისგან რაიმე ოფიციალური წერილი არ მიუღია. ელჩის განმარტებით, თავისუფალი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა ინგლისის სახელმწიფო სტრუქტურების აზრს ნამდვილად არ გამოხატავს. ასეთ საგანგებო ვითარებაში, როცა ცხვირწინ საქართველოზე საკმაოდ არასახარბიელო პუბლიკაცია იბეჭდება, დიპლომატიური წარმომადგენელი შეშფოთებული უნდა იყოს, მაგრამ: „კაცო, რამდენჯერმე ვთხოვე ჩვენს საგარეო საქმეთა და უშიშროების სამინისტროებს, გამომიგზავნონ ამომწურავი მასალა, რაც საშუალებას მომცემდა უახლოეს ორ კვირაში გამექარწყლებინა ყოველივე, რაც დაიბეჭდა, მაგრამ დღეს, ხვალ და ამასობაში დრო გადის. არადა, აუცილებელია რეაგირება, მით უმეტეს, ასეთი საერთაშორისო დაძაბულობის დროს. კი, მომდის მასალები, მაგრამ ძალზე ზოგადი. არადა, დამოუკიდებლად ასეთი სახელმწიფოებრივი დონის საკითხის გადაჭრას ნამდვილად ვერ შევძლებ. პრესკონფერენციის გამართვაც მინდოდა, მაგრამ მითხრეს, რუსეთის საკითხი ამოტივტივდებაო და გადამაფიქრებინეს“. ბატონი მამაცაშვილი ინფორმაციის მოლოდინშია დამაშვრალი და მარტოსულის შთაბეჭდილებას კი ტოვებს, მაგრამ ის როგორ ავხსნათ, როცა უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ რამდენიმე კვირის წინ პანკისში არაბი ტერორისტების ყოფნა დაადასტურა. ყოველივე ეს მისხალ-მისხალ გვილახავს საერთაშორისო რეპუტაციას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მსოფლიო პოლიტიკური სიტუაცია ძალზე დაძაბული და არასტაბილურია.

საინტერესოა, მაინც რა არის საგარეო და უშიშროების უწყებათა დუმილის მიზეზი — პანკისური სიმართლე თუ გულგრილობა. ყოველ შემთხვევაში, მტკიცება იმისა, რომ ეს სახელმწიფოებრივი საიდუმლოა, დამღუპველია, რადგან ოლიმპიურ სიმშვიდეს ქვეყნის ინტერესები ეწირება. ჩვევადქცეულმა წაყრუება-მიჩუმათებამ მიგვიყვანა ასეთ საგანგაშო, სამარცხვინო მდგომარეობამდე. საინფორმაციო ომი გრძელდება, თითქმის ყოველთვის ჩვენ ვმარცხდებით, პანკისის ხეობა ახალი ქართული სავიზიტო ბარათი ხდება ევროპაში. რა გასაკვირია, ყოველივე ამის შემდეგ მსოფლიო საზოგადოებრიობამ პანკისის ცაზე რუსული ბომბდამშენების გუგუნი ლოგიკურად რომ ჩათვალოს. ტერორიზმი XX საუკუნის დაავადებაა, მის წინააღმდეგ ბრძოლა წმინდა მისიაა, მისიონერი ჩრდილოელი მეზობლის მოქმედებები კი მომავალში უცნობი. მაინც, რა იქნება ხვალ? ალბათ, პასუხი ჩიტაძის ქუჩაზე იციან, ბატონ თემურს კი ერთი იმედიღა რჩება — იქნებ, ჩიტმა მაინც მიუცუნცულოს ამბავი?!

# უშბაზე „ჩამოკიდებულნი“

## ინტერვიუ მფრინავთან – გვიან ვიგრძენი, რომ მართვის სახელურზე ხელი ლამის მიმყინვოდა



*ეკიპაჟმა შვეულმფრენი ციცაბო კლდეზე ერთი ბორბლით „შეაყენა“, ორი უკანა კი ჰაერში ეკიდა*

უშბაზე ასვლა ძნელია. ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა გასულ კვირას, 23 იანვარს, როდესაც უშბის დასალაშქრად გასული ოთხი მთამსვლელის სასწრაფო ევაკუაცია გახდა საჭირო.

მთამსვლელთა ამტანიანობაზე არაერთხელ თქმულა, ამჯერად მოგითხრობთ შვეულმფრენის ეკიპაჟის ოსტატობაზე, რომელმაც დროულად მოახერხა მათი ევაკუაცია.

შარშან „კვირის პალიტრას“ ბევრჯერ მოუხდა საქართველო-რუსეთის საზღვრის ძნელად მისადგომ ადგილებში მესაზღვრეთა შვეულმფრენით ჩასვლა, არაერთხელ დაგვიწერია მისი პილოტის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საავიაციო რაზმის მეთაურის, ვიცე-პოლკოვნიკ შამილ ქორთოშიძის სიმამაცეზე. ის მთებში მფრენი ყველაზე გამოცდილი ქართველი მფრინავია.

უშბაზე განხორციელებულმა საევაკუაციო ოპერაციამაც დაამტკიცა უკვე ნათქვამი. საინტერესო ოპერაციის დეტალების გასარკვევად **შამილ ქორთოშიძეს** შევხვდით.

**— როგორ დაიწყო სამაშველო ოპერაცია?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შვეულმფრენების საფრენოსნო რესურსი კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა და ისინი კაპიტალურ რემონტზე დგებიან, ერთი შვეულმფრენით ჩვენი ეკიპაჟი (მეორე პილოტი მფრინავ-შტურმანი — უმცროსი ლეიტენანტი მირიან დოლონაძე და ბორტტექნიკოსი — ავიარაზმის ინჟინერი კაპიტანი ალეკო ტყემალაძე) მაინც გაფრინდა უშბის მიმართულებით. თავდაპირველად შემოვუფრინეთ იმ კლდის მხარეს, სადაც დროებით შეჩერებულნი იყვნენ მთამსვლელები. შემდეგ სოფელ ბეჩოში დავსხედით, რადგან მთამსვლელებს სწორედ აქედან უკავშირდებოდნენ რადიოთი. ისინი გავაფრთხილეთ, მომზადებულიყვნენ და აეკეცათ კარავი, რათა შვეულმფრენის ხრახნების ბრუნვისას წარმოქმნილ ჰაერის ნაკადს უფსკრულში არ გადაეგდო აღჭურვილობა.

**— დარწმუნებული იყავით, რომ დაუბრკოლებლად აიყვანდით მთამსვლელებს?**

— თითქმის 80%-ით, თუმცა ყოველი შემთხვევისთვის ევაკუაციის სათადარიგო ვარიანტიც შევარჩიეთ. თუკი ვერ შევძლებდით შვეულმფრენის კლდის ძალზე ციცაბო კედელზე დასმას, მაშინ ჰაერში უნდა ჩამოვკიდებულიყავით და მთამსვლელები ჯალამბრით სათითაოდ აგვეყვანა; მაგრამ, საბედნიეროდ, მოვახერხეთ წინა შასის „შემოდება“ კლდის ნაპირზე, ორი ძირითადი ბორბალი კი ჰაერში ეკიდა და ასე ავიყვანეთ მთამსვლელები.

**— რა საფრთხე შეიძლება დამუქრებოდა ასეთი სახით „გაჩერებულ“ შვეულმფრენს?**

— ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ძირითადად ხრახნის ბოლოები კლდის ნაპირიდან სულ რაღაც 30-50 სმ-ში ბრუნავდა და იუველირული მართვა იყო საჭირო, რომ კლდეს არ წამოვდებოდით. მაშინ კატასტროფა გარდაუვალი იქნებოდა. არ იყო გამორიცხული, რომ შვეულმფრენის ძრავებისა და ხრახნების ხმასა და ვიბრაციას მწვერვალიდან თოვლის ზვავი ან ქვის ცვენა გამოეწვია. ამ შემთხვევაში გადასარჩენად ერთი გზაღა გვრჩებოდა — ელვის უსწრაფესად მართვის სახელური მარჯვნივ გადაგვეწია და უფსკრულისკენ პიკირებით წავსულიყავით.

**— ევაკუაცია ზღვის დონიდან დაახლოებით 4.200 მ-ის სიმაღლეზე განხორციელდა, ეს უნიკალური ფაქტია თუ არა?**

— ორიოდე წლის წინ ასევე უშბაზე, ზუსტად ამ ადგილიდან 200-250 მ-ით მაღლა, ხელმარჯვნივ, ორი მთამსვლელის ცხედარი წამოვასვენეთ. უფრო ადრე, 1990 წელს კი, მე და აწ განსვენებული ჯიმი მაისურაძე ყაზბეგზე (5.047 მ) დავსხედით შვეულმფრენით. საერთოდ, ამ სიმაღლეებზე შვეულმფრენით „ჩამოკიდება“ ზაფხულში ბევრად უფრო ძნელია, რადგან სითბოში ძრავებს ნაკლები გაწევა აქვთ და თანაც ამ პერიოდში უფრო ინტენსიურია ჰაერის აღმავალ-დაღმავალი ნაკადები, რომლებიც ართულებენ მართვას. სხვათა შორის, როდესაც მთამსვლელები ბეჩოში, სამშვიდობოს გამოვიყვანეთ, მაშინ ვიგრძენი, რომ მართვის სახელურზე ხელი ლამის მიმყინვოდა. კლდიდან მთამსვლელების მოხსნისას

*პილოტი შამილ ქორთოშიძე და მთამსვლელების გადამრჩენი მისი ფრთოსანი „რკინის რაში“*




კაბინის ბლისტერი (გვერდითი ფანჯარა) ღია მქონდა, გარეთ კი ყინვა -25°C-ზე მეტი იყო, თუმცა ეს მაშინ ვერც ვიგრძენი. ასეთ დროს შვეულმფრენის ადგილზე გაჩერებას მართვის სახელურის მართლაც რომ უფაქიზესი მოძრაობა სჭირდება, რადგან მისი ორი-სამი მილიმეტრითაც გვერდზე გადახრა შვეულმფრენს ადგილიდან მოწყვეტს.

# თებერვალი და ომი ერთად დაიწყება

## ერაყი ქიმიური ომისთვის ემზადება, პენტაგონი კი – მოწამლულთა ნეშტების დასაწვავად

მართალია, ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყება გაუჯანჯლდა, მაგრამ აშშ-ის დღევანდელი პრეზიდენტი ბუში-უმცროსი მაინც აუსრულებს ოცნებას ექსპრეზიდენტ ბუში-უფროსს და სადამ ჰუსეინის ჩამოსაგდებად ბრძოლას თებერვლის პირველ ნახევარში შეუდგება.

სწორედ ამაზე მეტყველებს ის საგანგებოდ გაჟონილი ინფორმაციებიც, რომლებიც ბოლო დღეებში თეთრი სახლიდან ხშირად ხვდება დასავლეთის მასმედიის წამყვან საინფორმაციო საშუალებებში.

ომის დაწყებას აჩქარებს თვად საბრძოლო მოქმედებების თეატრის თავისებურება — სიცხე და ქვიშა, რაც მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს შეტევით ოპერაციას, თუკი იგი გაზაფხულისთვის (და მით უმეტეს, ზაფხულისთვის) გადაიდო, რადგან ასეთ პირობებში ცოტა კაპრიზული დასავლური საბრძოლო ტექნიკა უფრო ხშირად გამოდის მწყობრიდან.

ერაყის არმიის ხელმძღვანელობა უკვე შეუდგა თავისი პირადი შემადგენლობისთვის ქიმიური თავდაცვის კომპლექტების დარიგებას, რაც ორ რამეს უნდა ნიშნავდეს — ან ჰუსეინს ეშინია, რომ ამერიკელები ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს გამოიყენებენ, ან თავადვე აპირებს ამგვარი იარაღით, რომელსაც ღარიბი ქვეყნების „ატომურ ბომბსაც“ უწოდებენ, ამერიკელთა უკუქცევას.

თავად პენტაგონში კი უკვე ცვლიან იმ წესს, რომელიც ბრძოლაში დაღუპულთა მიწასთან მიბარებას ითვალისწინებს. ადრე, მათ შორის ვიეტნამის ომშიც, პენტაგონი ყოველმხრივ ცდილობდა საკუთარი დაღუპული სამხედროების ნეშტები, რაც არ უნდა დასჯდომოდა, სამშობლოში გადაესვენებინა. ამჯერად კი ძალზე სერიოზულად განიხილავენ სხვა ვარიანტს — ბრძოლაში ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღით დახოცილებს საძმო საფლავში დაკრძალავენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამერიკაში გადაასვენებენ, ოღონდ სპეციალური ჰერმეტული ტომრებით ან ფერფლის სახით.

პენტაგონი, მომავალი ომის წინ, თავის იმ ოფიცრებს, რომლებსაც დაევალებათ საზოგადოებასთან და, ბუნებრივია, მასმედიასთან ურთიერთობა, უკვე ურიგებს 27-ათასდოლარიან ვიდეოფონებს, რომლებითაც პირდაპირი რეპორტაჟის წარმოება შეიძლება საბრძოლო მოქმედებების რაიონიდან. ეს ვიდეოფონი, ფაქტობრივად, პორტატიული კომპიუტერია, რომელშიც ჩამონტაჟებულია ვიდეოკამერა, მიკროფონი და ორი დასაკეცი თანამგზავრული ანტენა.

ამჟამად ერაყის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი სამიზნეების გამოვლენისა და ძველების დადასტურების პროცესი, რისთვისაც პენტაგონი მის ხელთ არსებულ ყველა სადაზვერვო ტექნიკურ საშუალებას იყენებს, მათ შორის უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავებსაც. სწორედ ამ კლასის თვითმფრინავი PREDATOR-ი 22 იანვარს ქუვეითიდან შეფრინდა ერაყის საჰაერო სივრცე-



ში და ერაყელმა მეზენიტეებმა ჩამოაგდეს.

დაფიქსირებული სამიზნეების გასანადგურებლად პენტაგონი, თეთრი სახლის ბრძანებით, არაფერს დაიშურებს და შეიძლება დღეში 300 ფრთოსანი რაკეტაც კი გაუშვას ერაყის მნიშვნელოვანი ობიექტების გასანადგურებლად. ეს უზარმაზარი ციფრია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ „უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციის განმავლობაში ამდენი ფრთოსანი რაკეტა გაუშვეს. ამით ვაშინგტონი ურჩი ერაყელების მოტეხას და დამორჩილებას ეცდება.

# ჯარიდან გაქცევა... შურის საძიებლად?

დღეს აღარავის უკვირს ქართული არმიიდან ჯარისკაცის გაქცევა. წლების განმავლობაში დეზერტირად იმდენი „გავარდა“, რომ თავისუფლად დააკომპლექტებდა სამ მოტომსროლელ ბრიგადას. სამწუხაროდ, ერთი ასეული მაინც შედგებოდა იმ ჯარისკაცთაგან, რომლებმაც სამხედრო ნაწილიდან გაქცევისას ავტომატიც გააყოლეს ხელს.

ნაწილიდან გაქცეული ჯარისკაცები მოპარული იარაღით ხალხს ხოცავენ და ეს უკვე საგანგაშოა. ამგვარ დამნაშავეთა საერთო რიცხვმა ბოლო წლებში ერთი ოცეული შეადგინა, მაგრამ ჯერჯერობით, ერთადერთ და უნიკალურ ფაქტად დარჩება ის ტრაგიკული ამბავი, რომელიც გასულ კვირას დილმის ტყეში მოხდა.

თავდაცვის სამინისტროს დაცვის პოლკიდან გაქცეულმა რიგითმა ნიკოლოზ ზანდარაშვილმა თავი დილმის ტყეს შეაფარა, სადაც სამი დღე იმალებოდა. თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ სამხედრო პოლიციას იგი ალყაში ჰყავდა მოქცეული. ტყეში იპოვეს AKM-ის ტიპის ავტომატი, რომელიც ზანდარაშვილმა სამხედრო ნაწილიდან წაიღო. ეტყობა, საქმე ჩვეულებისამებრ ჩაიფარცხებოდა და ჯარისკაცის გაქცევის მიზეზად კვლავ ყაზარმებში გამეფებულ არასაწესდებო ურთიერთობებს დაასახელებდნენ, რომ არა კიდევ ერთი უბედურება — ტყის მიდამოებში 65 წლის მწყემსის ისმაილ ისკანდეროვის გვამი აღმოაჩინეს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 9)*


# მთავარია, გადადგათ პირველი ნაბიჯი...

უროლოგია მედიცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. პაციენტები, რომელთაც უროლოგიური დაავადებები აწუხებთ, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საერთო რიცხვიდან 38% შეადგენენ.

წინამდებარე ჯირკვალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა მამაკაცის ორგანიზმში. პროსტატა ზომით მცირე, მაგრამ კოლოსალური მნიშვნელობის ორგანოს წარმოადგენს. ის მრავალ სასიცოცხლო პროცესში მონაწილეობს. მასში მიმდინარე ცვლილებები გავლენას ახდენს სპერმატოზოიდების წარმოქმნაზე, ლიბიდოსა და პოტენციაზე. ამგვარი ცვლილებები მეტად მტკივნეულად აღიქმება მამაკაცის მხრიდან და დამანგრეველად მოქმედებს ფსიქიკაზე. ხშირია დეპრესიები, ნევროზები, თვითმკვლელობის მცდელობა.

რა ფაქტორები იწვევს დარღვევებს წინამდებარე ჯირკვალში:

რისკის ფაქტორს წარმოადგენენ ისეთი დაავადებები, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი, სისტემური დაავადებები, ტუბერკულოზი, სისხლძარღვთა ცვლილებები, ამიტომ პროსტატიტის მკურნალობა აუცილებლად უნდა იყოს კომპლექსური. აბსოლუტურად მცდარია მხოლოდ პროსტატიტის მკურნალობა და მისი გამომწვევი მიზეზების იგნორირება.

გაციება, ხშირად იწვევს ცვლილებებს წინამდებარე ჯირკვალში. პროსტატის გამომწვევია სხვადასხვაგვარი პათოგენური მიკროორგანიზმები. ეს გართულება საერთო რიცხვიდან თითქმის 28%-ია. სადღეისოდ პროსტატიტის უმნიშვნელოვანესი მიზეზია ქლამიდიოზით დასნებოვნება. ქლამიდიოზი აზიანებს არა მარტო წინამდებარე ჯირკვალს, არამედ ყველა ორგანოს და სისტემას, განსაკუთრებით სახსრებს. ქლამიდიოზით ავადდებიან ქალები და ბავშვებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ანტიბიოტიკური მკურნალობა ადრეულ სტადიაში არ არის საკმარისი, ვინაიდან ჩვენ არა მარტო ცვლილებების კორეგირებას ვახდენთ ჯირკვალში, არამედ საჭიროა პაციენტის იმუნური სისტემის ნორმაში დაბრუნება. აქედან გამომდინარე, ორგანიზმს ეძლევა საშუალება თვითონ მიიღოს მონაწილეობა ანთებითი პროცესის ალაგმვაში.

რაც უფრო ადრეულ სტადიაზეა გამოვლენილი ცვლილებები ორგანოში, მით უფრო იოლი და სწრაფია მისი აღდგენის პროცესი. ამიტომ, ყოველმა მამაკაცმა 40 წლის ზევით, ერთხელ აუცილებლად უნდა ჩაიტაროს კომპლექსური უროლოგო-სექსოლოგიური გამოკვლევა პათოლოგიის გამოკვლევის მიზნით ადრეულ სტადიაზე.

ჩვენს კლინიკაში დიდი გამოცდილება გვაქვს წინამდებარე ჯირკვლის მკურნალობასა და მასთან დაკავშირებული დარღვევების გამოვლენაში. მკურნალობა მიმართულია არა მარტო ადგილობრივი პათოლოგიისაკენ, არამედ ორგანიზმის საერთო ჯანმრთელობაზე. კლინიკაში ფართოდ გამოიყენება მაგნიტო-ლაზერული მეთოდი, კვანტური თერაპია, მედიკამენტოზური მკურნალობა, რომლებიც იძლევიან საშუალებას ზემოქმედება მოვახდინოთ ადამიანის ორგანიზმზე კომპლექსურად, მოვახდინოთ ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზება, ჩავატაროთ დეზინტოქსიკაცია, აღვადგინოთ პაციენტის იმუნური სტატუსი და დავეხმაროთ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში.

როგორც ჩვენი გამოცდილება აჩვენებს, როდესაც წინამდებარე ჯირკვლის და მასთან დაკავშირებული გართულებების მკურნალობა არის დროული, კომპლექსური და ინდივიდუალური, შედეგები ყოველთვის საუკეთესოა.

„ექიმი გილის“ სამედიცინო ცენტრში იციან ძლიერი სქესის სუსტი მხარეები, ამიტომ ყურადღებით ეკიდებიან ყველას, ვისაც დახმარება ესაჭიროება.

ბედნიერებისა და ჰარმონიის მისაღწევად არც ისე ბევრია საჭირო, მთავარია, გადადგათ პირველი ნაბიჯი...

სამედიცინო ცენტრი

"ექიმი გილი"

ტ: 29-05-25 25-27-09

ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5 ®

# ჯარიდან გაქცევა... შურის საძიებლად?

(დასაწყისი იხ. გვ. 8)

მწყემსს სამი გამჭოლი ნატყვიარი ემჩნეოდა. მკვლელობა ავტომატით იყო ჩადენილი, სწორედ იმგვარით, როგორიც რიგითმა ზანდარაშვილმა ჯერ სამხედრო ნაწილიდან გაიტაცა და შემდეგ ტყეში მიაგდო.

გატაცებული ავტომატისა და მკვლელობის იარაღის იდენტურობაზე საბოლოო პასუხს მაინც სპეციალური ბალისტიკური შემოწმება იტყვის, მაგრამ შაბათს, 25 იანვარს, დილით დაკავებული რიგითი ზანდარაშვილის წინასწარი დაკითხვისას გაირკვა, რომ იგი მანამდეც იცნობდა დაღუპულ მწყემსს.

სამწუხაროდ, იკვეთება კავშირი დეზერტირობასა და შურისძიებას შორის, მით უმეტეს, რომ მწყემსს სამივე ტყვია ზურგიდან აქვს ნასროლი, ხოლო რიგითი ზანდარაშვილი ყარაულში გასვლისა და ავტომატის მიღების პირველსავე დღეს გაუჩინარდა ნაწილიდან და გეზი ნაცნობი ადგილებისკენ აიღო. ჩვეულებრივ, როდესაც ჯარისკაცები ნაწილიდან გარბიან, ცდილობენ, ფორმა მოიშორონ, სამოქალაქო ტანსაცმელი იშოვონ და თან არ ათრიონ თითქმის ერთმეტრიანი ავტომატი, რომელიც ძნელად დასამალ ნივთმტკიცებას წარმოადგენს.

უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი ვერსია მხოლოდ სტატიის ავტორის ვარაუდია და კარგი იქნება, თუ ახალგაზრდა ჯარისკაცი (რომელიც შეიძლება ფსიქიკურადაც შესამოწმებელი გახდეს, რადგან ადრეც აღენიშნებოდა ამგვარი გადახრები) მკვლელი არ აღმოჩნდება.

მაგრამ თუკი საწინააღმდეგო დამტკიცდა, მაშინ რიგითი ზანდარაშვილი იქნება პირველი ჯარისკაცი, რომელიც დეზერტირი შურის საძიებლად გახდა.

# 75 წლის პრეზიდენტი ახალი შვეულმფრენით იფრენს

## იგი შევარდნაძეს დაბადების დღეზე „აჩუქეს“




შევარდნაძისთვის ნაყიდი ფრანგული შვეულმფრენი EC155 ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში

**ჩვენი ცნობით:** საერთაშორისო საავიაციო კომპანიის EUROCOPTER-ის EC-155 ტიპის შვეულმფრენი 6 მგზავრის გადასაყვანად გამოიყენება, მას ორი ტურბოხრახნიანი ძრავა უყენია, იწონის 4 ტ-ზე ნაკლებს და 300 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარის განვითარება შეუძლია. კუდის ხრახნი სპეციალურ რგოლში — „ფენესტრონში“ აქვს მოთავსებული, რითაც სხვა შვეულმფრენებისგან ადვილად გამოიცნობა.

„კვირის პალიტრამ“ ინკოგნიტო რესპონდენტისგან (რომელიც რკინიგზის დეპარტამენტის საქმიანობაში კარგად გარკვეული პიროვნება გახლავთ) ექსკლუზიური ინფორმაცია შეიტყო, რომ საფრანგეთში შეისყიდეს ახალი სამგზავრო შვეულმფრენი, რომელიც უმთავრესად პრეზიდენტ შევარდნაძეს უნდა მოემსახუროს ქვეყნის შიგნით მოგზაურობისას.

საფრანგეთში და ისიც ახალი შვეულმფრენის ყიდვა მთლად სახუმარო საქმე არ არის და საკმაო თანხებს მოითხოვს. ჩვენი ინფორმაციით, ამ საქმის მთავარი დამფინანსებელია საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი. შვეულმფრენი და მისი ჩამოყვანა დაახლოებით 5-6 მლნ დოლარი დაჯდა.

შვეულმფრენი საფრანგეთიდან (სავარაუდოდ, მარსელიდან) ჩამოიყვანეს და ამჟამად თბილისის აეროპორტში უნდა ინახებოდეს (ჯერჯერობით საიდუმლოდ).

ჩვენი მონაცემებით, ლაპარაკია ფრანგული საავიაციო ფირმა Aerospatiale-ის შვეულმფრენის SA365 Dauphin 2 -ის თანამედროვე მოდიფიკაცია EC155-ზე.

ეს ფრანგული შვეულმფრენი მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საიმედო მფრინავ აპარატად ითვლება (აშშ-ის სანაპირო დაცვამ ამიტომაც მიიღო მისი ერთ-ერთი მოდიფიკაცია თავისი ხომალდების შეიარაღებაში, როგორც გემბანის შვეულმფრენები). EC155-ზე დაყენებულია თანამედროვე სანავიგაციო სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უსაფრთხო ფრენას და თანაც ავტომატურ რეჟიმში — შვეულმფრენი თვითონ იწყებს დაშვებას 21 მ სიმაღლემდე და თუ მაშინაც არ აიღო მართვა ხელში პილოტმა, წყვეტს დაბლა დაშვებას და ავტოპილოტის დახმარებით აგრძელებს ფრენას.



უცხო ქვეყნების საპრეზიდენტო შვეულმფრენების სალონს ასე კომფორტულად აწყობენ, საინტერესოა, ფრენის როგორ პირობებს შეუქმნიან პრეზიდენტ შევარდნაძეს?

პრეზიდენტ შევარდნაძის 75 წლისთავისთვის ფრანგული შვეულმფრენი საუკეთესო საჩუქარია, რადგან საქართველოს სამხედრო ძალების სხვადასხვა უწყების განკარგულებაში მყოფი შვეულმფრენების უმეტესმა ნაწილმა თითქმის ამოწურა ფრენის რესურსი და მათ ძრავებს კაპიტალური რემონტი სჭირდებათ.

მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, ძნელია პრეზიდენტს დააყვედრო ახალი შვეულმფრენის ყიდვა, მასაც ხომ სჭირდება თავისი ამომრჩევლების მონახულება, თუნდაც ჰაერიდან. თანაც შევარდნაძის ერთმა კოლეგამ — თურქმენბაშიმაც სწორედ ამ დღეებში იყიდა ახალი შვეულმფრენი საფრანგეთში, ოღონდ უფრო სოლიდური — Puma და თანაც ბევრად ძვირად.

# მკითხველის სვეტი

**მაინტერესებს, აქვთ თუ არა „გრადის“ ტიპის დანადგარი საქართველოს და რას წარმოადგენს იგი.**

***თეიმურაზ შუბლაძე***

ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 Град-ი ფაქტობრივად მეორე მსოფლიო ომის დროინდელი „კატიუშას“ შთამომავალია და შეიარაღებაში ზუსტად 40 წლის წინ მიიღეს. მიუხედავად ასეთი ხანდაზმულობისა, იგი დღესაც მრისხანე იარაღადაა მიჩნეული.

როდესაც სამხრეთ კავკასიაში 10-12 წლის წინ შეიარაღებული კონფლიქტები ჩაღდებოდა, თავდაპირველად დაპირისპირებული მხარეები „ალაზნებს“ იყენებდნენ. „ალაზანიც“ რეაქტიული ჭურვი, უფრო თანამედროვე გაგებით კი, რაკეტაა, მაგრამ მისი ქობინი ღრუბლების გასაფანტ რეაგენტს შეიცავდა (თუმცა, „ხელმარჯვე ოსტატები“ ამ ქიმიურ რეაგენტს კუსტარული ასაფეთქებელი მოწყობილობით ცვლიდნენ) და დიდად ვერ აზიანებდა სამიზნეს.

„გრადების“ გამოჩენისთანავე კავკასიის ფრონტის ხაზზე ყველაფერი კარდინალურად შეიცვალა, რადგან იგი 20 წმ-ში 40-ვე რაკეტას 20,7 კმ მაქსიმალურ სიშორეზე ისვრის და მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას 1.046 კვმ-ის ფართობზე აზიანებს. მისი თითოეული რაკეტა 66 კგ-ს იწონის, საიდანაც 19 კგ მსხვრევად-ფუგასურ ქობინზე მოდის.

ოთხი „გრადი“ 1992 წლის გაზაფხულზე ქართულმა სამხედრო პოლიციამ ჩაიგდო ხელში, როდესაც ისინი რუსული სამხედრო ნაწილიდან სომხეთში მიჰქონდათ გასაყიდად. ერთი-ორი „გრადი“ გვარდიელებმა ცხინვალსაც მიაყენეს, მაგრამ ქალაქის მასობრივი დაბომბვა არ განხორციელებულა.



1992 წლის ზაფხულში „გრადების“ რამდენიმე დივიზიონი ქართული არმიის შეიარაღებაში აღმოჩნდა მოსკოვის მიერ ახალციხის მე-10 კადრირებული დივიზიის შეირაღების გადმოცემის შემდეგ. აფხაზეთის ომში „გრადებს“ აქტიურად იყენებდა ორივე მხარე. შეიძლება სწორედ „გრადების“ წყალობით ვერ მოახერხეს აფხაზების, ჩრდილოკავკასიელებისა და რუსების ერთობლივმა შენაერთებმა, არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, გუმისთის გადმოლახვა. „გრადები“ ასევე გამოიყენებოდა ტამიშთან გადმოსხმული მოწინააღმდეგის საზღვაო დესანტის გასანადგურებლად (რისი მოწმეც იყო სტატიის ავტორი).

მოგვიანებით, რამდენიმე „გრადი“ ჩვენმავე არტილერისტებმა ააფეთქეს, რადგან გაჩნდა საშიშროება, მდ. კოდორის მისადგომებიდან უკან დახევისას ისინი აფხაზებს ჩაეგდოთ ხელში. მაგრამ მიუხედავად ამისა, არსებობს ეჭვი, რომ ისინი სეპარატისტებმა აღადგინეს და შეიარაღებაში აქვთ.

დღეისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაშია 16 ერთეული „გრადი“. ამ ციფრს იმიტომ ვასახელებთ, რომ „გრადები“, ისევე როგორც ყველა სხვა, 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის საარტილერიო დანადგარები, შედიან ჩვეულებრივი შეიარაღების რაოდენობისა და ტიპების შესახებ ხელშეკრულების ოქმში და ყველა ქვეყანა ვალდებულია, არ დამალოს მათი რაოდენობა.

შედარებისთვის: აზერბაიჯანის არმიის შეიარაღებაში 53 ცალი „გრადია“, ხოლო სომხეთის არმიაში — 47 ერთეული (ამასთან, როგორც ადრე აღვნიშნეთ, სომხებს ოთხი უფრო ძლიერი ჩინური „ტაიფუნიც“ აქვთ).

„გრადები“ სეპარატისტულ წარმონაქმნებსაც აქვთ, როგორც მთიან ყარაბაღში (საკმაო რაოდენობის), ისე აფხაზეთში.

აფხაზი სეპარატისტების ხელში „გრადები“ შეიძლება დასაშინებელ ხელკეტად იქცეს, რადგან გალის რაიონიდან აფხაზური „გრადები“ ენგურის მარცხენა სანაპიროს 18-19 კმ-ის სიღრმეში მისწვდებიან დასახლებულ პუნქტებს, მათ შორის ზუგდიდსაც.

ეს გარემოება აუცილებლად გასათვალისწინებელია იმ შემთხვევაში, თუკი ამ რეგიონში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ძალისმიერი გზით დაიწყება.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

**არსენალი**

# ავტომატები... პირიქით

## უჩვეულო კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აქტიურად დადგა ავტომატების, ანუ როგორც მათ დასავლეთში უწოდებენ — ავტომატური შაშხანების სიგრძის შემცირების საკითხი. პოზიციური ბრძოლების დროს ამ ერთი მეტრი სიგრძის ავტომატით სანგრებიდან მარჯვედ სროლა შეიძლება, მაგრამ იგი მოუხერხებელია ვიწრო ქუჩებსა და შენობებში, ისევე როგორც ჯავშანტრანსპორტიორებიდან და თვითმფრინავებიდან (შვეულმფრენებიდან) დესანტირებისას.

საბჭოთა კონსტრუქტორებმა ავტომატების დასამოკლებლად ორი, შედარებით მარტივი გზა აირჩიეს — ავტომატები დასაკეცი კონდახებით აღჭურვეს ან ლულების ნაწილი



ავსტრიული AUG

წააჭრეს. ასე იშვა АКС-74 და АКС-74У.

დასავლელმა ინჟინრებმა სხვა გზა აირჩიეს, რადგან წაჭრილლულიანი ავტომატი ეფექტიანი სროლის სიშორეს კარგავდა, ხოლო დაკეცილი კონდახი იარაღის სისქეს ზრდიდა და მებრძოლს უშნოდ ედებოდა აღჭურვილობაზე. მათ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ტრადიციული კონსტრუქცია „ბულპაპის“ სქემით შეცვალეს.

მარტივად რომ ავხსნათ, „ბულპაპის“ სქემა ითვალისწინებს ჩახმახის წინ, ხოლო მჭიდებისა და სასროლი მექანიზმის უკან, კონდახში გადატანას. ამ გადაწყვეტილების შედეგად, ავ-



ფრანგული FAMAS

ტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ლულა უცვლელი რჩება, ხოლო იარაღის სიგრძე მნიშვნელოვნად მცირდება, რადგან აქამდე „უქმად მყოფ“ ცარიელ კონდახში სასროლი მექანიზმია მოთავსებული, მისი წინანდელი ადგილი კი შემცირებულია.

მიუხედავად იმისა, რომ „ბულპაპის“ პირველ ნიმუშებს ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში ქმნიდნენ, ამ სქემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი სერიულად მხოლოდ 1978 წელს გამოუშვეს. ერთი წლის შემდეგ ავსტრიის არმიამ შეიარაღებაში მიიღო ფირმა „შტაინერის“ მოიერიშე შაშხანა AUG-ი. მისმა ეფექტიანმა კონსტრუქციამ განაპირობა ის, რომ შემდგომში იგი შეიარაღებაში მიიღეს ირლანდიამ, ავსტრალიამ, ახლო აღმოსავლეთის ბევრმა ქვეყანამ, აშშ-ის საბაჟო სამსახურმა და სხვ.

AUG-ის სასროლის მექანიზმი მუშაობს ლულიდან დენთის გაზების გამოყვანის მეთოდით, დაახლოებით ისევე, როგორც „კალაშნიკოვისა“. მისი სრული სიგრძე 790 მმ-ია, აქედან 508 მმ ლულაა. თუკი ამ მონაცემებს შევადარებთ AK-74-ს, რომლის სიგრძე 940 მმ-ია, ხოლო ლულისა — 415 მმ, ნათელი ხდება, თუ რა მოგებას იძლევა „ბულპაპის“ სქემა.

უფრო ადრე საფრანგეთის არმიამ შეიარაღებაში მიიღო ასევე „ბულპაპის“ სქემით შექმნილი საკუთარი მოიერიშე შაშხანა FAMAS-ი. ამ უცნაური ფორმის ავტომატით დღემდე ამაყობენ ფრანგები. მისი სიგრძეა 757 მმ, ხოლო ლულისა — 488 მმ. იგი 3,61 კგ-ს იწონის და წუთში 950 გასროლა შეუძლია. იგი საკმაოდ მოხერხებულია ხელში. აღჭურვილია დასაკეცი სადგამებით და მისი სროლა საკმაოდ სასიამოვნოა, რაც სტატიის ავტორმა თავის დროზე გამოსცადა.

„ბულპაპების“ მესამე წარმომადგენელი კი დიდი ბრიტანეთის არმიის შეირაღებაშია. მოიერიშე ავტომატური შაშხანა L85A1 3,8 კგ-ს იწონის. მისი სიგრძეა 785 მმ, ხოლო ლულის სიგრძე — 518 მმ. სროლის ტემპი წუთში 700 გასროლას აღწევს.

სამივე ზემოხსენებული, „ბულპაპის“ სქემით დამზადებული მოიერიშე ავტომატური შაშხანა — AUG, FAMAS და L85A1 სასროლად NATO-ს ვაზნას 5,56X45-ს იყენებს. ეს NATO-ს სპეციალური მოთხოვნა გახლდათ, რათა მესამე მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში ამ სამხედრო ბლოკში შემავალი სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებაში არსებულ ცეცხლსასროლ იარაღში ერთი სტანდარტის ვაზნები გამოეყენებინათ.

შეიძლება დასავლეთის მიბაძვით (თუმცა „ბულპაპის“ სქემის საინტერესო ავტომატები რუსმა კონსტრუქტორებმა ჯერ კიდევ სტალინის დროს შექმნეს) ბოლო წლებში რუსეთშიც დაიწყეს „ბულპაპის“ სქემით ავტომატების კონსტრუირება. 1992-1994 წლებში შეიქმნა ОЦ-14 Гроза. მასში მოკლელულიანი ავტომატის АКС-74У-ს ბევრი დეტალია გამოყენებული, თუმცა მჭიდე და სასროლი მექანიზმი კონდახშია გადატანილი. სწორედ ამის გამოა, რომ 550 მმ სიგრძის Гроза-ს 240 მმ-იანი ლულა აქვს, ხოლო 730 მმ სიგრძის АКС-74У-ს (დაკეცილი კონდახით — 490 მმ-ია) მხოლოდ 206,5 მმ-იანი. Гроза თავის შეიარაღებაში უკვე მიიღეს პრეზიდენტ პუტინის დაცვის სამსახურმა და რუსეთის შინაგანი ჯარების სპეცრაზმებმა.

მიუხედავად ასეთი აშკარა უპირატესობისა, ტრადიციული სქემის ავტომატებთან



ინგლისური L85A1

შედარებით, მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ „ბულპაპის“ სქემას უარყოფითი მხარეები არ გააჩნია. მთავარი პრობლემა ამ სქემით დაპროექტებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა, ის არის, რომ ნასროლი ვაზნის ჰილზის ექსტრაქციისას (გვერდზე გამოგდება) იგი ცაცია მსროლელს ყბაში ხვდება. ამიტომაც „ბულპაპის“ სქემის ავტომატის, რომელსაც ჰილზების ექსტრაქცია მარჯვნივ აქვს, სროლა ცაციას არ შეუძლია, ამიტომაც ცაციებისთვის ავტომატს მარცხნივ უყენებენ ჰილზების ექსტრაქციის ფანჯარას, მაგრამ ბრძოლისას თითოეული მებრძოლისთვის იარაღის ინდივიდუალურად შერჩევა საკმაოდ რთულია.

ამასთან, ზემოხსენებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის დანაყოფებში ექსპლუატაციის შედეგად გამოჩნდა „ბულპა-



რუსული Гроза

პის“ სქემის კიდევ ერთი ნაკლი — იარაღის სიმძიმის ცენტრი უკან არის გადატანილი, რადგან სასროლი მექანიზმიც და მჭიდეც კონდახშია მოთავსებული; ეს კი ზუსტ სროლას აძნელებს. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, „უდაბნოს ქარიშხლის“ დროს მოკავშირეთა მიერ უდაბნოს პირობებში გამოყენებულმა ფრანგულმა FAMAS-მა და ბრიტანულმა L85A1-მა მთლად ვერ გაამართლეს, რადგან ქვიშა სასროლი მექანიზმის მუშაობას აფერხებდა.

# დავით სანიკიძის მკვლელობის ახალი დეტალები...

## მოხდება თუ არა, პაატა ბურჭულაძის ვაჟის ექსტრადიცია

***გასროლა ვენის ცენტრში ივლისის ერთ მშვენიერ საღამოს მოხდა. აშკარა იყო, მაყუჩიანი პისტოლეტით ისროლეს. ასეთი იარაღი დიდ ხმას არ გამოსცემს, მაგრამ ტყვიამ მიზანს უწია და მამაკაცი, რომელსაც კეფაში ესროლეს, ადგილზე გარდაიცვალა. თანამგზავრი ქალი კი დაჭრეს. მერე გაირკვა, მისი მოკვლა არც ყოფილა ჩაფიქრებული. იმ დროისათვის ავსტრიის დედაქალაქის მუნიციპალიტეტის ეს რაიონი თითქმის ცარიელი იყო, რადგან ხალხი მოპირდაპირე მხარეს აღმართულ წმინდა სტეფანეს საკრებულო ტაძარში მწუხრის წირვას ესმინდა. იმ ღამით მხოლოდ იმის გარკვევა მოხერხდა, რომ გარდაცვლილი ქართველი ბიზნესმენი დავით სანიკიძე, ხოლო დაჭრილი ქალი, საქართველოს მოქალაქე, მანანა პრუსეცკაია გახლდათ.***

### არც უცხოეთში ვინდობთ ერთმანეთს

გამთენიისას, როცა კაზინო დაცარიელდა და შენობა დაცვას უნდა ჩაებარებინა, საპარადო შესასვლელში ჩანთა შენიშნეს. იფიქრეს, ვინმეს დარჩებოდაო და დაცვის თანამშრომლებმა მოთვალთვალე ვიდეოკამერა ჩართეს.

კაზინოში ვიღაც იგებს, ვიღაც აგებს; ზოგი ნერვიულობს, ზოგიც ფრანგულ კონიაკს წრუპავს ნება-ნება. კუთხეში გოგო და ბიჭი მიყუჟულან და... ყველა კადრს დროის ზუსტი ქრონომეტრაჟი ახლავს. საღამოს ცხრა საათსა და ცხრამეტ წუთზე კაზინოში ვიღაც ახალგაზრდა შემოდის, ჩანთას დებს და უკან ბრუნდება.

— მგონი, ის ჩანთაა. აბა, უკან გადაახვიეთ ფირი. კარგია! სახეც გარკვევით ჩანს. მაშასადამე, ცხრა საათსა და ცხრამეტ წუთზე. მკვლელობა ოთხი წუთის მომხდარია და თუ ექსპერიმენტს ჩავატარებთ, იმ ადგილიდან აქამდე მოსვლას ზუსტად ოთხი წუთი სჭირდება. ასეთ დასკვნას აკეთებს პოლიცია და არც კმაყოფილებას მალავს, რადგან ჩანთაში „სკორპიონის“ სისტემის სწორედ ის ავტომატური იარაღი დევს დაგრძელებული ლულით, ლაზერული დამიზნების სისტემით და მაყუჩით, რომლითაც დანაშაული იქნა ჩადენილი. მაგრამ თუ მკვლელი უცხოელია, მაშინ ინტერნეტს უნდა მივმართოთ...

ვინ იცის, რამდენმა ათეულმა მილიონმა თვალმა ნახა ეს ვიდეოკადრები, მაგრამ საჭიროა არა მილიონი, არამედ ერთი, მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელსაც ამ უცნობისთვის თუნდაც ერთხელ თვალი მოუკრავს. და აი, ავსტრიიდან შორს, აქ, ჩვენთან, ვიღაცამ იყვირა, — უკან, უკან დააბრუნეთ ფირი. ისაა, არ მეშლება, სახე კიდევ უფრო გარკვევით გამოიკვეთა ეკრანზე. დიახ, ჩვენ მას მკვლელობისათვის ვეძებთ და იგი აკაკი ჯავახაძეა, — წამოიძახა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზაზა ფერაძემ და ვიდრე ვენაში გასაგზავნ ბარათს შეადგენდა, ბუდაპეშტიდან გამოგზავნილი ტელეგრამა მიიღო.

**ზაზა ფერაძე:** — არ დაგიმალავთ და ცოტა გაოცებული ვარ. როგორ მომაკვლიეთ? ჯერჯერობით ვერავინ მომაგნო. გამოდის, რომ ამ თემაზე პირველად ვსაუბრობ.

დავიწყოთ იმით, რომ უნგრელებმა შეგვატყობინეს — ჩვენთან, ბუდაპეშტში, ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „მარიოტში“ ორი ისეთი გაქუცული ახალგაზრდა შესახლდა, მათი ჩაცმულობა და იერი არაფრით შეესაბამებოდა ასეთი ძვირად ღირებული სასტუმროს ინტერიერს და იძულებული გავხდით, გაგვეჩხრიკა. ახალგაზრდებს ჯიბეში აღმოაჩნდათ სანქტ-პეტერბურგის ავიარეისზე დაჯავშნული ბილეთები და ასი ათასი ამერიკული დოლარი. პასპორტების მიხედვით, ერთი მათგანი ალექსანდრე პოპოვია, ხოლო მეორე — რაულ თოხაძე. იდენტიფიკაციის მიზნით გთხოვთ, თვალი მიადევნოთ ჩვენს ინტერნეტსაიტებს და შედეგი გვაცნობოთო. ინტერნეტსაიტი კი ალექსანდრე პოპოვის სახელით ჩვენთვის ნაცნობ ძებნილს, აკაკი ჯავახაძეს აჩვენებდა. რაულ თოხაძის პასპორტს კი იმხანად დანაშაულებრივი მიდრეკილების გიორგი ონიანი აფარებდა თავს. ამის შესახებ იმ დღესვე ვაცნობეთ ჩვენს უნგრელ და ავსტრიელ კოლეგებს და ორივენი დააპატიმრეს. ოდნავ მოგვიანებით კი გაარკვიეს, რომ აკაკი ჯავახაძემ და გიორგი ონიანმა სასტუმროდან რამდენჯერმე დაურეკეს ჩვენი სახელოვანი ბანის, პაატა ბურჭულაძის ვაჟს, შუქრის და მის დედას, ქალბატონ ირინა ნატრიაშვილს.

შუქრის ბებია, პაატა ბურჭულაძის დედა **ნუნუ ჭანტურიძე:**

— შუქრი და დედამისი, ჩემი ყოფილი რძალი ირინა, თითქმის ათი წელია ვენაში ცხოვრობენ. პაატაც ხომ იქვეა და ბიჭს არც მამის სითბო აკლია. ამ ამბის სამართლებრივ დეტალებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ როცა დედა-შვილი პოლიციაში მიიყვანეს და აკაკი აჩვენეს, ირინამ უპასუხა, რომ ეს აკაკი ჯავახაძეა. შუქრიმ კი დაიჟინა, ეს ახალგაზრდა ალექსანდრე პოპოვიაო. ალბათ ფიქრობდა, მეგობარს ამით ვუშველიო და თავიც დაიღუპა. მათი მეგობრობა კი ადრეული ბავშვობიდან დაიწყო, — აკაკის და შუქრის დედები დაქალები იყვნენ და ბიჭებიც, ფაქტობრივად, ერთად გაიზარდნენ. ბავშვობის მეგობრები ერთმანეთსაც ხშირად ხვდებოდნენ და ტელეფონითაც საუბრობდნენ. მოგვიანებით, როცა აკაკი გიორგი ონიანთან ერთად ვენაში ჩავიდა, სთხოვა, ბინა მაშოვნინეო და, ბუნებრივია, შუქრი უარს ვერ ეტყოდა.

**ზაზა ფერაძე:** — იქაურ პოლიციას იმთავითვე გაუჩნდა ეჭვი, რომ მკვლელი მარტო არ მოქმედებდა. მას აუცილებლად ეყოლებოდა დამხმარე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაიცავდა და მათი ვარაუდი გამართლდა კიდეც. გაირკვა, რომ ამ ფუნქციას მკვლელობის მომენტში გიორგი ონიანი ასრულებდა. რაც შეეხება შუქრი ბურჭულაძეს, ვიცი მხოლოდ ის, რომ მის დაპატიმრებას სატელეფონო საუბარი დაუდეს საფუძვლად...

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ელენე თევდორაძე:**

— თქვენ პირველი ხართ, ვისთანაც ამას ვამბობ. მე მქონდა შესაძლებლობა, პირადად გავცნობოდი ავსტრიის მხარის ჩატარებული გამოძიების მასალებს. გამოძიება მიჰყავდა პროკურორ ქალს, ტერეზა შუმაიხერ-შმარცალს, რომელიც იმხანად კენჭს იყრიდა პარლამენტში კონსერვატიული პარტიიდან და, როგორც ჩანს, სჭირდებოდა ისეთი გახმაურებული საქმის მოგება, რომელშიც მსოფლიოში ცნობილი პიროვნების ვაჟი იქნებოდა გარეული. საქმეში იმხელა ზიზღი იკითხებოდა ქართველების და, საერთოდ, უცხოტომელების მიმართ, რომ ავსტრიის უზენაეს სასამართლოს პირდაპირ მივწერე, ამგვარი ნაცისტური ამბიციებით გაჯერებული საქმე ობიექტურობის დადგენას ხელს ვერ შეუწყობს-მეთქი. იქვე ვახასიათებდი ბურჭულაძეების ოჯახს და შუქრის თბილისურ პერიოდს, რაშიც ოდნავი ხინჯის აღმოჩენაც კი არ შეიძლებოდა. ამ დროს შუქრის უკვე ჰქონდა მისჯილი ოცდასამი წელი. მხოლოდ საქმის ხელახალი განხილვის შემდეგ შეუმცირეს სასჯელი სამი წლით.

*— ოცდასამი წელი? მკვლელს რაღა მიუსაჯეს?*

— სამუდამო პატიმრობა. არ მახსოვს, რა ვადით განისაზღვრა ონიანის სასჯელი. შუქრისთან დაკავშირებით კი აი, რასთან გვაქვს საქმე: შუქრის მამამ, პაატამ, ადვოკატის მეშვეობით გირაო, ორასი ათასი შეიტანა და შუქრი სასამართლო განხილვის პერიოდში პატიმრობიდან გაათავისუფლეს. თუმცა ამის შემდეგ მოხდა ინციდენტი, რომელიც უფრო მოწყობილს ჰგავს. თვითონ განსაჯეთ: სასამართლოს სხდომებზე შუქრი დამოუკიდებლად ცხადდებოდა და ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ სასჯელი მკაცრი არ იქნებოდა, მაგრამ ერთ დღეს, კაფეში ჩხუბი აუტეხა ერთმა შავკანიანმა მოქალაქემ. დიახ, ზანგმა აუტეხა ჩხუბი და მან ეს აღიარა კიდეც. ჩხუბში ზანგს ხელი გაეკაწრა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. პროკურორმა ეს ხელზე დაიხვია და ისიც დაუმატა, რომ მკვლელობის დღეს დავით სანიკიძემ შუქრის დედას დაურეკა: თბილისიდან სტუმარი მყავს და თუ მობრძანდებით, მადლობელი დაგრჩებითო. ირინა ამ შეხვედრაზე არ წასულა, ეს მისმა ვაჟმაც იცოდა და პროკურორმა დაასკვნა, სწორედ იგი მისცემდა ჯავახაძეს სანიკიძის გადაადგილების დროსა და მარშრუტზე ინფორმაციასო. ასე რომ, როცა ბრალდებას ზანგთან ინციდენტი დაერთო, მსაჯულები შუქრის წინააღმდეგ განეწყვნენ, დააპატიმრეს და ოცდასამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

პაატა ბურჭულაძის თხოვნით საქმეში ჩაერთო მიუნხენელი ადვოკატი **სევერიან კირკიტაძე**: — ჩემთან ერთად შუქრის ინტერესებს ავსტრიელი ადვოკატი ელმარ კერზბახიც იცავდა. ბრალდების მტკიცებით, შუქრის ბრალად ედებოდა ჯავახაძისა და ონიანისთვის ბინის დაქირავება. ამისთვის ხუთ წელიწადზე მეტი არ უნდა მიეცათ. რაც შეეხება ზანგთან ჩხუბს, უეჭველია, ეს პროვოცირებული დანაშაული იყო — აკი ზანგმა აღიარა კიდეც, ჩხუბი მე წამოვიწყეო. მაგრამ ამ ინციდენტმა გააფუჭა ყველაფერი. პროკურორის ჭკუასუსტობას მსაჯულებიც აჰყვნენ და ეს განაჩენშიც აისახა.

ასეთია მოკლედ ადვოკატის მოსაზრება. თუმცა, აქვე ჩნდება კითხვები: ხომ არსებობს სხვა ინსტანციებიც? როგორ დავიჯეროთ, ავსტრიის მართლმსაჯულებაში არ მოიძებნა ხალხი, ვინც გაასწორებს და „ჭკუასუსტი“ პროკურორის ბრალდებას? ნუთუ პაატა ბურჭულაძეს ისე გაუჭირდა, რომ ქვეყანაში, რომელიც მას აღმერთებს, სამართალი ვერ ნახა და უდანაშაულო ვაჟს ვერაფრით უშველა.

პაატას დედას მოვუსმინოთ:

**ნუნუ ჭანტურიძე:** — პაატამ მხოლოდ სიმღერა იცის. ვერ ერკვევა სასამართლოს ინტრიგებში და მხოლოდ ახლახან მიხვდა, რომ ადვოკატები საქმეს აჭიანურებენ, რათა რაც შეიძლება მეტი დასცინცლონ. გადაწყვიტა, წინასწარ აღარ გადავუხდი, იქნებ მალე დაამთავრონ საქმეო...

**ელენე თევდორაძე**: — რამდენიმე წლის წინ, როცა თურქეთში გახლდით ქართველი პატიმრების მოსანახულებლად, იქაურმა სამართალდამცველებმა წარმომიდგინეს იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ თითქმის ყველა დანაშაულებრივ საქმეში აუცილებლად ქართველის ხელი ერია. მაშინ გამიკვირდა, ახლა კი აღარ მიკვირს. როცა შარშან ვენაში იქ მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს შევხვდი, მიმანიშნეს, რომ აქაც ქართველის ხელი ურევია და ეს იმდენად მაღალ ეშელონებს შეეხებოდა, იმ პირების დასახელებისგან თავი შეიკავეს. ჩვენი ინფორმაციით, საქმე უნდა ეხებოდეს ავიაკომპანია „ორბთან“ დაკავშირებულ ინტრიგებს, რომლის ერთ-ერთი მფლობელი სანიკიძე გახლდათ. ისიც არ დაუმალავთ, რომ პაატამ ამ საქმეში ჩაუხედაობის გამო გერმანიაში მცხოვრები ქართველი ადვოკატი აიყვანა, რამაც ეტყობა კიდევ უფრო გააღიზიანა ნაცისტი პროკურორი ქალი. მოგვიანებით საქმეს ადგილობრივი ადვოკატის აყვანამაც ველარ უშველა, რადგან აქაური ადვოკატი, ჩვეულებრივ საკუთარ გამოძიებას აწარმოებს და იგი აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას საქმის ნაცისტური ელფერით მიმდინარეობას.

**ბელგიის მეორე, საოპერო ტრადიციების მქონე ქალაქ ლიეჟში დადგმულ ოპერაში „ატილა“ მთავარი პარტიის შემსრულებელს, პაატა ბურჭულაძეს რეჟისორმა პანკისური უნიფორმა ჩააცვა, ჯარისკაცური ჩექმებითა და ხელში ავტომატით. ბუნებრივია, ასევე ჩააცვეს სპექტაკლის ყველა მონაწილეს... ასე წარმოიდგინა ჰუნების ბარბაროსი ბელადის სახე და გარემოცვა დამდგმელმა რეჟისორმა**

თუმცა ამ შემთხვევაში ეს აღარ გააკეთა ავსტრიელმა ადვოკატმა, რადგან იგი თავს ზედმეტად გრძნობდა ქართველი ადვოკატის ფონზე, რომელსაც ფაქტობრივად დაცვა მიჰყავდა.

### დანაშაულის სათავე

ბიზნესში დავით სანიკიძის წარმატებას სწორედ ის გარემოება განაპირობებდა, რაც საერთოდ ახასიათებს ამ კატეგორიის ხალხს — იმ სფეროების დროულად აღმოჩენა და შემდეგ მისი განვითარება, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს დიდ მოგებას მოიტანს. ასეთად მან დანგრეულ საქართველოში სასტუმროების ბიზნესი დაიგულა და ამ დარგის საკმაოდ ფართო ქსელიც შექმნა. ამასობაში, ქვეყანაში, რბილად რომ ვთქვათ, „მხედრიონის“ გავლენა გაიზარდა, სასტუმრო „მეტეხი“, ანუ „შერატონ მეტეხი-პალასი“ სანიკიძემ 1992 წელს სწორედ „მხედრიონის“ ერთ-ერთ აქტიურ ლიდერს, რიჩარდ ჯავახაძეს (აკაკი ჯავახაძის მამას. — ვ. გ.) დაუთმო და როგორც ამბობენ, ამით გადაარჩინა დანარჩენი სასტუმროები. საყოველთაო ქაოსის პირობებში, ქვეყნის საუკეთესო სასტუმროში წესრიგის დასაცავად ჯავახაძემ მხედრიონელები მიიწვია. მათ შორის იყო რიჩარდის ვაჟიც, აკაკი. იმ დროის მოვლენებში გათვითცნობიერებულ მკითხველს არ უნდა გაუჭირდეს იმის წარმოდგენა, რა ვითარება იქნებოდა სასტუმროში, რომლის მფლობელის ვაჟი, ბუნებრივია, მამამისის შემდეგ, სასტუმროს ერთპიროვნულ პატრონად ასაღებდა თავს. 1994 წლის დეკემბერში, ერთ-ერთი გარჩევის დროს, აკაკი ჯავახაძემ პისტოლეტით მძიმედ დაჭრა სასტუმროს თანამშრომელი გოჩა ჭინჭარაული. ახლა ვინ ისჯება და მაშინ ვინ ახლებდა ხელს „მხედრიონის“ ლიდერის ამავე პრეტენზიების მქონე შვილს? მაგრამ ხომ იყვნენ მაშინ ეგრეთ წოდებული საძმოები, რომლებიც ასევე განუკითხავად დათარეშობდნენ ქვეყანაში და იმჯერად მათი გზები ძარცვის სფეროებში (რასაც ჩვენი სამართალდამცველები რატომღაც ბიზნესინტერესებად ნათლავენ) გადაიკვეთა. ამას კი 1995 წლის მაისში, როგორც მოსალოდნელი იყო, სისხლის ღვრა მოჰყვა.

**ზაზა ფერაძე**: — იმ დღეს აკაკი ჯავახაძემ და მისმა ორმა თანამზრახველმა მანქანაში ჩაცხრილეს პავლოვის ქუჩის დაჯგუფების წევრები: დაჩი გეგელია, ირაკლი გობრონიძე და ირაკლი შაგინაძე. ორი თვის შემდეგ, იმავე ჯგუფმა, პავლოვის საძმოს კიდევ ორი წევრი, ირაკლი მერაბიშვილი და არჩილ გაჩეჩილაძე დახოცეს იმავე მეთოდით. ასე რომ, ჯავახაძეს საქართველოში ბევრად მეტი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, ვიდრე ავსტრიაში, მაგრამ ჩვენი თხოვნის მიუხედავად, არ გადმოგვცეს. თუმცა სასჯელი ადეკვატურია, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ავსტრიის ციხეში ბევრად უკეთესი პირობებია, ვიდრე ჩვენთან.

სასამართლო პროცესებზე აკაკი ჯავახაძე თურმე არმანისა და ვერსაჩეს კოსტიუმებით ცხადდებოდა და ამით ცდილობდა საბრალდებო დასკვნაში გატარებული აზრის გაქარწყლებას იმის შესახებ, რომ ქართველებს გემოვნება არ აქვთ და ჩაცმა არ იციან. პროკურორ ტერეზა შუმაიხერ-შმარცალს ბუდაპეშტის სასტუმრო „მარიოტში“ ამოღებული ქართველების სამოსი ჰქონდა მხედველობაში, რაც, როგორც გახსოვთ, საბოლოოდ მათი დაკავების საბაბიც გახდა...

ასეთია მოკლედ იმ ტრაგიკული საქმის ისტორია, რომელშიც საქმის მცოდნე, კომპეტენტური ადამიანების აზრით, გახვეულია უდანაშაულო ქართველი ახალგაზრდა შუქრი ბურჭულაძე.

პაატას დედა, **ნუნუ ჭანტურიძე**: — რაკი ავსტრიაზე ვლაპარაკობთ, მინდა გითხრათ, რომ ამ ქვეყანაში პაატას კულტია. იქ ქუჩებშიც, რესტორნებშიც, ნებისმიერ დაწესებულებაში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე პაატას ფოტოებია გამოფენილი. დედა ვარ და გასაგებია, ალბათ, როგორ მიხარია ეს. თუმცა, იქვე, ავსტრიაში, ლინცის სატუსაღოსთან ჩემზე საცოდავი და შეურაცხყოფილი არავინ მეგულება. გვინდა საქართველოში ექსტრადიციაზე აღვძრათ შუამდგომლობა, მაგრამ თვითონ შუქრია წინააღმდეგი. ამბობს: მე საქართველოში პატიმრად არ ჩავალ, ჩემი უდანაშაულობა აქვე უნდა დავამტკიცოო. მაგრამ დრო გადის და ხელშესახები არაფერი კეთდება. დრო იმით გაჰყავს შუქრის, რომ ხან ხატავს, ხანაც ლექსებს წერს და როგორც ეტყობა, არცთუ ურიგოდ. ამ დღეებში თბილისში მოეწყო მისი ნამუშევრების გამოფენა, რომელმაც წარმატებით ჩაიარა.

*— ქალბატონო ელენე, შესაძლებელია თუ არა შუქრის ექსტრადიცია?*

**ელენე თევდორაძე**: — მას ჩვენი კოდექსით იგივე სასჯელი შეეფარდება, განაჩენი ძალაში დარჩება ან ხელახალი პროცესი გაიმართება. ამ შემთხვევაში ის მუხლი, რომელიც მიყენებული აქვს შუქრის, ქართული კანონმდებლობის მუხლის ანალოგიურ მუხლზე გადაკვალიფიცირდება და გადაწყვეტილებას სასამართლო ამის საფუძველზე მიიღებს. მე მზად ვარ, ჩემი უფლებების ფარგლებში ყველაფერი გავაკეთო.

*P. S. ასეთია ადამიანის უფლებების დამცველი ქალბატონის განცხადება, მაგრამ დათანხმდებიან კი ავსტრიელი სამართალდამცველები ექსტრადიციას? ჩვენ ხომ მათ თვალში ბარბაროსები ვართ და მეტი არაფერი. რაც შეეხება პაატა ბურჭულაძეს, მათი შეხედულებით, ეს ალბათ იშვიათი გამონაკლისია და ბუნებაში ასეთი რამ დასაშვებია. გეთანხმებით, თამამი განცხადებაა, რა მაძლევს ამის თქმის უფლებას? რა და ის, რომ ბელგიის მეორე, საოპერო ტრადიციების მქონე ქალაქ ლიეჟში დადგმულ ოპერაში „ატილა“ მთავარი პარტიის შემსრულებელს, პაატა ბურჭულაძეს რეჟისორმა პანკისური უნიფორმა ჩააცვა, ჯარისკაცური ჩექმებითა და ხელში ავტომატით. ბუნებრივია, ასევე ჩააცვეს სპექტაკლის ყველა მონაწილეს... ასე წარმოიდგინა ჰუნების ბარბაროსი ბელადის სახე და გარემოცვა დამდგმელმა რეჟისორმა და მას ამის უფლება, რა თქმა უნდა, აქვს. მე მხოლოდ ის მაღელვებს, პაატას სამშობლოსთან რომ გააკეთა ანალოგია და არც დაუმალავს, პანკისიდან ვიღებ ამ ყველაფერსო.*

*და კიდევ: ზაზა ფერაძემ ამ დღეებში ვახტანგ გორგასლის ორდენი მიიღო პანკისში ჩატარებული წარმატებული ოპერაციისთვის.*

*ჭეშმარიტად პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ.*

**ვაჟა გავაშელი**



შუქრი ბურჭულაძე (ცენტრში) დედ-მამასთან ერთად

# ორთაჭალაში საკნებს კედლები აღარ აქვს



## „ამ შეიარაღებით დიდი არეულობის მოწყობა შეიძლებოდა“

გასული კვირის ბოლოს, შაბათ დილით, ციხის ადმინისტრაციის მიერ გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიების დროს, ორთაჭალაში, ოთხ კოლონიაში ერთდროულად ბუნტი დაიწყო. არაოფიციალური ინფორმაციით, ციხეში საკნებს შორის აღარ არსებობს კედლები, კარები, ერთი სიტყვით, ყველაფერი დანგრეულია. შინაგანი ჯარის დახმარებით ერთ საათში სიტუაცია ლოკალიზებული იქნა. დაზარალებულები არიან როგორც პატიმრები, ასევე ციხის თანამშრომლები. ამჟამად „რესბალნიცაზე“ გადაყვანილია 26 პატიმარი, დანითა და მჩხვლეტავი საგნებით სასჯელაღსრულების 10 თანამშრომელია დაჭრილი. ციხის ადმინისტრაციამ შემთხვევის ადგილზე არ შეუშვა არასამთავრობო ორგანიზაციები. სიტუაცია უკიდურესად გამკაცრებულია. პატიმრების საკნებიდან ამოღებულია უამრავი იარაღი. როგორც ჩანს, ციხის თანამშრომლებს თავიანთი არაკანონიერი ქმედებები (ვიღაც-ვიღაცებს იარაღი ციხეში გამუდმებით შეჰქონდათ) უკან შემოუბრუნდათ. დღეს მათი ნაწილი იმავე იარაღით არის დაჭრილი, რომელიც თავის დროზე მათი წყალობით არ უნდა მოხვედრილიყო პატიმრების ხელში. „კვირის პალიტრა“ ესაუბრა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს **პაატა მხეიძეს**.

**— ბატონო პაატა, რა მოხდა ციხეში?**

— უკანასკნელ პერიოდში სხვადასხვა სტრუქტურიდან მიღებული იქნა ოპერატიული ინფორმაცია, რომ სასჯელაღსრულებების დაწესებულებებში მზადდებოდა ბუნტი მასობრივი არეულობის და დაუმორჩილებლობის გამოხატვის მიზნით. უსაფრთხოების სამსახურების საშუალებით ინფორმაცია გადავამოწმეთ. შს სამინისტროსთან და გენერალურ პროკურატურასთან ერთად შევიმუშავეთ გეგმა, რომელიც გულისხმობდა ფართომასშტაბიან პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ჩხრეკა-დათვალიერების, დესტრუქციული კატეგორიის მსჯავრდებულების გამოვლენის და მათი იზოლირების სახით. თავდაპირველად ბუნტის წამოწყების მიზეზი უნდა ყოფილიყო მძიმე სოციალური პირობები, მოგვიანებით კი უნდა წამოეყენებინათ მოთხოვნები, რათა ციხეში არსებული მდგომარეობა შეეცვალათ. არადა ამის ფინანსები არც ჩვენ და არც სახელმწიფოს არ გააჩნია. ბოლოს კი ციხის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებდნენ. ერთი რამ ცალსახად შემიძლია ვთქვა, — როცა გარეთ, ღია საზოგადოებაში იძაბება მდგომარეობა, ამის პირველი ანარეკლი ციხეა. მერე აქედან ხდება ამ ყველაფრის ესკალაცია. სწორედ ამიტომ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გატარებულიყო პროფილაქტიკური ღონისძიება. ბოლო პერიოდში, მე-5 საპყრობილეში მკვეთრად გართულდა სარეჟიმო სიტუაცია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ამ საპყრობილიდან დაგვეწყო ამ ღონისძიების ჩატარება. გარდა ამისა, პატიმრების გარკვეული კატეგორია განსაკუთრებული ცინიზმითა და თავხედობით ადმინისტრაციას უპირისპირდებოდა. ისინი მოითხოვდნენ სასათბურე პირობებს...

დილის 8 სთ-ზე მობილიზებული ძალები — სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 300 თანამშრომელი, სპეცდანიშნულების რაზმი შევიდა საპყრობილეში და დაიწყო ჩხრეკა-დათვალიერება. დაახლოებით 2-3 სთ-ის განმავლობაში მიმდინარეობდა როგორც პირადი, ისე — საკნების ჩხრეკა. ღონისძიება მიმდინარეობდა ყოველგვარი ექსცესების გარეშე და ასე, დილის 11 სთ-ზე, მოულოდნელად, თბილისის №5 საპყრობილეში, №1-ში ე.წ. „კრიტში“ და სხვაგან და სხვაგან დაიწყო ე.წ. „შუმოკი“. პატიმრები წინასწარ მომარჯვებული რკინის ნივთებით ურტყამდნენ და ანგრევდნენ ციხის კედლებს, ასევე საპყრობილის კარებს. მდგომარეობის განმუხტვა ერთ საათში მოხერხდა და უკვე სიტუაცია კონტროლს ექვემდებარებოდა.

**— მართალია, რომ ხელყუმბარები ააფეთქეს და საკნებს შორის კედლები აღარ არსებობს?**

— ხელყუმბარები არ აუფეთქებიათ, მაგრამ კედლები დანგრეულია. ალბათ მკითხავთ, როგორ დაანგრიესო. კედლები აშენებულია 1853 წელს ალიზით. ვისაც გინდათ ჰკითხეთ, რომ არ არის გამოყენებული არც არმატურა და არც სხვა რამ. ციხე რომ დანგრევის პირას იყო, ამას პაატა მხეიძე ერთი წელიწადია გაიძახის.

**— შეტაკებისას ვინმე დაიღუპა?**

— არავინ, მაგრამ „რესბალნიცაზე“ 26 პატიმარია გადაყვანილი. 10 თანამშრომელია დაშავებული. მათ შორის ჩემს თანამშრომლებს დანით მიყენებული ჭრილობები აქვთ. პატიმრები მხოლოდ ნაცემები არიან.

**— მართალია, რომ ხანძარი გაჩნდა და საკნები დაიწვა?**

— პატიმრებმა ზეწრებს ცეცხლი წაუკიდეს. სერიოზული ხანძრის კვალი, მთელი კატეგორიულობით გეუბნებით, საპყრობილეში არ ყოფილა. თუმცა არ უარვყოფ, რომ კედლები და საკნების კარები დანგრეულია.

**— ცეცხლსასროლი იარაღი თუ იყო გამოყენებული?**

— არა.

**— რა გაარკვიეთ ამ ეტაპზე — ვინ წამოიწყო ბუნტი?**

— უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევ და ამიტომ ვერაფერს გეტყვით. მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

**— რა ამოიღეთ თქვენ მიერ ჩატარებული ღონისძიების შედეგად?**

— ხანჯლები, ასევე მჩხვლეტავი საგნები, ავტომატები, ხელყუმბარები, დანები, ბებუთები, ნაჯახები, მობილური ტელეფონები. დამეთანხმეთ, რომ ამ არსენალით დიდი მასშტაბის არეულობის მოწყობა შეიძლებოდა.

*მარინა მამისაშვილი*







AXIS აქსისი

- 2 ოთახიანი 75 მ²
- 3 ოთახიანი 110 და 130 მ²
- 4 ოთახიანი 150-დან 220 მ²-მდე
- დუპლექსის ტიპის ბინები ტერასებით და ბუხრებით
- ჭერის სიმაღლე 3.24მ
- ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის და მომსახურე პერსონალის ხელ-ფასს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი.

მშენებარე სახლი თამარაშვილის ქუჩაზე - (იპოდრომთან)

- აქსისი საშუალებას გაძლევთ იცხოვროთ კომფორტულ სახლში თამარაშვილის ქუჩაზე, სადაც თქვენ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნობთ თავს.
- ინფრასტრუქტურა: საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, სილამაზის სალონი, დაცვის, ტექნიკური და სანიტარული მომსახურება, მარკეტი, მინისქვეშა სადგომი.
- შენობას სამი მხრიდან ესაზღვრება იპოდრომის ტერიტორია. ექნება 1000 კვ.მ. კეთილმოწყობილი ეზო და საბავშვო მოედანი.

არაყიშვილის ქ. №14

ტელ: 25 34 34
91 25 34
91 25 33

e-mail: axis@axisbuilding.com

# დროის გაყვანის პოლიტიკა?!

არჩევნების შემდეგ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ხალხს პირობა მისცა, ამ ხუთწლედს აფხაზეთის დაბრუნებას მივუძღვნი და მიზანს აუცილებლად მივაღწევო. პირობის შესრულებას იგი კონკრეტულად წელს შეუდგა(?!). როგორც უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ ბრძანა, უშიშროების საბჭოს აპარატმა, პრეზიდენტის დავალებით, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ერთიანი სამოქმედო პროგრამის შესაქმნელად მუშაობა უკვე დაიწყო(?!). აფხაზეთის პრობლემის მოგვარების შემდეგ კი რეაბილიტაციის და განვითარების გეგმა ყველა სახელმწიფო სტრუქტურამ უნდა წარმოადგინოს. ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე და უშიშროების საბჭოს ყოფილი წევრი ზურაბ ჟვანია საკუთარი პარტიის აქტივისტებს ერთ-ერთ შეხვედრაზე გამოუტყდა, რომ „საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია არანაირი სტრატეგიული გეგმა, რომლითაც იგი აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე იფიქრებდა". არ შეიძლება არ ვენდოთ მას, რადგან იგი 6 წლის მანძილზე, უშიშროების საბჭოს ფუნქციონირებისა და ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების შესახებ ყოველგვარ ინფორმაციას ფლობდა. იმ პერიოდში კი, როგორც დღეს ირკვევა, ქვეყნის მთავარი სტრატეგია არჩევნების მოგება და ხელისუფლების სადავეების შენარჩუნება გახლდათ. წარსულის ქექვით თავმობეზრებული საზოგადოება ცდილობს ამ კუთხით დღევანდელ პოლიტიკას მიაპყროს ყურადღება, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე დაშვებული შეცდომების და გამოუყენებელი შესაძლებლობების შედეგებს ვიმკით. აქედან გამომდინარე, სიტუაცია რთულია და მისი დაძლევა გაცილებით მეტ ძალებს მოითხოვს. შესწევს კი ჩვენს ქვეყანას ამის ძალა? პოლიტიკურ სპექტრში ამ კითხვაზე არაერთგვაროვანი პასუხი არსებობს.

სამწუხაროდ, აფხაზეთში სეპარატისტების ჩატარებულ არჩევნებს არც ერთხელ არ მოჰყოლია ფართომასშტაბიანი აქციები არც ენგურის ხიდთან, არც თბილისში და არც რუსეთის საელჩოსთან. არადა, არაოფიციალურად რუსი დამკვირვებლები არჩევნებს დაესწრნენ. დღეს ხშირად გაისმის ბრალდებები აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მისამართით, თითქოს დევნილთა აქციებს ისინი მართავენ. ჩნდება კითხვა — რატომ ითვლებოდა უაზროდ და უადგილოდ უკანონობის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვა მაშინ და რატომ ითვლება იგი ბრძოლის ერთ-ერთ მეთოდად დღეს, როდესაც ბევრი რამ ხელიდან წაგვივიდა?

ამ კითხვაზე პასუხს კვლავ მომიტინგეები თუ გაგვცემენ. ენგურის ხიდთან ამა წლის 6 იანვარს განახლებული აქციის შტაბის წევრი **მურმან მალაზონია**:

*— 1994 წლიდან 1998 წლამდე აქციები თითქმის არ ჩატარებულა, რამ გამოიწვია ასეთი ხანგრძლივი პაუზა?*

— იმ პერიოდებში საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნები მიმდინარეობდა. ხელისუფლება გვპირდებოდა, რომ აფხაზეთში დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებდა, რომ იმხანად სიმშვიდე იყო საჭირო. აქციებიც ამიტომ არ ტარდებოდა.

*— დღეს საკმაოდ აქტიურად მოქმედებთ, გვახსოვს, შარშან, ენგურის ხიდთან და რუსთაველზე გამართულ აქციებზე რადიკალური მოთხოვნები გქონდათ და ჯარების გაყვანამდე დაშლას არ აპირებდით.*

— მაშინ პირადად პრეზიდენტმა გვითხრა — სადაც 10 წელი ითმინეთ, კიდევ ცოტა მაცალეთო, აფხაზეთში დევნილთა უპირობო დაბრუნებას დაგვპირდა — ახლა რომ ამოეწურებათ რუს სამშვიდობოებს მანდატი, აღარ გავუგრძელებთ, საზღვარს ენგურიდან ღალიძგამდე გადავწევთ, სამშვიდობო ჯარს საპოლიციო ფუნქციას დავაკისრებთ და ისინი გალში შესული მოსახლეობის უსაფრთხოებას დაიცავენო. ჩვენ დღეს არც პასპორტების და არც რკინიგზის გამო არ ვაცხადებთ პროტესტს. დღეს სულ სხვა ლოზუნგები გვაქვს. ადრე რუსი სამშვიდობოების გაყვანას ვითხოვდით, დღეს კი უნდობლობას ვუცხადებთ პარლამენტსაც, პრეზიდენტსაც და მათ გადადგომას მოვითხოვთ, თუ რეალურ გზებს არ გამონახავენ აფხაზეთის დასაბრუნებლად...

ერთი სიტყვით, პოლიტიკოსებს აფხაზეთის დასაბრუნებლად გეგმა-დოკუმენტის შექმნა თურმე ბუნტის მოლოდინშიღა მოაგონდათ. ამ სახელდახელოდ მოსამზადებელი ქაღალდით ალბათ კიდევ ცოტა ხანს შეიქცევენ მოთმინებადაკარგულ დევნილებს. მანამდე კი დევნილთა იერარქიულ საფეხურებად დაყოფილ ხალხს, რომელიც ხელისუფლებამ წლების მანძილზე შეგნებულად მიაჯაჭვა ლეგიტიმური ხელისუფლების გაბერილ (5.000) საშტატო ადგილებს, ხელფასებს და სხვადასხვა ჰუმანიტარული ხასიათის მაქინაციებს, შემოსავლის წყაროც შეუწყდა (ჰუმანიტარული პროგრამები ძველებურად არ მუშაობს, ცენტრალური ბიუჯეტი აფხაზეთის (ლეგიტიმურ) ბიუჯეტს ცუდად აფინანსებს და ნერვებიც ღალატობს. ეს ფაქტორი სერიოზულ პრობლემებს უქადის ცენტრალურსა და მის სატელიტ, აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, რომელიც ამ წლების მანძილზე, ფაქტობრივად, ბუფერის როლს ასრულებდა დევნილ მოსახლეობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. 1998 წლის გალის მაისის მოვლენების შემდეგ, თამაზ ნადარეიშვილი და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ლონდერ ცაავა თავიანთ პუბლიკაციებში აღიარებდნენ, რომ მათი უპირველესი ფუნქცია დევნილ მოსახლეობასთან „მუშაობა", ანუ „მეხანძრის" ფუნქციის შესრულება იყო. ერთი სიტყვით, ქართულ პოლიტიკას სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ფორმით მოუწია დევნილებთან „მუშაობა". მოსახლეობაში ეჭვის საფუძველი კვლავ არსებობს — ისევ ხომ არ გრძელდება დროის გაყვანისა და დაშოშმინების პოლიტიკა?

***რუსუდან ხუბულავა***

თათა იოსებიძის ნახატი



# თქვენ გეიხარეთ, რავარც მე მახარეფთ ყოველ ორშაფათს!

## — ნაზიკო დეიდა ხონიდან

### წერილები „კვირის პალიტრას" — „თლათ" საქართველოდან

ზამთრის ერთ თოვლიან, ცივ და ნაცრისფერ დღეს ქუჩაში გამოსულს არაფრის გაკეთება არ მინდოდა და არც იმაზე ფიქრი, რომ ჩემი ჯიბის „სისქეზე" იყო დამოკიდებული ეს განწყობილება...

დაღლილი, მზერაჩამქრალი ადამიანები თავჩაქინდრულნი დადიოდნენ ქუჩებში და ვერც ერთი ვერაფერს მეტყოდა საიმედოს, ისეთს, რაც სიხარულს და სინათლეს შემოიტანდა სულში, ე.ი. გაზეთის უახლეს ნომერშიც არაფერი მექნებოდა სათქმელი მკითხველისთვის, რომელიც ასე მანებივრებს თავისი ყურადღებით. ამ ცოტა ხნის წინათ გადმომცეს წერილების დასტა: „ინგა, შვილო, როცა ვანში მოხვდები, აუცილებლად მესტუმრე, ჩემთვის არაფერს გთხოვ, ისე მოგეფერები... ქეთო დეიდა, 67 წლის", — მწერდა ქალბატონი, რომელმაც ჩემზე იფიქრა და შეუძლებელია არ მიყვარდეს...

„ქალბატონო ინგა, მე ჟურნალისტობაზე ვოცნებობ და ძალიან მინდა „კვირის პალიტრაში" ვიმუშაო, ხომ მიმიღებენ?!" — 16 წლის ნატა მემუდარება თუ იმედს მთხოვს და საკუთარი თავი მახსენდება: მიუხედავად იმისა, რომ მასზე ბევრად უფროსი ვიყავი, როცა „კვირის პალიტრაში" „მიმიღეს", მეც ასე ვღელავდი...

„ინგა, იქნებ ყვარელში ჩამოხვიდე... ჩემს საიდუმლოს სხვას ვერავის გავანდობ, „კვირის პალიტრა" ჩემი ბოლო იმედია, — ვარო, 55 წლის"... მეპატიჟება და ზუსტი მისამართის დაწერა დავიწყებია. ეტყობა, ძალიან ღელავდა, არადა როგორ არ მინდა იფიქროს, რომ უყურადღებოდ დავტოვე...

12 წლის მიხოსაც დავიწყებია მისამართის მიწერა: „ინგა დეიდა, მე ინვალიდი ვარ, დამოუკიდებლად ვერ დავდივარ. „კვირის პალიტრა" ძალიან მიყვარს, თავიდან ბოლომდე ვკითხულობ. ნეტავი ჩემთანაც მოხვიდოდეთ!.."

აუცილებლად მოვიდოდი თუნდაც დღესვე, მით უმეტეს, რომ ბიჭი თბილისელია: „ფანჯარასთან მიყვარს ჯდომა და ქუჩის თვალიერება. როცა ჩვენი სახლისკენ გადმოუხვევენ, სულ ვნატრობ, რომ ჩემთან მოდიოდეს ის „ვიღაც", ძალიან დამღალა მარტოობამ!" — ვცდილობ, წარმოვიდგინო მარტოობით დაღლილი პატარა ბიჭი, სიმართლე გითხრათ, ძალიან სევდიანი „ნახატი" გამომდის...

სამაგიეროდ, ამ წერილს შემოაქვს სინათლის სხივი განწყობილებაში: „ერთ წერილში წერდი, გასათხოვარი ვარო. ისეთი გულიანი, კეთილი წერილების წერა იცი, არ შეიძლება ცუდი იყო, თუ მიკადრებ სოფლელ ბიჭს, ცხენით ჩამოგაკითხავ ქალაქში... გარეგნობა არ დამეწუნება: არსენას მხარ-ბეჭიც მაქვს და ღონეც მერჩის, ეგაა, ნასწავლობაში მოვიკოჭლებ და წერა არ მეხერხება, მაგრამ წერა-კითხვა რა კაცის საქმეა, ისიც ამ დროში, როცა მიწას პატრონი სჭირდება" და ა.შ.

გამახარა ამ უცნაურმა სიყვარულმა და აღსარებამ: რომ წარმოვიდგინე ცხენზე ამხედრებული მხარბეჭიანი „არსენა" როგორ მოადგებოდა „კვირის პალიტრის" რკინის ალაყაფს, სიამაყემაც ამავსო, მაინც ქალი ვარ... თუმცა კი, სოფელში გათხოვებას ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან ძროხაც, ცხვარიც და სხვა წვრილფეხობა ან წიგნში მყავს ნანახი, ან საუკეთესო ვარიანტით — 100-200 მეტრის სიშორიდან, როცა სოფლად ნათესავებთან მიწევს სტუმრად ჩასვლა რამდენიმე დღით...

სვანეთში მივლინებისას ერთმა მხარბეჭიანმა სვანმაც მიუჟუჟუნა თვალები, მაგრამ შინაურებმა მკაცრად გააფრთხილეს: „ქალაქელ დინოლარ სოფელისა მა გამოდგებამო!" (ქალაქელი გოგო სოფელში არ გამოდგებაო) და ისე გადაამმალეს, სამი დღე დავრჩი და სათოფეზეც არ მომაკარეს ის ოჯახის ბურჯი და გვარის იმედი... მართლებიც იყვნენ, არც მე მესაქმება რამე სოფელში და არც იმ ჯანიან ბიჭებს ქალაქში....

„ქალბატონო ინგა, რამე რომ იყოს, „კვირის პალიტრაში" სამსახურს ხომ არ დამაწყებინებდით? — ვაჟა, 42 წლის". ვინ მეკითხება მე, ბატონო ვაჟა, „კვირის პალიტრის" შტატების განაწილებას?!. შეგეშალათ, გაზეთის მთავარი რედაქტორი ქალბატონი ლალი გუნთაიშვილია!..

„ინგა, აუცილებლად დამირეკე ტელეფონის ნომერზე 96... ღამით უცხოპლანეტელები მიკაკუნებენ ფანჯრებზე, ქვებსაც ესვრიან მინას! — ლილი, 59 წლის."

დავრეკე კიდეც, ლამის დილამდე ველოდე უცხოპლანეტელების კაკუნს ქალბატონი ლილის ფანჯრებზე, მაგრამ... არ მოვიდნენ: „გიუცხოვეს, ან არ მოეწონე ალბათ!", — კატეგორიული იყო ქალი, სამაგიეროდ, გავიგე, რომ მას ძალიან ცუდი და შურიანი მეზობლები ჰყავს, რომლებიც სისხლს უშრობენ(!)...

„ინგა, რაფერი კაი გოგოც ხარ, იმფერ კაი გაზეთში მუშაოფ, თქვენ გეიხარეთ, რავარც მე მახარეფთ ყოველ ორშაფათს! ისე, იცოდე, თქვენს გაზეთს თლათ საქართველო კითხულობს! — ნაზიკო დეიდა ხონიდან." ასე მოკლედ და გასაგებად გვითხრა თავისი სათქმელი უცნობმა ქალბატონმა და ძალიანაც გაგვახარა, თუმცა... ერთი ასეთი წერილიც ვნახე: „რა იყო, რას დამზაფრე, გოგო, ამ უცნაური ამბებით, დაღამების მეშინია, ხან 20 წლის დამარხული ჩემი ქმრის, ვალიკოს მოჩვენებას ვხედავ სარკეში და ხან ჩემი დედამთილი მიჭერს ყელში გამხმარ ხელებს: — მე მიწაში უნდა ვიწვე და შენ ჩემს ქონებაზე პარპაშებდეო?!. მარტო ველარ ვჩერდები შინ... დააყენე მკვდრები მიწაში და კუდიანები — ტყეში, თორემ ერთ დღეს შენც მოგადგებიან კარზე, იმედი მაქვს!.. „კვირის პალიტრა" პატიოსანი ხალხის გაზეთია!" — ნინა სიღნაღიდან.

არც 63 წლის ქეთო დეიდას მოვწონვარ დიდად. „ჯავრი და დარდი ისედაც ბევრი აქვს ხალხს, სხვისი გაჭირვება არ ჩასჩარო ცხვირში. სად ნახულობ ამდენ გაჭირვებულს, მაგნიტივით რავა იზიდავ ტკივილს და უბედურებას... არ დაგინახო მეორედ გაზეთის ფურცლებზე, თვარა რედაქტორთან გიჩივლებ და დაგტოვებ უმუშევარს. მერე შენზე დაწერს ვინმე, — მშიერი კვდება და ეკლესიასთან მათხოვრობსო, მარა არ შემეცოდები!.."

რას მერჩით, ქეთო დეიდა, შიმშილისთვის და მათხოვრობისთვის როგორ მიმეტებთ. ნუ წაიკითხავთ იმ მასალას, რომლის ქვეშაც ჩემი გვარია, თქვენც მოისვენებთ და მეც გადავრჩები თქვენს რისხვას...

„არ გრცხვენია, ცაჲ, გურიაში იყავი და ისე გეიპარე, იროდიე კალანდაძე არ მეიკითხე?!. ჩათვალე, რომ არ გინახია გურია... ჩამოი, ჩამოი კიდო და იმფერ რაცხეებს გეიგონებ, ნოდარა დუმბაძის მერე მეორე იქნები ქართულ მწერლობაში!" — დაწვრილებით მიხსნის ბატონი იროდი თავისი სოფლის და სახლის მისამართ-მისასვლელს, ისიც არ დავიწყებია: „იმფერი მაღალი კოპიტი ჩემს ეზოში როა, მეორე არ იზრდება თელ გურიაში. კარგად თუ დაძაბავ მზერას, თბილისიდანაც ქე დეინახავო!.."

„გოგო, შე მამაძაღლო, რაჭველი ხარ, აქ დეიარები წელიწადში ორ-სამჯერ და ჩვენს სოფელში ერთხელაც არ მოსულხარ, გეკადრება შენ?!. ნიკორწმინდაში გალაკტიონმა ჩათვალა თავი ბედნიერად და სახელიც გეითქვა, იმისთანა კაი ლექსი დაწერა. ამოდი, ბოშო, ამოდი, ბევრს ქვე კი ნუ გვალოდინებ!" — მისამართიც „რაჭულად" იყო ნამდვილად მიწერილი: „სოფლის ცენტრში, ყოფილ კანტორასთან იკითხავ მიშიკუნა ბიძიას..."

რაჭაში და რაჭველებთან სტუმრობა ყველაზე ადვილი და შესაძლებელია ჩემთვის. მთელ საქართველოს შემოევლოს ჩემი სიცოცხლე, მაგრამ რაჭა მაინც განსაკუთრებული სიყვარულია ჩემი, ჩემი მამისა და პაპის სამშობლო, იქაურების მოფერებას და შექებას სხვა ფასი აქვს ჩემთვის, თუმცა კი ერთ წერილს სულ თან დავატარებ, რომელიც მარტოხელა ქალბატონმა, 78 წლის თინათინ მ-ძემ გამომიგზავნა ქართლიდან და ის ლოცვას უფრო წააგავს: „კვირის პალიტრის" ყოველ ნომერს ისე ველოდები, როგორც ნაოცნებარი ახლობლის მოსვლას ჩემს მარტოობაში... გაიხარეთ, გამრავლდით, გაძლიერდით და გახსოვდეთ, რომ თქვენ ძალიან ბევრის იმედი ხართ, ე.ი. დიდი პასუხისმგებლობაც გაკისრიათ. თქვენ რომ რაიმე გეტკინოთ, მეც მეტკინება, ამიტომ ყოველ კვირას ვანთებ სანთელს თქვენს სახელზე ეკლესიაში!.."

დიდი მადლობა დეიდა თინათინს. სამწუხაროდ, მან არც გვარი გაამხილა და არც მისამართი, თორემ აუცილებლად ვესტუმრებოდით, მის მოლოდინს დღესასწაულად ვაქცევდით, ისევე როგორც მკითხველის ნდობა და სიყვარული გვილამაზებს ყოველდღიურობას, მუშაობისთვის განგვაწყობს და სტიმულს გვაძლევს..

...შეუმჩნევლად გავიარე თოვლიანი გზა მკითხველზე ფიქრში... რატომღაც არც იმას ვჯავრობდი, რომ წერის და მუშაობის განწყობა ვერ დავიბრუნე, მაგრამ... არც შეჩერების უფლება რომ არა მაქვს (გვაქვს)?!.

ეს ერთი დღე ასე იყოს და... ხვალიდან ისევ დავწერ, მკითხველის განწყობილებაზე ვიფიქრებ და არა საკუთარზე, თუმცა კი... რამ გაგვყო და განა ჩვენც მაშინ არ გვიხარია, როცა თქვენ გიყურებთ კმაყოფილებს?!.

თქვენ რომ პრემიას მომანიჭებთ (მკითხველის პრემია!), იმ დღეს ჩემზე ბედნიერი კაცი არ მგონია საქართველოში.

თავს ისე ვგრძნობ, როგორც უდიდესი მსახიობი თეატრის სცენაზე წარმატებული პრემიერის შემდეგ, ლამისაა ტაშით რომ ჩამოიქცევა ჭერი. მსახიობი ამით ცხოვრობს და სულდგმულობს. ჩვენც თქვენი სიყვარული გვაწერინებს. გმადლობთ ყველაფრისთვის. თქვენთან კვლავ შეხვედრის მოლოდინი არ მოგვიშალოს ღმერთმა!..

***პატივისცემით, ინგა ჯაყელი***

# რას გვეცყვი, მამაო?

**— მე და ჩემს მეგობრებს ხშირად გვაქვს კამათი: მე ვამბობ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია მსახიობს არ სწყალობს და მის პროფესიას სატანურს უწოდებს. მეგობრები მეწინააღმდეგებიან. მაინტერესებს ამავე კონტექსტში მოიაზრებიან თუ არა სპორტსმენებიც.**

— მსახიობობის ზოგიერთ სახეობას წმინდა ილია მართალი ერისთვის სასარგებლო საქმედ თვლიდა. ეკლესია ებრძვის მსახიობის ისეთ ქმედებას, რომელიც უკეთურობას უწევს პროპაგანდას (ვთქვათ, მრუშობას...), ნერგავს ღვთის მცნებების საწინააღმდეგო აზრს. ცოდვების მონანიება მსახიობსაც შეუძლია... ისიც ისეთივე ცოდვილია, როგორიც სხვა დანარჩენი პროფესიის ადამიანი. რაც შეეხება სპორტსმენებს: ადრეულ ეტაპზე მათ წინააღმდეგ ეკლესია კატეგორიულად იბრძოდა, რადგან სპორტი, ოლიმპიადა დაკავშირებული იყო ოლიმპოს მთის კერპებისთვის მსხვერპლშეწირვასთან. ახლა ეს ტრადიცია აღარ არსებობს და ეკლესია სპორტსმენებსაც ისევე უღებს კარს, როგორც ყველა სხვას, ვისაც უფალთან მიახლოება სწადია.

**— 22 წელიწადია, რაც გავთხოვდი, მეუღლემ მომიტაცა და ხარების დღესასწაულზე გვქონდა ქორწილი. რაც გავთხოვდი, ბედნიერი არ ვყოფილვარ. საქმეებიც ცუდად მიგდის. მეუღლე არ მიყვარს, ვწყევლი შვილებს და შემდეგ საშინლად განვიცდი. სახლი ვაკურთხებინე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. როგორ მოვიქცე?**

— ის, რომ ქორწილი ხარების დიდ დღესასწაულზე დანიშნეთ, უღმერთოდ ცხოვრების შედეგია. თქვით აღსარება და შეგენდობათ. ოღონდ, ნუ ელით, რომ ერთჯერადი მონანიებით, ან სახლის კურთხევით გამოხვალთ ამ მძიმე მდგომარეობიდან. უფალთან მიახლოების გზა რთულია. მით უმეტეს, თქვენი საქციელიდან ჩანს, რომ თქვენი გული უკეთური ძალის სამფლობელოდ ქცეულა. შვილებისადმი ასე მოპყრობა არ შეიძლება. მომაკვდინებელი ცოდვაა თვითმკვლელობაზე ფიქრი. დაუბრუნდით უფალს. იარეთ ეკლესიაში, ილოცეთ, გაანდეთ მოძღვარს მტანჯველი ფიქრები. მოინანიეთ და სიყვარული ნელ-ნელა მოვა. შესაძლოა, ხელი უამრავმა საცდურმა შეგიშალოთ, მაგრამ ნუ დანებდებით. მოითმინეთ და სიმშვიდე თანდათან დაისადგურებს თქვენს ოჯახში.

**— გთხოვთ გვიპასუხოთ, ვინ იყო წმინდა ტრიფონი?**

— წმინდა ტრიფონი რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ არის შერაცხული წმინდანად. ის უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, როცა რუსეთის მეფეს, ივანე მრისხანეს საყვარელი ბაზიერი დაეკარგა. მეფემ ერთ-ერთი ტაძრის ბერს უბრძანა — ილოცე, როგორც გინდა, ბაზიერი დამიბრუნეო. ბერი შეევედრა წმინდა ტრიფონს, რომ დახმარებოდა. რამდენიმე ხანში ბაზიერი იპოვეს და მეფეს მიჰგვარეს. მას შემდეგ წმინდა ტრიფონს ხატებზე ბაზიერით მხარზე გამოსახავენ და დაკარგულის მოძიებაში შეწევნას სთხოვენ.

**— მოგვეკითხება თუ არა ის ცოდვები განკითხვის ჟამს, რომელსაც აღსარებაზე ვამბობთ?**

— ცოდვები, რომლთაც აღსარებაზე ჭეშმარიტი სინანულით ამბობთ და ყოველ ქმედებას მათ აღმოსაფხვრელად მიმართავთ, არ მოგეკითხებათ, მაგრამ უფალი თავად განსჯის, როდის არის მონანიება გულწრფელი, როდის განიცდით და იტანჯებით ჩადენილი უკეთური ქმედების გამო. სამწუხაროდ, არის ისეთი ცოდვები, რომელსაც ადამიანი გამუდმებით სჩადის (ვთქვათ, პატივმოყვარეობა) და ყოველ აღსარებაზე ინანიებს. თუკი სინანული გულწრფელია, მრავალჯერ აღსარების თქმა ცოდვასთან გამუდმებით ბრძოლას ნიშნავს და ჩანს, რომ ადამიანი მიილტვის განწმენდისაკენ და ამას უფალი ხედავს.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „ასეთების გვერდით რომ დავდგე, მეგობრები ზურგს შემაქცევენ...“

„აღორძინებას“ თბილისის საკრებულოში ფრაქცია აღარ ჰყავს. სამი ამღორძინებელი თბილისურ გუნდს გამოაკლდა. ლეიბორისტების სენი — თანაგუნდელებით სხვა პარტიის რიგების შევსება — „აღორძინებასაც“ გადაედო. ვარაუდობენ, რომ განაწყენებული ამღორძინებლები საააკაშვილის ბანაკში ამოყვინთავენ და საკრებულოს თავმჯდომარის ფრთებქვეშ გააგრძელებენ მოღვაწეობას.

შინადაპირისპირებები და უთანხმოება აბაშიძის პარტიას სოკოსავით მოედო და ნელ-ნელა ასუსტებს. ვარაუდობენ, რომ მალე „აღორძინების“ საპარლამენტო ფრაქციასაც მოაკლდება რამდენიმე გამოკვეთილი ფიგურა. ვინ უკეთებს პროვოცირებას „აღორძინებაში“ დაწყებულ შინაომებს და რა მიზანს ემსახურება ეს ხელოვნური ქაოსი (როგორც თავად ამღორძინებლები ამბობენ), ამის გარკვევა ვალერი გელბახიანსა და სანდრო ბრეგაძესთან ვცადეთ.



**ვალერი გელბახიანი:**

— როდესაც საკრებულოს დეპუტატების ფრაქციიდან წასვლის ამბავი გავიგე, გამიკვირდა. ვფიქრობ, იჩქარეს. როგორც ჩანს, თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ამ ხალხთან არ ისურვა ურთიერთობის გარკვევა და მათ საპასუხოდ ფრაქციიდან წასვლა გადაწყვიტეს.

**— რა საკითხზეა დაპირისპირება თქვენს პარტიაში?**

— ბოლო დროს პრესაში გახმიანებული დაპირისპირებების ამბავი მრავალწლიანი შინაპრობლემების ანარეკლია.

**— ხალხი, რომელიც დღეს „აღორძინებას“ გაემიჯნა, რომელიმე პოლიტიკური ძალისაგან ხომ არ იყო პროვოცირებული?**

— მოვერიდები ვინმესთვის რაიმე იარლიყის მიკერებას. აქ არაფერ შუაშია დასავლეთი, ჩრდილოეთი, კანცელარია ან კგბ. როდესაც თბილისის ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელობა დაინიშნა, მან ბრალი დასდო ძველ ხელმძღვანელებს. ბრალდებულებმა შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი და შედეგმაც არ დააყოვნა.

**— მაგრამ ცოტნე ბაკურია ამბობს, — პრობლემებს არავის ვუქმნიო.**

— თუ მართლაც ასეა, რატომ გარბის ეს ხალხი?!

**— როგორც მითხრეს, მალე თქვენც დატოვებთ „აღორძინებას“.**

— არასოდეს მითქვამს „აღორძინებას“ ვტოვებ-მეთქი. პარტიის აღმშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი მიმიძღვის და როგორ შეიძლება ერთი ხელის დაკვრით დავტოვო ყველაფერი? სხვა რომ მიდის პარტიიდან, ის არის მიუღებელი ჩემთვის და თვითონ როგორ წავალ? თუმც, ისიც ვიცი, რომ პარტიაში არის პრობლემები, რომლებიც უნდა დავძლიოთ. პიროვნებების წასვლა-წამოსვლით „აღორძინება“ არ დაიშლება.

**— მაგრამ ფაქტია, რომ ბ-ნი ასლანის მცდელობა, შეერიგებინა გიორგი თარგამაძე და ცოტნე ბაკურია, უშედეგოდ დასრულდა.**

— ბატონი ასლანი ძალიან დატვირთულია და ვეღარ მოიცალა პარტიული საკითხების დარეგულირებისთვის. როგორც ჩანს, მას არ ჰქონდა ყოველდღიური ინფორმაცია პარტიაში მიმდინარე მოვლენებზე. ამავდროულად, არ მიაჩნდა საჭიროდ პიროვნებათა ურთიერთობებში ჩარევა. ამიტომაც განვითარდა გაუთვალისწინებელი პროცესები.

ბ-ნ ბაკურიას მაინც მოუწევს კონკრეტულ კითხვებზე კონკრეტული პასუხის გაცემა. რას ჰგავს მისი ნათქვამი, პარტიის აქტივის დაშლა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა არ არისო, როცა თვითონ ჰქონდა პრეტენზიები თბილისის ორგანიზაციის ძველ ხელმძღვანელობასთან. ყველა ცდილობს სხვას გადააბრალოს რაღაც, საკუთარ პასუხისმგებლობაზე კი არავინ ფიქრობს. პარტიაში არ დგას მხოლოდ პოლიტიკური პოზიციების საკითხი, სახეზე გვაქვს პიროვნებათა შორის ურთიერთობის გამწვავება, რომელთა შერიგება წარმოუდგენლად მიმაჩნია, თუ დრომ არ დაალაგა ყველაფერი.

„აღორძინებაში“ ფიქრობენ, რომ შინაპარტიული დაპირისპირება ხელისუფლებისგან არის ინსპირირებული, რომელსაც საბოლოოდ „აღორძინებიდან“ პროგრესული ძალების განდევნა უნდა მოჰყვეს.

**სანდრო ბრეგაძე:**

— დაახლოებით ერთი თვის წინ, კანცელარიიდან გაიცა ბრძანება, რომ „აღორძინებიდან“ წასვლა მაიძულონ. ალბათ ამის შემდეგ პარტიაში შემოიყვანენ მართულ პირებს, რომლებიც, ბუნებრივია, აღარ დაუპირისპირდებიან ხელისუფლებას.

**— ის დეპუტატები, რომლებიც „აღორძინებიდან“ გავიდნენ, მართული ხალხია?**

— ისინი არც არასოდეს მიმაჩნდნენ „აღორძინების“ წევრებად. „თავისუფლების პარტიამ“, რომლის წევრებიც ისინი იყვნენ, წინასაპარლამენტო არჩევნებში 114 ხმა მიიღო თბილისში... ყველა პოლიტიკურ ძალას ვურჩევ, — ნუ გააკეთებენ არჩევანს ამ ხალხზე, თორემ იმასვე მიიღებენ, რაც ჩვენ მივიღეთ.

დიდი ფულისა და გავლენის მქონე ხალხი იბრძვის „აღორძინების“ წინააღმდეგ (ისინი აპირებენ თავიანთი ხალხის შემოშვებას პარტიაში) და ძალიან გაძნელდება მათთან გამკლავება. არ ვიცი, როგორ განვითარდება პროცესები... მე პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსად ვითვლები, ისინი კი, რომლებიც მიპირისპირდებიან, ძველ კომუნისტებს, ძველ პარტიულ ნომენკლატურას ეყრდნობიან და აშკარად პრორუსულ ძალებს წარმოადგენენ.

**— „აღორძინებაში“ ელიან ხაჩიშვილის „დათვების“ გამოჩენასაც.**

— თუ „აღორძინება“ ხაჩიშვილთან ითანამშრომლებს, ჩემი ადგილი იქ აღარ იქნება. ჩვენს პარტიაში არის ხალხი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან „დათვების“ „აღორძინებაში“ მისვლით. მიუხედავად იმისა, ამის გამო შესაძლოა პრივილეგიები, თანამდებობა და დეპუტატობაც დავკარგო, ვერ შევეგუები მათ, რომელთაც გადატრიალება მოაწყვეს, ხოცავდნენ ხალხს, აწამებდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს და ათასგვარ სიბინძურეს სჩადიოდნენ სამეგრელოში და დღესაც იმას ფიქრობენ, როგორმე რუსული საქართველოში სახელმწიფო ენად გამოცხადდესო. ასეთების გვერდით რომ დავდგე, მეგობრები ზურგს შემაქცევენ და ოჯახის წევრებიც. ამიტომ ვეცდები „აღორძინება“ დავარწმუნო, ამ პირებთან თანამშრომლობის უპერსპექტივობაში.

# „მომეცით საშუალება, ზაგულინს საკადრისად ვუპასუხო...“

*(დასაწყისი იხ. გვ. 7)*

თბილისში ქართულ-აფხაზურმა ინსტიტუტმა ვითომ ორი ერის შერიგების მიზნით ქართველი და აფხაზი პოეტების ლექსების კრებული გამოსცა. ის წიგნი რომ წავიკითხე, გავოგნდი, — თბილისში გამოცემულ წიგნში ეწერა — ქართველო ოკუპანტებო, ქართველო ფაშისტებოო... როგორ დაუშვა ეს ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ? გრანტის ჯიბეში ჩასადებად ყველაფერი ხომ არ უნდა იკადრო?! არ ვიცი, როგორ სძინავს მშვიდად იმ წიგნის გამომცემელს.

**— რუსეთის სამშვიდობო ძალებს, რომლებიც კონფლიქტის ზონაში გაეროს მანდატით იმყოფებიან, საქართველოში ყოფნის ვადა გაუვიდათ. როგორც ამბობენ, შესაძლოა მათ აღარც გაუგრძელდეთ ეს მისია.**

— გაერო არ აღმოჩნდა ამ კონფლიქტისთვის მომზადებული. ამ ორგანიზაციას ნამდვილად შეეძლო კონკრეტული შედეგებისთვის მიეღწია ჩვენს რეგიონში, მაგრამ არ უნდა პატარა საქართველოს გამო დიდ რუსეთს აწყენინოს. გაერო ერიდება რუსეთთან დაპირისპირებას.

**— აფხაზეთში ბოლო დროს, როგორც ირკვევა, გამალებული ტემპით მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზება.**

— აფხაზეთში უამრავი ობიექტი შეიძინეს კრასნოდარის, როსტოვის, თათრეთისა და ბაშკირეთის წარმომადგენლებმა. მათ არც მოსკოველები და სანქტ-პეტერბურგელები ჩამორჩნენ. ასეული ათასი დოლარის ღირებულების ქონება გადასცეს ნალჩიკის, როსტოვის, მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტებს...

დევნილ მოსახლეობას, როცა ასეთი რამ ესმის, მოთმინების ფიალა ევსება. ამიტომაც იყო, რომ აფხაზეთში ნაბრძოლმა ახალგაზრდა კაცმა, სამი შვილის მამამ ბენზინი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა. არ შეიძლება ხალხს ასე მოექცე, ასე მოატყუო... აფხაზეთში ისე დაბრუნება, როგორც გალში მოხდა, გამორიცხულია. იქ დაბრუნებული ხალხი ფსიქოლოგიურად დამონებულია. ისინი ჩვენ მძევლებად ვაქციეთ. როცა აფხაზეთში ძალით (და არა ომით) აღდგება იურისდიქცია, აღიარებენ გენოციდს და ეთნოწმენდას და დასჯიან მათ მომწყობთ, მაშინ უნდა დავბრუნდეთ. როგორც რუსებმა დაიპყრეს აფხაზეთი ძალით, ასევე ძალით უნდა დავუბრუნოთ ის საქართველოს.

*მოამზადა იზო რუკაძე*


MBG ემბიჯი

MICROFINANCE BANK OF GEORGIA

საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

გთავაზობთ სიურპრიზს!

ყოველი 21-ე, რომელიც გახსნის დეპოზიტს საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკში მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს.

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
თბილისი 380012
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ.: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 25-05-80
e-mail: mbg@mbg.com.ge

ვაკის განყოფილება
თბილისი 380079
[illegible] ქ. 8
ტელ.: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
e-mail: vake@vake.mbg.com.ge

ქობულეთის განყოფილება
ქობულეთი, 384410
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (8 256) 66-439
e-mail: kobuleti@batumi.mbg.com.ge

მარნეულის განყოფილება
მარნეული, 383130, [illegible] 1#3
ტელ: (8 257)-2-16-00 8 (257)-2-16-50
ფაქსი: (822) 94-31-36
e-mail: info@marneuli.mbg.com.ge

[illegible] განყოფილება
თბილისი 380015
[illegible] 112
ტელ.: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
e-mail: mbgl@access.sanet.ge

ქუთაისის ფილიალი
ქუთაისი 384000
თამარ მეფის ქ. 85
ტელ/ფაქსი: (8 231) 4-14-14; 4-51-64
e-mail: mbgk@mbg.com.ge

გორის ფილიალი
გორი, 383500, ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (8 293) 2-30-64, 2-73-05, 33-46-57
ფაქსი: (8 22) 33-46-58
e-mail: info@gori.mbg.com.ge

ბათუმის ფილიალი
ბათუმი 384500 ლესია უკრაინკას ქ. 18
ტელ.: (8 88 222) 7-24-20
ფაქსი: (8 88 222) 7-19-54
e-mail: info@batumi.mbg.com.ge

გლდანის ფილიალი
თბილისი 380067
[illegible] ქ. 1
ტელ.: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
e-mail: gldani@gldani.mbg.com.ge

ვარკეთილის ფილიალი
თბილისი 380052
[illegible]
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
e-mail: varketili@mbg.com.ge

ფოთის ფილიალი
ფოთი 384690
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (8 293) 28-28-5, 28-28-3
ფაქსი:(8 293) 28-28-3, 28-28-4
e-mail: mbgp@internet.ge

ზესტაფონის განყოფილება
ზესტაფონი 384900
[illegible] ქ. 9
ტელ. (8 292) 510-22; 554-58
ფაქსი: (8 22)-33 36 69
e-mail: mbgz@kutaisi.mbg.com.ge

# ქართული ტემპერამენტი და მოსკოვური ჟინვა



მოსკოვს ეწვია ქართველ პარლამენტართა დელეგაცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ქალბატონ ნინო ბურჯანაძის მეთაურობით. ბურჯანაძე შრომატევადი მუშაობისათვის ემზადება. მის ბრძოლისუნარიანობაში ეჭვი არავის ეპარება. რუსეთში კარგად ახსოვთ ქართველი სპიკერის მკვეთრი გამონათქვამები როგორც კრემლის, ასევე ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის მიმართ. ამიტომაც, როგორც ეტყობა, მოსკოვში ქართველი სტუმრის ბობოქარი სულის დაცხრომა თავიდანვე გადაწყვიტეს. ჩასვლისთანავე ჯერ მაცხოვრის ტაძარში წაიყვანეს, სადაც რუსეთის პატრიარქს ალექსი II-ს შეხვდა, მერე კი თეატრალურ ცენტრს ეწვია დუბროვკაზე და ტერაქტის მსხვერპლთ პატივი მიაგო.

ნინო ბურჯანაძემ ინტერვიუსთვისაც მოიცალა:

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მთავარი გამაღიზიანებელი ფაქტორი ის არის, რომ ჩვენ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ვცდილობთ. განა რუსეთი არ იყურება დასავლეთისკენ ან ნატოსკენ? სხვათა შორის, ნატოსთან ურთიერთობაში რუსეთი უფრო წინ წავიდა, ვიდრე საქართველო. ჩვენ გვესმის, რომ რუსეთი დიდი ქვეყანაა, მაგრამ ხომ არ შეიძლება გაუთავებლად ერთი პრინციპით მოქმედება — რაც იუპიტერს ეპატიება, ის არ შეენდობა კუროს. რუსეთს ისევ ყოფილი იმპერიის სინდრომი ამოქმედებს. არაერთხელ უთქვამთ ჩვენთვის, — იმეგობრეთ, ვისთანაც გინდათ, ოღონდ მოსკოვის საშუალებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მხარდაჭერა გვჭირდებოდა. ამერიკელებმა მილიონი დოლარი მოგვცეს საზღვრების გასამაგრებლად, მოსკოვმა 10 ბინოკლიც ვერ გაიმეტა. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც საბჭოთა სამხედრო ქონებიდან არაფერი ერგო. დაჟანგული კატერებიც კი არ მოგვცეს. ბერძნებმა, თურქებმა და ამერიკელებმა კი გვაჩუქეს. ისინი გვეხმარებიან ჯარის შექმნაში.

**— გეზი დასავლეთისკენ გაქვთ აღებული, შუქს და გაზს კი რუსეთს სთხოვთ...**

— რაღაც ასპექტში დამოკიდებული ვართ რუსეთზე, მაგრამ მეორე მხრივ, სიცრუეა ის, რასაც აცხადებენ, — თითქოს რუსეთი საქართველოს გაზს ძალიან იაფად აძლევს. „იტერასთან" საქართველოს ჩვეულებრივი კომერციული ხელშეკრულება აქვს დადებული და იმავე თანხას ვიხდით, რასაც დსთ-ის სხვა ქვეყნები. არადა გამოდის, რომ საქართველო უმადურია. ჩვენ კი გვინდა მეზობლური, კეთილი დამოკიდებულება გვქონდეს და არა ბატონ-ქვეშევრდომული.

საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხიც ადვილი გადასაჭრელია. ისინი დიდი ხანია საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან და არც მიწის იჯარას, არც კომუნალური მომსახურების გადასახადს იხდიან. არსად მსოფლიოში ასე არ ხდება. ჩვენი მოთხოვნა რატომ უკვირთ. ხომ გააფორმა რუსეთმა ხელშეკრულება აზერბაიჯანთან და ფულს უხდის გაბალინის რადიოლოკაციურ სადგურში. იქ შეიძლება და ჩვენთან არა?

რუსეთს ეს ბაზები სულაც არ სჭირდება. ამას ბევრი რუსი სამხედრო სპეციალისტი ამბობს. მათ მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვა აქვთ. ყველასათვის ცნობილია, რომ გუდაუთის სამხედრო ბაზა სეპარატისტებს არა მარტო იარაღით, არამედ ცოცხალი ძალითაც ამარაგებდა. მაშინ ომი საქართველომ აფხაზებთან კი არ წააგო, არამედ რუსეთთან — ჩეჩნებთან და გუდაუთის სამხედრო ბაზებთან.

დარწმუნებული ვარ, რუსეთის ბაზების გარეშე ჩვენი ურთიერთობა გაცილებით კონსტრუქციული და პოზიტიური იქნება. იგივე მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთშიც. რუსეთის მხარდაჭერა რომ არა, ჩვენ დიდი ხანია მოვაგვარებდით ურთიერთობას...

რა ხდება ახლა აფხაზეთში? მოგეწონებოდათ გერმანელებმა, რუსეთის დაუკითხავად, კალინინგრადის მოსახლეობას ან იაპონიამ — კურილიის კუნძულების მცხოვრებთ თავიანთი მოქალაქეობა რომ მისცენ?

მიუხედავად ყველა ამ სიძნელისა, ჩვენ გვინდა კომპრომისს მივაღწიოთ, ამიტომაც ჩამოვედით მოსკოვში. ვეცდებით, გაგვიგონ. რუსეთი ხომ დიდი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია უამრავი პრობლემა შეუქმნას პატარა საქართველოს...

***ამონარიდი ინტერვიუდან***
***ნეზავისიმაია №9***

# თბილისი რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებს „საჰაერო ბლოკადით" ემუქრება



ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, საქართველოს გადაწყვეტილი აქვს, აუკრძალოს რფ-ის სამხედრო თვითმფრინავებს მის ტერიტორიაზე გადაფრენა. თუ ეს მართლა განხორციელდა, რუსეთის ბაზების ნორმალურ ფუნქციონირებას საფრთხე შეექმნება არა მარტო საქართველოში (იქ მოსკოვს 22 სამხედრო ობიექტი აქვს), არამედ სომხეთშიც. კრემლმა გააფრთხილა თბილისი, რომ ეს კიდევ უფრო დაძაბავს ორი ქვეყნის ურთიერთობას და გაართულებს სიტუაციას მთელ რეგიონში.

თბილისის მუქარა ორგანიზაციულად და ტექნიკურად ძნელი შესასრულებელია, რადგან საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს საჰაერო სივრცის რადიოლოკაციური სადაზვერვო სისტემა. საქართველოს შეიარაღებული ძალები, საჰაერო სივრცის დამრღვევთ უკან დაბრუნებას ვერ აიძულებენ, რადგან ამისთვის საჭიროა საბრძოლო მოიერიშე თვითმფრინავი და გაწვრთნილ მფრინავთა შემადგენლობა. საქართველოს არ გააჩნია არც ჰაერსაწინააღმდეგო ავიაციის მოქმედი პუნქტები, არც საზენიტო რაკეტები და არტილერია, და რაც მთავარია, ეროვნული კადრები. ამიტომაც არ აქვს ოფიციალური თბილისის მუქარას „მატერიალური" საფუძველი. მოსკოვს კი შეუძლია თავის თვითმფრინავებს მცველებად სამხედრო სატრანსპორტო ავიაციის მე-4 არმიის მოიერიშე-გამანადგურებლები და ერევნის აეროდრომიდან — Ì èã-29 გააყოლოს, მაგრამ ჯერჯერობით დიპლომატიური გზით კონფლიქტის დარეგულირებას ამჯობინებენ. ცნობილია, რომ თბილისზე „სინათლითა და გაზით" უფრო ეფექტიანად იმოქმედებენ...

ამავე დროს, პარიზში, ევროსაბჭოს პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე, „გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ დასვა საკითხი „რუსეთის მიერ აფხაზეთის აშკარა ანექსიის" შესახებ. ჟვანიამ გაილაშქრა სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის, რუსული პასპორტების გაცემის, რუსეთის უწყებების მიერ სასტუმროებისა და სანატორიუმების პრივატიზაციის წინააღმდეგ. ადვილი შესაძლებელია, რომ მისი პროტესტი იქ ყურად იღონ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 18-დან 27 იანვრამდე ლონდონში მიმდინარე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების მოლაპარაკებებში მონაწილეობენ საქართველოს საგანგებო საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე და აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. ასე რომ, საქართველოს ყველაზე „რუსული" ნაწილის ბედი შეიძლება ურუსეთოდ გადაწყდეს...

***რუსული პრესის მიხედვით***

# აშშ-მა რუსეთს საქართველოს დაბომბვის უფლება მისცა



ტერორიზმთან ბრძოლის რუსეთ-ამერიკის ერთობლივი ჯგუფის სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში ჩამოსულმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პირველმა მოადგილემ, რიჩარდ არმიტიჯმა რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" წამყვანის შეკითხვას, თუ რა აზრის არის ის რუსეთის ოფიციალურ პირთა განცხადებაზე, ექსტრემისტთა დევნის პროცესში პრევენტიული დარტყმების გამოყენების შესახებ, უპასუხა: ქვეყანას, რომელიც თვითონ არის პრევენტიული დარტყმების მომხრე, გაუჭირდება ამისთვის სხვა სახელმწიფოს გაკრიტიკებაო, და იქვე იმედი გამოთქვა — რუსეთი სიფრთხილეს გამოიჩენს ამ საკითხში და ის და საქართველო მშვიდობიანად იმეზობლებენო.

აშშ-მა ცნობილი დიპლომატის პირით თავისი სათქმელი თქვა და პრაქტიკულად, რუსეთს მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის პრევენტიული დაბომბვის კარტ-ბლანში მისცა.

რიჩარდ არმიტიჯის განცხადებამ მოსკოვში, ამერიკის საელჩოში შოკი გამოიწვია, ანალოგიური რეაქცია ჰქონდა თბილისსაც, მაგრამ იქ მაშინვე ყველაფერი რუსეთის მედიის ხრიკებს მიაწერეს — არასწორად გაიგეს ამერიკელის ნათქვამიო. ადვილი შესაძლებელია, რომ რიჩარდ არმიტიჯის ეს სენსაციური განცხადება დიპლომატიური შეცდომა კი არა, გამიზნული სვლაა. ჯერ კიდევ სექტემბერში, მოსკოვმა საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების სურვილი გამოთქვა — პრეზიდენტმა პუტინმა თბილისს ულტიმატუმი წაუყენა — თუ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ბოევიკებს არ გადმოგვცემთ, ტერორისტთა ბაზებს დავბომბავო. პრაქტიკულად, რუსეთმა მაშინ აშშ-ს გარიგება შესთავაზა — ერაყი — საქართველოს სანაცვლოდ. კრემლი თეთრ სახლს მიანიშნებდა — თქვენი და ერაყის საქმეში არ ჩავერევით, საქართველოსთან დაკავშირებული ჩვენეული გეგმის განხორციელებაში კი ხელს ნუ შეგვიშლით, მით უმეტეს, რომ იქ მყოფი ტერორისტები ტერაქტებს მარტო ჩვენთან კი არა, ამერიკაშიც აწყობენო. მაშინ ამერიკამ ოფიციალურ თბილისს დაუჭირა მხარი. და აი, ოთხი თვის შემდეგ მოსკოვმა სასურველი განცხადება მოისმინა. მაგრამ ახლა ურთიერთობა რუსეთ-საქართველოს შორის თითქოს მოწესრიგების პირასაა და პანკისში პრევენტიულ დარტყმებზე რუსეთში სერიოზულ პოლიტიკოსთაგან არავინ ლაპარაკობს. საქართველო უკვე აღარ მალავს, რომ პანკისის ხეობას თავს აფარებენ ტერორისტული ჯგუფები. კრემლმა კი ამერიკის განცხადებამდე ორი საათით ადრე ოფიციალურად გამოაცხადა, 28 იანვარს კიევში, დსთ-ის ქვეყნების ლიდერთა სამიტზე ვლადიმირ პუტინი და ედუარდ შევარდნაძე ერთმანეთს შეხვდებიანო. ცოტა ხნის შემდეგ კი რფ-ის პრეზიდენტმა პირადად გამოიძახა „გაზპრომის" და რუსეთის სააქციო საზოგადოება „რუსეთის ეიი-ეს"-ის ხელმძღვანელები — ალექსეი მილერი და ანატოლი ჩუბაისი და მოსთხოვა, ავარიის გამო საქართველოსთვის შეწყვეტილი გაზის მიწოდების 24 საათში აღდგენა.

გამოდის, რომ დღეისთვის რუსეთს სულაც არ სჭირდება ამერიკის ნებართვა — საქართველოს დაბომბვას ის არ აპირებს. აშშ-მა ამ კარტ-ბლანშის გაცემისას მშვენივრად იცოდა ეს, მაგრამ თვითონ სჭირდებოდა კარტ-ბლანში რუსეთისგან ერაყთან დაკავშირებით და განსაზღვრა — თუ ის მისცემდა საქართველოს დაბომბვის უფლებას, რუსეთისგანაც დასტურს მიიღებდა. მოსკოვი ხომ თავად სთავაზობდა ამერიკას გარიგებას: ერაყი — საქართველოს სანაცვლოდ. ასეთი გარიგება კი ჯორჯ ბუშს ახლა ძალიან წაადგება.

***კომერსანტი №11***

# განხეთქილების მატარებელი



აფხაზეთის უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის, ზურაბ აგუმავას განკარგულებით, ელექტრომატარებელ „სოჭი-სოხუმის" მოძრაობის უშიშროებას 20 იანვრიდან სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ. ეს კი გამოიწვია ქართველი „ტყის ძმების" ლიდერის, დათო შენგელიას მუქარამ — ელექტრომატარებელს ავაფეთქებთო. თვითმარქვია რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწის, ასტამურ ტანიას აზრით, მუქარა თბილისის ოფიციალური ხელისუფლების მითითებით ხდება.

რუსეთი კი ისე იქცევა, თითქოს „განხეთქილების მატარებლის" გაშვებასთან არაფერი ესაქმება და ყველაფერს სოჭის კერძო სატრანსპორტო კომპანიას აბრალებს. დავუშვათ, მატარებელი მართლაც „კერძოა", რკინიგზა ხომ არ შეიძლება იყოს ვინმეს კერძო საკუთრება, რადგან სახელმწიფოს კუთვნილებაა. თანაც კომერციული თვალსაზრისით, ეს მარშრუტი მომგებიანი არ ჩანს: დიდი-დიდი, დღეში 80-100-მა კაცმა იმგზავროს. აფხაზეთის რკინიგზის სამმართველოს გენერალური დირექტორი, რიტა ლოლუა ამბობს, — „აფხაზეთის ფარგლებში სარკინიგზო-სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის მოსაწესრიგებლად სოჭის ტრანსპორტის კომპანიასთან ხელშეკრულება დავდე, მან კი იჯარით აიღო მატარებელი, რომელსაც სოჭის ბრიგადები ემსახურებიან. მას აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი მილიცია იცავს, რუსეთის მხარეზე კი — რუსეთისა. ასე რომ, ამ გზას რუსეთთან ერთად ვემსახურებით". ლოლუა არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რომელ სახელმწიფო სტრუქტურებს აქვთ ხელშეკრულება დადებული, არც კომერციულ მოგებაზე ლაპარაკობს, ერთი კი გარკვევით იცის, თუ რუსეთის ხელისუფლება პოლიტიკური კოლიზიების გამო საქართველოს ნებას დაჰყვება და მატარებლების მიმოსვლას აკრძალავს, მაშინ ის „ჯარიმას დააკისრებს" რუსეთს: „ისინი ვალდებულნი იქნებიან, გადამიხადონ დანახარჯი".

მატარებლების გაქირავებას ადასტურებს სადგურ „ადლერის" უფროსი არარატ დელიანი: „შპს „სოჭის" სატრანსპორტო კომპანიას მატარებელზე კანონიერი საიჯარო ხელშეკრულება აქვს დადებული, ამ საქმეში რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურები არ მონაწილეობენ."

რუსეთში აფხაზეთის წარმომადგენლობის მრჩეველი, ტატიანა გულია კი არ მალავს, რომ რკინიგზის ამოძრავების საკითხი უკვე შარშან ზაფხულში განიხილებოდა, ახლა კი დადებითად გადაწყდაო. სარწმუნო წყაროს ცნობით, მატარებელი ადლერის დეპოს ეკუთვნის, ხოლო კერძო პირებზე, რომლებიც ვითომ ამ „მატარებელს ფლობენ", გაზეთის ინფორმატორი ამბობს: „ეს მხოლოდ დეკორაციაა, რათა არ გამოაშკარავდეს რეგიონალური სახელმწიფო ხელისუფლება. მატარებელთან დაკავშირებულ ყველა საკითხს სახელმწიფო სტრუქტურებში მყოფი სპეცსამსახურების ყოფილი მუშაკები არეგულირებენ".

რამდენად სწორია ეს ინფორმაცია, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ახლა ფაქტია, რომ სოჭი-სოხუმის ხაზის გახსნას კრასნოდარის მხარეში დადებითად აღიქვამენ, იმასაც ამბობენ, ქართველებმა სიტუაციის გამწვავების მაგივრად სჯობს თვითონ გახსნან ზუგდიდი-სოხუმის მარშრუტიო...

***ლენტა.რუ***

# ორჯერ ერთ მდინარეში...



გასულ კვირას სამხრეთ ოსეთში დააპატიმრეს ყოფილი პრეზიდენტის ვაჟი, თვითმარქვია რესპუბლიკის ასევე ყოფილი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსეი ჩიბიროვი. მას ბრალად ედება სახელმწიფო გადატრიალების მომზადება და სპეცსამსახურის თანამშრომელთა მიმართ ძალადობა.

ეს დაპატიმრება მოსალოდნელიც იყო: 2001 წლის ბოლოს ა. ჩიბიროვი შეიარაღებულ მომხრეებთან ერთად პარლამენტის შენობაში შეიჭრა, არჩევნების შედეგების გაუქმება მოითხოვა და იმუქრებოდა. ყველა ელოდა, რომ ახალი პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი შურს იძიებდა ჩიბიროვების კლანზე, მაგრამ საწინააღმდეგო მოხდა: ყოფილ პრეზიდენტს ახალმა ხელისუფლებამ მშვიდი ცხოვრების გარანტიები მისცა. საცხოვრებლად ჩრდილო ოსეთში გადავიდა, შვილი კი სამხრეთ ოსეთში დარჩა. მამას ხშირად აკითხავდა. მაშინ ამბობდნენ, ალექსეი ჩიბიროვი რფ-ის უშიშროების ფედერალური სამსახურის აკადემიაში სწავლობსო, მართალი იყო ეს თუ ტყუილი, არავინ იცის...

ალექსეი ჩიბიროვის ასეთი მძიმე ბრალდებით დაპატიმრება ნიშნავს იმას, რომ ეტყობა, ჩიბიროვების კლანი კვლავ აპირებს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში დაბრუნებას. დღევანდელი რეალიებიდან გამომდინარე, ამ გეგმის განხორციელება გარედან დაუხმარებლად ძალიან გაუჭირდებათ. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ჩიბიროვის რეჟიმი ხელს აძლევდა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს (რომლის ნებაზეც ჩიბიროვი დადიოდა, თან ოსი ხალხის დამცველის როლს თამაშობდა), მაშინ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ალექსეის სწორედ თბილისი ჰპირდებოდა დახმარებას. შევარდნაძე დღითი დღე კარგავს მომხრეებს, ოპოზიცია თანდათან მრავალრიცხოვანი და აგრესიული ხდება. ამ დროს კი ურჩი სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში კვლავ წლებით გამოცდილი ლუდვიგ ჩიბიროვის ან მისი ვაჟის მოსვლა გაცილებით მეტ დივიდენდებს მოუტანს შევარდნაძის დასუსტებულ რეჟიმს (პრეზიდენტი კოკოითი საქართველოში შესვლის კატეგორიული წინააღმდეგია). ჩიბიროვი და მისი მომხრეები ხელისუფლებაში მისვლისთანავე საქართველოში შესვლის სურვილს განაცხადებენ, თუნდაც ასოცირებული წევრის სტატუსით. რასაკვირველია, ამას უარყოფითი რეაქცია მოჰყვება სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაში, მაგრამ... საქართველოს არმიის მეწინავე რაზმები უკვე ცხინვალიდან 14 კმ-ში დგანან (ზოგან ცხინვალთანაც). თუ მოვლენები ასე განვითარდა, საქართველოს არმიისა და ოსეთის რესპუბლიკური გვარდიის შეტაკება და სისხლის ღვრა გარდაუვალი იქნება. ცხადია, ბრძოლაში ადგილობრივი მოსახლეობაც ჩაერთვება და შედეგად ლტოლვილების ნაკადი დაიძვრება რუსეთისკენ. არეულობა მოიცავს მთელ ჩრდილოეთ კავკასიას.

არის კიდევ ერთი არაოფიციალური ინფორმაცია: ამ ბოლო დროს ცხინვალში გახშირდა თავდასხმები ოსეთის სამთავრობო სტრუქტურებში მომუშავე რუსეთის მოქალაქეებზე. ზუსტად არავინ იცის, მონაწილეობდა თუ არა ბოროტმოქმედებებში ალექსეი ჩიბიროვი, მაგრამ სავარაუდოა, რომ სწორედ ამიტომ ჩავიდნენ ცხინვალში რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, მაშინ გამართლებული იქნება ვერსია, რომ ჩიბიროვ-უმცროსს კარგა ხანია რუსეთის კონტრდაზვერვა უთვალთვალებს. თუ ეს ასეა, სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში მისი დადანაშაულება უსაფუძვლო არ უნდა იყოს ისევე, როგორც ოფიციალური თბილისის მონაწილეობა ამ პუტჩის მომზადებაში.

***ვერსია №2***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

***

**3 წლის მაცაცო ბერიკაშვილი** ტელევიზორში უყურებს როგორ კლავენ ღორს და უღებენ შიგნეულს. დაინტერესებულმა მაცაცომ დედას ჰკითხა:

— დედიკო, ეს კაცები რას აკეთებენ?

— საქმიანობენ, ღორს შინაგან ორგანოებს უღებენ.

— შინაგან საქმეთა მინისტრიც ღორებს კლავს და მუცლიდან უღებს შინაგან ორგანოებს?

***

**5 წლის მაგდა ლაცაბიძეს** თავის დაბანის დროს ყურები ქაფით აევსო და ველარაფერი გაიგონა. შეშინებულმა დედა საყვედურებით აავსო:

— დედიკო, ყურები არ დამიბნელო და დამიბრმავო, რა?!

***

**2 წლის თამარ ქირიას** დედამ ასწავლა, რომ „დედა ენა" დაწერა იაკობ გოგებაშვილმა. სამსახურიდან დაბრუნებულ მამას თამუნამ ახარა:

— მამა, იცი, იაკომ „დედიკოების ენები" დაწერა.

***

ბაბუამ ცარიელი ასანთის კოლოფი ღუმელში შეაგდო, **3 წლის ნიკუშა დავითაძემ** ბებიას შესჩივლა, — ბებო, ბაბუამ სპიჩკის შკაფი დაწვა.

## ძვირფასო მშობლებო!

იქმნება თანამედროვე საბავშვო პერსონაჟი ბუთქუნა. თქვენი შვილი შეიძლება ბუთქუნასა და მისი მეგობრების პროტოტიპი აღმოჩნდეს. ასე რომ, „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნეთ ბავშვების ფოტოები, სადაც ისინი დაახლოებით 4 წლისანი არიან და დაელოდეთ ბუთქუნს!



იპოვე განსხვავებული ბეჭემოთი




## I ანა, გამოიცანი

**1) ვინ არის ავტორი ფერწერული ტილოსი „ცისფერი მოცეკვავეები"?**

ა) ედგარ დეგა; ბ) კლოდ მონე; გ) პოლ სეზანი; დ) ედუარდ მანე.

**2) ვინ იყო ღმერთების მბრძანებელი რომაულ მითოლოგიაში?**

ა) ზევსი; ბ) იუპიტერი; გ) სატურნი; დ) მარსი.

**3) რომელ ქვეყანაში უნდა იმოგზაურო, რომ ვერსალის სასახლეში მოხვდე?**

ა) ინგლისში; ბ) საფრანგეთში; გ) ესპანეთში; დ) პორტუგალიაში.

**4) რომელ ქალაქშია კოლიზეუმი?**

ა) ლონდონში; ბ) პარიზში გ) რომში; დ) ბარსელონაში.

**5) რას აღნიშნავს ვარსკვლავები ამერიკის შეერთებული შტატების დროშაზე?**

ა) გადატანილ ომებს; ბ) შტატების რაოდენობას; გ) ყოფილი პრეზიდენტების რაოდენობას; დ) ამერიკელთა მიერ აღმოჩენილ ვარსკვლავთა რაოდენობას.

## II რებუსი



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „კუდბუთქუნა ცხოველია, უცნაური, თანაც ცქვიტი, მაღალი ხის გრძელ ტოტებზე დანავარდობს, როგორც ჩიტი".

III



## გამოსულია 14 წიგნი-ზღაპარი

**ახალი!**

**მალე ზღაპრებში ახალ სიურპრიზს აღმოაჩენთ**

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში



**ერთი წიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირს**



მიიყვანე ბავშვი შინ




## ქიავორდი

| ადგილი, სადაც მადნეული მოიპოვება | ნოტი | რა აქვს მამალს თავზე | მაგარის ანტონიმი | ის, ვინც ბებია და წითელქუდა გადაარჩინა |
|---|---|---|---|---|

| სულხან ... ორბელიანი | წისქვილის ქვა | ... კლინტონი | მტაცებელი ფრინველი | „თეთრი ბაირაღების" პერსონაჟი | საძირკვლისთვის გათლილი ძელი |
|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო"

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



**თბილისი მართლაც საოცარი ქალაქია, მზითა და თბილისელების სულით გამთბარი. რამდენი საინტერესო ადამიანი ცხოვრობს თბილისში, რამდენი საინტერესო სახლია... გურამ ლორთქიფანიძე, ლორთქია, როგორც სიყვარულით ეძახიან მეგობრები, ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მისნალ-მისხალ იცის თბილისი, აქაური ამბები ძველიც და ახალიც და აქაურთა ტკივილისა და სიხარულის თანაზიარია. მან, როგორც მისმა პერსონაჟმა — ავთანდილ ერისთავმა („არაჩვეულებრივი გამოფენიდან") თეთრი ქვის მნიშვნელობაც იცის... თუმცა ცხოვრება თავისი გზით მიდის, ყველაფერი კი ოჯახში იწყება. ბატონი გურამის ოჯახი კარგად იყო ცნობილი თბილისელებისთვის.**

— მამაჩემი ეკონომისტი იყო, წერდა კიდეც... მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე მისი სეხნია და მოგვარე იყო. მამაჩემს განსასხვავებლად „კაი კოწიას" ეძახდნენ. მწერლებმა შეარქვეს. ვინ არ იკრიბებოდა ჩვენს ოჯახში: გერონტი ქიქოძე, ირაკლი აბაშიძე, ბესო ჟღენტი, რაჟდენ გვეტაძე, მსახიობები: აკაკი ხორავა, ემანუელ აფხაიძე, აკაკი ვასაძე. მამას კარგი ტენორი ჰქონდა. კონსერვატორიის 3 კურსი ჰქონდა გავლილი. „ქეთო და კოტეში" წვეულება რომ არის და სტუმრები რომ მღერიან, მამაჩემის ხმაა ჩაწერილი. მომღერალი ოჯახი ვიყავით. მიშა გელოვანი გახსოვთ? სტალინის როლი რომ შეასრულა. ისიც შესანიშნავად მღეროდა. რომ ჩამოვიდოდა მოსკოვიდან, უსათუოდ ჩვენთან მოვიდოდა: „კოწიას კირკაჟი ლობიო მომენატრაო". რა არის კირკაჟი ლობიო, მაგის მონატრება შეიძლებოდა? მაგრამ ეს იყო შეხვედრის საბაბი. დასხდებოდნენ ჩვენთან, საუბრობდნენ, მღეროდნენ აი, ამ მაგიდასთან ისხდნენ, ახლა ჩვენ რომ ვსხედვართ. სხვათა შორის, მწერლები და მომღერლები ახლაც დადიან ჩვენთან. პოკერს ვთამაშობთ სწორედ ამ მაგიდაზე. მწვანეს გადავაფარებ, ფრანგული ჭიპები მაქვს. ვთამაშობთ. მოთამაშეთა გუნდს პულკა ჰქვია. ბევრი გამოგვაკლდა შარშან, მურმან ლებანიძე, გიგა ხინთიბიძე, მირიკო გეგელიშვილი... ერთ წელიწადში 8 კაცი წავიდა ჩვენი სამეგობროდან... რიგში ვდგავართ, რა!

**— რას ბრძანებთ, ჯერ მაგაზე ფიქრი როგორ შეიძლება, ახალგაზრდა ბრძანდებით...**

— ე, რა გითხრათ... იმ დღესაც დავასაფლავეთ ერთი უბნელი. წავედი, სანთელი დავანთე. მიყვარს ეკლესია. იცი, მე კალისტრატე ცინცაძემ მომნათლა 1937 წელს სიონში. 7 წლის ვიყავი მაშინ, რომ მივედი მამასთან სამსახურში და ვუთხარი, მოვინათლე-მეთქი, ელდისგან სკამიდან გადმოვარდა.

**— მამამ თუ არ იცოდა, რომ ინათლებოდით, მაშ, ვინ შეგიწყოთ ხელი, ეკლესიაში ვინ წაგიყვანათ?**

— მამიდაჩემმა, კოლია სანიშვილის დედა იყო მამიდაჩემი. ღრმად მორწმუნე ადამიანი გახლდათ. სისტემატურად დადიოდა ეკლესიაში. სხვათა შორის, ბერიას დედასთან ერთად. გამოუვლიდა ბერიას დედა მამიდაჩემს ყოველდღე, მიდიოდნენ ეკლესიაში. გზად მათხოვრებს საჭმელს ურიგებდნენ. ძნელი წარმოსადგენია ახლა ეს თქვენთვის, არა?

**— განსაკუთრებით, ბერიას დედის ამბით გამაკვირვეთ. ისე, თქვენ ისეთ სახლში ცხოვრობთ, ბევრი საინტერესო მეზობელი გეყოლებოდათ. მარტო ის რად ღირს, რომ აქ ცხოვრობდა ელისაბედ ორბელიანი...**

— საოცარია ჩვენი სახლი. 1932 წელს ოთხმა კაცმა დააშენა ეს მეორე სართული. ქვემოთ ორბელიანები ცხოვრობდნენ. ელიზავეტა ირაკლიევნა (თვითონ უყვარდა ასე რომ



ელისაბედ ორბელიანი

მოვიხსენიებდით), რომელმაც ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი", ჩვენი უსაყვარლესი მეზობელი იყო. აქ რომ გადმოვედით, თავისი მეგობარი გაგვხადა. ომის დროს შიმშილობა იყო. არსებობდა ორნაირი ტალონი: ლიტერ-ა და ლიტერ-ბ. ის ღებულობდა ლიტერ-ა-ს, რომლის ულუფაში თეთრი პური შედიოდა. ჩვენ ლიტერ-ბ გვქონდა, რომლითაც შავ პურს ვიღებდით. ელისაბედ ორბელიანს 7 ძაღლი ჰყავდა. თავის თეთრ პურს ჯერ 7 ძაღლს გაუნაწილებდა, მერე თავისთვის აიღებდა.

თუ გაუჭირდებოდა, კუზიანი მსახური ჰყავდა — ლუკა, გამოგვიგზავნიდა. ამოვიდოდა ლუკა და გვეტყოდა: კნეინამ შემოგითვალათ, 22-მდე 5 მანეთი მასესხეთო. აუცილებლად ვასესხებდით. ჰონორარს აიღებდა და გვიბრუნებდა. ფულს რომ აიღებდა, იმ დღეს მასთან „პადრუშკები" მოდიოდნენ ჭიქა ჩაიზე. ერთი ამბავიც მინდა გავიხსენო. მე გიჟ მეგობარს მეძახდა. ერთხელ დამპატიჟა, პიურე და სოსისი მაქვს, მეწვიეო. ჩავედი, ვხედავ მსახურმა შემოიტანა შავი პიურე. როგორც ჩანს, ნავთქურა აბოლდა და პიურე ჭვარტლით გაივსო. არც ერთმა არ შევიმჩნიეთ. მეც გეახელით და მანაც... არსებობს რაღაც, რაც მჭვარტლიან პიურესაც შეგაჭმევს სიამოვნებით.

ელიზავეტას შვილები უცხოეთში ჰყავდა, ერთი საფრანგეთში, მეორე — შვეიცარიაში. ბოლოს მარტო იყო. ამოვიდოდა ჩვენთან ნოტებით. დაჯდებოდა პიანინოსთან, შოპენს უკრავდა, თან პაპიროსს ეწეოდა... არ შეეძლო არ დაეკრა. მისი რჩეული ვიყავი. ერთხელ პენალიც მაჩუქა და წარმოიდგინეთ, დავკარგე. გული მტკივა ამის გამო. ფოტოც არ დამრჩა ელიზავეტა ორბელიანის. ერთხელ წინანდალში წავედით მეგობრები, შევედით ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში და იქ არ დავინახე მისი ფოტო?! ცრემლები წამომივიდა. ჯერ ვიტირე და მერე მე და ჩემმა მეგობრებმა „მრავალჟამიერი" ვიმღერეთ. როგორ ფიქრობთ, ბედნიერი არ ვარ მე, რომ ის ქალი ნანახი მყავს?



ამ ეზოს ბევრი რამ ახსოვს...

**— რა თქმა უნდა, ბედნიერი ხართ...**

— და არა მარტო ამით. ჩვენს აივანზე გამოდიოდა მხატვარ დუგლაძის სახლის კარი, აქვე ცხოვრობდნენ იურისტი კერესელიძე, ოთარ ჭიაურელი (მიშა ჭიაურელის პირველი შვილი ციმაკურიძის ქალთან). ოთარი ბავშვობაში ხიდან ჩამოვარდნილა და დახეიბრებული იყო, მაგრამ უნდა გენახათ, როგორ ვარჯიშობდა რგოლებზე, რა იუმორი ჰქონდა. სხვათა შორის, მეზობლები უშვებდნენ კედლის გაზეთს, რომელსაც „დეგერნიუსი" ერქვა (იშიფრება ასე: დეგენერატების ნიუსი), შიგ ბეჭდავდნენ ლექსებს, ოხუნჯობას, კარიკატურას. გაზეთის ემბლემა იცით, რა იყო? მაშინ მიშა ჭიაურელს მანქანა M-2 ჰყავდა. ეს მანქანა ეხატა გადაყირავებული და ზევიდან იდგა ოთარ ჭიაურელი. ამაზე საუბარი არ შეიძლება, ეს უნდა გენახათ! ჩემი მეზობელი იყო იურისტი აბიბო შარაშენიძე. ომის დროს ჰყავდა დედალი, რომელიც კვერცხს უდებდა. ერთხელ ქეიფი იყო მათთან. შემოაკლდათ საჭმელი და დაკლეს ისე, რომ აბიბოს არ უთხრეს. დილით ადრე კი გამაღვიძეს მეზობლებმა და ფული მომცეს, წადი, ვერის ბაზარზე ქათამი იყიდე, აბიბო გაიღვიძებს და დახვდესო. წავედი და მოვიყვანე ქათამი. ცოტა ხანში აბიბოს გაოცებული ხმა მესმის: კაცო, ეს ქათამი გუშინ კვერცხს დებდა და დღეს მამლად რამ აქციაო?! თურმე მამალი მიყიდია. გვერდით ეზოში ცხოვრობდა ბაზალა — ცოტა მოხულიგნო ბიჭი იყო. მტრედები ჰყავდა. იმ დროს მოდაში იყო. მეც წავიდოდი ბაზარში, ვიყიდდი მტრედს, დაუსტვენდა ბაზალა, გამიფრინდებოდა მასთან. ასეთ დღეში ვიყავი, ყოველდღე თითო მტრედი მიფრინდებოდა მასთან... კედელი მყოფდა ნაცვლიშვილებთან. თემო ნაცვლიშვილის ცნობილი „საქართველოო ლამაზო" პირველად მე მოვისმინე კედლის იქიდან. მერე შემოვიდნენ ჩემთან თემო, მამამისი, ნოდარ ცერცვაძე და აქ ვიმღერეთ ეს სიმღერა. ახალი წლის ღამე იყო...

**— კარგი მოგონებები გაქვთ, მაგრამ საშინელი წლები იყო. 1937-ის ტკივილი ალბათ ვერ აღიქვით, ბავშვი იყავით და იმიტომ.**

— ახლა რომ სამზარეულო მაქვს, იმ ოთახს ვაქირავებდით. ერთხელ მიქელაძე ცხოვრობდა იქ. 1937 წელს მოვიდნენ და წაიყვანეს. მთელი სახლი გადამდგარი იყო და ტიროდა. მე ხომ 7 წლის ვიყავი, მეც ვღრიალებდი... ის გაუძლებდა გადასახლებას? კაცი ფრანგულ ბულკს ათბობდა და ისე მიირთმევდა. ვერც დაბრუნდა ცოცხალი. ასეთი რამდენი იყო.

**— მოდით, ახლა თქვენზე ვისაუბროთ. თქვენ საინტერესო ადამიანი ხართ. როგორც ვიცი, ვიოლინოსაც კი უკრავთ, ჟურნალისტიც ბრძანდებით... მსახიობად ხომ უნაკლო გამოდექით.**

— სკოლაში კარგად ვსწავლობდი. მარტო იმიტომ ვითვლებოდი ხულიგნად, რომ ერთი ოთხიანი მყვებოდა. 8 წელი ვიოლინოზე დავდიოდი. ჩემი მოკლე თითებით ვსწავლობდი დაკვრას. ვაოცებდი ჩემს პედაგოგს. რატომ? ომის დროს ჩვენთან ჩამოვიდა ევაკუირებული ლენინგრადის ოპერის თეატრი. ერთ-ერთი მუსიკოსი — ვიქტორ როტენბერგი ჩვენთან დასახლდა თავის ცოლშვილთან ერთად. სახლში ის მამეცადინებდა ვიოლინოზე დაკვრაში. რომ მივდიოდი ჩემს პედაგოგთან, უკვირდა, ასე კარგად როგორ უკრავო... იცი, როგორი ბავშვი ვიყავი?! ყელზე ბანტი მეკეთა და გოლფის შარვალი მეცვა, მუხლს ქვემოთ ჩულქი რომ ჩანს და ზემოთ შარვალია, ისეთი. წარმოიდგინეთ, წინ ღილები არ ეკერა და მთელი 8 წელი ვოცნებობოდი შარვალი ღილებით გამეხსნა. მერე ვიღაცამ დამიძახა „სკრიპაჩ-ტრიპაჩ". მოვისროლე ვიოლინო... კიდევ კარგი, ამან გადამარჩინა, თორემ ახლა უნდა ვმჯდარიყავი ორკესტრში ბოლო სკამზე, ვიოლინოთი ხელში დაბერებული და გატეხილი ლორთქია.

ფრანგულს მასწავლიდა ერთი რუსი ქალი. სხვათა შორის, ფრანგულზე ჩემთან ერთად დადიოდნენ გურამ ბარნოვი, ნოდარ ნათაძე, ლაშა ჯანაშია. მერე ფრანგულსაც შევეშვი. ათი სკოლა მოვიარე. ცელქობის გამო მრიცხავდნენ სულ. ისეთი მორცხვი ვიყავი, ქალთა და ვაჟთა სკოლები რომ გაყვეს, გოგოებს ვერ ვესალმებოდი, ერთი გოგო კი 12 წელი მიყვარდა და სიტყვა ვერ ვუთხარი, რომ დავინახავდი, გავრბოდი. არადა, სად გარბიხარ, შე ოხერო, თურმე იმასაც მოვწონდი და... კიდევ იცი, რა კუდაბზიკა ვიყავი?! ერთი ფოტო მაქვს, ზამთარში, თოვლში წავედით ბიჭები სამაიას ბაღში. მე ტელეგრეიკა მეცვა. გავიხადე და ვარ პიჯაკით გადაღებული. სხვებს კი თბილად აცვიათ. ასეთი კუდაბზიკა გახლდით.

კინო მიყვარდა. კოლია სანიშვილმა შემაყვარა. იმ წელს, მე რომ უნდა ჩამებარებინა გამოცდები, მიღება არ იყო ვგიკში. დავამთავრე ჟურნალისტიკა, მაგრამ როგორც ხედავთ, არ გამოვიდა ჩემგან ერენბურგი. ისე მაშინ, არც ჟურნალისტიკა იყო ასეთი, დღეს რომ არის...

**— რაც შეეხება მსახიობობას, ეს კარგად გამოგდით. ამბობენ, „სამანიშვილის დედინაცვალში" პლატონიც თქვენ უნდა გეთამაშათ.**

— პლატონის როლზე დამტკიცებულივით ვიყავი. სინჯები მე და იმედა კახიანმა გავიარეთ. მე ამირჩიეს. ჩოხის ზომაც კი ამიღეს. მერე მოხდა ისე, რომ სამხატვრო საბჭომ იმსჯელა და იმედა კახიანი ამჯობინა. ელდარ შენგელაია მოსულა მამაჩემთან და უთქვამს: კოწია ძია, ასე მოხდა, მე ვერ ვეტყვი გურამს, თქვენ უთხარითო. რას ლაპარაკობ, შვილო, მოსარიდებელი რა გაქვს, მერე რა მოხდა, თუ იმედა აირჩიეთო. მეც, რა თქმა უნდა, განვიცადე, მაგრამ რაკი ჩემი მეგობარი იმედა კახიანი დაამტკიცეს როლზე, გული არ დამწყვეტია. მასე აგულის როლზე იმედაც გასინჯეს, მაგრამ მე დამამტკიცეს.

**— თქვენ აზარტული მოთამაშე ბრძანდებით.**

— კაზინო მესიზმრება, თანაც რა დღეში ვარ?! გავიხედავ აივნიდან — აქ კაზინო, იქ კაზინო! ვერ მივდივარ, ზოგჯერ ცოტა ფული მაქვს და იმიტომ. ფული წასაგებად რომ გაქვს გადადებული, მაშინ მოიგებ. ლობიოს საყიდელი და ქათმის საყიდელი ფული თუ გაქვს, იმ ფულით თამაშს ვერ მოიგებ.

**— რა დაემართებოდა მამათქვენს, ასეთი აზარტული მოთამაშე რომ ენახეთ...**

— არაფერს არ მეტყოდა.

**— ნასვამი თუ უნახავხართ მამას?**

— საუბედუროდ. გაოგნებული იყო: გურამ, მთვრალი არ გნახონ ქუჩაშიო, მთხოვდა. იმან დათრობა არ იცოდა. ლხინში პატარა ჭიქით სვამდა. მე დათრობა მიყვარს. სუფრასთან ზაურ ბოლქვაძე რომ სიმღერას წამოიწყებს, ჟანრი ლოლაშვილი იოხუნჯებს, იქ მინდა დავრჩე ბოლომდე.

**— ოჯახის რელიკვია თუ გაქვთ რამე?**

— ხანჯალიც მქონდა, თოფიც... დაიკარგა.

**— როგორ დაკარგეთ?**

— ეგრე არა ვარ? მოვდივარ და ყველაფერს ვკარგავ! იმ პენალზე როგორ ვდარდობ, ელიზავეტა ორბელიანმა რომ მაჩუქა და მე დავკარგე! ჩვენ საერთოდ გამცემები ვართ. მამამაც გაჩუქება იცოდა, მეც. რა არ გაგვიჩუქებია, ვინ იცის. „ცისფერი ყანწები" რომ გამოდიოდა, 12 ნომერი ჰქონდა შენახული მამას, გააჩუქა. უნიკალური წიგნებიც ბევრს აჩუქა. რაც დარჩა, მე გავეცი და ასე...

**— თქვენი ფიქრები...**

— „არ იდარდო" ხომ გინახავთ... არ უნდა იდარდო კაცმა. ეს არის ცხოვრება. თავიდან რომ დავიწყო ყველაფერი, ისევ ასე ვიცხოვრებ. ჩემი წილი მოვასწარი ყველაფერი.

**— და თქვენც არაფერზე არ დარდობთ, არა?**

— ახლა, მარტო რომ ვარ, კედლისკენ გადავბრუნდები და... მაგრამ ამაზე არ დაწეროთ, არ მინდა. სჯობს ასე დავრჩე, ასე მიცნობდნენ მხიარულ, ხალისიან კაცად. უნდა დავიტოვო რაღაც და წავიღო საიქიოს, მოვუყვე ძმაკაცებს, მშობლებს. ნიღბები გვიკეთია ყველას, ჯამბაზები ვართ, ჯამბაზები! ეგრე არ არის?

**— თქვენი თეთრი ქვა რას შვრება, ხომ არ ფიქრობთ, რომ გამოჭრეთას ელოდება ჯერ კიდევ?**

— დარჩა და დარჩა ჩემი თეთრი ქვა... ის სიუჟეტი აჩვენეს იმ დღეს, ქვასთან რომ მივდივარ „არაჩვეულებრივ გამოფენაში". გული მეტკინა სხვანაირად. მინდოდა და კინო ვერ გადავიღე... რა ვუყოთ, მერე. ყველამ რომ ყველაფერი გააკეთოს, არ იქნება საინტერესო.

***ლელა ჯიყაშვილი***


## ინგლისური ენის თარჯიმანი

**,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" სურს დაიქირავოს ინგლისური ენის მთარგმნელი, დროებითი კონტრაქტის საფუძველზე. ანაზღაურება განისაზღვრება ენის ცოდნის პროფესიონალური დონითა და შესრულებული სამუშაოს მიხედვით.**

**ტექნიკურ და/ან ფინანსურ ტექსტებთან მუშაობის ფართო გამოცდილების მქონე კანდიდატებს ვთხოვთ მოიტანონ CV შემდეგ მისამართზე:**

თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2 ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", აღმასრულებელი დირექტორი კადრების დარგში.

განაცხადის გაკეთების ბოლო ვადაა 2003 წლის 12 თებერვალი. გთხოვთ, თქვენი **CV** აღნიშნოთ შემდეგი საინდენტიფიკაციო ნომრით: **01**



## შენს ცისფერ ლანდებს

... და ვზივარ გარეთ, ველოდები შენს
ცისფერ ლანდებს...
ირხევა ბაგე, ესისხლხორცება მათრობელ
ჰანგებს,
ოცნების არე დასრიალებს, ელაციცება
შორეულ თაღებს,
ილევა ღამე...
და ანგელოსი კრძალვით უშვებს დაისის ფარდებს.
ვზივარ ეული, ველოდები ვარდისფერ დარებს.
ისევ წვიმს გარეთ...
შავი ღრუბელი გაჰკივის ციდან: „მიშველეთ რამე!“
და მაგონდები...
მოვიხმობ მუზას...
თვალდახუჭული ვხატავ შენს სახეს...

•••

ო, მახსენდება,
გაძარცულ გულში დაჰქროდა ქარი
და სამუდამო საუფლოში
ო, შენ იყავი ისე ფერმკრთალი...
და მაგონდება...
ირგვლივ თვალების სევდა მუქი, — კაეშნიანი,
და შენს სახეზე დიდების სხივი
თითქოს... შემკრთალი?!
ქვითინი
ქარის... სანთლების... მწუხრის,
ო, ისე მძაფრი!
და შეუცნობი, შემარყეველი ტკივილი ტანჯვის...
გამოსვენება...
მწარე გოდება სიცრუის წამის...
და უსაშველო ჩანჩქერები სისხლიან ცრემლის.
და...
...
სქელი ბინდი ცურავდა თვალში,
ო, მე იმ დღეს ვიყავი ბავშვი,
უსაშველოდ პატარა ბავშვი...
და შეუგნებლად...
გაძარცულ გულით ვავობდი ქარში...

## ფიქრი ბუხართან

*(მამას)*

დაეყუდება სანთლად ლოდინი ჩემს სასთუმალთან,
თვლემენ ალები თბილად შემოსილ გულის კედლებზე.
სითბოა სულშიც, წყნარად ვთხზავ ლექსებს წითელ ბუხართან,
მახსოვხარ მუდამ და უცხო ჩრდილი მადგას თვალებზე...
სარკმლის სილურჯე სულში დაღუპულ სიმორცხვეს შვენის
და ხერხემალიც მთვარის რკალივით ლოდინით დნება,
გრაგნილზე ცეცხლი გახუნებულ სტრიქონებს დევნის,
გონებას ავსებს ოქროსფერი რითმების წყება.
და თუ გავბედავ, სიკვდილამდე მიყვარდე ასე,
მკაცრია სულში აღვსებული გრძნობების სეტყვა.
შენთვის ვიფიქრე ღრმა განცდებით ფიქრი მეასე
და ჩემს ბაგეებს შემორჩებოდა ჩემი უთქმელი სიტყვა.
თვლემენ ალები თბილად შემოსილ გულის კედლებზე,
თავსაფრებს იცვლის ცეცხლების ფიქრი,
ფიქრების — ცეცხლი...
და თუ გავბედავ გეამბორო ისევ ხელებზე,
სულში გალღვება სუსხიანი ზამთრების ჭირხლი.



## მზეს ველოდები

მზიდან დანახული დედამიწა... იქიდან საერთოდ არ ჩანს, თუ არსებობს ვინმე ამ პლანეტაზე. ის ლურჯი და საოცრად ლამაზია. ალბათ მარტო ღმერთმა უწყის, მერამდენე წრეზე მიდის. უამრავი მგზავრი ჰყავს, ყველას თავისი პრობლემა აქვს, მაგრამ მზიდან ეს უხილავია, ხილული მხოლოდ სილურჯე და სილამაზეა.

მზესთან ყველაზე ახლოს ჰერმესია. სწრაფია, ზევსის საყვარლის შვილია. შემდეგი პლანეტის გამგებელი ზღვის ქაფიდან გამოსული, ულამაზესი ქალბატონი აფროდიტეა. მაგრამ, რას იზამ, ასეც ხდება, ის მეხთამცემლის მახინჯი შვილის ცოლი, და წითელი პლანეტის, ასევე ზევსის განებივრებული შვილის, არესის საყვარელია.

ზევსმა სამყაროზე გამეფებისას,



**მხატვარი კაკი ინანიშვილი**

კრონოსი (მამა) ჩამოაგდო ტახტიდან, რომელმაც ასევე, თავის დროზე, მამამისი, ურანოსად წოდებული, არ დაინდო და ასო მოაჭრა. ურანოსი — ცა თუ სამყარო. წარმოგიდგენიათ ყოვლად გასაცოდავებული, არაფრის მაქნისი, საჭურისი ცა თუ სამყარო?!

მზიდან ყველაზე მოშორებულნი ზევსის ძმები — პოსეიდონი და ჰადესი არიან. ერთს ზღვები და ოკეანეები აბარია, მეორეს — ჯოჯოხეთი. ჰადესი ყველაზე ტლანქი და ცივია. საკმაოდ დაუბერდა მენავე ქარონიც, რომელსაც გარდაცვლილები გადაჰყავს ჯოჯოხეთში.

მზეო! როდემდე უნდა იგრიალონ ზევსიანელებმა შენს სისტემაში, აღარ უნდა შეიმუსროს ზევსის საკურთხეველი (გამოცხ. 2, 13)? როდემდე, დიდებულო და მშვენიერო მზეო?!

კაცობრიობა პატარა ოთახშია ჩაკეტილი, გამომწყვდეული. ოთახს ანათებს ლუციფერის ნათურა — მზეობას იბრალებს. გააღეთ რა, კარი! გაიხედეთ, გარეთ რა ხდება.

მოკლედ... „ვაღებ კარებს, მზეს ველოდები!“ („უცნობი“).

## ცოდვა

(დაბად. 3, 1-19)

„გველი ყველაზე ცბიერი იყო ველურ ცხოველთა შორის, რომლებიც უფალმა გააჩინა“. ცოდვა არის უფლის მიერ დადებული პირობის დარღვევა, იმ პირობისა, რომელიც გველმა ქალს, ქალმა კაცს დაარღვევინა. რა მიზანს ემსახურებოდა გველი? რა მოიგო ადამიანის დაცემით? თუ უბრალოდ იარაღი იყო ვილაცის ხელში. დადიოდა მანამდე სამოთხეში და ქალს მაღალ მატერიებზე ესაუბრებოდა. შედეგი ცოდვისა: დაიწყევლა გველი, დაიწყევლა ქალი, დაიწყევლა კაცი.

„უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: რაკი ეს ჩაიდინე, წყეულიმც იყავ... მუცლით იხოხე და მტვერი ჭამე მთელი სიცოცხლე“.

ქალს უთხრა: „სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს“. მართლაც, რამხელა ტკივილია დედისგან შვილის შობა. უმტკივნეულოდ ამ ქვეყანაზე ერთადერთი იესო იშვა.

კაცს უთხრა: „მიწა დაიწყევლოს შენს გამო. ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე... პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“.

ცოდვა გაბატონდა ადამიანზე.

უფალო, შეგვიწყალე!

კაცი. ქალი. გველი — რატომღაც გალაკტიონის „ედგარი მესამედ“ მახსენდება:

„...და მივდიოდით ტაძრისკენ სამნი“.

## სპილენძის გველი

(რიცხვ. 21, 5-9)

„ხომ არ გაგიჟდი?! ახლა გველს უმეგობრდები“?! (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი).

ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, სანამ აღთქმულ მიწას მიაღწევდნენ, ებრაელებმა ორმოცი წელი უდაბნოში იარეს.

ერთხელაც, უდაბნოში „საყვედურით დაუწყო ხალხმა ლაპარაკი უფალს და მოსეს: რისთვის ამოგვიყვანე ეგვიპტიდან მოსაკლავად ამ უდაბნოში“. იძალა ხორცმა: სცხელათ, შიათ, სწყურიათ. დაავიწყდათ — რჩეულნი არიან და აღთქმული მიწისკენ მიდიან. „მიუსია უფალმა ხალხს შხამიანი გველები და მათაც დაკბინეს ხალხი. ბევრი გაწყდა ისრაელში“.

უდაბნო გველების საუფლოა. „მივიდა ხალხი მოსესთან და თქვეს: ვცოდეთ, ილოცე უფლისადმი, რომ მოგვცილდეს გველი. ილოცა მოსემ ხალხისთვის“. უფალმაც აუწყა მოსეს, რა უნდა გაეკეთებინა ისრაელიანების გადასარჩენად.

„გააკეთა მოსემ სპილენძის გველი და დაამაგრა იგი კეტზე. როცა კი უკბენდა გველი ვინმეს, შეხედავდა კაცი ამ სპილენძის გველს და იკურნებოდა“. სპილენძის გველი სხვა გველებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ იყო უმანკო ვითარცა მტრედი.

...დღესაც იგივე მეორდება, უხილავი უდაბნოს მგზავრები ვართ. ირგვლივ უამრავი გველია, ღვთისგან განდგომილობის გამო, უმოწყალოდ გვკბენენ. ყელამდე ცოდვებში ვართ: „განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა. სიკეთის ქმნა ისწავლეთ, ეძიეთ სამართალი, შეეწიეთ ჩაგრულს, განიკითხეთ ობოლი, ქვრივს გამოესარჩლეთ. მერე მოდით და ცილობა ვყოთ. ამბობს უფალი: მეწამულიც რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გასპეტაკდება. ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლის ფთილასავით გახდება“ (ესაია 1, 16-18).

შეხედეთ უდაბნოში ამაღლებულ, ძელზე შემოხვეულ სპილენძის გველს! გველების ნაკბენი ვერაფერს დაგაკლებთ.

ნუ ვიქნებით სულმოკლენი! წინ დიდი გზაა...

## იესოს ლოცვა

„ცოდვა აბნელებს სულიერ ხედვას ისე, რომ ცოდვებით დამძიმებულ ადამიანს არ ძალუძს ხედვა და შეცნობა, ანუ გონებით ჭვრეტა თავის სულის სიღრმეში მოქმედი სულიწმიდისა“. ეშმაკს არ სძინავს, მუდამ მზად არის მომაწოდოს ცოდვილი აზრები. თუ შემოაღწია გონებაში, მერე სულში გადადის, სულიდან — გულში. როგორც ზღვაში ჩავარდნილი ნივთი საბოლოოდ ფსკერზე პოულობს თავის განსასვენებელს, ასევე ჩემში შემოსული ცოდვა გულის მოუკარებელი სიღრმეების გავლის შემდეგ ფსკერზე ივანებს. ჩემი გულის ფსკერი სავსეა უამრავი ნაგვით, რომელიც აბნელებს სულიერ ხედვას: „თუ ადამიანი შეძლებს იფიქროს საკუთარ სულზე, უფრო ხშირად, ვიდრე სხეულზე, მაშინ მას ბუნებრივად უვითარდება უხილავ სამყაროსთან ურთიერთობის უნარი“ (დათო ტურაშვილი). ვცდილობ ვიფიქრო სულზე უფრო მეტი, ვცდილობ გონებაში არ შემოვუშვა ცოდვა. აუცილებელია ყურადღებით იყო, აკონტროლო, საიდან მოდის აზრები: „ეცადე შეხვიდე შენი სულის წიაღში და ზეცის ნაწილს იხილავ. იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც ერთი და იგივეა და ერთის დანახვით ორივეს ხედავ. შენში, შენი სულის სიღრმეში, ერთი სამეფოს კიბეა. განიწმინდე თავი „ცოდვებისაგან და იპოვი გზას, რომლითაც შეძლებ აღსვლას“ (წმ. ეფრემ ასური) — ეს გზა იესო ქრისტეა: „მე ვარ გზა, და მე ვარ ჭეშმარიტება“ (იოან. 14, 6). იესოს ლოცვა კი ის მესაზღვრეა, რომელიც იცავს გულს, სულს და გონებას ბოროტი მტრებისაგან.

ხანდახან მოვეშვები. დავიღლები. სულში ორპირი ქარი დაუბერავს — ვისაც უნდა შედის და გამოდის.

ვეცემი...

იესოს ლოცვა. ვდგები. ისევ ვამაგრებ საზღვრებს.

დიდი მოღვაწეობის შემდეგ, იესოს ლოცვა ადამიანის გულს ერწყმის. ის ფიქრობს, საუბრობს, გული კი ფეთქავს იესოს ლოცვასთან ერთად და ყველანაირ ცოდვას ისხლეტს — მისი ადგილი იქ არ არის.

მე კი, უძლური ვარ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი!

## ხილული და უხილავი ეკლესია

ხილულ ეკლესიას ჰქვია ამქვეყნიური, მებრძოლი ეკლესია, უხილავს — მოზეიმე, ზეციური. ორივე ერთი ეკლესიაა, იესო ქრისტეს ამაღლებიდან მეათე დღეს დაარსებული, როდესაც მოციქულებზე სულიწმიდის მადლი გადმოვიდა.

ეკლესია თავისი არსით გადამრჩენია, ამიტომაც ჰქვია ქვეყანასა ზედა სატანის მძლეველი ეკლესია, ცათა შინა უკვე მოზეიმედ წოდებული, რომლის წევრებიც არიან ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, ანგელოსთა დასები, წმინდანები.

თუ მებრძოლი ეკლესიის წევრები არა ვართ, ანუ ეკლესიურნი, ბუნებრივია, ვერ გავხდებით მოზეიმე ეკლესიის მრევლი. არას გვარგებს ეკლესიის გარეთ ყოფნა. მაცხოვნებელი მადლის გარეშე ადამიანი ადვილად ხვდება ბოროტის კლანჭებში. „ფულის მოყვარული ფულით ვერ გაძღება, და არც სიმდიდრის მოყვარული თავის შემოსავლით“ (ეკლეს. 5,9).

რა არის ადამიანის მიზანი? ხორციელი მიზნები მსწრაფლ წარმავალია, ბედნიერებაც არ მოაქვს: „რა სარგებელი ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს, და სული თვისი იზღვიოს?“ (მათ. 16, 26). როგორ არ გვინდა დავიჯეროთ — ხვალ თუ ზეგ, აღარ ვიქნებით ამ ქვეყანაზე. განქარდება ჩვენი ფუჭი ოცნებები, შეძენილი მთელი სოფელიც თავისი ვნებებით აქეთ დაგვრჩება, იქით კი მარტო, უსაშველოდ შიშველი სული.

კეთილშობილნო ქართველნო! „უარ-ვჰყოთ ულმრთოებაი და სოფლისა გულის-თქმაი, სიწმინდით და სიმართლით, და ღმრთის მსახურებით ვჰსცხოვნდებოდეთ ამას სოფელსა; და მოველოდეთ ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდებისა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესა“ (ტიტ. 2, 12, 13). ვინც არა ვართ, გავხდეთ მებრძოლი ეკლესიის წევრები. მონათლულები რომც ვიყოთ, სარწმუნოება მკვდარია, თუ სინანული არ გაგვაჩნია, აღსარებას არ ვამბობთ და არ ვეზიარებით.

„ეკლესია ბერძნული სიტყვაა და მომდინარეობს ზმნიდან „ეკკლეო“, რომელიც ქართულად მოწვევას და მოხმობას ნიშნავს. ჩვენ ამ წმიდა ადგილას ღმერთი მოგვიწოდებს და გვიხმობს“ (კათოლიკოს-პატრიარქი ილია ).

***ბერ-დიაკონი ანთიმოზი (ბიჩინაშვილი)***

K

# „ᲠᲝᲜᲓᲝᲡᲗᲕᲘᲡ" ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲢᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲝᲓᲐᲗ...



*ელენე და ლელა ოთარაშვილების, მაიკო ჩიქოვანის და ნათია ყორყოლიანის მუსიკალური კვარტეტი „რონდო" 1994 წელს შეიქმნა და დიდი წარმატება მოიპოვა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც, რასაც მოწმობს ათეულობით საერთაშორისო პრიზი, რომელიც კვარტეტმა ჩამოიტანა მოსკოვიდან, კაიროდან, ალექსანდრიიდან, იალტიდან, ვარნადან და სხვა ქალაქებიდან. ანსამბლის წევრების უკეთ გასაცნობად მის პროდიუსერს* **ელისაბედ ოთარაშვილს** *ვესაუბრეთ.*

**— ქალბატონო ლიზა, საიდან მოდის ანსამბლის შექმნის იდეა და სახელწოდება „რონდო"?**

— რონდო კლასიკური მუსიკის ფორმაა და ნიშნავს წრეში სიმღერას. ეს სახელწოდება სწორედ იმიტომ ავარჩიე, რომ კვარტეტში ჩემი ქალიშვილები, ელენე და ლელა ოთარაშვილები მღერიან და რალაცნაირად ვკრავთ წრეს. კვარტეტში მღერიან ასევე მაიკო ჩიქოვანი და ნათია ყორყოლიანი. ოთხივე პროფესიონალი მუსიკოსია და გარდა ამისა, აქვთ მეორე უმაღლესი განათლებაც. ვამაყობ ოთხი ინტელექტუალით.

**— „რონდოს" მუსიკალურ რეპერტუარში, როგორც ვიცი, ყველაზე პოპულარულია ვიქტორ დოლიძის „ქართული საცეკვაო" და ხალხური „აჭარული".**

— ეს მართლაც ასეა. თუმცა, ჯგუფი ასრულებს პოპულარულ თემებსაც, ჯაზფოლკსაც, კლასიკურ თემებსაც, მაგრამ ძირითადად გვაინტერესებს ეროვნული ინტონაციის მქონე მუსიკა, რომელიც საოცრად ხიბლავს არა მარტო ქართველებს, არამედ უცხოელებსაც.

**— უცხოეთში ხშირი გასტროლები რას უნდა მივაწეროთ, იმას, რომ კარგი სპონსორი გყავთ?**

— მე საერთაშორისო ასოციაცია „იუნოსტ პლანეტის" წევრი გახლავართ. მოსკოვიდან გვეპატიჟებიან, როცა სადმე რაიმე იგეგმება. უკვე ერთი წელია, ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი საერთაშორისო მუსიკალური ორგანიზაციის პროდიუსერთა საბჭოს წევრიც გავხდი და მისი წყალობით, უამრავი მიწვევა გვაქვს სხვადასხვა ქვეყანაში. თითოეულ გასტროლზე კი უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ ყველაზე მეტად მოსწონთ და აინტერესებთ ეროვნული ინტონაციის მქონე მუსიკა. ეს მათთვის ორიგინალურია. სწორედ ჩვენი მრავალხმიანობით შეგვიძლია გავაკვირვოთ ევროპელები თუ ამერიკელები. უამრავი გეგმა გვაქვს, მაგრამ შემაფერხებელი და დამაბრკოლებელი ყოველთვის ფინანსური პრობლემებია.

**— ახლა მგონი, კლიპსაც იღებთ.**

— დიახ. ორ კლიპს ვამზადებთ უცხოეთში გასაგზავნად. ოსკარის სახელობის მუსიკალურ კონკურსზე ვართ მიწვეულნი, სადაც პოპულარული მომღერლების ვიდეოკლიპები იქნება წარდგენილი. ამიტომაც დიდ სამზადისში ვართ. გოგა ხაინდრავას იმედი გვაქვს, მისი რეჟისორობით ალბათ საქმეს წარმატებით გავართმევთ თავს.

*ქალბატონ ლიზისთან საუბრისას მისი ქალიშვილები ელენე და ლელა ოთარაშვილებიც შემოგვიერთდნენ. გოგონებმა სიამოვნებით გაიხსენეს უცხოეთში მოგზაურობის ამბები.*

**ელენე:** — „იალტის" კონკურსს გავიხსენებ. სამ დღეში მაყურებელს ისე შევუყვარდით, რომ სცენაზე ცრემლი გვერეოდა მათი ემოციების გამო. ვიქტორ დოლიძის „ქართულმა საცეკვაომ", რა თქმა უნდა, იალტაშიც ფურორი მოახდინა. ამ ნომრის შემდეგ ხუთჯერ გვიხმეს სცენაზე.

**— მიუხედავად ასეთი წარმატებისა, მეორე საპრიზო ადგილი დაიმსახურეთ. რატომ?**

— კონკურსებზე ისეთი მაფია ტრიალებს, რომ ეს მეორე ადგილი ჩვენთვის ღვთის საჩუქარი იყო, უბრალოდ, მაყურებლის რისხვას ვერ გადაურჩებოდა ჟიური. თორემ „რონდოსთვის" პრიზის გამეტება თურმე გეგმაში სულაც არ ჰქონიათ. კონკურსის დამთავრების შემდეგ ერთი კვირით დავრჩით იალტაში და იმდენი თაყვანისმცემელი



გაგვიჩნდა, რომ ქუჩაში თავისუფლად ველარ ვმოძრაობდით.

**— არც საქართველოში გაკლიათ თაყვანისმცემლები...**

**ლელა:** — ნამდვილად არ გვაკლია. ძველით ახალ წელს რესტორან „სარაჯიშვილის" დარბაზში ვიმღერეთ. ერთმა თაყვანისმცემელმა იმპროვიზებული ლექსიც მოგვიძღვნა. „მე ამის შემდეგ სულ თქვენ გიგალობთ, ათას წელს გაძლებს თქვენი მშვენება. თქვენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს არ უწერია გადაშენება. გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას. რამდენი კილოც ვარ, იმდენ წელს დაესწარით. 106 კილო ვარ, მგონი გეყოფათ, თუ არა და თქვენი გულისათვის გავსუქდები".

**ელენე:** — თაყვანისცემის მრავალფეროვანი ფორმები აქვთ. ერთხელ კარი გავაღეთ და უზარმაზარი შოკოლადებით და ნამცხვრებით გატენილი ყუთი დაგვხვდა. მომტანი დღემდე უცნობია. ერთხელაც უზარმაზარი თაიგულები მოგვართვეს ინკოგნიტოდ. მაიკო ჩიქოვანს თითქმის სისტემატურად ხვდება კარებში წითელი ვარდები და ვეხუმრებით, რომ საკუთარი „მურტალო" ჰყავს. ერთხელაც იალტაში ქუჩაში მარტო გავიდა. გაჩერდა მანქანა. გადმოვიდა ორი უცხოელი ულამაზესი ბიჭი, ელაპარაკებიან, თურმე სიყვარულს უხსნიან და მაიკოს ამ დროს ჰგონია, რომ ჩვენ ვუწყობთ რალაც ოინს. ვერ წარმოედგინა, რომ ქუჩაში ვილაც უცხოელებმა იცნეს. ასეთივე მდგომარეობაში ნათიაც ბევრჯერ ჩავარდნილა.

**ლელა:** — ჩვენმა თაყვანისმცემლებმა იციან, რომ თუ სადმე გვეპატიჟებიან, უერთმანეთოდ არსად წავალთ. ამიტომ ოთხივეს ერთად გვიწვევენ.

**— ძალიან ძვირი უჯდებათ ალბათ ამგვარი მიწვევა.**

— არა, არა. იოლი შესანახები ვართ. 6 საათის შემდეგ არ ვჭამთ. მხოლოდ წვენს გეახლებით.

**— ახალ წელს რა დაგებედათ, ალბათ კონცერტები არა?**

— 14 იანვარს გვესტუმრა სახლში ფოტოგრაფი. ასე რომ, სურათების გადაღება და კამერის წინ პოზირებაც დაგვებედა. კონცერტიდან გვიან დაბრუნებულებს დილის ძილით ტკბობა გვინდოდა. მაგრამ ვინ გვაცალა. სასწრაფოდ მოგვიხდა სასურათედ გამოპრანჭვა და მერე მთელი დღე შესანიშნავად გავატარეთ. იმედია, მთელი წელიც ასეთივე შესანიშნავი იქნება ჩვენს მსმენელთან ერთად.

*ეკა ლომიძე*

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 30 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ 31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐ 2 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ



# ᲚᲔᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ „ᲚᲝᲚᲘᲢᲐ"



*გინესის რეკორდების წიგნში ჯერ არ მოხვედრილა კაცი, რომელიც ცხვირით სალამურზე და თავით როიალზე უკრავს. თუმცა, ამ კაცს სულაც არ ანაღვლებს „გინესელების" ასეთი უყურადღებობა და ახლა მხოლოდ საკუთარი „ჭირს გახარებით" და მაყურებელთა გართობით არის დაკავებული. თანაც, როგორც გავიგე, ახალ პროგრამასაც ამზადებს სცენაზე წარსადგენად. დათო ხუჯაძის ნაჩუქარი შლაპით, შავი ტყავის სამოსში გამოწყობილი მსახიობი ოქროს სამკაულებით უთუოდ ვესტერნის ფილმების გმირებს გაგახსენებთ. მოკლედ, ჩემი რესპონდენტია* **ლევან შენგელია**, *რომელსაც ანსამბლ „ივერიის" საიუბილეო კონცერტებიდან გაეცნო მაყურებელი და მოკლე ხანში პოპულარულიც გახდა.*

— ბავშვობაში რომელი ჟანრის ფილმებსაც ვუყურებდი, შესაბამისად, მისი გმირების მსგავსად ჩაცმული გავდიოდი ეზოში. კარატეს სწავლაც კინომ შთამაგონა და იაპონური ფილმების გადამკიდე, კიმონოთი დავდიოდი ეზოში. ფილმის გამო არა, მაგრამ ამჯერად შავი ფერი და ეს ხუჯაძისეული შლაპა ავიკვიატე. მიყვარს ტყავის კოსტიუმი. ოქროც მიყვარს. ხომ მეტყობა?

**— მსახიობის ხელოვნებას სად დაეუფლე?**

— საცირკო-საესტრადო სასწავლებელში. სწავლის დროს და მერეც, ვმონაწილეობდი კონცერტებში, მაგრამ ფართო მაყურებლის წინაშე „ივერიის" „რქიანეთში" წარვდექი. მანამდე გამუდმებით მეუბნებოდნენ ნაცნობ-მეგობრები, კაცო, შენ ბალაშვილი არ გიცნობსო? მეც ავდექი. მივედი ბატონ ჯემალთან და გავეცანი. მანაც „ივერიის" კონცერტებში მონაწილეობის ღირსად ჩამთვალა.

**— როგორც გავიგე, ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდები. სპორტის ყველა სახეობა მოგივლია და ვერსად გაჩერებულხარ, სცენიდანაც ხომ არ აპირებ გაქცევას?**

— არა, სცენიდან გაქცევას არ ვაპირებ, მაგრამ ბავშვობაში ჩემს გულაცრუებებს თავისი მიზეზი ჰქონდა. კარატეზე რომ დავდიოდი, მასწავლებელმა ბავშვი სცემა და პროტესტის ნიშნად წამოვედი. ცურვაზე აუზში თავი გაიხეთქა ერთმა და ცურვას ხიფათის შიშით შევეშვი. ცეკვის დროს იატაკზე ამოვარდნილი პარკეტის გამო დავეცი და იმის მერე, ხელი ჩავიქნიე. ისე, „რქიანეთშიც" მომიხდა ცეკვა და იქაც დავეცი. თუმცა ქართული ცეკვის ილეთები მომენტალურად რუსულით შევცვალე და მაყურებელი ვერაფერს მიხვდა.

**— როდის აღმოაჩინე, რომ პაროდისტის ნიჭით ხარ დაჯილდოებული?**

— რა თქმა უნდა, ერთ დილას გამოღვიძებულს შემთხვევით არ მიცდია შევარდნაძის „გახმოვანება". „დიდების ზღაპარი" რომ გამოჩნდა ეკრანზე, მეც დავიწყე ოჯახში თოჯინების გამოჯავრება. რესტორანში დავიწყე მუშაობა და იქ მქონდა პირველი პროგრამა. მერე „დარდუბალაში" მიმიწვიეს, სადაც მოწყენილი, ბავშვური შევარდნაძე უნდა „გამეკეთებინა". მერე მომღერლების მიბაძვა დავიწყე და...

**— საახალწლოდ ცხვირით სალამურზე და თავით როიალზე დაგვიკარით. არ გტკივათ ნომრის შესრულების მერე თავი?**

— მამაჩემიც უკრავს ცხვირით სალამურზე, მაგრამ დამუშავების ხელოვნება ჩემეულია. რაც შეეხება თავით როიალზე დაკვრას, დიდი ხანია, ეს „დავამუღამე" და თავიც არ მტკივა. ბევრ ინსტრუმენტზე ვუკრავ, მაგრამ მათი ფლობის ორიგინალური ხერხები ჯერ არ მომიძებნია. თავსაც არ ვიკლავ ამის კვლევით. მე არ მაქვს შიში, რომ შეიძლება ხალხს მოვბეზრდე და არც ამბიცია, არ არის ეს ჩემი სტილი. თუ რალაც თავად არ მსიამოვნებს, თავის გამოსაჩენად არაფერს გავაკეთებ.

**— ეი. ვარსკვლავური დაავადებები არ გაწუხებს.**

— ღმერთმა დამიფაროს ამისგან. ნეტავ, ყველა რალაც ორიგინალურის გაკეთებას შეეცდებოდეს და მე სულაც გავჩერდები და ვიამაყებ, რომ საქართველოში, ვირტუოზების ქვეყანაში ვცხოვრობ.

**— დღეს რითი ამაყობ?**

— იმით, რომ ქართველი ვარ და ასე თუ ისე, ისევ პატივს ვცემთ ტრადიციებს, ადამიანურ ურთიერთობებს და კაცს რომ შეკითხვაზე ვუპასუხოთ, ამისათვის გასამრჯელოს არ ვითხოვთ. გული მტკივა იმაზე, რომ მთელი მსოფლიო ცდილობს, ჩვენ მოგვბაძოს და ამ დროს ჩვენთან ვილაცის წესის გადმოღებას ცდილობენ. დღეს სამწუხაროდ, მომღერალთა 70% ის ხალხია, ვინც კარგა ხანს იჯდა და ფიქრობდა, რა გავაკეთო, პოპულარული რომ გავხდეო. ასეთების პოპულარობა ძალიან მალე მთავრდება. ზედაპირულ ეფექტებზე გარჯილი კაცი სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწევს. მე, როგორც ხალხური საკრავების სპეციალისტი, სხვა საქმე რომ არ მქონდეს, მოსწავლეებს ავიყვან და იმას ვასწავლი, რასაც ყავლი არასოდეს გასდის, რაც ძვირფასია — ჩვენი ხალხური მუსიკა, ფოლკლორი.

**— ლევან, საუბრის დასაწყისში მითხარი, რომ ჩაცმის სტილს კინოფილმებიდან ირჩევდი. მანქანებს რის მიხედვით ირჩევ? ორიგინალურია, რომ პაწაწინა „ზაპოროჟეცით" დადიხარ.**

— „ზაპოროჟეცი" — „ლოლიტა", ჩემი უსაყვარლესი მანქანაა. მართლა ძალიან ორიგინალურია. აბა, წარმოიდგინე ვის გააკვირვებ „ბმვ"-თი, რაც არ უნდა სწრაფად გააქროლო. მაგრამ „ლოლიტას" გამართული ძრავას წყალობით ბევრი სახტად რჩება, როცა ტრასაზე 120-ით მივფრინავ. ზაფხულში შეიძლება სახურავი გადავჭრა და „კაბრიოლეტად" გადავაკეთო. ხშირად გვაჩერებენ ტრასაზე პოლიციელები, მაგრამ საბუთებს ზედაც არ უყურებენ და სიცილით მეუბნებიან, დარღვევისათვის კი არა, მანქანის დასათვალიერებლად გაგაჩერეთო. ასეთ პატივშია „ლოლიტა".

*ეკა ლომიძე*




„ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა,
რამეთუ ვარდი და ნუში ყვაოდა მას ჟამსა...“

ახალი წელთაღრიცხვის პირველ ასწლეულებში საქართველო მსოფლიო ასპარეზზე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა. მით უფრო მნიშვნელოვანი იყო მისი როლი წინა აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ერთგვარი საჯილდაო (თუ სასინჯი) ქვა იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს, აზიურ კულტურულ სამყაროსა და ევროპულ ცივილიზაციას შორის. ერთი მხრივ იყო ირანი, ჯერ პართიულ-არშაკიდული დინასტიით და შემდგომ მძლავრი, სასანიდური სახელმწიფო; მეორე მხრივ კი რომის მსოფლიო მასშტაბის იმპერია, რომლის ადგილიც მოგვიანებით ბიზანტიურ-ბერძნულმა სამყარომ დაიკავა. ორივე პოლიტიკური მონსტრი ცდილობდა საქართველოში გავლენის მოპოვებას — ორივეს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ პირველ რიგში საჭირო იყო თავიანთი იდეოლოგიის გავრცელება.

სასანიდებმა აღადგინეს ძველი ირანული რელიგია, მაზდეანობა, იგივე ცეცხლთაყვანისმცემლობა და ცდილობდნენ მის გავრცელებას როგორც საქართველოში, ისე სრულიად კავკასიაში. საქართველოს კი თავისი კულტურული და პოლიტიკური ორიენტაციით, ისტორიული ტრადიციით, შინაგანად უკვე კარგა ხნის არჩეული ჰქონდა თავისი შემდგომი ცხოვრების თანამდევად ქრისტიანობა.



# მეფე მირიანი, წმინდა ნინო და „მოქცევაი ქართლისაი“



— საქართველო მეოთხე საუკუნეში.
— ქრისტიანობის სათავეებთან.
— ნეტარი ნინო საქართველოში მოდის.
— წმინდა ნინოს ლოცვა წარმართულ კერპებს „ამსხვრევს“.
— ურწმუნო დედოფლის მოქცევა.
— სასწაული მირიანის ნადირობისას.
— ქართლის გაქრისტიანება.

**საზეიმო სვლის დაწყებამდე წარმართულ კერპთან ნინო მივიდა. გული დაწყდა ხალხის ასეთი უგუნურობის გამო, თაყვანს რომ სცემდნენ უსულო კერპებს. მაშინ აღაპყრო ხელი და ლოცვით მიმართა თავის ღმერთს, ქრისტეს, დაელეწა ეს კერპები. მართლაც, ლოცვის დასრულებისთანავე ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, ატყდა ჭექა-ქუხილი, წამოვიდა „ლიტრისა სწორი“ სეტყვა, მიილეწ-მოილეწა კერპები, კლდის ნაპრალზე მდგარი ნინო კი უვნებლად და გაუნძრევლად იდგა.**

## მეოთხე საუკუნის საქართველო

მეოთხე საუკუნე გამორჩეულია არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც. ბევრი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა ამ ასწლეულში. მათ შორის გამორჩეული მოვლენაა ცივილიზებული სამყაროს დიდ სივრცეზე ქრისტიანული მოძღვრების ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება. საქართველო ერთი იმ პირველ ქვეყანათაგანია, სადაც ქრისტიანობა სახელმწიფო იდეოლოგია გახდა. უძველესი კერპების — არმაზის, გაცის, გაიმის, ზადენისა და სხვა კულტთა თაყვანისცემა მაცხოვრის თაყვანისცემამ შეცვალა. ჩვენი ქვეყნის მთელი შემდგომი ცხოვრება ამ რწმენითა და მისი მფარველობით წარიმართა.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქართლს მირიან მეფე განაგებს. სწორედ მირიანს არგუნა ბედმა გამხდარიყო საქართველოს განმანათლებელი. ეს ის დროა, როცა ახალი რელიგია ოფიციალურად ცხადდება სახელმწიფო რელიგიად არა მხოლოდ საქართველოში. ქრისტიანობა, რომელიც აქამდე, მთელი სამასი წლის მანძილზე დევნილთა და წამებულთა რელიგია იყო, მოსახლეობის ცხოვრების წესი ხდებოდა.

ეს კეთილი საქმე შემდეგნაირად განვითარდა: 313 წელს რომის იმპერატორმა კონსტანტინემ გამოსცა ე.წ. „მილანის ედიქტი“, რომლის მიხედვითაც აქამდე დევნილ ქრისტიანებს უფლება მიეცათ თავისუფლად ჩაეტარებინათ ღვთისმსახურება. 325 წელს ქალაქ ნიკეაში მოიწვიეს პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება — გაქრისტიანდა თავად იმპერატორი კონსტანტინეც.

იბერიაში — აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროდ 330-იანი წლები ითვლება. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ეს ფაქტი დაახლოებით 337 წელს უნდა მომხდარიყო, ხოლო საქართველოს ეკლესია, მკვლევართა ერთ ნაწილთან ერთად, ქრისტიანობის მიღების თარიღად 326 წელს მიიჩნევს.

ეგრისის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ ნახსენები ნიკეის საეკლესიო კრების ჩატარებისას აქ ქრისტიანობა ნაწილობრივ გავრცელებული უნდა ყოფილიყო. კერძოდ, შემორჩენილია კრების მონაწილეთა სია, რომელშიც მოხსენიებულია 318 ეპისკოპოსი. მათ შორის ასმეთერთმეტედ დასახელებულია ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილოსი. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან კონსტანტინეპოლთან დასავლეთ საქართველო უფრო უშუალოდ და მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს გაქრისტიანებას, ამ საქმეში მთავარი წვლილი მიუძღვის მეფე მირიანს, დედოფალ ნანას და რაღა თქმა უნდა, კაბადოკიელ ქალწულს ნინოს. ქართულმა ეკლესიამ მირიან მეფე და დედოფალი ნანა წმინდანებად შერაცხა და მათი მოხსენიების დღედ 1(14) ოქტომბერი დააწესა, ხოლო წმინდა ნინო მოციქულთა სწორად არის შერაცხული.

## ქრისტიანობის ფესვები

საქართველოს გაქრისტიანებისა და ქვეყანაში წმინდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ მოთხრობილია როგორც ქართულ საისტორიო წყაროებში — ქართლის ცხოვრების თხზულებაში „მოქცევაი ქართლისაი“, ისე ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში („წმინდა ნინოს ცხოვრება“) და სომხურ-ბერძნულ-ლათინურ წყაროებში.

სანამ ამ ლამაზ ისტორიებსა და ლეგენდათა ბურუსში გახვეულ ამბებს გავიხსენებთ, სათავეებს დავუბრუნდეთ და პირველ საუკუნეებში გადავინაცვლოთ, კიდევ ერთხელ „გადავსახლდეთ“ მეფე ადერკის მეფობის ხანაში (ჩვენი რუბრიკის მკითხველს ალბათ ახსოვს, წინა სტატიებში მოგითხრობდით საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის შესახებ)...

რა გასრულდა ოცდაათი წელი ქრისტეს შობიდან, მცხეთელ ებრაელებს მოუვიდათ მოციქულები იერუსალიმიდან: ყოფილი ყრმა იესო თავს ღვთის ძედ აცხადებს, ხალხს იბირებს, ჩამობრძანდით და მიიღეთ მონაწილეობა, „რათა განვიკითხოთ და განვბჭოთ მას ზედა“-ო. მცხეთას შეირჩნენ „მეცნიერნი სჯულისანი“ — ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. გაცილებისას დედა და და გულმხურვალედ შეევედრნენ ელიოზს — „ნუ ეზიარები დათხევასა სისხლისა მის მისისასა“.

საქართველოდან წარგზავნილებს მართლაც არ მიუღიათ მონაწილეობა ქრისტეს განსჯასა და წამებაში. ჯვარცმას კი დასწრებიან და შემდგომ, მაცხოვრის კვართიც რგებიათ წილად. როდესაც ელიოზმა კვართი მცხეთას ჩამოიტანა, დაი მისი სიდონია შეეგება, გამოართვა იგი, გულში ჩაიკრა და უეცრად გარდაიცვალა. ვერაფრით ვერ გამოურთმევიათ ხელიდან უფლის კვართი სიდონიასთვის და ამიტომ მასთან ერთად დაუკრძალავთ, გადმოცემის მიხედვით, სწორედ იმ ადგილზე აუგიათ სვეტიცხოველი.

ლეონტი მროველის მატიანის მიხედვით, ამის შემდეგ მალე ქრისტეს იდეების საქადაგებლად ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, საქართველოში ჩამოსულან მოციქულთაგან ორნი: ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. მათ მოღვაწეობის ასპარეზად დასავლეთ და სამხრეთ საქართველო აურჩევიათ. სვიმონ კანანელი აფხაზეთს გარდაცვლილა და იქვე, ახალი ათონის მიდამოებში, მაშინდელ ანაკოფიაში დაუკრძალავთ კიდეც. ანდრია პირველწოდებული ეგრისის მოქცევის შემდგომ კლარჯეთში გადასულა და იქიდან დაუტოვებია საქართველო. შეშფოთებულმა მეფემ, წარმართმა ადერკიმ ჯარი გაგზავნა ეგრისს და „იძულებით კუალადვე მიაქცივნა მეგრელნი“.

## ამბავი ნეტარი ნინოსი

აი, ასეთი ღრმა ფესვები გააჩნდა ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში. სწორედ ამ ამბავთა და ქრისტეს კვართის გასაცვიფრებელი სასწაულის შესახებ უამბო მოძღვარმა ნინოს, კაპადოკიელ ასულს ქალაქ კალასტროდან...

...კაპადოკია, მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი, იგივე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ოლქი, რომის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა იმხანად. მოსახლეობის დიდი ნაწილიც ქართველი ტომებისგან შედგებოდა. ნინოს მშობლები ადგილობრივი წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენლები ყოფილან. მამა, ზაბილონი რომაელთა ცნობილი სარდალი იყო, რომელსაც სახელი გაუთქვამს ფრანკთა ტომების დამარცხებით (მემატიანე ამ ტომებს „ბრანჯებს“ უწოდებს). დედა, სუსანა იერუსალიმის პატრიარქის და იყო.

თორმეტი წლისა ყოფილა ნინო, როდესაც მისმა მშობლებმა უარყვეს საერო ცხოვრება. მამამ მთელი თავისი ქონება გაყიდა და აღებული ფული ღარიბებსა და ქვრივ-ობლებს დაურიგა, თავად კი ბერად აღიკვეცა: „ხოლო ვითარ იქმნა ნინო თორმეტი წლისა, მაშინვე განყიდეს მშობელთა მისთა ყოველივე, რაცა აქუნდათ და წარვიდეს იერუსალიმად და განუყვეს გლახაკთა“.

იერუსალიმში ნინო პატრიარქმა ბიძამ აღსაზრდელად ტაძრის მეთვალყურეს, სარა ნიაფორს მიაბარა. მისგან ისწავლა ნინომ ქრისტეს სჯული, მისგანვე შეიტყო გულში ჩამწვდომი ამბავი, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, მისი პერანგი ანუ კვართი მცხეთელ მოქალაქეებს ერგოთ, რომელთაც იგი საქართველოში ჩაიტანეს და რომ ეს წმინდა ნივთი მცხეთას არის დამარხული.

ამის შემდეგ ამოიჭრა გულში ერთი მიზანი — საქართველოში ჩამოსვლა და აქ ქადაგება. ყოველივე ამას ღვთისმშობლის გამოცხადება მოჰყვა და ნინო ვაზის ლერწებისგან შეკრული ჯვრით, „ზეგარდმო ჩვენებით“ მოდის ქართველთა ქვეყანაში, სადაც „იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი არა“... მოაღწია ჯავახეთს, ფარავნის ტბას, სადაც მცხეთიდან გადასულ მწყემსებს შეხვდა. აქედან დაუყვა მდინარეთა ხეობებს და მგზავრებთან ერთად ქართლს, ურბნისს მოაღწია. მცირე ხნით აქ დასახლდა. ამასობაში მცხეთაში, არმაზის სალოცავის დღე დადგა და ურბნისელები ერთიანად აიყარნენ თავიანთი კერპისადმი ზვარაკის შესაწირად და მოსალოცად მტკვარს დაუყვნენ. ნინოც მათთან ერთად ჩამოვიდა მცხეთას.

გრანდიოზული საზეიმო სვლა გაიმართა საქართველოს იმდროინდელ დედაქალაქში. მინდვრის ყვავილებითა და ფარჩა-ძოწეულით მოერთოთ მცხეთა. ამას თან ერთვოდა მეფის სადიდებელი საგალობელი. საყვირისა და ბუკნალარის ფონზე გამობრძანდა კიდეც ღირსებით აღსავსე მეფე სრულიად ქართლისა, მირიანი და თანამეცხედრე მისი — დედოფალი ნანა. დიდებული, საზეიმო სვლა არმაზის მთისკენ გაემართა, სადაც მედიდურად თავს იწონებდა „მიუკარებელი“ კერპი არმაზისა — სპილენძის მეომარი, ოქროს ბეგთარით და მუზარადით, თვალები ზურმუხტისა ჰქონდა, ხელში მოელვარე მახვილი ეპყრა, აქეთ-იქიდან კი გვერდს უმკობდა ოქროს ქანდაკი გაცის, ვერცხლისა — გაიმის.

## წარმართული კერპების მსხვრევა და დედოფლის მოქცევა

საზეიმო სვლის დაწყებამდე წარმართულ კერპთან ნინო მივიდა. გული დასწყდა ხალხის ასეთი უგუნურობის გამო, თაყვანს რომ სცემდნენ უსულო კერპებს. მაშინ აღაპყრო ხელი და ლოცვით მიმართა თავის ღმერთს, ქრისტეს, დაელეწა ეს კერპები. მართლაც, ლოცვის დასრულებისთანავე ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, ატყდა ჭექა-ქუხილი, წამოვიდა „ლიტრისა სწორი“ სეტყვა, მიილეწ-მოილეწა კერპები, კლდის ნაპრალზე მდგარი ნინო კი უვნებლად და გაუნძრევლად იდგა.

მეორე დღეს მოსულ მეფე მირიანს აღარც კერპები დახვდა და აღარც მათი ნაკვალევი. შიშატანილმა ხალხმა ეს სასწაული არმაზის მოქიშპე ქალდეველთა ღვთაებას, ითრუჯანს მიაწერა.

მესამე დღეს ჩამოვიდა ნინო მცხეთას და მეფის მებაღის ოჯახს შეაფარა თავი. ცხრა თვე ცხოვრობდა მებაღესა და მის მეუღლესთან. პირველი სასწაულიც მათვე მოუვლინა — უშვილო ცოლ-ქმარს შვილი ეყოლათ და ისინი გახდნენ კიდევაც პირველი მიმდევრები და მოწაფენი ქრისტეს სჯულისა. ამის შემდეგ გადავიდა ნეტარი ნინო მათგან ზღუდე-გალავანს გარეთ — დღევანდელი სამთავროს მონასტრის საკურთხევლის ადგილას, მაყვლის ბუჩქის ქვეშ დაბინავდა, ვაზის ნასხლავისაგან გაკეთებულ ჯვარზე ლოცულობდა. ცხოვრობდა ასე ექვსი წელი, მკურნალობდა ხალხს, ხშირად განუკურნებელი სენისგანაც ჰკურნავდა მათ, ლოცულობდა და ქრისტიანობასაც ქადაგებდა. ადვილი შესაძლებელია, ამ ამბავს მეფე მირიანის ყურამდეც მიეღწია...

ყველაფერი კი ნანა დედოფლისგან დაიწყო, რომელიც თავიდან „ფრიად მტერ იყო ქრისტეს სჯულისა“. მაგრამ დასნეულდა დედოფალი და ვერვინ უშველა: „ყოველთა ხელოვანთა მკურნალთა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი და ვერ შეუძლეს კურნება მისი“... ერთადერთ იმედად ნეტარი ნინო რჩებოდა, რომლის სასწაულმოქმედებაზე ლეგენდები დადიოდა უკვე... ტახტრევანზე მწოლიარე დედოფალი უფლისწულ რევისა და ამალის თანხლებით ხლებია ქალწულს. დედოფალი უბრალო ფარდაგზე — „საკურნებელ საგებელზე“ დაუწვენია ნინოს. დიდხანს ულოცია მერე, დასასრულ ჯვარი გადაუსახავს: „შეახო თავსა, ფერხთა და მხართა ჯუარისა სახედ“.

და მოხდა სასწაული — დედოფალი „მეყსეულად განიკურნა და აღდგა განცოცხლებული“... შემდგომ ამისა „მოიქცა“ დედოფალი ნანა, იგი „იქმნა მორწმუნე და იცნა ღმერთი ჭეშმარიტი“.

## მირიანის გაქრისტიანების ამბავი

აქვე უნდა ვივარაუდოთ ერთი გარემოება. უეჭველია, მეფე მირიანმა იცოდა ამ ექვსი წლის განმავლობაში მის ქვეყანაში ნინოს საქმიანობის ამბავი. მაგრამ მთელი ამ დროის მანძილზე მას თავისი დამოკიდებულება ნინოსა და მისი უფლის, ქრისტეს მიმართ თითქმის არ გამოუხატავს — არც დადებითი, არც უარყოფითი... ბუნებრივია, რომ მეფე მირიანი, წინა აზიის ერთ-ერთი გავლენიანი სახელმწიფოს გავლენიანი მმართველი, კარგად იყო გაცნობიერებული კონსტანტინეპოლში მიმდინარე იდეოლოგიურ ცვლილებებში. ეს ხომ ის დროა, როცა იმპერატორი კონსტანტინე უკვე ქრისტიანული სახელმწიფოს მპყრობელია. მეფე მირიანი კი როგორც ჩანს, „დიპლომატიურ დუმილს“ არჩევს...

მაგრამ ამ „დუმილსაც“ მოეღო ბოლო.

აი, რას გვიყვება ამის შესახებ მორიგი ლამაზი გადმოცემა:

ერთ შუა ზაფხულის დღეს მხლებლებთან ერთად მეფე მირიანი სანადიროდ წასულა. მოუნადირებია მუხრანის სანახები, ასულა თხოთის მთაზე, უთვალიერებია იქიდან კასპისა და უფლისწულის სანახები. ავი რამ განუზრახავს მეფეს — გადაუწყვეტია ქრისტიანთათვის რისხვის დატეხვა. სწორედ ამ დროს ერთბაშად ჩამობნელებულა, წყვდიადი ჩამომდგარა... ირგვლივ უკუნი შეიქმნა თურმე, მეფე ამალასაც ჩამოშორდა. შეშფოთებულა უკუნეთში შთანთქმული მირიანი და უხმია საშველად თავისი კერპებისთვის. ვერარა უშველეს მათ... მაშინ იყო, რომ ახსენა ქართველთა მეფემ ნეტარი ნინოს ღმერთი, შველა შესთხოვა — სამაგიეროდ, ჯვარსაც აღგიმართავ, სალოცავ სახლსაც აგიშენებ და გიწამებო.

... და მოხდა სასწაული. და დადგა ნათელი, გამობრწყინდა მზე.

ასე იწამა მეფე მირიანმა ქრისტიანობა, ასე ირწმუნა მან ნეტარი ნინოს უფალი, იესო. „შენა ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა“... — ამ სიტყვებით მიმართა მირიანმა ქრისტეს.

## უფლის კიდევ ერთი სასწაული

მეფე მირიანმა და ნეტარმა ნინომ მოციქულები გაუგზავნეს რომის იმპერატორს, კონსტანტინეს და მის დედას, დედოფალ ელენეს. შესთხოვეს მათ მღვდელთმთავარი და მღვდლები გამოეგზავნათ ნათლისღებისათვის. რასაკვირველია, იმპერატორმა სიხარულით მიიღო მათი თხოვნა და საქართველოში ეპისკოპოსად გამოაგზავნა „მღვდელი ჭეშმარიტი“ იოანე, მასთან ერთად კიდევ ორი მღვდელი და სამიც დიაკვანი. ოჯახითურთ მოინათლა მეფე მირიანი და ქვეშევრდომებსაც უბრძანა მონათლულიყვნენ — აკურთხეს მდინარე მტკვარი და იქ მცხეთისა და ქართლის მოსახლეობა მონათლეს. წმინდა ნინოს რჩევით, მირიანმა თავის ბაღში ხის ეკლესიაც ააგებინა.

ეკლესიის მშენებლობისას უფალმა კიდევ ერთი სასწაული მოავლინა — მშენებლებმა ვერასგზით ვერ დადგეს მთავარ სვეტად განმზადებული ნაძვის ხის ბოძი. მაშინ ილოცა წმინდა ნინომ და განცვიფრებული ხალხის წინაშე ცეცხლის ზეწარში გახვეული ზეციური ჭაბუკის მიერ მაღლა ატანილი ბოძი ძირს დაეშვა და თავისსავე საძირკველზე განმტკიცდა.

გადმოცემის მიხედვით, ის ნაძვის ხე, სწორედ გულში მაცხოვრის კვართჩახუტებული სიდონიას საფლავზე იყო ამოსული. ტაძარსაც ამ ღვთიური მოვლენის გამო ეწოდა სვეტიცხოველი (ოღონდაც ის დიდებული ტაძარი, დღეს რომ აქ დგას, მეთერთმეტე საუკუნისაა. მირიანის მეფობისას აქ მხოლოდ ხის ეკლესია აიგო, შემდგომ ვახტანგ გორგასალმა აღმართა მის ადგილას ქვითკირის ბაზილიკური ტაძარი, რომლის საძირკველზეც გიორგი პირველის მეფობის ხანაში დიდოსტატმა არსუკიძემ ქართული ხუროთმოძღვრების სასწაული შექმნა).

ქრისტიანობა ქართლში, განსაკუთრებით მის ბარში, სწრაფად გავრცელდა. თუმცა, მთიან ნაწილში, სადაც ჯერ კიდევ თემური ურთიერთობით ცხოვრობდა ხალხი — არაგვის ზემო წელზე — ჭართალში, ფხოვში, წილკანში, გუდამაყარში, კახეთის მთიანეთში მეფემ გააგზავნა ერისთავნი, — აქ „მცირედ წარმართა“ მახვილი და ისე გააქრისტიანა ისინი. გაქრისტიანდა კახეთ-კუხეთიც.

...ამდენი გარჯით, მოგზაურობით მოიღალა წმინდა ნინო, დასნეულდა და გარდაიცვალა კუხეთს და აქვე, ბოდბის მონასტერში დაასაფლავეს. ნინოს, როგორც წმინდანის ხსენების დღედ ქართულმა ეკლესიამ დააწესა 14 იანვარი (ახალი სტილით 27 იანვარი).

...ამასობაში მიიწურა განმანათლებელი მეფის, მირიანის ხელმწიფობაც. მეფობის ბოლოს ერთი უბედურებაც ეწვია. უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე რევი მოულოდნელად გარდაიცვალა. ამის შემდეგ მირიანს დიდხანს აღარ უცოცხლია. სიკვდილის წინ სამეფო ტახტი თავის უმრწემეს ვაჟს, ბაქარს გადაულოცა და ღვაწლმოსილი მშვიდად მიიცვალა.

... და დაუტევა შვილს მაცხოვრის კალთას შეფარებული საქართველო.

*ისტორიული წყაროების მიხედვით მირიან მეფის ეპოქა მიმოიხილა ნოდარ შოშიტაშვილმა*

CMYK

— ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ავიკვიატე, „კვირის პალიტრას“ უნდა მივაკითხო, ის ჟურნალისტი ვნახო, ქალების ცხოვრებაზე რომ წერს-მეთქი, მაგრამ მეუღლემ ნება არ მომცა... ამ სამი დღის წინ სოფლიდან ჩემს დას ნობათი ჩამოვუტანე და... თქვენც გეახელით.

**— მეუღლე რატომ არ გიშვებდათ რედაქციაში?**

— იმიტომ, რომ დღემდე ჰგონია, ჩემი ეჭვიანობა ფანტაზიის ნაყოფია... ჩემი უმცროსი დის სული არ მასვენებს. თქვენს გაზეთს ყველგან კითხულობენ და როცა ჩვენს რაიონშიც გაეცნობიან ამ წერილს, მიხვდებიან, ვისაც ეხება ეს ამბავი. ეგებ „ზოგიერთს“ ძარღვი აუტოკდეს, თავისი დანაშაული ეკლესიაში მაინც მოინანიოს...

*მივხვდი, არცთუ სასიამოვნო ამბის მოსმენა მომიწევდა. როგორც ქალბატონმა თინამ მითხრა, იგი წარმოშობით ზესტაფონიდან არის, მომავალი მეუღლე თბილისში, ინსტიტუტში სწავლისას გაიცნო. ამჟამად ოჯახით თეთრიწყაროს რაიონში ცხოვრობს.*

— სამი და ვიყავით, მე უფროსი ვარ. შუათანა, ნინო, თბილისში გათხოვდა. უმცროსზე, ხატიაზე თორმეტი წლით უფროსი ვიყავი. დედა რომ გარდაგვეცვალა, მეცხრე კლასში იყო. მამა ჯერ კიდევ ახალგაზრდა გახლდათ. ვიცოდი, დიდხანს არ გაჩერდებოდა უცოლოდ, ამიტომ ვთხოვე, ხატიას მე წავიყვან და ვასწავლი-მეთქი. დამეთანხმა...

ხატია ქართულ ცეკვაზე დადიოდა ზესტაფონში, ჩვენთანაც იყო ანსამბლი და იქ განაგრძო ცეკვა. კარგად სწავლობდა. ბევრ ბიჭს მოსწონდა. მათ შორის ერთი აქტიურობდა, მილიციის განყოფილების უფროსის შვილი, გოჩა. ის და მისი ოჯახი თვალში მაინცდამაინც არ მოსდიოდა სოფელს. ხატიას სკოლა არც ჰქონდა დამთავრებული, მოიტაცა. გავგიჟდი — ჩემს დას იმ ბიჭთან არ დავტოვებ-მეთქი, მაგრამ ხატიამ თქვა უარი შინ მობრუნებაზე... მალე ბავშვიც შეეძინათ, თითქოს არაფერი აკლდა ხატიას, თითქოს ბედნიერიც იყო, მაგრამ...

გოჩამ მალე გული აიყარა ოჯახზე. ხშირად თვრებოდა, ჩხუბობდა. მშობლები განა ამტყუნებდნენ, პირიქით, ხატიას აჩუმებდნენ — მოითმინე, ყველა კაცს აქვს ასეთი პერიოდიო. ჩემი საწყალი და ისედაც მშვიდი იყო, რაღა დარიგება უნდოდა? ერთხელ შემთხვევით შევესწარი — ჩუმად ტიროდა. სისხლი ამივარდა თავში, სიძესაც ვუთხარი საკადრისი და მის მშობლებსაც. გოჩამ — ჩემს საქმეში ნუ ერევიო, მისმა მშობლებმა კი „სოფლის ავი რძალი“ მიწოდეს.

მალე ამბავი მომიტანეს, შენი სიძე ერთ მეზობელ სოფელელ კახპას არის აკიდებული და თავს ვერ ანებებსო... ხატიას ხომ ვერ ვეტყოდი ამას, ისევ გოჩა დავიმარტოხელე — ყველაფერი ვიცი, ჭკუას მოუხმე, თორემ ინანებ-მეთქი. აქეთ დამემუქრა: ენა გააჩუმე, თორემ ოჯახს დაგინგრევ, ისეთ რამეს ვეტყვი შენს ქმარსო. გავგიჟდი, იმ გაფუჭებულს რა უნდა ეთქვა ჩემი მეუღლისთვის, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო...

დრო გადიოდა. ხატია დარდმა დაადნო. ახლაც მიკვირს, რად უნდოდა, საძულველი კაცისგან მეორე ბავშვს რომ აჩენდა?! მაგრამ, ეტყობა, ფიქრობდა, ბავშვებით ოჯახისკენ შემოაბრუნებდა ქმარს.



გოჩა კი მთლად გატყიურდა... ერთხელ ჩემი შვილი მოვარდა შინ — ხატია დეიდა ცუდად არის და შენთან საშველად გამომგზავნაო. ყველაფერი დავყარე და გავიქეცი დასთან. მოწამლული იყო. გოჩამ სოკო მოიტანა და ეტყობა, მაწყინაო. გადავირიე — რაღა მარტო შენ გაწყინა, სხვამ არ ჭამა-მეთქი? საავადმყოფოში გონდაკარგული მივიყვანე. ერთი კვირა სიკვდილს ებრძოდა. წუთითაც არ მოვშორებივარ. ძლივს გადარჩა... შინ რომ დავბრუნდით, ხატიამ მითხრა, აღარ ჩავრეულიყავი მისი ოჯახის საქმეში. მივხვდი, გოჩას დარიგებული იყო. მაგრამ სხვა გზა არ ჩანდა და გაჩუმება ვარჩიე.

ეჰ, ნეტავ არ გავჩუმებულიყავი...

ბოლო ხანს ხატიას ველარ ვცნობდი. ათჯერ მაინც უნდა მეკითხა რაღაც, რომ პასუხი გაეცა, რაღაცნაირი უცნაური დაბნეულობა დასჩემდა. ერთხელ შევესწარი, ჭიქაში წვეთები ჩამოისხა და დალია. რა დალიე-მეთქი, — ვკითხე გაოცებულმა. ნევროზი მჭირს და ექიმმა გოჩას ეს წვეთები ურჩიაო, — მიპასუხა. ფლაკონს არაფერი ეწერა, სითხე უსუნო იყო, გემოთი — მომწარო. ხატიას ვუთხარი, ეს მეტად აღარ დალიო, მე მოგიტან დასამშვიდებელ წვეთებს-მეთქი. ხატიასგან წამოსული მეზობელი სოფლის გზას დავადექი. კითხვა-კითხვით მივაგენი გოჩას საყვარლის სახლს, იქ ბრძანდებოდა ის ვაჟბატონიც. რა ვქნა, ჩემი „სიავე“ უნდა ვთქვა — ისე გავმწარდი, ის ბოთლი სახეში ვესროლე გოჩას: რას ასმევ ჩემს დას, ნელ-ნელა გინდა ბოლო მოუღო-მეთქი? გიჟი და არანორმალური მეძახა, მერე ჩემს ქმართან მივიდა და უთხრა, — დააბი შენი ცოფიანი ცოლი, თორემ მამაჩემს დავაჭერინებო... ჩემი ქმარიც, მისი მშობლებიც გამწარდნენ და ხატიასთან მისვლა ამიკრძალეს: გაანებე თავი, რომელი კაცი არ ღალატობს ცოლს, ხომ ხედავ, რომ ასეა თუ ისე, ოჯახსაც ინახავს და შვილებსაც პატრონობსო... რამდენიმე თვე ისე გავიდა, რომ ხატია არ მინახავს. მეზობლის ქალს მოჰქონდა მისი ამბები: არა უშავს რა, ოჯახშიც სიმშვიდეა, გოჩაც ახლა უფრო ხშირად არის შინ და ჩხუბის ხმაც აღარ ისმისო. ცოტა დავწყნარდი...

ამბავი მომიტანეს, ხატია შეუძლოდ არის და წევსო. ვერ მოვითმინე და წავედი... დასუსტებული იყო. ვთხოვე, ჩემთან გადმოსულიყო, სანამ გამოჯანმრთელდებოდა. უარი მითხრა: შენთან რომ წამოვიდე, ხელახლა ატყდება ალიაქოთი და ამას ველარ გადავიტან. დედამთილიც და გოჩაც — ორივე მივლის, მალე ფეხზე დავდგები და გესტუმრებიო. არ დასცალდა — ერთ კვირაში გათავდა...

სიტყვით შეუძლებელია გადმოგცეთ ის, რაც იმ დღეებში გადავიტანე. ექიმებმა თქვეს, — გრიპმა გულზე გართულება დაუტოვა, მერე კი თრომბი დაემართა და ამან მოუღო ბოლოო.

**— არ გჯერათ?**

— აბა, როგორ დავიჯერო?.. ის საეჭვო წვეთები არ მასვენებს. რა შემცველობისა იყო, ვერაფრით დავადგინე. ჩემი ეჭვი მეუღლეს გავანდე. მითხრა: ისე გძულდა შენი სიძე, რომ ათასნაირი ეჭვი გებადებაო. გამკეთებელმა ერთი ცოდვა ქნა, დამბრალებელმა — ორჯერ მეტი. იმ გოგოს სულს ნუ აშფოთებ, დაშოშმინდიო. როგორია დის სიკვდილი, თანაც ისეთი სიკვდილი, ჩემ გარდა ბევრ სხვასაც რომ ეჭვი გაუჩინა.

ხატიას ორმოცის მერე მაინც ვერ მოვისვენე და სიძეს დავავალე, — ის წვეთები, რომელსაც ხატიას ასმევდი, მეც მომიტანე-მეთქი. მხრები აიჩეჩა. ორ დღეში შვილს ვალერიანის ძირების ნაყენი გამოატანა. არადა კარგად მახსოვს, ის წვეთები სულ სხვა გემოსი იყო... ეჭვი გამიათკეცდა, როცა გავიგე, რომ ჩემი სიძის საყვარელი ექიმბაშობდა თურმე — შაკიკის, უშვილობის, ნევროზის წამლებს ამზადებს და ხალხს შველისო. კარგა ხანს ვიწრიალე, არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. ბოლოს, მაინც წავედი მეზობელ სოფელში, თან წავიყვანე ნათესავი ქალი და ის მივგზავნე ექიმბაშთან. ყველანაირი წამალი ვაყიდინე და ერთ ნაცნობ პროვიზორს მივუტანე გასასინჯად... სამწუხაროდ, ის საეჭვო წვეთები არც ერთში არ აღმოჩნდა. ყველა წამალი ბალახეული იყო.

**— ისე, ასეთი რამის დაბრალება და ეჭვიანობა დიდი ცოდვაა...**

— არც თქვენ გჯერათ? ნახევარ სიცოცხლეს დავთმობდი, ოღონდ გამაგებინა, რა წვეთებს ასმევდა გოჩა ხატიას. გული მიკვდება, როცა მახსენდება, როგორ უჩუმრის პირით იტანდა ჩემი და ყველაფერს, უყოყმანოდ სვამდა იმას, რასაც ქმარი მიუტანდა... რატომ შეიწირა ხატია ქმარმა, თუკი არ უყვარდა, გაშორებოდა.

**— იქნებ გოჩას სურდა ცოლის გამოჯანმრთელება და იმიტომაც მიჰქონდა მასთან ის წამალი, საყვარელი კი სხვა რამეს უმზადებდა?**

— რას ჰქვია, ეგონა? ჯერ ერთი, ეჭვი გაჩნდა, რომ წამალმა ავნო ქალს და ქმარმა ეს აღარ გამოიკვლია, მეორეც, მე ხომ პროვიზორს გავასინჯე წვეთები და ბალახეული აღმოჩნდა, უწინდელი კი არც სუნით, არც გემოთი არ ჰგავდა იმას, რომელსაც ვითომ ნევროზის საწინააღმდეგო წამალი ერქვა. ესეც იცოდა გოჩამ, მაგრამ ხმა მაინც არ ამოიღო... გარდა ამისა, ხატიას უმცროს შვილს ერთხელ წამოსცდა: მამიკოს ვახლდი მეზობელ სოფელში, იმ ექიმბაშს ორი გოჭი მივუყვანეთო... განა რით დაიმსახურა იმ დედაკაცმა გოჭები, ცოლი მოურჩინა და ფეხზე დააყენა ავადმყოფი, თუ რა? ხატია ცოცხალი აღარ იყო და საჩუქარი რისთვის მიუტანა საყვარელს?

**— ხატიას ბავშვები დიდები იქნებიან...**

— გოგონა 14 წლისაა, ბიჭი — 10-ის.

**— გოჩამ როგორ გააგრძელა ცხოვრება?**

— სამ წელიწადში სხვა ქალი შეირთო (ის არა, ვისთანაც დადიოდა), ბიჭიც შეეძინა.

**— ხატიას შვილებისთვის ხომ არ გითქვამთ რაიმე თქვენს ეჭვზე?**

— უიმე, არა!..

**— დედინაცვალი როგორ ექცევათ?**

— ცუდი ქალი არ არის. თბილად ეპყრობა ჩემს დისშვილებს... ეს ამბავი იმიტომ გიამბეთ, რომ მინდა სიძეყოფილმა მოინანიოს წარსული. თვითონ ხომ ჩემზე უკეთ იცის, რაც ჩაიდინა. ძალიან მეშინია, მისი ცოდვა ხატიას შვილებზე არ გადავიდეს. ნათქვამია, პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჰკვეთა კბილიო... ღმერთი არავის შეარჩენს ცოდვას.

***მარინა ბაბუნაშვილი***



„...ვერ წარმოიდგენთ, როგორ იმოქმედა ამ ამბავმა... ორი თვეა, სასოწარკვეთილი ვარ. სულ მეგონა, როცა გიყვარს, თვალდახუჭული უნდა მიენდო საყვარელ ადამიანს, მაგრამ... მივენდე და როცა მეგონა, ჩვენს ბედნიერებას წინ არაფერი ედგა, ისე დაფრთხა, რომ განზე გავდექი... მან ბავშვის მოშორება მომთხოვა — ჩვენი თავი ვერ გვირჩენია და ბავშვი როგორ უნდა გავზარდოთო. ის წელს ამთავრებს სასწავლებელს, მე კი ჯერ მესამე კურსზე ვარ. მას მშობლებიც ჰყავს და ძლიერი ახლობლებიც. მე კი, ორი წელია ლოგინად ჩავარდნილ დედას და მოხუც ბებიას ვუვლი. მიუხედავად ამისა, არ შემშინებია ბავშვის გაჩენა, მაგრამ ჩემი შეყვარებულის შიშმა მეც დამაფიქრა — იქნებ, ამ სიტუაციაში მართლაც ნაადრევია ბავშვის გაჩენა-მეთქი. რადგან ვმარხულობდი, ექიმთან წასვლა შობის მერე გადავდე, საშობაოდ კი თქვენი წერილიც დაიბეჭდა, რომელმაც ამაფორიაქა... გადავწყვიტე, ბავშვი გავაჩინო. ალბათ სასაცილოა ამის თქმა, მაგრამ კეთილი ხალხის იმედი მაქვს... ახლა უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ბავშვზე უარის თქმით მთელ ჩემს სიცოცხლეს გავიმწარებდი. არ ვიცი, რას იტყვის ჩემი შეყვარებული, მაგრამ ეს უკვე ნაკლებად მაღელვებს. მე მას არაფერს მოვთხოვ. თქვენ კი, დიდი მადლობა, რომ იმ წერილით სწორ გზაზე დამაყენეთ და ცოდვა არ ჩამადენინეთ, — ***ნინო თ.***“

„...როდესაც საშობაო ნომერში წავიკითხე გინეკოლოგი ქალის ამბავი, საკუთარი თავი წარმოვიდგინე მის ადგილზე... მართალია, ჩემი ბიჭი ჯერ კიდევ პატარაა, 12 წლისა, მაგრამ ხომ შეიძლება დედობრივმა სიყვარულმა მეც ანალოგიური რამ ჩამადენინოს?.. მეც ექიმი-გინეკოლოგი ვარ, თუმცა აბორტს სამი წელია აღარ ვაკეთებ. ეს გადაწყვეტილება კი ერთი შემთხვევის მერე მივიღე... ჩემმა ნათესავმა მთხოვა, მეზობლის გოგონასთვის აბორტი გამეკეთებინა. დავთანხმდი. მეორე დღეს მომიყვანეს. გათხოვილი მეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მწარედ მოეტყუებინა „შეყვარებულს“. ისე ტიროდა, სულს ძლივს ითქვამდა. აბორტი გაკეთდა, მაგრამ იმ დღის შემდეგ მოსვენება დავკარგე. ძილსა თუ ცხადში სულ იმ გოგოს ცრემლით სველი სახე მედგა თვალწინ. ერთხელ დამესიზმრა, ვითომ ოჯახში მესტუმრა ის გოგო, ხელში ეჭირა თოთო ბავშვი, რომელმაც ჩემკენ გამოიწია. ავიყვანე, მან კი უცებ ხმა ამოიღო და დამელაპარაკა: ახლა უფრო დიდი ვიქნებოდი, შენ რომ დედაჩემს არ დაგეშორებინეო... გულგახეთქილს გამომეღვიძა. იმ დღესვე ეკლესიაში გავვარდი, მღვდელს აღსარება ჩავაბარე. მან სასჯელი დამადო, ეკლესიური ცხოვრებისკენ მობრუნდიო, — მითხრა და ამიკრძალა აბორტის გაკეთება. იგი დღეს ჩემი მოძღვარია. მან მართლაც დიდი შვება მომიტანა...

სულ ვფიქრობ იმ გოგოზე. ალბათ, რა ბედნიერი იქნებოდა, ბავშვი რომ გაეჩინა და დედა გამხდარიყო... ჩემს ნათესავს გამოვკითხე მისი ამბავი. ასე მითხრა: იმ ამბის მერე მისმა ოჯახმა ბინა გაყიდა და საცხოვრებლად სხვა უბანში გადავიდა. მხოლოდ ის ვიცი, რომ არ გათხოვილაო... მას მერე აბორტი აღარ გამიკეთებია და ჩემს კოლეგებში აბორტის საწინააღმდეგო აგიტაციას ვეწევი, — *თამარ ცეცხლაძე*“.

*ერთი მაგარი სიზმარა და ცრუმორწმუნე მეგობარი მყავს. ტელევიზორს რომ მოსწყდება, ძილში აგრძელებს „სანახაობების“ ყურებას და დილაობით ერთმანეთში ერევა ცხადი და სიზმარი. თუ რამე უსიამოვნო დაესიზმრა, „წყალს ატანს“ ან „ცეცხლში წვავს“. ეს ჩემი მეგობარი კურიოზებით სავსე ქალია. ერთხელ სამსახურში წყალი არ მოდიოდა, ამიტომ დიდი „კოკა-კოლას“ ბოთლი აუღია. თან სასმელს ღვრიდა და თან სიზმარს უყვებოდა ნაკადს. „კოკა-კოლას“ მუქი ფერის სითხე კი პირდაპირ მისი უფროსის თეთრ მერსედესს დასხმია და კარგადაც გაულამაზებია. ეს ამბავი დარაჯს „დაზარალებული“ მანქანის პატრონისთვის ჩაუკენჭავს. გაცეცხლებული უფროსი ოთახში შევარდნილა, „სიზმარას“ დატაკებია. მაგრად გამოულანძღავს და ოთახიდან გიჟივით გავარდნილა. „სიზმარამ“ კი ეს ამბავი ასე ახსნა, — მე რომ სიზმარი წყლისთვის გამეტანებინა, ამ დღეში არ ჩავვარდებოდიო...*

*მოკლედ, რესპონდენტ ქალებს სწორედ სიზმრებზე ვესაუბრე...*

**ეკა:** — ბებიაჩემი თავის დროზე ათეისტი იყო. ახლა ეკლესიაში ათენ-აღამებს. ჰოდა, სანამ ცრუმორწმუნეობის ტყვეობაში მოქცევის საშიშროება ჰქონდა, ასეთი რამ შეემთხვა. ქალიშვილობაში ბებიისთვის უსწავლებიათ, თუ სუბსარქისობაზე მარილიან კვერს შეჭამ და დაძინებამდე წყალს არ დალევ, სიზმრად საქმრო გამოგეცხადება და ის მოგიკლავს წყურვილსო. ცნობისმოყვარე ბებიას ტანჯვით უჭამია მარილიანი კვერი, ზედ დასაძინებელიც მიუყოლებია და ძილად მიგდებულა. სიზმარში მართლაც უნახავს კაცი, გამოღვიძებულს მისი პორტრეტი დაუხატავს და უთქვამს, — აი, ეს გახდება ჩემი ქმარიო. დაიჯერებთ? ბაბუა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა იმ კაცს. ბებოს რომ ხატვის ნიჭი არ ჰქონოდა, აბა ვინ დაუჯერებდა ამ ამბავს?



**თაკო:** — ჩემს ქმარს ერთი უბედურება სჭირს. თუ დედაჩემი დაესიზმრა, უჟმურივით იღვიძებს და მეუბნება, — დღეს უთუოდ პოლიცია დამაჯარიმებს, წუხელ დედაშენი დამესიზმრაო. საღამოს ჩემს ქმარს მანქანის მართვის მოწმობის ნაცვლად შინ მართვის დროებითი უფლების ბარათი მოაქვს. სასწაულია, ერთმანეთი რომ არ უყვარდეთ სიძე-სიდედრს, ვიფიქრებდი რამეს. დაიჯერებთ, დედაჩემი მე არ მესიზმრება, ჩემი ქმარი კი ძილში თვეში ერთხელ მაინც ნახულობს.

**ლიკა:** — გურული მეზობელი გვყავს, ცუცა, უბედურის ერთი თვალი აქვს. თუ ვინმეზე კვიმატი რამ თქვა და თანაც თვალმოჭუტულმა გახედა, წასულია მისი საქმე. იცის ამ უკუღმართმა ცუცამ თავისი ნავსიანი თვალის ამბავი და თუ ვინმესთვის გულის გახეთქვა უნდა, „მსხვერპლის“ წინ დაერჭობა და თვალს არ მოაცილებს. ამას წინათ ერთი ჩვენი მეზობელი დაიკარგა — თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. გულმა რეჩხი მიყო და დავურეკე. რა გჭირს, ნათელა, ხომ ხარ ცოცხალი-მეთქი. ჯერ კი ვარ ცოცხალი, მარა, როგორც ჩანს, არ მიწერია დიდი დღეო. რა დაგემართა-მეთქი. რა და, ცუცამ დამირეკა, ცუდი სიზმარი ვნახე შენზე, ეცადე, ერთი კვირა მაინც შინიდან არ გახვიდეო. სანამ მისი სიზმარი უბედურად არ ამხდენია, ვიქნები ერთ-ორ დღეს შინ-მეთქი, ვიფიქრე. ნათელა რომ ასე იტანჯებოდა, ცუცა სიცილით კვდებოდა თურმე. უკუღმართს სცოდნია ნათელას „სიზმარაობის“ და ცრუმორწმუნეობის ამბავი.

**ქეთი:** — სიზმარში დამთვრალი კაცი თუ გინახავთ? მე კი — ჩემი სიძე... საღამოს ვიცი, ფხიზელი დაწვა და დილით გალეშილი ძლივს გავაღვიძეთ. თვალები რომ გაახილა, დაფეთებული შემოგვაცქერდა — სადაა თამადაო? ჯერ ისტერიული ხარხარი აგვივარდა და მერე ლამის იქით გავხდით მოსასულიერებლები. კაცი გაჰყვიროდა, — რა სუფრა და რა ქეიფი იყო, რავა გამაღვიძეთო. არადა, მთელი ღამე ცოლის გვერდით იწვა. ისე, საღამოს კი აუხდა სიზმარი, მართლა კაი სუფრასთან მოხვდა.

***ეკა ლომიძე***



- აპოლონისა და მუზების ადგილსამყოფელი
- ორელექტროდიანი მილაკი
- საზოტბო ლექსი
- დროში გამეფებული ჩაცმულობა
- გოზინაყის ერთ-ერთი კომპონენტი
- ჩიყვის სამკურნალო პრეპარატი



- რიჩარდი – დიკი; უილიამი – ...
- ღვინის უცხოური საცავი
- მომღერალთა და მუსიკოსთა ჯგუფი
- ვარციხე, ენისელი, გრემი
- ადამიანს ქეჯნის (ხანდახან)
- ჯონ გოლზუორთი „ფორსაიტების ...“
- გერმანელი მათემატიკოსი
- ნინო დუმბაძე მას სარეკორდოდ ისროდა
- სამედიცინო რეზიუმე
- ბერძნული ასო
- მამაკაცის კოსტიუმი
- გეომეტრიული სხეული
- შხამიანი გომბეშო
- პურის საცხობი



- იაპონური სინთეზური თეატრი
- გერმ. ფიზიკ.
- ქაფიანიძის პერსონაჟი „ფეოლაში“
- რუსი მილიარდერი ... ვიახირევი
- მხიარული დროსტარება
- საკონდიტ. ნაწარმი ათქვეფილი ცილით
- გიტარის კორპუსის ნაწილი
- მნათობი
- პინოჩეტის ხროვა
- ქართველ მთიელთა წარმართული ღვთაება
- „მთვარე და ექვსპენსიანი“ (მწერალი)
- სამგზავრო წყლის ჭურჭელი
- მდინარე დასავლეთ ევროპაში
- რუსული ვერტმფრენი
- მუჰამედ ... ფეხლევი
- გამოჩენილი პოეტი
- „ღონემიხდილი“ ქარი
- დაზიანება სპორტში
- სოფ. ზუგდიდის რნ-ში
- დედამიწის ანტიპოდი
- კათოლიკე მღვდელი
- აზროვნების პროდუქტი
- თავისუფალი გლეხი ინგლისში ძველად
- იანის ანტიპოდი
- კედლის სანგრევი საბრძოლო იარაღი
- აიეტის ქალიშვილი
- ქალის თავსამკაული
- სატელეგრაფო ანბანის გამომგონ.
- ... ბოვარი
- ელოქტროინსტრუმენტ. ცნობ. კონცერნი
- ავსული, დამთხვეული
- ძველებური ფრანგული ოქროს ფული
- ხის ფეხსაცმელი
- სახალხო კრება ძველ რუსეთში
- დღეს რომ უთენებია
- ძვ. ბერძნული ქალაქი-სახელმწიფო
- ნოტი



- ... გევარა
- დედნის ძალის მქონე დოკუმენტი
- შემოწმება
- ცხიმი რძის ზედაპირზე



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. სოკო; 2. მონაკო; 3. მონტანი; 4. ოკა; 5. საფო; 6. ხე; 7. ტენორი; 8. იმპორტი; 9. ეტლი; 10. ბონი; 11. კაა; 12. ორტი; 13. რევანში; 14. „ზინგერი“; 15. ლირა; 16. ტრომბონი; 17. ალოე; 18. ბაროკო; 19. ისტერია; 20. მანში; 21. ნალი; 22. ქირა; 23. იანვარი; 24. ალვა; 25. ზეი; 26. შვეიცარია; 27. სისი; 28. ერეკლე; 29. თაგვი; 30. ვალი; 31. პლანშე; 32. სანტიმი; 33. არე; 34. პარკი; 35. რაბი; 36. აკრა; 37. ტარტუ; 38. ორბი; 39. ბარკალი; 40. ხეირი; 41. ჩემპიონი; 42. ტომი; 43. ალტი; 44. ფოლი; 45. ცირკი; 46. ლა; 47. რეზიდენტი; 48. მაკიაჟი; 49. ფოიე; 50. ესმა; 51. კანონი; 52. ონი; 53. რაუტი; 54. აუტი; 55. მუტი; 56. მისისიპი; 57. ნული; 58. რემარკი; 59. თილისმა; 60. დენთი; 61. თორა.

**1. „სეიკოს“ საათი ბავშვსაც კი უხარია; 2. ფხიზელი თვალი; 3. ნორჩი ამორძალი; 4. დილის ტუალეტი; 5. რემა.**

პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.

ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.

შეადგინა რამაზ ალანიაგ

**— ქალბატონო იზა, დღევანდელ ქართველთა მთავარი მიზანი ფულის შოვნაა. ჩვენში კაცობაც ფულით იზომება. ფულით მოიპოვება ყველაფერი — თანამდებობა, კარგი ბინა და სარჩო-საბადებელი, მანქანა და მეგობარი ქალიც კი. რა ხდება ჩვენს თავს?**

— ნება მომეცით, კითხვა შემოგიბრუნოთ. რა გიკვირთ? განა ისეთი რა გვჭირს, სხვა დროს რომ არ გვჭირვებია? დღეს ჩვენი უფიქრებლად ცხოვრების, ჩვენი უვიცობისა და უპასუხისმგებლობის შედეგს ვიმკით და საზოგადოების ყველა მანკიერებაც (საინფორმაციო საშუალებათა წყალობით!) უფრო აშკარად წარმოჩნდება, ვიდრე ოდესმე. დღეს ჩვენ ერთმანეთზე თითქმის ყველაფერი ვიცით და თავზარდაცემულნიც ამიტომ უფრო ვართ, რომ ამ ნანატრი და გამაოგნებელი თავისუფლებისთვის თავი ვერ გაგვირთმევია. ნურავის ეწყინება — გიჟებივით თავისუფალნი ვართ და ჩვენს ნამოქმედარზე პასუხს არ ვაგებთ. ამას გარდა, ამბიცია გვახრჩობს და სწორედ ის გვინდა, რაც არ გვეკუთვნის! ჩვენი ცოდნა, ჩვენი შესაძლებლობანი მრავალგზის ჩამორჩება ჩვენსავე სურვილებს. ისე გავიოცებთ ხოლმე მრავალთა ულირს საქციელს, გეგონება ჩვენი ისტორიის ფურცლებზე მსგავსი არაფერი ამოგვეკითხოს ურთიერთშუღლზე და გაუტანლობაზე, ღალატსა და ეროვნული ინტერესების, მაპატიეთ, ფეხზე დაკიდებაზე მეტი რა იცის ჩვენმა ისტორიამ?

**დღევანდელი პოლიტიკური კინკლაობის კვალდაკვალ, ოინბაზობებისა და უსირცხვილო ტყუილების ორომტრიალში წმიდათაწმიდა ღირებულებები ილახება. ვინ უნდა ამოიღოს ხმა ამ დროს, თუ არა პოლიტიკური ბატალიებისგან შორს მყოფმა ადამიანმა.**



# ასეთი და ამნაირი განა რა გვჭირს დღეს? – უსაშველო არაფერი!

ერთი მითხარით, ამ თორმეტი წლის მანძილზე რა ვაკეთეთ საიმისოდ, რომ უკეთესად გვეცხოვრა? თითქმის არაფერი! მე საზოგადოების ძალისხმევაზე გელაპარაკებით, თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობასა და მოვალეობის გრძნობაზე მოგახსენებთ, თორემ ჩვენი ხელისუფლების კრიტიკა იოლზე იოლი საქმეა! ელემენტარულ, მაგრამ სავალალო მაგალითს მოგიყვანთ: ოცი ათასი ყველას უნდა, მაგრამ საკუთარი ისტორიისა და საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში ლიტერატურის სწავლა არავის სურს! გავოგნდი, როცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ილია ჭავჭავაძის დაბადების წელი ვერ გაიხსენა. ერთმა რუსეთის ფედერაციის ავტონომიური ერთეულების დედაქალაქების სახელები სხაპასხუპით ჩამოთვალა, მაგრამ აღმაშენებელმა თბილისი რომელ წელს გაათავისუფლა, ის არ იცის. აი, რა გვჭირს! ჭეშმარიტად ბედნიერი ერი ვართ და ამავდროულად ნეტარიც! განა ოდესმე თავი მოვუყარეთ ჩვენს შეძლებას? განა გავმთლიანდით, მხოლოდ ტერიტორიულად კი არა, ცნობიერებითაც, სიყვარულითაც? სამწუხაროდ, ორსაუკუნოვანმა მონობამ არა მარტო სახელმწიფოებრიობაზე ფიქრს გადაგვაჩვია, სხვაც ბევრი ძალზე საჭირო უნარიც წაგვართვა. სამაგიეროდ წუწუნი, თავის მოსაწყლება და მათხოვრობა ვიცით ისეთი, ბევრი ვერავინ შეგვეჯიბრება, ეროვნული ღირსების გრძნობა მოგვიჩლუნგდა, თითქმის დავკარგეთ და ასტაფიევმა რომ „ავადმყოფი ერი" გვიწოდა, ქოში უკულმა ვყარეთ! თქვე დალოცვილებო, ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი" სხვა რა არის, თუ არა ჩვენი ავადობის მწარე აღიარება? მოვრჩეთ წუწუნს! სხვათა ხელში შემაცქერალი როდემდე უნდა ვიყოთ? გავიხსენოთ თუნდაც უახლესი ისტორიის გაკვეთილები და უწინ თავს მივხედოთ, ჩვენს მიწა-წყალს, ერთმანეთს მოვუაროთ! თუნდაც მე-19 საუკუნის საქართველო განა უფრო დამცირებულ-დაკნინებული არ იყო, ვიდრე დღეს არის? გავიხსენოთ ილიას, აკაკის, ვაჟას პუბლიცისტიკა, ყაზბეგის პროზა, არჩილ ჯორჯაძისა და სხვათა ძვირფასი ნაწერები, ქართული ენისა და ეკლესიის მაშინდელი მდგომარეობა, წერა-კითხვის უცოდინარი, წიგნს, განათლებასა და სულიერ ცხოვრებას მოწყვეტილი ქვეყანა, გარუსებისა და გადაჯიშების აშკარა საფრთხე! ასეთი და ამნაირი რა გვჭირს დღეს? უსაშველო არაფერი! ერი აისბერგს ჩამოჰგავს, ყოველთვის აქვს ფარული მარაგი სულიერი ენერგიისა, რომ ფენიქსივით ფერფლიდან აღდგეს! როგორ გგონიათ, იმ საქმეებს, რომელთაც ილიამ და სამოციანელებმა დაადგეს თავი, მათი ჭკუაგონებისა და სამშობლოსადმი დიდი სიყვარულის გარდა სხვა არაფერი სჭირდებოდა? რომ არა საიმდროოდ უკვე ფეხზე დამდგარი ქართველი მეწარმენი, ვინ მოამზადებდა ნიადაგს, ვთქვათ, ქართული უნივერსიტეტის გასახსნელად, ნიჭიერ ახალგაზრდობას ევროპაში სასწავლებლად ვინ მიავლენდა? ვინ ეყოლებოდა შემწედ და ქომაგად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; ქართულ თეატრსა და სასოფლო ბიბლიოთეკების, სკოლებისა თუ სხვა კულტურული დაწესებულებების დაფუძნებას?

არა მგონია ფულის გემო და მისი შოვნის სურვილი მაშინდელ მეწამეებს დღევანდელ ბიზნესმენებზე ნაკლები ჰქონოდათ, მაგრამ ჩვენი ნუვორიშებისაგან განსხვავებით, დავით სარაჯიშვილის ადამიანობა მისი სიმდიდრით არავის გაუზომავს! მან ადამიანური არსებობის აზრს თავიდანვე მიაგნო. სიმდიდრემ რომ დაგამშვენოს და გაგაბედნიეროს, პირად კეთილდღეობაზე აღმატებული სხვა რამ უფრო დიდი და ღირებული მიზანი უნდა გქონდეს!

ვისი სახელები შემოინახა ერის მოუსყიდავმა მეხსიერებამ? მხოლოდ იმათი, ვინც ფულმა კი არ შებოჭა, კი არ გააზულუქა, პირიქით — გაათავისუფლა, გააკეთილშობილა და ქვეყნის ბედისწერასთან დააკავშირა. დღესაც პატივით და მადლიერების გრძნობით მოვიხსენიებთ მხოლოდ იმათ სახელებს, ვინც დიდი ცოდნისა და თავდაუზოგავი შრომის შემწეობით შეიძინა ქონება, შეძენილი ამრავლა და ისიც კარგად იცოდა, სად და როგორ დაეხარჯა ფული! უმორჩილესად გთხოვთ, გამოაქვეყნოთ დავით სარაჯიშვილის ცნობილი ანდერძი და ერთხელ კიდევ შეახსენოთ ჩვენს საზოგადოებას არა მარტო მისგან გულუხვად ნაანდერძები მილიონები, არამედ ისიც, თუ რა განსხვავებაა სარაჯიშვილებსა და მეჯლანუაშვილებს შორის!

დღეს მეჯლანუაშვილები სჭარბობენ სარაჯიშვილებს, მაგრამ ღვთის შეწევნით, საქართველო იმათაც მოიმწვანილეს! აკი გამოჩნდა კიდეც დიდებულ ქართველ მეწარმეთა თითო-ოროლა სულიერი მემკვიდრე!

მათი სახელები უცნობია... უცნობია, მაგრამ საქმე ჩანს: ადით საგურამოში და ნახეთ ილია ჭავჭავაძის განახლებული სახლ-მუზეუმი და კარ-მიდამო, შეიხედეთ რუსთაველის თეატრში, თვალი მიადევნეთ სამების ტაძრის მშენებლობის ტემპს! ჭეშმარიტად — „რასაცა გასცემ, შენია!.."

ღმერთმა ამრავლოს იმათი ქონება და შეძლება, ვისაც სამშობლო და მოყვასი უანგაროდ უყვარს, ვისი სიკეთეც მადლიანია და უყვედრებელი!

**მე — გამოუსწორებელ ოპტიმისტს — ურყევად მჯერა იმათი, ვინც ამ ჟამიანობისას გამართულ ლხინში არ წასულა, ვის თვალშიაც საქართველოს ისტორიაში ექვთიმე თაყაიშვილის არსებობას ბევრად მეტი ფასი ადევს, ვიდრე თუნდაც იმ უნიკალურ განძს, რომელიც ამ ღვთის კაცმა დაიცვა, გადაარჩინა და სამშობლოს დაუბრუნა. განძეულობაც მაშინ იძენს ჭეშმარიტ ფასსა და მნიშვნელობას, როცა ჩვენს სამშობლოში ამ საჭურჭლეთა ღირებულებას აღმატებული პიროვნული ღირსების მქონე მოქალაქენი და მოღვაწენი გვეგულება.**

ხომ ხედავთ, „ყველაფერი არის ძლიერ ცუდად, ყველაფერი ძლიერ კარგად არის". სიკეთემ რომ იბარტყოს, სახელმწიფოც და საზოგადოებაც მზად უნდა იყვნენ საამისოდ. ისევ და ისევ ჩვენ უნდა შევიძლოთ სამშობლოსთან, ღმერთთან და ერთმანეთთან დაბრუნება, მერე მთავრობაც და ხელისუფლებაც ისეთი გვეყოლება, როგორსაც დავიმსახურებთ. ჯერ თავი უნდა შევქმნათ, მერე ოჯახები, საზოგადოება და სამშობლოც ისეთი გვექნება, როგორებიც თავად ვიქნებით. სულ ტყუილად გვაქვს სხვათა იმედი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, იმას ვერც ამერიკელი გააკეთებს, ვერც გერმანელი და რუსი, ხომ. რომც შეეძლოს, არ გააკეთებს! უნდა განვიწმინდოთ, უნდა სიყვარული მოვიპოვოთ — სადაც სიყვარული არ არის, იქ არც სიხარულია და ვერავითარი სიმდიდრე ვერ შეგვიცვლის ბედნიერების ერთადერთ საწინდარს — შინაგან, სულიერ სისავსეს, რომელსაც მხოლოდ მოყვასისათვის გარჯა და კეთილი საქმეების კეთება გვანიჭებს!

ნაღვლიანად შევცქერი ნუვორიშების სამარცხვინო ფართიფურთს და მათი მდუმარე ცნობიერების ამარა დარჩენილ ჩვენს ყოფას. სულ ამაოდ ავსებენ ფულით, ავეჯით, ნაირნაირი უცხოური მანქანებითა და ნაყიდი სიყვარულით დიდი მიზნების უქონლობით გაჩენილ სიცარიელეს. მათ არც ლაღი სიცოცხლის ფასი იციან და სამშობლო ხომ მეწველი ძროხა ჰგონიათ! სამწუხაროდ, ბევრია ამგვარად მოფიქრალი არა მარტო ხელისუფლებაში, არამედ ჩვენ გვერდითაც! ქვეყანაში, სადაც თითქმის ყველა სცოდავს, ძალიან ძნელია წესრიგის დამყარებაც და მოქალაქეთა ზნეობაზე საუბარიც! მაგრამ მე — გამოუსწორებელ ოპტიმისტს — ურყევად მჯერა იმათი (გავიმეორებ უკვე ნათქვამსა და დაწერილს), ვინც ამ ჟამიანობისას გამართულ ლხინში არ წასულა, ვის თვალშიაც საქართველოს ისტორიაში ექვთიმე თაყაიშვილის არსებობას ბევრად მეტი ფასი ადევს, ვიდრე თუნდაც იმ უნიკალურ განძს, რომელიც ამ ღვთის კაცმა დაიცვა, გადაარჩინა და სამშობლოს დაუბრუნა. ქართული კულტურის ყოველი მონაპოვარი, მათ შორის უდიდესი განძეულობაც, მაშინ იძენს ჭეშმარიტ ფასსა და მნიშვნელობას, როცა ჩვენს სამშობლოში ამ საჭურჭლეთა ღირებულებას აღმატებული პიროვნული ღირსების მქონე მოქალაქენი და მოღვაწენი გვეგულება. ყველაფერს პატრონი და ჭირისუფალი უნდა ჰყავდეს. ღმერთმა გვაშოროს იმ ერების ბედი, რომელთა ოდესღაც არსებობაზე მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებში გამოფენილი უძვირფასესი ექსპონატებიღა მიგვანიშნებენ.

**— რატომ იქცა სიტყვა „პატრიოტი" დროს ჩამორჩენილი კაცის სინონიმად?**

— თუ მართლაც ასეა საქმე, ეს პროფესიით „პატრიოტების" „დამსახურებად" უნდა ჩაითვალოს. სამშობლოს სიყვარული არ არის ადვილი და არც ამ სიყვარულზე ლაპარაკი შველის საქმეს, ხომ ხედავთ, რა ამბავში არიან პარლამენტში თავშერგული „პატრიოტები". მე სხვა მასწავლებლები მყავდნენ — საქმით, ცხოვრების წესით მასწავლებლები, რომლებსაც ვრცელი თვალსაწიერიც ჰქონდათ და ამავდროულად, ერის თავისთავადობის შენარჩუნებაზეც ბევრს ფიქრობდნენ.

**— სად არის და რას აკეთებს ერის სულიერი წინამძღოლი — ჩვენი ინტელიგენცია, რატომ დუმს?**

— ამას წინათაც მომმართეს ამ კითხვით. საკუთარ თავზე არ მიმიღია, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ბევრი ჭეშმარიტი ინტელიგენტისა და მამულიშვილის მაგივრად დავრჩი შეურაცხყოფილი. მოდით, მაშინდელ ჩემს ნათქვამს გავიმეორებ: „მე არ ვიცი, თქვენ, ჟურნალისტები, ვის გულისხმობთ ხოლმე, როცა „სასიქადულო ინტელიგენციას" ისაკლისებთ, ისინი, ვისაც მე ჭეშმარიტად ინტელიგენტებს ვეძახი, იქ არიან, სადაც უნდა იყვნენ! ზოგი უსახსროდ დარჩენილი და შეჭირვებული შინ არის და წერს, კითხულობს, აქვეყნებს კიდეც ნაწერსაც და ნაფიქრს, კვირის მანძილზე იზოგავს ერთ პურსა და ბოსტნეულს, მეგობრების ნაჩუქარი ტანსაცმელი აცვია და ხშირად პაპიროსის ფული არა აქვს. სხვანი, ასევე შეჭირვებულნი, ლექციებს უკითხავენ სტუდენტებს, სკოლებსა და კერძო სასწავლებლებში ასწავლიან და ასე აკოწიწებენ საარსებო მინიმუმს. ეს ხალხი ამქვეყნიური ყველა სიკეთის ღირსია, მაგრამ ისინი, ქვეყნის მართლაც რომ ინტელექტუალური ელიტა, სახელმწიფოს მაშინ ახსენდება, როცა მისი რომელიმე წარმომადგენელი მოხსენებით გამოდის პარლამენტში, ან საერთაშორისო ფორუმებზე. უფრო ხშირად კი „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილი, ანბანზე დალაგებული და სახელმწიფო კანცელარიის უჩინარი მოხელის მიერ შედგენილი სამუდამო სიის მიხედვით ხელმოწერილი სამთავრობო ნეკროლოგიდან ვიგებთ, რომ სახელმწიფო დიდად აფასებს გარდაცვლილის ღვაწლს.

სად არის ჭეშმარიტი ინტელიგენცია? დიდი ნაწილი უკვე აღარ არის! ვინც არის, ის ისევეა მიქვათაყურებული ხელისუფლებისა და საზოგადოებისგანაც, როგორც საქართველოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა. ეს „სასიქადულო ინტელიგენცია" მხოლოდ საკუთარ ნივთიერ გაჭირვებაზე დუმს, მას ხელისუფლებისთვის სათავისოდ არაფერი უთხოვია, ქართული კულტურისათვის სათანადო ყურადღების მიქცევაზე კი ხმას თუ იმაღლებს, ვინ უსმენს? თქვენ რომ არ გაგიგონიათ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ „დუმს" თამაზ ჩხენკელი, ზურაბ კიკნაძე, ჭაბუა ამირეჯიბი და სხვები და სხვები! ჭეშმარიტ, მოუსყიდავ და სამშობლოს ერთგულ ინტელიგენციას არც ეს ყოფა ეკადრება და არც ის ირონია, რომელმაც თქვენს კითხვაში, იქნებ უნებურადაც კი გამოჟონა. ეტყობა, ჟურნალისტები მხოლოდ საკუთარ ნაწერებს კითხულობენ და მხოლოდ ერთმანეთს უსმენენ, ამიტომ არ იციან, სად არის და რას აკეთებს ჭეშმარიტი ინტელიგენცია! მაპატიეთ გაცხარება, თქვენმა კითხვამ მთავრობის სასახლის წინ უახლოეს, ავადმოსაგონარ წარსულში გამართული დაუსრულებელი მიტინგები გამახსენა.

დავძენ, რომ ინტელიგენციის შრომის შედეგი, ეს იქნება ღირებული სამეცნიერო ნაშრომი, ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები, ფერწერული ტილო, სპექტაკლი თუ ბრწყინვალედ ნამღერ-ნაცეკვი — ყველაფერი საქართველოს სულიერ სალაროში იკრიბება და ვერაფერს დააკლებს ვერც რუსეთში ატეხილი წივილ-კივილი და ვერც ჩვენებური თაღლითებისა და მტრის ხელზე მოსამსახურეთა უტიფარი „მოღვაწეობა".

ჭეშმარიტი ინტელიგენცია იქ არის, სადაც უნდა იყოს! მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, არის თუ არა იგი იქ, სადაც სიკეთეა!

## ღირსეულ საზოგადოებას ვეღარაფერს აკადრებს, თუნდაც უღირსი ხელისუფლება

*(დასაწყისი იხ. გვ.4)*

ავიღოთ ძველი ფოტოები და დავაკვირდეთ, როგორი სახეები გვიმზერენ იქიდან. ეს იყო სახელმწიფოებრიობა დაკარგული საზოგადოება, რომელსაც ღირსება მაინც ჰქონდა. ქართველი საზოგადოებისთვის ღირსების დაბრუნება და აღდგენა უმთავრესი საქმე მგონია. მერე ეს ღირსებააღდგენილი საზოგადოება თავად უკარნახებს ხელისუფლებას როგორ მოიქცეს. ღირსეულ საზოგადოებას ვეღარაფერს აკადრებს, თუნდაც უღირსი ხელისუფლება, რადგან ეცოდინება, ეს იმხელა უფსკრულს შექმნის მასსა და საზოგადოებას შორის, რომელიც უთუოდ მისივე მარცხით დამთავრდება. ხელოვნების, შემოქმედების მიზნად მიმაჩნია ქართველი საზოგადოების თავის წიაღში დაბრუნება.

***— თხზვის პროცესზე რას იტყვით — თქვენთვის ეს სხვა სამყაროში გადასვლაა, თუ დაგროვილი ემოციის ქაღალდზე გადატანა?***

— საწერ მაგიდასთან ისე არ მივდივარ, თუ არ ვიცი, რისი დაწერა მინდა. როცა სათქმელი მაქვს, მაშინ ვწერ ხოლმე. არ ვჯდები და ჩიტების მოფრენას არ ველი. ყოველთვის ზუსტად ვიცი, რა მინდა. წერისკენ შესაძლოა წადილმა, განზრახვამ ან მოთხოვნილებამ მიბიძგოს. სიტყვას თავისი მადლი აქვს, ყოველთვის რაღაცას გვკარნახობს... პირველ ყოვლისა, თანაგრძნობა უნდა ასაზრდოებდეს ხელოვნებას. ლოტრეკი მულენ-რუჟის კორდებალეტს დიდებულად ხატავდა. იცით, რატომ? მის ნახატებში ვირტუოზული ტექნიკის გარდა, უდიდესი თანაგრძნობა ჩანს... ლოტრეკი კორდებალეტის მოცეკვავეებს თანაუგრძნობს, განიცდის მათ უბედურებას, სიდუხჭირეს. მის ნახატებში ქრისტეს ქადაგება ჟონავს — პირველმა ესროლოს ქვა, ვინც უცოდველიაო.

ღვთისაგან შთაბერილი თანაგრძნობა უნდა იყოს ხელოვანის, შემოქმედის მასაზრდოებელი. აქ არ ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებიც ისტორიული შემთხვევითობით, რომელიმე დიდჩინოსნის წყალობით ან კეთილგანწყობით აღმოჩნდნენ სახელოვნებო სამყაროს ზედაპირზე.

***— ვის მიიჩნევთ ყველაზე დიდ მასწავლებლად?***

— უფალს... ღმერთია ამოუწურავი სწავლება. უფალთან მარადიულ მიახლოებაშია ჭეშმარიტება. ხელოვანიც მარადიულად უახლოვდება (ან სცილდება) მისთვის მისაბაძ ხატს, ისევე, როგორც მორწმუნე, რომელიც ხან ეცემა თავის სულიერების გზაზე, ხან კი წამოდგება...

***— ჩვეულებრივ მოკვდავთაგან ვინ გყავთ მისაბაძი?***

— დოსტოევსკი წერდა: მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ადამიანებს თუ განიკითხავს, რა გაგიკეთებიათ, რა შეგიქმნიათო, უნდა ვუპასუხოთ, დონ-კიხოტი დავწერეთო. მართლაც... დონ-კიხოტია მისაბაძი და რჩეული ადამიანთა მოდგმაში...

„რაც ჯვარცმულიცია აქამომდე,
დღემდე, ამხანაგ
ახსოვთ მთებსაც და ველ-მინდვრებსაც
იით მოფენილით,
რაინდს ერთადერთს ქვეყანაზე,
ქრისტეს ამხანაგს
ზურგით მიაქვს ეს სანყალი
ნუთისოფელი...

***— რა გაწუხებთ და რა გახარებთ ყველაზე მეტად?***

— რაც მაწუხებს, ის მახარებს ყოველთვის... სიხარულს კი ბევრი რამ იწვევს ამ ქვეყანაზე, ისევე, როგორც ტკივილს.

***— რას იტყვით დღევანდელობაზე?***

— ქართველი საზოგადოება ნელ-ნელა იბრუნებს იმას, რაც დაკარგა. ჩვენი საზოგადოება ახლა სწავლობს თავისი უფლებების დაცვას. ამ პროცესში ხელისუფლება მუდმივი ცდუნების წინაშეა, მეტად გაიფართოოს თავისი უფლება. ეს კონფლიქტი, რომელიც დღეს არსებობს, უთუოდ საზოგადოების გამარჯვებით დასრულდება. საზოგადოების ღირსების კარნახით მოსული შემდგომი ხელისუფლება უფრო შესატყვისი იქნება საზოგადოების მოთხოვნებისა. პოლიტიკოსს სიბრძნე და განსწავლულობა სჭირდება. პოლიტიკა არ უნდა იყოს უვიცი კარიერისტების ასპარეზი...

***— ხშირად ჩვენს ყოფას აბსურდის თეატრს ადარებენ... საპარლამენტო დაპირისპირებები, სახელისუფლებო შტოების მტრობა და შუღლი... ოპტიმიზმისთვის პლატონის გენიალური ფრაზა „ესეც გაივლის" თუ უშველის კაცს. თქვენ ასე ფიქრობთ?***

— (ეღიმება) როგორ არა, გაივლის. მთავარია, მომავლიდან რა მოდის. ანუ ის მოვა, რასაც მოვიყვანთ. ამიტომ ისმის ხშირად ლაპარაკი — ვინ იქნება მერე? უფრო მთავარია, რა იქნება ამ კაცის (პრეზიდენტის) მერე. ეს „რა" თუ მოგვარდება, საფრთხე ნაკლებად გველის. ვინც შემდეგ მოვა, ის „მოვალე" და „ვალდებული" იქნება. საზოგადოება მას თავის დაწესებულ ჩარჩოებში მოაქცევს.

***გვერდი მოამზადა
იზო რიკაძემ***

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

[illegible]

**ჩემს 5 წლის ვაჟს ძალიან ხშირად აწუხებს ანგინა, მაღალი სიცხით. გაუკეთეს ყელის ნაცხის ანალიზი. ამოთესვა სტაფილოკოკი და მცირე რაოდენობით სოკო, ანალიზის მიხედვით რეზისტენტული არ არის. ზოგი სპეციალისტი მეუბნება, რომ რადგანაც ჰემოლიზური სტრეპტოკოკი არ ამოთესა, „ცლანდები" არ უნდა ამოვკვეთო, ზოგი კი — პირიქით. მომწერეთ როგორ მოვიქცე თუ არ არის ამოსაკვეთი, მაშინ რა წამალი მივცე იმუნური სისტემის გასაძლიერებლად, რომ ასე ხშირად არ იავადმყოფოს?**

*ა.ა.*

მართალია, A ჯგუფის ბეტა ჰემოლიზური სტრეპტოკოკით გამოწვეული ტონზილიტი (ნუშურა ჯირკვლების ანთება) შედარებით უფრო საშიშია იმ თვალსაზრისით, რომ იგი შესაძლოა რევმატიული ართრიტით (სახსრების ანთება) ან მიოკარდიტით (გულის კუნთის ანთება) გართულდეს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სტაფილოკოკური ტონზილიტი შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ და არ ვუმკურნალოთ. ნაცხის ერთჯერად ანალიზს მაინც ნუ მივენდობით თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ ნაცხის აღების ყველა წესი ზედმიწევნით იქნა დაცული. გირჩევთ, გაიკეთოთ საკონტროლო გამოკვლევა და ანთების გამომწვევი ბაქტერიული ფლორის გარდა, გამოიკვლიოთ მისი მგრძნობელობა ანტიბიოტიკებისა და ფაგებისადმი. შემდეგ ამ ანალიზის პასუხებით მიბრძანდით ლარინგოლოგთან (ყელის ექიმი), რომელიც ჩაგიტარებს შესაფერის მკურნალობას.

**მყავს წლინახევრის პატარა. მაინტერესებს, ესაჭიროება თუ არა მას პროფილაქტიკის მიზნით ვიტამინების მიცემა?**

*მედი კუხიანიძე*

ერთი წლის ასაკიდან ბავშვებს პერიოდულად უნდა ჩაუტაროთ ხოლმე ვიტამინოთერაპიის კურსი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამის გაკეთება გაზაფხულობით, რადგან ამ პერიოდში ახალი ხილი ჯერ არ არის შემოსული, ხოლო შემოდგომის ხილი უკვე გამოფიტულია და ადამიანის ორგანიზმში ვიტამინების ნაკლებობა ვითარდება, რაც იმუნიტეტის დაქვეითების მიზეზი ხდება და ბავშვი ხშირად და ადვილად ავადმყოფობს ხოლმე.

**ჩვენს რუბრიკაში გამოქვეყნდა დამსახურებული პედაგოგის ბატონ ლადო მ-ს წერილი გაზეთის მკითხველებისადმი. მოგილეთ შეგახსენებთ მის შინაარსს: „მახსოვს კუჭის წყლული, რომელიც პერიოდულად მიმწვავდება. მკურნალობის შედეგი დროებითი აღმოჩნდა. საშუალება არ მაქვს ყოველდღე ანალიზი და გამოკვლევა ჩავიტარო. იქნებ მირჩიოთ რაიმე ხალხური საშუალება წყლულის სამკურნალოდ" და ა.შ. აღნიშნული წერილის საპასუხოდ მივიღეთ შემდეგი სახის გამოხმაურება:**

## ქარაბადინი

„ვეხმაურები თქვენი გაზეთის სამედიცინო რუბრიკაში ბატონ ლადოს შეკითხვას და ვთავაზობ ასეთ რეცეპტს: უმი კომბოსტო გაატაროს ხორცსაკეპ მანქანაში, მიღებული მასა გაწუროს და მიიღოს ნახევარი ჭიქა ჭამამდე 30 წუთით ადრე დღეში სამჯერ, ერთი თვის განმავლობაში. ბ-ნ ლადოს ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებ", — პატივისცემით თქვენი ერთგული მკითხველი მიხეილ ქართველიშვილი.

გვინდა მადლობა ვუთხრათ წერილის ავტორს ყურადღებისათვის და მის მიერ მოწოდებული სამკურნალო რეცეპტის შესახებ ექიმის კომენტარი შემოგთავაზოთ:

— კომბოსტო დიდი რაოდენობით შეიცავს მინერალურ ნივთიერებებს, რომელთა შორის სჭარბობს კალიუმისა და ფოსფორის მარილები. მასში აღმოჩენილია თავისუფალი ამინომჟავები, რომელთა უმრავლესობა მეტად საჭიროა ორგანიზმისთვის. განსაკუთრებით მდიდარია კომბოსტოს წვენი ვიტამინებით, ფერმენტებით. იგი შეიცავს ასკორბიგენს, რომელიც C ვიტამინის მეტად მდგრად სახესხვაობას წარმოადგენს.

ხალხურ მედიცინაში კომბოსტო, როგორც ახალი, ისე მწნილის სახით იხმარება. იგი მადის მომგვრელი, შარდმდენი და მსუბუქი საფაღარათო საშუალებაა. აძლიერებს კუჭის სეკრეციას (წვენის გამოყოფას), ნაწლავებში საკვების გადამუშავების პროცესს. ახალი კომბოსტოს წვენს, რომელსაც უმატებენ შაქარს, ხმარობენ სიყვითლისა და ელენთის დაავადებების, ზოგჯერ ფილტვების ტუბერკულოზის დროს. აქვს ამოსახველებელი ეფექტიც.

წყლით გაუზავებელი კომბოსტოს წვენი გამოიყენება ყელში გამოსავლებად ანთებითი პროცესების დროს.

თეთრთავიანი კომბოსტოს წვენში აღმოჩენილია განსაკუთრებული ნივთიერება მეთილმეთიონინსულფონილქლორიდი, რომელსაც „U" ვიტამინსაც უწოდებენ. მას ახასიათებს სპეციფიკური, უმეტეს მოქმედება კუჭ-ნაწლავის ლორწოვან გარსზე — სპობს წყლულს. კომბოსტოს წვენი უნდა დამზადდეს ერთი დღის მარაგით და +2 გრადუს ტემპერატურაზე შეინახოთ. მიიღეთ შემთხვევის სახით.

*მოამზადა თამარ მამაცაშვილმა*

***ძვირფასო მკითხველო! იმის გამო, რომ შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ჩვენი რუბრიკა ყოველთვის ვერ იტევს ყველა მათგანს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჟურნალ „ოჯახის მკურნალის" ფურცლებზე მოგაწოდოთ. ეს ჟურნალი უკვე „კვირის პალიტრის" დამატებას წარმოადგენს და 12 დეკემბრიდან განახლებული სახით გამოდის.***

## მოწევის ნაცვლად — მობილური ტელეფონი



მეცნიერმა მედიკოსებმა სენსაციური განცხადება გააკეთეს: მობილური ტელეფონი მოზარდებს მოწევისადმი ლტოლვას უქრობს.

აქამდე, უკვე დიდები ვართ, ყმაწვილთა უმრავლესობა სიგარეტის მოწევას იწყებს, ახლა ამის სანაცვლოდ ზრდასრულობის ე.წ. „სიმბოლოს" — მართალია, უფრო ძვირიანს, მაგრამ მაინც, მობილური წარმოადგენს.

ამ საკითხს თუ ჯანმრთელობის თვალსაზრისით მივუდგებით, მოწევა უფრო ძვირი უჯდება ადამიანს.

*ლიზა №1*

## სიცრუე ვნებს ჯანმრთელობას...

იცით თუ არა, რომ ყოველთვის, როდესაც ადამიანი ცრუობს, თავის ტვინში ელექტრომაგნიტური იმპულსები საგრძნობ ნახტომს განიცდის, სხვათა შორის ამას აფიქსირებს სიცრუის დეტექტორი. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს ცვლილება სამუდამოდ რჩება ადამიანის მეხსიერებაში და დიდ ადგილსაც იკავებს. ეს ადვილად გასაგები გახდება, თუ წარმოვიდგენთ, რომ ადამიანის ტვინი არის კომპიუტერის დისკის ფორმის, სადაც ჩაწერილია ყველაფერი.

რაც უფრო მეტად ცრუობს ადამიანი, მით უფრო ნაკლები ადგილი რჩება დისკზე. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სწორედ სიცრუეს მიჰყავს ადამიანი სიბერის მარაზმამდე და მეხსიერების დაკარგვამდე. ასე რომ, სიცრუე არა მარტო მავნე ჩვევაა, არამედ ჯანმრთელობისთვისაც საზიანო.

*ლიზა №2*

# ახდენილი ოცნება

***ჩვენს მცირერიცხოვან არაოფიციალურ დელეგაციას ლიმუზინი ისრაელის აეროპორტში, თვითმფრინავის ტრაპთან ელოდა. რამდენიმე წუთში თელ-ავივის ფეშენებელურ უბანში, ჟაბოტინსკის ქუჩაზე გავჩერდით. ალაყაფის კარი გაიღო და პატარა ბაღში აღმოვჩნდით. აქ მარადიული გაზაფხულია. ზამთრის ყველაზე ცივ დღეებშიც კი ტემპერატურა 15-18 გრადუსია. ირგვლივ ეგზოტიკური მცენარეები ყვავის, მოლი ხასხასებს. ფანჩატურებში ადამიანები ისვენებენ. ირგვლივ სიოცარი სიწყნარე და სიმყუდროვეა. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება", — გვესალმება უზარმაზარი პლაკატი.***

ეს არ არის ბიბლიური სამოთხე, არც ტურისტის ფანტაზიის ნაყოფი. ეს „ასუტაა", მსოფლიოში სახელგანთქმული კერძო ჰოსპიტალი.

„ასუტა" სუპერთანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მრავალპროფილიანი კლინიკაა. ადამიანის გაჯანსაღებისათვის აქ დღეს კეთდება ის, რაც გუშინ მხოლოდ ოცნებებში წარმოგვედგინა.

აქ მინდოდა მეხმარა სიტყვა „განსაკუთრებით". ვთქვათ, დამეწერა ასეთი ფრაზა: „აქაური ლაბორატორიები განსაკუთრებით დააინტერესებს კარდიოლოგიური პრობლემებით შეწუხებულ პაციენტს". მაგრამ იქ ყველაფერი განსაკუთრებულია. მაგალითად, აი, იმ ადამიანმა, ახლა რომ ზის და ყავას მიირთმევს, სულ რამდენიმე დღის წინათ გაიკეთა კუჭის ურთულესი ოპერაცია (რეზექცია), თანაც ისე, რომ მისთვის მუცლის ღრუ არ გაუხსნიათ, სისხლი არ დაუკარგავს, ბუნებრივია, სადმე არც ნაჭრილობევი აჩნია. მეორეს — თირკმელი გადაუნერგეს, მესამეს — ელენთა; მეოთხეს — ნაღვლის ბუშტი ამოაჭრეს; მეხუთეს — ღვიძლი გადაუნერგეს; მეექვსეს — მძიმე ინსულტის შემდეგ ნეიროქირურგიული ოპერაცია ჩაუტარეს (ტრეპანაციის, ანუ თავის ქალის ახდის გარეშე); იმ ქალბატონს საშვილოსნოს ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს; მეორე ქალბატონს ხელოვნური განაყოფიერების გზით უშვილობის პრობლემა გადაუწყვიტეს...

ამ კლინიკაში კიდევ უამრავი სამედიცინო სასწაული ხდება — გულის გადანერგვიდან დაწყებული, ბრმა ნაწლავის ამოჭრით დამთავრებული. რაც მთავარია, ოპერაციების აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის, გულის სკანირებული გამოკვლევა, კორონარული არტერიების სტენდებით გაფართოება, ე.წ. ბალონების ჩადგმა, ურთულესი ნეიროქირურგიული, კარდიოქირურგიული, გინეკოლოგიური, უროლოგიური და სხვა ოპერაციები კეთდება უსისხლოდ, გაუჭრელად, ე.წ. ლაპარასკოპიული მეთოდით.

ოპერაციამდე კი, პაციენტს იკვლევენ ულტრათანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვილ ხელოვნური განაყოფიერების, ულტრასონოგრაფიის, მაგნიტური რეზონანსის, პოზიტრონულ-ელექტრონული ტომოგრაფიისა და სხვა ლაბორატორიებში. პაციენტებს ემსახურებიან მსოფლიო სახელის მქონე პროფესორები ვალდი, ჩერნიაკი, მაშიახი, დორი, ლებრანი, კაანა და სხვები. ერთ-ერთი ამ სახელგანთქმულ დასტაქართაგანია ჩვენი თანამემამულე მიშა შემეში (შიმშილაშვილი), რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ მოინახულა თავისი მეორე (ვინ იცის, იქნებ პირველი) სამშობლო — საქართველო. „ბრწყინვალე მიშა", „მზე მიშა", „ოქროსხელებიანი მიშა" — ასე იცნობენ ამ კაცს მისი ყოფილი პაციენტები და ასე იცნობს მას სამედიცინო სამყარო.



***მიხაილ შიმშილაშვილი დაიბადა თბილისში, 1958 წელს. წარჩინებით დაამთავრა 126-ე საშუალო სკოლა და სამედიცინო ინსტიტუტი. შემდეგ — ასპირანტურა მოსკოვში. იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მუშაობდა თბილისის რკინიგზის რესპუბლიკურ საავადმყოფოში რეანიმაციის განყოფილებაში. ისრაელში ცხოვრობს 1988 წლიდან. არის ისრაელის არმიის ოფიცერი. გავლილი აქვს სტაჟირება ისრაელის, გერმანიისა და აშშ-ის ყველაზე პრესტიჟულ კლინიკებში. ამჟამად მუშაობს „ასუტას" კერძო ჰოსპიტალში წამყვან ანესთეზიოლოგად.***

„ასუტა" კაცობრიობის ახდენილი ოცნებაა. მსოფლიოს მეტ-ნაკლებად შეძლებული ადამიანები ცდილობენ სწორედ ამ კლინიკაში მოხვდნენ, რადგან ურთულესი კარდიოქირურგიული ოპერაციის შემდეგ მხოლოდ აქ იძლევიან გარანტიას, რომ თქვენი გული უახლოესი ოცდახუთი წლის (!) განმავლობაში შეუფერხებლად იმუშავებს. სხვათა შორის, სწორედ „ასუტას" აკითხავენ მსოფლიოში სახელგანთქმული კინო და ესტრადის ვარსკვლავები კბილების ინპლანტაციისათვის. და არა მხოლოდ იმისათვის, რომ უმაღლესი კლასის სპეციალისტები მუშაობენ, არამედ, შეღავათიანი ფასების გამოც.

ძნელია, სიტყვით გადმოიცეს ის სიკეთე, რაც ამ კლინიკაში მკურნალობას ახლავს თან. საკუთარი თვალით უნდა ნახოთ და საკუთარ თავზე შეამოწმოთ, რაც იქ ხდება. მთავარი კი გახლავთ ის, რისთვისაც ეს წერილი იწერება: გაჩნდა რეალური შანსი, რომ მსოფლიოს ამ ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში საქართველოს მოქალაქეებმაც იმკურნალონ.

2003 წლის პირველ დღეებში საქართველოს მოქალაქის, ფიქრია გოგაშვილის ინიციატივით თბილისში შეიქმნა სამკურნალო-ტურისტული ფირმა „შემეშ რეფუა".



***ფიქრია გოგაშვილი დაიბადა თბილისში. წარჩინებით დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის სკოლა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ქიმის ფაკულტეტი ფიზიკური ქიმიის სპეციალობით. 1992 წლის მაისიდან ისრაელის ცნობილ ვაიცმანის ინსტიტუტში სამი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ იქვე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. სრულყოფილად შეისწავლა ალტერნატიული (ხალხური) მედიცინის მთავარი მიმდინარეობები (ჩინური, ტიბეტური, ებრაული). ქართულის გარდა, იცის ივრითის ენა, ასევე რუსული და ინგლისური ენები. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ისრაელის უდიდეს ფარმაკოლოგიურ ცენტრში TEVA.***

ისრაელში, თელ-ავივის სახელგანთქმულ „ასუტაში" მკურნალობის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის დიაგნოზის, გამგზავრების, მკურნალობისა და უკან ჩამოსვლის სქემა უაღრესად მარტივია. პაციენტი უკვე მზა დიაგნოზით მიდის თბილისის ცენტრში მდებარე ფიქრია გოგაშვილის სამედიცინო ტურისტულ ფირმაში. მისი დიაგნოზი დაუყოვნებლივ იგზავნება თელ-ავივში, „ასუტაში". მაქსიმუმ ორი დღის შემდეგ მოდის პასუხი, უმკურნალებენ თუ არა მითითებულ დაავადებას ამ კლინიკაში. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ისრაელის კლინიკა ზუსტად მიუთითებს პაციენტის ჩასვლის დროს. „შემეშ რეფუა" უზრუნველყოფს პაციენტის და მისი თანმხლები პირის ლიმუზინით მომსახურებას, მაღალი კლასის სასტუმროს, კულტურულ პროგრამას, ბუნებრივია, სამედიცინო მომსახურებას და უკან, სამშობლოში გამომგზავრებას.

თავის მხრივ, ფიქრია გოგაშვილის „შემეშ რეფუა" კისრულობს ყველა იმ ფორმალობის ოპერატიულად მოგვარებას, რაც დაკავშირებულია საქართველოს მოქალაქის საზღვარგარეთ გამგზავრებასა და უკან წამოსვლასთან.

***არავითარი წინასწარი გადახდა! არავითარი ნაღდი ფული! პაციენტი (თუ აუცილებელია, მისი თანმხლები პირიც) საჭირო თანხებს იხდის ბანკში, მითითებულ ანგარიშზე. ანუ ყველა ფინანსური ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებით. მიღებული წესების მიხედვით. პაციენტი თბილისურ ფირმას უხდის მხოლოდ იმ თანხას, რაც საჭიროა ისრაელის ან სხვა ევროპული ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებებსა თუ კერძო პირებთან ელექტროკავშირისათვის.***

„შემეშ რეფუას" მომსახურებით შეუძლიათ ისარგებლონ ფსორიაზით და სხვა დერმატოლოგიური დაავადებებით შეპყრობილმა ადამიანებმა — მკვდარი ზღვის აბაზანები უებარი საშუალებაა ამ ვერაგი და უაღრესად გავრცელებული დაავადებების სამკურნალოდ.

ნებისმიერი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ფირმის წარმომადგენელი თვითონ მიჰყვება საზღვარგარეთ პაციენტების ჯგუფს, ან მხოლოდ ერთ პაციენტს. თვითონ ამოწმებს მკურნალობასა და კულტურულ პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს და უზრუნველყოფს პაციენტის უსაფრთხო მოგზაურობას. თუ საზღვარგარეთ გამგზავრება არ შეუძლიათ, ფირმა უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალისტების მოწვევას საქართველოში.

ვიცი, უკვე გაჩნდა კითხვა, რას სთავაზობს „შემეშ რეფუა" საქართველოს ჯანმრთელ მოქალაქეებს, ვისაც, უბრალოდ, წმინდა მიწის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება სურს?

— ვიზების მიღებასთან, გამგზავრებასთან, სასტუმროსთან, ისრაელში ტურისტული ფირმის მომსახურებასთან, კვებასთან დაკავშირებული ყველა ბიუროკრატიული ბარიერის მოხსნას. ბარიერები კი, თანაც, სერიოზული ბარიერები, სამწუხაროდ, არსებობს. განსაკუთრებით, ისრაელში ნებისმიერი მოტივით მიმავალი ადამიანისათვის და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, საქართველოს მოქალაქეებისათვის.

სხვას ნურაფერს დავაბრალებთ, დღევანდელი საქართველო, დანარჩენი მსოფლიოს თვალში, ძალიან დელიკატურად რომ ვთქვათ, მაღალი რისკის ქვეყანაა. თუ თქვენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები გაქვთ და ზუსტი დიაგნოზის დასმა გჭირდებათ, ფიქრია გოგაშვილის ფირმას ხელშეკრულება აქვს დადებული თბილისის ყველაზე პრესტიჟულ კლინიკებთან, სადაც, სათანადო მიმართვის საფუძველზე, ოპერატიულად და შეღავათიან ფასებში დაგისვამენ დიაგნოზს.

ბარემ იმისაც მოგახსენებთ, რომ „შემეშ რეფუას" მომსახურებით ისრაელში წასვლა და შემდეგ იქ დარჩენა პრაქტიკულად გამორიცხულია.

კიდევ ძალიან ბევრის თქმა შემეძლო, მაგრამ ყველაფერი მაინც ძალიან მცირე იქნებოდა სრული ინფორმაციის მისაღებად. ამიტომ, თქვენ თვითონ მობრძანდით *თბილისში, ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაიას) 17 ნომერში ან დარეკეთ ტელეფონით: 999-251 ან 996-027.*

გულისხმიერი ადამიანები ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნიან.

*თეიმურაზ ქორიძე*

R

# კოწახური მარილებს შლის



კოწახურის ნაყენი ორგანიზმში დაგროვილ მარილებს თანდათანობით გამოდევნის, ამცირებს ნიკრისის ქარის (პოდაგრის) კვანძებს და აყუჩებს ტკივილს.

მისი მომზადება ძალზე მარტივია: 25 გ კოწახურის ქერქს დაასხით 10 მლ 75%-იანი სპირტი და ერთი კვირა გააჩერეთ ბნელ ადგილას. მიიღეთ 30 წვეთი ნაყენი 3-ჯერ დღეში.

*ოტდოხნი! №51*

# ინტელექტუალებო, წინ!

სწავლულები ხანგრძლივად აკვირდებოდნენ ბრიჯის მოთამაშე ინგლისელთა ჯგუფს და დაასკვნეს, რომ ინტელექტუალური თამაშობანი ააქტიურებს ორგანიზმის შინაგან ძალებს. მათი აზრით, ნებისმიერი აქტიური და რეგულარული ინტელექტუალური მოქმედება — დაწყებული უცხო ენების შესწავლიდან კროსვორდების ამოხსნამდე — ეხმარება ჯანმრთელობის შენარჩუნებას, რადგან ორგანიზმი რთული ამოცანის გადაწყვეტისთვის აძლიერებს იმუნურ სისტემას, ის კი, თავის მხრივ, იცავს ორგანიზმს ვირუსებისა და სხვა დაავადებებისგან.

*ცელებნიკი №1*

# იაფიც და ეფექტიანიც!

შვრია კუჭ-ნაწლავის ქრონიკულ დაავადებათა უნიკალური სამკურნალო საშუალებაა. სამკურნალოდ გამოიყენება არა მარტო მისი მარცვალი, არამედ ჩალაც.

გთავაზობთ რეცეპტებს:

**პანკრეატიტის დროს:** გარეცხეთ 1 ჩ/ჭ შვრია, გააშრეთ და დაფქვით, დაასხით 4 ჩ/ჭ წყალი, 10 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გააჩერეთ 30 წუთი, მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ ნაყენი მარცვალთან ერთად 3-ჯერ დღეში ჭამამდე.

**შარდკენჭოვანი და თირკმელკენჭოვანი** დაავადებების დროს: 2 ს/კ დაქუცმაცებული შვრიის ბალახს დაასხით 0,5 ლ მდუღარე და 5-7 წუთი ადუღეთ. გააჩერეთ 2 საათი და გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ თბილი ნაყენი 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

**ნივთიერებათა ცვლის პროცესების დასარეგულირებელი და შარდმდენი** საშუალება — 50 გ დანაყილ შვრიის მარცვალს დაასხით 0,5 ლ ცივი წყალი, გააჩერეთ ერთი დღე-ღამე, გაწურეთ და მიიღეთ 2/3 ჩ/ჭ 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

**ფეხის ოფლიანობის** დროს: შეურიეთ თანაბარი რაოდენობის შვრიის ჩალა, მუხისა და მურყნის ქერქი. 2 ს/კ ნარევს დაასხით 0,5 მდუღარე და 10-15 წუთით ადუღეთ, გააჩერეთ 30 წუთი. დღეგამოშვებით გაიკეთეთ 10-12-წუთიანი აბაზანა.

*ნაროდნაია მედიცინა*

სისხლში შაქრის საზომი აპარატები
100ც. ტესტ-ჩხირით – 170ლ.
ერთჯერადი ნემსები
50ც. — 3 ლ.
შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎ 35-44-05;
899-19-60-55



# რას იყენებდნენ კრემლში „იყოგის" საწინააღმდეგოდ

## „ფოსფალუგელი — კრემლის ანტაციდი"

რეფლუქს-ეზოფაგიტი ქრონიკული მორეციდივე დაავადებაა, გამოწვეული კუჭის მჟავე შიგთავსის უკუდინებით — რეფლუქსით საყლაპავში. ის განაპირობებს მეტად შემაწუხებელ სიმპტომებს: გულძმარვას (იყოგა), ტკივილს მკერდის ძვლის არეში, გაძლიერებულ ნერწყვის გამოყოფას, ბოყინს, ჩვილ ბავშვებში ამოქაფებას, პირის ღებინებას. სიმპტომები ძლიერდება წოლით მდგომარეობაში, წინ დახრის და ჭამის შემდგომ ფიზიკური დატვირთვისას. ზოგიერთი ფაქტორები აძლიერებენ რეფლუქსს, მაგ: საყლაპავის თიაქარი, სხეულის ჭარბი წონა, ალკოჰოლი, კოფეინი, ჭარბი ან ცხიმიანი საკვები და ზოგჯერ სიგარეტის მოწევაც. ხშირმა რეფლუქსმა შეიძლება გამოიწვიოს საყლაპავის ქვედა ნაწილის ანთება — ეზოფაგიტი. აღნიშნული სიმპტომების სამკურნალოდ გამოიყენება სხვადასხვა მედიკამენტი. ამ პრეპარატებს შორის თავისი მაღალეფექტურობით და უსაფრთხოებით გამოირჩევა „ფოსფალუგელი". მისი გამოყენება წლების განმავლობაში მხოლოდ კრემლის თანამშრომლებისათვის იყო ხელმისაწვდომი, ამიტომაც შეარქვეს მას „კრემლის ანტაციდი". ამჟამად პრეპარატი რეგისტრირებულია საქართველოშიც. პრეპარატს გააჩნია სამმაგი ეფექტი: ანეიტრალებს კუჭში მჟავას, კუჭ-ნაწლავის ლორწოვან გარსზე ქმნის დამცავ აპკს, რაც ხელს უშლის ტოქსინების შეწოვას, ბოჭავს ტოქსინებს და გამოყოფს ორგანიზმიდან. ის არ შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ამიტომაც მისი გამოყენება უსაფრთხოა ჩვილ ბავშვებსა და ორსულებისთვის. მოზრდილებში „ფოსფალუგელი" ინიშნება 1-2 პაკეტი 2-3-ჯერ დღეში. მისი მიღება შესაძლებელია სუფთა სახით ან წყალში გახსნის შემდეგ. 6 თვემდე ბავშვებში — 1/4 პაკეტი ან 1 ჩაის კოვზი ყოველი 6 ჭამის შემდეგ. 6 თვის ასაკის ზევით — 1/2 პაკეტი ან 2 ჩაის კოვზი ყოველი 4 ჭამის შემდეგ. პრეპარატის მიღების სქემა სხვადასხვა დაავადების დროს სხვადასხვაა. გასტრიტი, დისპეპსია — ჭამამდე. წყლულოვანი დაავადება, გულძმარვა — ჭამიდან 1-2 საათის შემდეგ ან ტკივილის წარმოშობისთანავე. რეფლუქს-ეზოფაგიტი, კუჭ-საყლაპავის რეფლუქსი — უშუალოდ ჭამის შემდეგ და ღამით. სხვადასხვა ნივთიერებით მოწამვლის დროს „ფოსფალუგელი" უნდა დაინიშნოს რაც შეიძლება მალე. ჭარბი ალკოჰოლის მიღების წინ პრეპარატის გამოყენება ხელს უშლის მის შეწოვას, რაც თავიდან აგვაცილებს სწრაფ სიმთვრალეს. ის არ შეიცავს შაქარს, და უსაფრთხოა დიაბეტიანი პაციენტებისათვის. პრეპარატს აქვს ფორთოხლის სასიამოვნო გემო. მისი პაკეტები მოსახერხებელია თან სატარებლად.

*გამოშვების ფორმა: 16 გ პაკეტი №20 შეფუთვაში. მწარმოებელი ფირმა: „იამანუჩი" (ნიდერლანდები).*

R

***ვიტამინების დეფიციტის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას არ ვუჩივით, მაგრამ იქნებ გვამცნოთ დეფიციტის შედეგად ორგანიზმში განვითარებულ ცვლილებებზე; როგორ ამოვიცნოთ ის?***

*ქეთი გვენცაძე, თბილისი*

# ვიტამინები, ვიტამინები...

ვიტამინები მრავალფეროვნებით და მრავალგვარობით გამოირჩევიან, ამიტომაც მეცნიერებმა ისინი დააჯგუფეს. საინტერესო ის არის, რომ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნივთიერებები ადამიანს ძალზე მცირე ოდენობითაც კი აკმაყოფილებს. მათ შორის ზოგიერთის დღიური დოზა გრამის მეათასედითაც განისაზღვრება. მიუხედავად ამისა, ყველა ვიტამინს „თავისი ადგილი" აქვს ორგანიზმში.

**C ვიტამინი** ნერვული სისტემის სტიმულირებას, გუნება-განწყობისა და თვითშეგრძნების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. აწესრიგებს ქოლესტერინის ცვლას, ხელს უწყობს რკინის შეთვისებას და ნორმალური სისხლწარმოქმნის პროცესებს, ამაგრებს ძვლოვან ქსოვილს, სისხლძარღვთა კედლებს, აადვილებს ჭრილობის შეხორცებას, აცოცხლებს კანს.

დღელამური დოზა — 200 მლგ-ია და მისი ყოველდღიური მიღება გვიცავს კატარაქტისგან, ძლიერი გონებრივი და ფიზიკური გადაღლისგან, ნერვულ-ფსიქიკური დაძაბულობისგან...

ვიტამინით მდიდარია თითქმის ყველა სახის ხილი და ბოსტნეული, განსაკუთრებით ასკილი. მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი შენარჩუნება საკვებში საკმაოდ რთულია. ამიტომაც დიასახლისებს კერძების ორთქლზე დამზადებას ვურჩევთ. ასევე, მოერიდეთ პროდუქტების სინათლეზე და სითბოში მოთავსებას. ბოსტნეული ადუღებულ, ოდნავ მარილიან წყალში მოხარშეთ. ვიტამინი დიდი რაოდენობითაა მჟავე კომბოსტოში, არ გირჩევთ დათლილი კარტოფილის დიდხანს გაჩერებასაც. კერძის ხელმეორე გაცხელება ასკორბინის მჟავას თითქმის სრულად შლის. ალბათ ყველასთვის ცნობილია, რომ C ვიტამინი საიმედოდ იცავს ორგანიზმს გაციებისა და სხვა ინფექციებისგან. თუკი გული „გკარნახობთ", რომ საცაა გრიპი დაგეწყებათ, ერთდროულად 4 აბი C ვიტამინი მიიღეთ, მაგრამ გაფრთხილდით! ზოგიერთი ვიტამინს უკონტროლოდ იღებს, რამაც შესაძლოა ზიანი მოგიტანოთ. ორგანიზმში C ვიტამინის სიჭარბე თავის ტკივილით, სიცხის შეგრძნებითა და მაღალი არტერიული წნევით გამოიხატება. აღინიშნება ფალარათი და აღგზნებადობა.

**A ვიტამინი** — მისი არსებობა აუცილებელია მხედველობისთვის, ცილებისა და ნახშირწყლების ცვლისთვის, ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციონირებისთვის. მასზე დიდადაა დამოკიდებული კანისა და ლორწოვანი გარსის სიჯანსაღე. მოზრდილისთვის სადღეღამისო ნორმა 1,5 მლგ-ია. A ვიტამინის წყარო უმეტესად ცხოველური პროდუქტებია: ძროხის, ღორის ხორცი, ქათმის კვერცხი, რძე, კარაქი, არაჟანი, ნაღები და სხვ. მცენარეებში უშუალოდ A ვიტამინი არ მოიპოვება. სამაგიეროდ, მწვანილში, წითელ, ნარინჯისფერ და ყვითელ ხილსა თუ ბოსტნეულში ბევრია A ვიტამინის წინამორბედი ნივთიერებები.



გაითვალისწინეთ, ხორცის დამუშავებისას A ვიტამინი დიდი რაოდენობით იკარგება.

თუ ორგანიზმს A ვიტამინი არ აკლია, მაშინ საკვებიდან მიღებული მარაგი ღვიძლში გროვდება და კრიტიკული სიტუაციებისთვის ინახება, განსაკუთრებით ზამთრისა და გაზაფხულისთვის; ამგვარად A ვიტამინი შეიძლება 1,5-2 წლის განმავლობაშიც კი შეინახოს. არ შეიძლება ვიტამინის დოზის გადაჭარბება. ამ დროს კანის ქავილი, თავის ტკივილი, სისუსტე, ღებინება და კრუნჩხვა ვითარდება.

**P ვიტამინი** ძირითადად ცხოველური წარმოშობის პროდუქტებშია. მისი შევსება მზის საშუალებით ხდება. ყოველდღიურად 15-20 წთ მზის აბაზანები და ჰაერზე სეირნობა განსაკუთრებით კარგია ბავშვებისთვის. P ვიტამინი აუცილებელია ფარისებრი და სასქესო ჯირკვლების მუშაობისთვის, არსებითი როლი ენიჭება ძვლოვანი სისტემის ჩამოყალიბებაში, ცენტრალური ნერვული სისტემის ნორმალური მუშაობისთვის, იმუნური სისტემის სიმყარისათვის.

ნუ შეეცდებით გაყინული თევზის გალღობას წყლით, რადგან წყალმა შესაძლოა ვიტამინიც თან წაიყოლოს. თევზის მოხარშვისას პროდუქტი პირდაპირ ადუღებულ წყალში უნდა მოთავსდეს, შეწვისას კი ცხელ ტაფაზე.

გთავაზობთ ჩამონათვალს, რომლის საშუალებითაც შეძლებთ ზუსტად განსაზღვროთ, რომელი ვიტამინის დეფიციტი გაქვთ:

— თუ ხშირად ავადმყოფობთ სასუნთქი სისტემის დაავადებებით, ეს A და $B_3$ ვიტამინის დეფიციტია.

— უძილობისას B ჯგუფის ვიტამინების ნაკლებობაა.

— სახეზე წითელი ლაქები უკვალოდ გაქრება, თუ თქვენს რაციონს A და B ჯგუფის ვიტამინებს დაამატებთ.

— $B_2$, $B_3$, $B_6$-ისა და P ვიტამინების არასაკმარისი ოდენობის დროს ხშირია კანის დაავადებები.

— ეგზემისას A და B ჯგუფის ვიტამინების დეფიციტია.

— თუ ჭრილობის, მოტეხილობის შეხორცების პროცესი ხანგრძლივდება, რაციონში კალიუმის, კალციუმის, C და P ვიტამინების დამატებაა საჭირო.

— ქრონიკული შეკრულობისას B ვიტამინის დეფიციტია.

— ქერტლი $B_{12}$, $B_6$ და სელენის ნაკლებობის ბრალია. თმის ცვენისას C, P, B ჯგუფისა და ფოლიუმის მჟავის შევსებაა საჭირო. მტვრევადი თმა P და B ჯგუფის ვიტამინების დეფიციტის შედეგია.

— დარტყმის შედეგად არსებული სისხლჩაქცევა ან დაჟეჟილობა თუ დიდი ხნის მანძილზე რჩება ორგანიზმში, C და P ვიტამინების ნაკლებობაა სავარაუდო.

— თავბრუს ხვევა და ყურებში სისტემატური ხმაური — $B_3$, E და K ვიტამინის დეფიციტის ბრალია.

— უსიამოვნო სუნი პირიდან კი $B_3$ ვიტამინის დეფიციტის გამოა.

*მაია მუხიგული*

# ღორის ქონი — ჟვნეშლი

მართალია, ძალიან ბევრი სასარგებლო ცხიმი არსებობს: თევზის ქონი, კარაქი, მცენარეული (განსაკუთრებით არარაფინირებული) ზეთები, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მცენარეულ ზეთზე შეწვა ყოველთვის სასარგებლო არ არის, რადგან მაღალ ტემპერატურაზე მასში წარმოიქმნება კანცეროგენული ნივთიერებანი. რასაც ვერ ვიტყვით ღორის ქონზე, რომლის მთავარი ღირსება გემო კი არა, ის არის, რომ ის მდიდარია ისეთი მჟავათი, რომელიც ხელს უწყობს ჰორმონების გამომუშავებას, ღვიძლისა და გულის მუშაობას, ახალი უჯრედების აშენებას, გარდა ამისა, აძლიერებს სასიცოცხლო ტონუსს, გამოდევნის რა ორგანიზმიდან მავნე ქოლესტერინს, ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას, რაც არ შეიძლება კარაქზე ვთქვათ.



მაგრამ, დაიხსომეთ, ის მაღალკალორიულია და მისი დიდი რაოდენობით ჭამა არ შეიძლება.

მიირთვით, მაგრამ ცოტა...

*არგუმენტი ი ფაქტი №97*

# ადამიანის თირკმლებიანი მიკი მაუსი



ისრაელელმა მეცნიერებმა ლაბორატორიის ვირთხებს გადაუნერგეს ადამიანის ემბრიონის ის უჯრედები, რომლებისგანაც ყველა ჩვენი ორგანო იზრდება და აი, სასწაული! — საცდელი ოთხფეხების ორგანიზმში გაიზარდა ნამდვილი ადამიანის თირკმლები, ოღონდ ზომით თაგვების ორგანიზმის შესაბამისი, ე.ი. მინიატურული.

ამ ექსპერიმენტის ხელმძღვანელმა ბრძანა, რომ თირკმლები კარგად ფუნქციონირებს, გამოიმუშავებს შარდს, სისხლძარღვებში სისხლი გადააქვს და კარგად შეეთვისა თაგვების ორგანიზმს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ხშირად გადანერგილი დონორი ორგანოები უცხო ორგანიზმს ვერ ეგუება.

მეცნიერების აზრით, მათი წარმატებული გამოცდილება მომავალში ბევრ ადამიანს სიკვდილისგან იხსნის. თირკმლების ტრანსპლანტაციისთვის დონორის პოვნა ხომ ძალიან ძნელია და თუ მეცნიერები შეძლებენ ცხოველების „ინკუბატორად" გამოყენებას და მათგან ადამიანისათვის ნორმალური ზომის ორგანოების მიღებას, ეს პრობლემა მოგვარებული იქნება.

*ტრუდი №7*

ISKRA INDUSTRY Co., LTD. JAPAN
ისკრა ინდუსტრი კო., ლ.ტ.დ
იაპონური სავაჭრო კომპანია „ისკრა ინდუსტრი კო., ლ.ტ.დ" გახლავთ მსოფლიოში ცნობილი სამედიცინო ტექნიკის მწარმოებელი ფირმების – „ALOKA", „PENTAX", „NIHON KOHDEN", და „ATOM"-ის იფიციალური და სრულუფლებიანი დისტრიბუტორი, რომელიც
გთავაზობთ თანამედროვე სამედიცინო აპარატურას იაპონიიდან
დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ „ისკრა"-ს საქართველოს წარმომადგენლობას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ. 18, II სად, III სართ. ტელ/ფაქსი: (995 32) 22 01 95; 877 404 055; 899 909 949
e-mail: iskra@caucasus.net http://www.iskra.caucasus.net

**ბალტიისპირეთი**

## რუსეთს მილიარდებს სთხოვენ

„საბჭოთა ოკუპაციის წლების“ საკომპენსაციოდ ლიტვა, ესტონეთი და ლატვია რუსეთს 60 მლრდ დოლარს სთხოვენ, მართლმადიდებელ ეკლესიას კი ბალტიელები ადანაშაულებენ კათოლიკური ეკლესიისთვის მიყენებულ ზარალში და ამის სანაცვლოდ 180 მლნ დოლარს ითხოვენ. რუსეთის გოსდუმის დეპუტატებმა საპასუხო სარჩელი წაუყენეს ბალტიის რესპუბლიკებს. მათი შეფასებით, მარტო ლიტვის ტერიტორიაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონება 82 მლრდ დოლარზე მეტია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა კავშირში შესვლისას ამ რესპუბლიკათა ტერიტორია 30%-ით გაიზარდა.

*კომსომოლსკაია პრავდა №6*

**მოლდავეთი**

## ოპოზიცია ევროპისაკენ მიიწევს

კიშინიოვში გაიმართა პრორუმინული ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მიტინგი. საპროტესტო აქციების კვლავ აზვირთების მიზეზი ის გახდა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააუქმა სახალხო რეფერენდუმი, რომელსაც უნდა გამოევლინა ევროკავშირსა და ნატოსთან მოლდავეთის მიერთების მოსურნეთა რაოდენობა. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ი. როშკამ განაცხადა, რომ ოპოზიცია საპროტესტო აქციებს არ შეწყვეტს მანამ, ვიდრე არ გადააყენებენ პრეზიდენტ-კომუნისტს და არ აღდგება დემოკრატია.

კიშინიოვის მთავარ მოედანზე 5 ათასზე მეტი მომიტინგე შეიკრიბა. „ჩვენ ევროპელები ვართ“. „გვსურს შესვლა ნატოში“, — აცხადებდნენ ისინი. მართალია, ხელისუფლების სათავეში მყოფმა კომპარტიამ ევროპაში ინტეგრაცია ნაციონალურ იდეად გამოაცხადა, მაგრამ დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ევროკავშირში შესასვლელად მოლდავეთს სულ ცოტა, 15-20 წელი მაინც დასჭირდება.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №2*

**არგენტინა**

## ლეოპოლდო გალტიერი — ყოფილი პრეზიდენტი

ამ ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ლეოპოლდო გალტიერი, ლამის ერთადერთი პირსისხლიანი დიქტატორი, ანტიკომუნისტი იყო, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება მეგობრად მიიჩნევდა. გენერალი გალტიერი თავისი რეჟიმის მოწინააღმდეგეებს, პირველ რიგში კი კომუნისტებს, არანაკლები სისასტიკით უსწორდებოდა, ვიდრე მისი ჩილეელი კოლეგა აუგუსტო პინოჩეტი. საბჭოთა კავშირის მეგობრული დამოკიდებულება მის მიმართ კი იმით აიხსნება, რომ არგენტინის რესპუბლიკამ სწორედ ლეოპოლდო გალტიერის პრეზიდენტობის დროს დაიწყო ომი ბრიტანეთთან ფოლკლენდის კუნძულების გამო. როცა დიდ ბრიტანეთს ნატოს ყველა წევრი მიემხრო, საბჭოთა კავშირმა ამჯობინა, დაევიწყებინა არგენტინაში გალტიერის ბრძანებით კომუნისტების მასობრივი ამოხოცვის ფაქტები და მხარი დაუჭირა „არგენტინელი ხალხის სამართლიან ბრძოლას თავისი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ერთიანობის აღსადგენად“.

*იზვესტია №11*

**იტალია**

## გარდაიცვალა იტალიის „ავტომობილების მეფე“



ტურინში გარდაიცვალა 82 წლის ჯოვანი ანიელი — იტალიელი ერის სიმბოლო, საავტომობილო კონცერნ „ფიატის“ დამაარსებელი და საპატიო პრეზიდენტი.

1966 წელს ანიელი სათავეში ჩაუდგა საავტომობილო ფირმა „ფიატს“ და მალე იგი უძლიერეს იმპერიად აქცია. ამ კომპანიის გავლენა ვრცელდებოდა იტალიის ყოფის ბევრ სფეროზე.

1991 წელს ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისთვის ანიელი მუდმივ სენატორად აირჩიეს.

*იტოგი №4*

## სომხეთის პრეზიდენტს რუსეთის მხარდაჭერის იმედი აქვს

### აზერბაიჯანს — მეღრი; სომხეთს — ყარაბაღი(?!)



19 თებერვალს სომხეთში მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება და ქვეყნის ამჟამინდელ თავკაცს — რობერტ ქოჩარიანს მოსკოვის მხარდაჭერა დასჭირდება — მისი მოსკოვში ვიზიტის მიზანიც სწორედ ეს იყო.

გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს მოსკოვს ყველაფერი გადაწყვეტილი აქვს და აშკარად უჭერს მხარს ქოჩარიანს. თუმცა სერიოზული კონკურენტები მას არც ჰყავს, რადგან ოპოზიციურ გაერთიანებას საერთო აზრი არ გააჩნია და არც პრეზიდენტობის კანდიდატად დაუსახელებია ვინმე. ერთადერთმა ადამიანმა, რომელსაც შეეძლო სერიოზული კონკურენცია გაეწია ქოჩარიანისთვის, სომხეთის პირველმა პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა, უარი თქვა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე.

რუსეთ-სომხეთის ურთიერთობა მომავალი არჩევნების ფონზე სავსებით გამოკვეთილია. მაგრამ კადრს მიღმა დარჩა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი — მთიანი ყარაბაღის ბედი. ერევნელები ამბობენ, ქოჩარიანი ალბათ დაეთანხმება ამერიკულ ვარიანტს — აზერბაიჯანს ყარაბაღის სანაცვლოდ მეღრი გადასცესო (სომხეთის ეს ტერიტორია ნახჭევანისა და თურქეთისგან ჰყოფს აზერბაიჯანს). ამ ვარიანტის რეალიზება ამცირებს რუსეთის როლს კავკასიაში და აძლიერებს თურქეთისას. თურქეთი აზერბაიჯანის გავლით მიიღებს გასასვლელს ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. სომხეთი ირანიდან მოწყვეტილი აღმოჩნდება. ეს გეგმა ეწინააღმდეგება არა მარტო რუსეთის, არამედ თავად სომხეთის ინტერესებსაც. მისი განმახორციელებელი ნებისმიერი ადამიანი სომხეთში პოლიტიკურ გვამად იქცევა. სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გადაჭრით უარყოფს ამ გეგმით დაინტერესებას, მაგრამ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ვ. არუთინიანი ირწმუნება — სწორედ იმიტომ გამათავისუფლეს, რომ არ ვეთანხმებოდი მეღრის აზერბაიჯანისთვის გადაცემასო. ამასთან დაკავშირებით რობერტ ქოჩარიანმა განაცხადა — არუთინიანი არასოდეს ყოფილა ის ფიგურა, ვისთანაც სომხეთის პრეზიდენტი ამ საკითხზე იმსჯელებდაო.

*ნოვიე იზვესტია №11*

## პრეზიდენტისა და კანცლერის პარიზული ვახშამი



საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს გერჰარდ შრედერს ტრადიციად ექცათ პარიზში, ვახშამზე მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა. ამჯერადაც ასე მოხდა — საუბარი ძირითადად ორ საკითხს ეხებოდა — ევროკავშირის მომავალ უმაღლეს ხელმძღვანელობას და ერაყს. პრეზიდენტმა და კანცლერმა მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს — შეთანხმდნენ, რომ ევროპის მომავალ მთავრობას და ევროკომისიის თავმჯდომარეს ევროპარლამენტი აირჩევს. ამჟამად მათ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერები ირჩევენ. ალიანსის საგარეო პოლიტიკის წარმმართველი უწყების ხელმძღვანელს კი კვლავ პრეზიდენტები და პრემიერები დაამტკიცებენ. რაც შეეხება ერაყს, საფრანგეთიც და გერმანიაც ომის წინააღმდეგნი არიან, თუმცა ბაღდადზე პოლიტიკური ზეწოლისა და ერაყის განიარაღების რეზოლუციათა შესრულებას ემხრობიან.

*ნოვიე იზვესტია №16*

## „ალ-ქაიდას“ ტერორისტები ამზადებენ თავდასხმას დიდი ბრიტანეთის დედოფალზე

გაერთიანებული სამეფოს სპეცსამსახურებმა ქვეყნის პირველი პირების დაცვა გააძლიერეს.

დედოფალ ელისაბედისა და პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის დაცვაში შეყვანილი არიან პოლიციელი სნაიპერები. დედოფლისა და პრემიერის საჯაროდ გამოსვლების შემთხვევაში ისინი პოსტს დაიკავებენ სახლების სახურავებზე და სხვა სტრატეგიულ ადგილებში. გარდა ამისა, გაძლიერებულია სამეფო ოჯახისა და მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრის დაცვა. უსაფრთხოების ასეთი განსაკუთრებული ზომები გამოწვეულია ინფორმაციით, რომ „ალ-ქაიდას“ ტერორისტები დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ქვეყნის პირველ პირებზე და მაღალჩინოსან მოხელეებზე თავდასხმას გეგმავენ. ინგლისში ყველაზე მეტად თვითმკვლელი ტერორისტების ეშინიათ. პოლიციის სნაიპერებს ნაბრძანები აქვთ „პოტენციურ ტერორისტებს“ გაუფრთხილებლად ესროლონ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ტონი ბლერმა განაცხადა: „ალ-ქაიდას“ ტერორისტები დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე აუცილებლად ეცდებიან ტერაქტის მოწყობასო. შეიძლება ამის დასტურად მივიღოთ ის დაპატიმრებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბრიტანეთსა და მთელ მსოფლიოში.

ანტიტერორისტული ღონისძიებები მთელ ინგლისში ტარდება, მაგრამ სპეცსამსახურები ამაზე ღიად არ ლაპარაკობენ.

*შპიგელი*

## ჩეჩნური ინტრიგები

ჩეჩნეთის ადმინისტრაციაში არეულობა გრძელდება. ბევრს ვერ გაუგია, მაინც რა მოხდა ა. კადიროვსა და მთავრობის თავმჯდომარე მ. ბაბიჩს შორის. საქმე კი ის გახლავთ, რომ რამდენიმე ხნის წინ ჩეჩნეთში რუსეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ა. კვაშნინმა კადიროვის ხელით პრეზიდენტს წერილი აახლა. მასში დასაბუთებული იყო ჩეჩნეთში ხელისუფლო და ფინანსური უფლებამოსილების სამხედრო კომენდანტისათვის გადაცემის აუცილებლობა. ამბობენ, რომ წერილი მოიწონეს. ეს ამბავი გვიან შეიტყვეს რუსეთის უშიშროების საბჭოს დირექტორმა ნ. პატრუშევმა, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა ს. ივანოვმა და ბ. გრიზლოვმა და საშინლად აღშფოთდნენ, მათი ინტერესები შეილახა. უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობამ, რომელიც ჩეჩნეთში ყველაფერს კურირებს, მათ შორის მთავრობის თავმჯდომარის საქმიანობასაც, გადაწყვიტა, თავისი ადგილი მიეჩინა თავნება კადიროვისთვის. ამიტომაც წამოიწყო მ. ბაბიჩმა კადიროვთან საჯარო პოლემიკა ფინანსთა მინისტრის პოსტის გამო. გარკვეული დროის მანძილზე კრემლი ორჭოფობდა, ვისთვის მიენიჭებინა უპირატესობა. შედეგი ცნობილია — ა. კადიროვმა კვლავ მიიღო კარტ-ბლანში. მას აქტიურად დაუჭირეს მხარი ფედერალურმა მინისტრმა ს. ილიასოვმა, სამხრეთ ფედერალურ ოლქში პრეზიდენტის წარმომადგენელმა ვ. კაზანცევმა და ვ. პუტინის თანაშემწემ ს. იასტრჟემბსკიმ.

*არგუმენტი ი ფაქტი №4*

## ვინ გახდება სადამის მემკვიდრე?

ერაყში დღეს პრეზიდენტობაზე პრეტენზიას ვერავინ აცხადებს. 1991 წელს, ამერიკელებმა სადამ ჰუსეინი მხოლოდ იმიტომ არ გადააყენეს, რომ ქვეყნის დანაწევრებისა შეეშინდათ და სულ უპრეზიდენტობას სადამ ჰუსეინი არჩიეს. მას შემდეგ ჰუსეინმა სავარაუდო მეტოქეები დაახოცვინა, ოპოზიცია კი ისეა დაქსაქსული, რომ საეჭვოა მათი გაერთიანება.

არის ორი კანდიდატი: აჰმედ შალაბი, ერაყის ნაციონალური კონგრესის წევრი, თეთრი სახლის საყვარელი ოპოზიციონერი, ერაყში ნაკლებპოპულარულია, არც მთავრობაში ჰყავს მომხრენი და საჭირო ხმებს ვერ შეაგროვებს.

მეორეა — ვიცე-პრეზიდენტი ტარიქ აზიზი, რომელსაც საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებში კარგად იცნობენ. მას ამჟამად ძალაუფლება არ აქვს და ამიტომ ქვეყნის ახალი ბატონების შესანიშნავი მსახური იქნება.

*შტერნი №4*

## ბუშმა გადაწყვიტა — ომი რამდენიმე კვირაში დაიწყება!

გაზეთი „გარდიანი“ ვაშინგტონისა და ლონდონის სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, იტყობინება, რომ ომი ერაყში ცოტა ხანში დაიწყება. ვაშინგტონის აჩქარების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ რამდენიმე კვირაში ერაყში დაცხება. აშშ-სა და მის ზოგიერთ მოკავშირეს პრაქტიკულად ნებისმიერ პირობებში შეუძლიათ ბრძოლა, მაგრამ ჯარისკაცების ბრძოლისუნარიანობა მკვეთრად შემცირდება, თუ სიცხე 35$^0$C-ს გადააჭარბებს.

პრეზიდენტ ბუშს სურს, რომ სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა, გაეროს ინსპექტორების მოხსენებისთანავე, მოამზადოს გადაწყვეტილება ომის დაწყების თაობაზე. ბრიტანეთის მთავრობას არ მოსწონს ბუშის ადმინისტრაციის აჩქარება — ომი არ უნდა დაიწყოს მანამ, ვიდრე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და აშშ-ის პრეზიდენტი ერთმანეთს არ შეხვდებიან კემპ-დევიდშიო.

ვაშინგტონის კარგად ინფორმირებული წყარო აღნიშნავს: „ბლერი კარგი ბიჭია. ბუშს და მის გუნდს სურთ, რომ ბლერს ეგონოს,




თითქოს მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში. სინამდვილეში კი გადაწყვეტილება მიღებულია.“ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სხვადასხვა აზრი აქვთ — საჭიროა თუ არა, რომ ბუშმა დაასახელოს ომის დაწყების კონკრეტული ვადა. თავდაცვის მინისტრს დონალდ რამსფელდს სურს, პრეზიდენტმა ზუსტად თქვას თარიღი, კოლინ პაუელი კი ამის წინააღმდეგია. თეთრ სახლს მიაჩნია, რომ დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, იტალია, ესპანეთი და ფაქტობრივად ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანა გვერდით დაუდგება. თეთრი სახლის პრესმდივანს არი ფლეიშერს თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია ევროპაში ანტისამხედრო განწყობილების ზრდისათვის, თუმცა დასძინა — შესაძლებელია, საფრანგეთმა მხარი არ დაგვიჭიროსო.

ჩინეთი და რუსეთი საფრანგეთსა და გერმანიას შეუერთდნენ და ვაშინგტონს გაეროს ჩარჩოებში მოქმედებისაკენ მოუწოდეს.

შექმნილ ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანია სადამ ჰუსეინის უფროსი ვაჟის, უდეის სატელევიზიო განცხადება. მან თქვა — თუ აშშ ერაყს დაარტყამს, უფრო დიდი უბედურება მოხდება, ვიდრე 2001 წლის 11 სექტემბერს, ეს ომი ამერიკას დიდ მსხვერპლად დაუჯდებაო.

*რია ნოვოსტი*

## ამერიკელები თალიბთა ნაცვლად კანადელებს ბომბავენ

ავღანეთში ამერიკელ პილოტთა მიერ კანადელ სამხედროთა დაბომბვის ვითარების გამოძიებას დიდი ამბები მოჰყვა. ტრაგედია შარშან მოხდა: ამერიკელმა პილოტებმა — უილიამ უმბახმა და ჰარი შმიდტმა ყანდაარის მახლობლად მდგარი კანადელი სამხედროები თალიბებად მიიჩნიეს და დაბომბეს; დაიღუპა 4 ჯარისკაცი. კანადის ხელისუფალთა მოთხოვნით, პილოტები წინასწარ განუზრახველ მკვლელობაში დაადანაშაულეს და სასამართლოს გადასცეს, მაგრამ ქვეყნის ბევრ შტატში შეიქმნა კომიტეტები პილოტთა დასაცავად. სამხედრო ექსპერტები აცხადებენ — ომი ომია და შეცდომისაგან არავის არის დაზღვეულიო.

ავღანელებიც აღშფოთებულნი არიან — მათი აზრით, ეს სასამართლო იმის მაჩვენებელია, რომ ამერიკელებისთვის ამ ოთხი კანადელის სიცოცხლე ასობით ავღანელის სიცოცხლეზე ძვირად ფასობს. საქმე ის არის, რომ ამერიკელ პილოტებს პირველად არ შეშლიათ სამიზნე, ისინი, ტერორისტების ნაცვლად, ხშირად ბომბავენ მშვიდობიან ავღანელებსაც. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა ქორწილის დროსაც, როცა 100-ზე მეტი ავღანელი დაიღუპა. თუმცა, როცა საქმე ავღანელებს ეხებოდა, ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელობა ბოდიშის მოხდას სჯერდებოდა.

*ლენტა.რუ*

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

# ევროპაში კარგად ცნობილებს სამშობლოში ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდათ

ისინი მრავალმხრივი პროფესიონალები არიან, იციან ქართული ხალხური მუსიკის მადლი.

ყველასგან განსხვავებული კვინტეტი „ურმული“, მართალია, ხუთი მუსიკოსისაგან შედგება, მაგრამ ერთ კომპოზიციაში შეუძლიათ ააჟღერონ 5 ფანდური, 5 დუდუკი, ჭიბონი, ჭუნირი, სალამური და ფანდური-დაბალი ბანი.

21 იანვარს, კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენაზე გამართულ კონცერტზე, კვინტეტმა ქართულ ხალხურ საკრავებზე, შეიძლება ითქვას, ჯერ არნახული შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინა.

დღეს, როცა განსხვავებული, დასავლური „გემოვნების“ გამო ქართული ხალხური საკრავების იგნორირების მზარდი ტენდენცია იგრძნობა,



ასეთი კონცერტებისა და კოლექტივების არსებობა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მისასალმებელია კვინტეტის ორიენტაცია — გაათანამედროვოს კომპოზიციები. არ გინდათ დოლი? კი, ბატონო. აგერ არის ორი ფანდური და ისეთ რიტმს და კოლორიტს იძლევა, რომ ნებისმიერ დასარტყამ ინსტრუმენტს შეშურდება. არ გვინდა აკორდეონი? დუდუკისა და ჭუნირის დუეტს შემოგთავაზებთ და იმედგაცრუებული ნამდვილად არ დარჩებით.

კვინტეტის რეპერტუარი მელოდიების ფართო სპექტრს მოიცავს — ადრეული შუა საუკუნეებიდან XXI საუკუნის ჩათვლით.

1994-2001 წლებში კვინტეტმა მრავალი წარმატებული კონცერტი გამართა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ისეთ ცნობილ დარბაზებში, როგორებიცაა: ფრანკფურტის ძველი ოპერა, მიუნხენის პრინცრეგენ თეატრსა და დოიჩე თეატრში, ლუცერნის პატარა თეატრში, ჰამბურგის ისტორიის მუზეუმში, სტრასბურგის ევროგაერთიანების პალატაში, ვენის დიპლომატიურ აკადემიაში...

„ურმულს“ ჩაწერილი და გამოცემული აქვს ერთი აუდიოკასეტა და სამი კომპაქტ-დისკი.

**დავით რატიანი** (კვინტეტის წევრი): — უცხოეთში მართლაც დიდი მოთხოვნაა ქართულ ფოლკლორზე. სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი — ჩემი თვალით ვნახე აცრემლებული გერმანელები.

21 იანვარს საოცრად ღელავდნენ კვინტეტ „ურმულის“ წევრები: შალვა აბრამიშვილი, დავით ჯიმშიტაშვილი, ვლადიმერ მამალაძე, დავით რატიანი და მათი ხელმძღვანელი ნუგზარ ქავთარაძე. ანსამბლის ხანგრძლივი მოღვაწეობის მიუხედავად, ეს მათი დებიუტი გახლდათ საქართველოში.

მუსიკოსები ინსტრუმენტების შესაძლებლობების მაქსიმუმს გვაწვდიდნენ. მეტად ორიგინალური იყო „ახ, ტურფავ, ტურფავ“-ის არანჟირება. ყველაფერში იგრძნობოდა სილაღე, პროფესიონალიზმი. სწორედ ესაა ქართული ხალხური მუსიკის გაახლების გამართლებული და მისაღები გზა. კონცერტის ბოლოს კვინტეტის ხელმძღვანელს, ბატონ **ნუგზარ ქავთარაძეს** გავესაუბრე:

— **როგორია კონცერტის შთაბეჭდილებები, კმაყოფილი ხართ?**

— უაღრესად ბედნიერი ვარ. საკუთარ ქალაქში გამოსვლა უაღრესად საპასუხისმგებლოა.

— **რამდენადაც ვიცი, თქვენ კონსერვატორია ვიოლონჩელოს სპეციალობით დაამთავრეთ, საკმაოდ დიდხანს მუშაობდით ჯანსუღ კახიძის ორკესტრშიც, როგორ გადახვედით ხალხურ მუსიკაში?**

— კონსერვატორია 1984 წელს დავამთავრე მაესტრო ელდარ ისაკაძის კლასში. ომარ კელაპტრიშვილი სულ მირჩევდა, შენი მთელი ენერგია ქართულ ინსტრუმენტებს შეალიეო. ადრე ასეთი წესი იყო, სტუდენტებს ანაწილებდნენ სხვადასხვა ორკესტრში. ომარ კელაპტრიშვილმა წინასწარ მოითხოვა, რომ მასთან გავენაწილებინე. ისე მოხდა, რომ ჯარში გამიწვიეს, ჯარის შემდეგ ჩელოს ხელი ვეღარ მოვკიდე და გადავერთე მთლიანად ფოლკლორში.

— **საზღვარგარეთ „იქაურ ქუდს“ თუ ირგებთ, გაქვთ თუ არა პოპულარული კლასიკის გადამუშავებული კომპოზიციები?**

— დიახ. ძირითადად, ქართულ მუსიკას ვასრულებთ. მაგრამ ამავე დროს არანჟირებული გვაქვს მოცარტის „თურქული მარში“, ბიზეს „კარმენის“ თემებიც. ახლო მომავალში კვლავ ვგეგმავთ კონცერტებს ევროპაში.

— **წარმატებებს გისურვებთ შინ და გარეთ.**

***ალექსანდრე ბერიძე***

# ერთხელაც, გაიღვიძებს თბილისელი კონკია და...

## მას სანქტ-პეტერბურგსა და ესპანეთში ელიან...

***(დასაწყისი იხ. გვ.4)***

ჟიურიმ წელს პეტერბურგში მიმიწვია. დედამ მითხრა, ვინმე ბიზნესმენს მოვძებნი, იქნებ დაგეხმაროსო. ეჭვი მეპარება, შარშანაც იყო ასეთი შემთხვევა და გასამგზავრებელი ფული ვერ ვიშოვეთ. არადა, მე რომ ახლა პეტერბურგში წავიდე, იქიდან პოლონეთში და ესპანეთში გამაგზავნიან.

— **მეტროში აღარ მღერი?**

— კი, როგორ არა. სანამ ცნობილი გავხდები და ბევრ ფულს ვიშოვი, ისევ მეტროში უნდა ვიმღერო. აბა, რა ვქნა? — ჩაცმა მჭირდება, ჭამაც... მომღერალმა დღეში ორი საათი მაინც უნდა იმღეროს. არ მეზარება, ოღონდ ვაგზლის მოედნის მეტროში სიმღერა აგვიკრძალეს. თუ მაინც მეტროში უნდა ვიმღერო, იქ მირჩევნია, თითქმის იქ გავიზარდე, იქაურობა მიყვარს ძალიან.

— **სიმღერა ვინ აგიკრძალათ, რაღა თქვენ მოგადგნენ... მეტროში ათასი ჯურის ადამიანი დადის?!**

— არ ვიცი. პოლიციელი მოვიდა და გვითხრა, აქ აღარ იმღეროო, მეტროს ხელმძღვანელობამ აკრძალაო. დედა ქალაქის მერთან წავიდა. იმან უთხრა, მე არაფერი ამიკრძალავს, მაგრამ სპეციალურ ბრძანებას ვერ დავწერ, რომ იქ იმღეროთო...

— **გავიგე, დედამ გითხრა, შენ სახლში დარჩი, აწი ანანოსთან ერთან ვიმღერებო...**

— მაგას რომ მოვკვდე, არ ვიზამ... ჩემი და, ჯერ ერთი, ძალიან პატარაა. ასეც რომ არ იყოს, არ მინდა ის ცხოვრება გაიაროს, რაც მე. ეს ძალიან მძიმეა. ისევ მე ვიმუშავებ. არა უშავს, ჩემს დას არაფერს გავუჭირვებ, ყველაფერს შევძლებ.

— **რა თქმა უნდა, შეძლებ და ფულსაც იშოვი...**

— როცა ბევრი ფული მექნება, დიდ კარიერაზე ვიზრუნებ და აუცილებლად შევქმნი რაიმე ორგანიზაციას იმ ბავშვების დასახმარებლად, ქუჩაში რომ მუშაობენ და ოჯახებს არჩენენ.

***ეთერ ერაძე***

# ქართველი სანტა-კლაუსის წერილი ახალი ზელანდიიდან



„ახალზელანდიელი“ მამა-შვილი

*კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართველებს წერილების წერა დიდად არ გვიყვარს, განსაკუთრებით მამაკაცებს... მაგრამ ოჯახიდან შორს მყოფისათვის, გამძაფრებული ნოსტალგიის უებარი წამალი რომ წერილია, ამაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. დალოცვილი ბილ გეითსის და მისი კომპიუტერის წყალობით ეს პროცესი სასიამოვნოც კი გახდა მათთვის. სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემი შვილი სულ 3 თვეა, რაც ახალ ზელანდიაშია მამასთან და რომ იტყვიან, წერილებით განებივრებული ვყავართ. ჩემი მეუღლე იქ წელიწად-ნახევრის წინ აღმოჩნდა ემიგრანტის სტატუსით. ამჟამად ჩვენს უახლოეს პერსპექტივაში შედის ოჯახის გამთლიანება, ანუ დარჩენილი ორი წევრის იქ ჩასვლა. უფრო შორეული პერსპექტივა კი აუცილებლად, კვლავ სამშობლოში დაბრუნებაა.*

*ამ დღეებში ჩემი შვილის წერილი მივიღე ახალი ზელანდიიდან, რომელიც იწყებოდა თხოვნით და რომლის შესრულებაც ვერ შევძელი... და თუ რატომ, ამას თავადაც მიხვდებით. ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვნელებია საახალწლო ემოციები და მჯერა, ეს წერილიც კარგ გუნებაზე დაგაყენებთ. წერილის სტილი უცვლელი დავტოვე:*

## ჩემო დენდალოზა!

შენი ამბავი რომ ვიცი, ამ წერილს სტატიად გადააქცევ, „კვირის პალიტრის“ რომელიმე გვერდში გამომჭიმავ, ამიტომ გირჩევ, ცოტა ხნით დაივიწყო ჟურნალისტობა.

აქ, ოკლენდის გარეუბანში, ბოლო ორი კვირაა მაგრად დაცხა. მე და მამაჩემი დავიხრუკეთ. ახალ წელს სიცხეში რომ შევხვდი, ძაან გამიტყდა, ვაფშე ვერ ვიგრძენი, თუ არ ჩავთვლით შობის წინა დღეს, როცა ჩვენმა მეზობელმა — დომენიკმა სანტა-კლაუსის ჩასაცმელი და ერთი ყუთი კანფეტები მომიტანა. „საჩუქარი“ მეგონა და ძალიან მესიამოვნა, მაგრამ ჩვენი სანტა უნდა იყოო რომ მითხრა, არ მომეწონა. არა, ძმაო, ჯერ ერთი, ჩემნაირი გამხდარი სანტა სად გაგონილა, მეორე — სანტები ახლა ყველგან გამოძახებით არის, ჩვენთან, საქართველოშიც. აქ რა ხდება? მესამე — ამ პაპანაქებაში წვერებში და ქუდში ასიანი გაგუდვა მელოდება. მოკლედ, ცივ უარზე დავდექი. ჩვენმა დიასახლისმა მარგარეტმა ამიხსნა: აქ რომ ვინმეს სანტაობას სთავაზობენ, იმათი მეკვლე გამოდიხარო, მაგაზე უარის თქმა არ შეიძლებაო. ოჯახში რომ შეხვალ, იტყვი: — გილოცავთ შობას! იქ ბავშვები იქნებიან, იმათ კანფეტებს შეაყრი, ცოტას დაიტოვებ პატარებისათვის, ვინმე რომ არ დაგრჩეს. მერე ყველანი იცეკვებენ და იმღერებენო. ერთი სიტყვით, მარგომ და დომენიკმა ეჟვანი შემაბეს, მეც ორივე პაჟალუსტათი გავისტუმრე. მარტო რომ დავრჩი, სანტა-კლაუსის ზმანში გამოვეწყვე. სამსახურიდან „კაკრას“ ჩვენი ზაზას მოსვლის დროც იყო, წავედი და მის ლოგინზე წამოვგორდი, თანაც მანეკენი სანტასავით გავშეშდი. კარის გაღება და მამაჩემის ხმის გაგონება ერთი იყო: ე... ამას აქ რა უნდაო, რომ მომიახლოვდა და ხელი შემახო, მისი ფერი არ მომეწონა. ეგრევე ერთი ხელით ქუდი მოვიგლიჯე და მეორეთი წვერები. ზაზამ მითხრა: — შვილო, ეგეთ საშიშ სიურპრიზებს არ იცი, ცუდი ფინალი რომ აქვს? უკვე ენის დაბუჟება მეწყებოდაო. მე ვუთხარი, შენის ენის დაბუჟება მაშინ ნახე, რაიონის მასშტაბით თუ შევრცხვი, დომენიკმა და მარგომაც მეკვლეობა შემომტენეს, გესმის, რა ხათაბალაში გაება შენი შვილი-მეთქი. ზაზამ დამამშვიდა. შენ მადლობა თქვი, ბუხრის საკვამურში რომ არ გტენიან, ნაღდი სანტა-კლაუსის სახლში შესასვლელი ხომ ეგ არისო.

კაროჩე, მეორე დილით შენი პეწიანი, 16 წლის შვილი ბებრუხანა სანტა-კლაუსად გადაქცეული, დომენიკის ოჯახს შობას ულოცავდა ინგლისურად, გულში კი ქართულად იმეორებდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“. მერე კანფეტების სროლაც დავიწყე საფანტებივით, ზოგი ვის ხვდებოდა და ზოგიც — ვის. ისე შევიჭერი როლში, რომ კანფეტების გადაყომშკვა სულ დამავიწყდა. იქ ოცდაათამდე ბავშვი არ გამეჩითა? ზოგი — მოზარდი და ზოგიც კაი გასაზრდელი. კანფეტები დაიტაცეს და აიტაცეს კიდეც. შემდეგ ვიდანსინგეთ. ვინც რა იცოდა, ის თქვა და ის იმღერა, ზოგიც ყირაზე გადადიოდა. დომენიკის სახლს გადავუარეთ. ჩვენი მარგუშაც იქ იყო და ბავშვებზე უფრო ის ხალისობდა. ნაძვის ხის გარშემო იმდენი ვიტრიალე, რეტი დამესხა, ნაძვის ხე კი ჩემზე უარეს დღეში იყო, დედას გვაგინებდა, რა თქმა უნდა, ინგლისურად. მოსასულიერებლად იქვე ჩავიმუხლე და ამ დაღლილ მუხლზე ვიღაც 2 წლის ჩინელი ღლაპი დავისვი. იგი ჯერ წვერზე დამეკიდა, მერე კი ცხვირის ნესტოში ფოჩიანი კანფეტის შეღიტინება დამიწყო, ალბათ მამოწმებდა, რას იზამსო. მეც მულტფილმში სანტა-კლაუსი რომ აცემინებს, იმხელაზე დავაცემინე. ბავშვმა შიშისაგან ტირილი მორთო. ასე დავსაჯე ის კასაგლაზი აკიმი.

ბოლოს, დომენიკს მოვუხმე და ვუთხარი: — წამო, ძმაო, შენს ოთახში სანტას ფორმა მომაშორე, თორემ გავგიჟდები-მეთქი. ის იყო, შარვლის გახდა დავაპირე და უკნიდან პატარა მოლუსკი — ბავშვი არ მექაჩება, — „მისტერ სანტა, მისტერ სანტა, ვეა იზ მაი პრეზენთს“-ო. ენაზე უცებ, რაც მომადგა, ეს იყო: — ვერა ხედავ, სანტას „პი-პი“ უნდა, დამელოდე-მეთქი. გუნებაში კი ვფიქრობ: — ეჰ, დევიდ, ერთი კანფეტი მაინც მოგეჟომშკა, მარგოც ხომ გარიგებდა, არა? ქართველი და ეკონომია არ გამოდის. ახლა ისევ დომენიკს ვთხოვე: — ძმაო, ერთი კანფეტი ეგებ სადმე გამიშანსო-მეთქი. იმანაც უცებ ჯიბიდან „ემემდემსი“ არ დააძრო და მითხრა: — წადი, მიეციო. ასეც მოვიქეცი და შვებით ამოვისუნთქე. ორი წუთის შემდეგ ამ მოლუსკმა კიდევ ოთხი მოლუსკი არ დამაყენა? გავცხარდი და ვეუბნები: — ნოუ ბონბონს, მაილია, რით ვეღარ გაძღა თქვენი მუცელი, თქვე შობელმოლუსკებო, რომელი დევიდ კოპერფილდი ან ზურაბ ვადაჭკორია მე ვარ, კანფეტები გაგიჩინოთ-მეთქი. ახლა დომენიკი მეუბნება: ჰუ იზ ზურაბ ვადაკორიაო? ქართველია, ძმაო, და კოპერფილდზე მაგარ რამეებს აკეთებს, ჯერ სანტას ფოკუსებს მოვრჩეთ და მაგეებზე ხვალ მოგიყვები — ასე დავაშოშმინე დომენიკი.

ამის შემდეგ მარტო იმაზე ვფიქრობდი, როგორმე შინ წავსულიყავი და დამესვენა, მაგრამ ვინ გაგიშვა? უზარმაზარ საშობაო სუფრასთან როგორც მეკვლე პაჩოტნი ადგილას ამომაყოფინეს თავი. ეს შობის რიტუალის ყველაზე სასიამოვნო პრადალჟენიე იყო. ერთი სიტყვით კი არა და, ათითაც ვერ ვიტყვი — სუფრას ქოქოსის რძეც არ აკლდა. სოსიჯებს გვერდს უმშვენებდა სირაქლემას კვერცხები და შემწვარი ანანასები. კენგურუს დელიკატესებზე დუმილის უფლებას ვიტოვებ.

ასე ჯიგრულად დასრულდა ჩემი სანტა-კლაუსობა და ცოტათი გულიც კი დამწყდა. ქართული ანდაზისა არ იყოს: „ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდებაო“, რომელიც ინგლისურად ასე ჟღერს: „All is well, that ends well“.

ჩემო დენდალოზა, მომიკითხე მაქეთ ყველა და ჩამიგუდმონინგე.

გკოცნით და გეგუდბავებათ თქვენი დევიდა.

***ნინო შევარდნაძე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 25 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1870 |
| ევრო | 2,3580 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5661 |
| რუსული რუბლი | 0,0687 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3191 |

ევროპაში წამყვანი მწარმოებლის UAB „Bilijardai“ ექსკლუზიური წარმომადგენელი
ბილიარდის მაგიდები აქსესუარები
1000 მეტი დასახელების
კონსულტაციები, გარანტია, ფასდაკლება, მონტაჟი, რესტავრაცია
საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ყოფ. კამო)

600–750 მმ. დიამეტრის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გაკეთება
სიღრმე (0–25)მ.
ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.
☎ 899-16-09-10
69-83-38 (საღამოს)

„ჯოხვეტონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორგბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

თუ უკანონო მშენებლობით ირღვევა თქვენი უფლებები
მიმართეთ
„დემოკრატიული განვითარების ცენტრს“,
სადაც უფასოდ მიიღებთ იურიდიულ კონსულტაციას, აღმოგიჩენენ დახმარებას სასამართლო საქმის წარმოებაში, ასევე — ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.
მის: რუსთაველის გამზ. №23, ტელ: 92-05-94

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „ეპიდემია"



გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ზესტაფონის რაიონის მოსახლეობა შიშმა მოიცვა: ჯერ იყო და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებებმა მიიღო მასობრივი ხასიათი, შემდეგ კი — ცოფის შემთხვევებიც დაფიქსირდა.

როგორც წესი, პარტიის რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგნად იქცა რაიონის მთავარი ვეტექიმის მიერ გაწეული მუშაობის შესწავლა... საკითხი მომზადდა და ბიუროც შედგა... საქმე იქამდე მიდიოდა, რომ მთავარი ვეტექიმი პარტიის რიგებიდანაც უნდა გაერიცხათ და სამსახურიდანაც გაეთავისუფლებიათ... როდესაც პირველმა მდივანმა საკითხს კენჭი უყარა (ცნობილია, რომ ეს პროცედურა ფორმალურად ტარდებოდა), ბიუროზე დამსწრეთაგან ერთ-ერთმა განაცხადა, რომ მთავარი ვეტექიმი პარტიის წევრი არ იყო. კურიოზული სიტუაცია შეიქმნა... ვეტექიმი ხმას არ იღებდა. ვინც საკითხი მოამზადა, მას უბრალოდ, მხედველობიდან გამორჩა ეს „უბრალო" დეტალი.

დაძაბული მდგომარეობა ბ-ნმა თენგიზმა განმუხტა: „ამხანაგებო! ერთ წინადადებას შემოგთავაზებთ: ამ ბიუროზე მივიღოთ ვეტექიმი სკკპ რიგებში და შემდეგ სხდომაზე გავრიცხოთო".

დაძაბული სიტუაცია საერთო სიცილმა გამოაცოცხლა: პირველ მდივანსაც „მოულბო" გული და რაიონის მთავარი ვეტექიმიც სამსახურიდან დათხოვნას გადაურჩა.

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## სიმონი მე ვარ!



რამდენიმე წლის წინ ჩემს ძმას, კოტეს თბილისელი სტუმარი სწვევია. კოტეს ჭური მოუხდია და მარანში სახელდახელო სუფრაც გაუშლია, რასაც მამაჩემი, 80 წელს გადაცილებული, რაიონში ცნობილი პედაგოგი სიმონ ციცვიძეც შესწრებია. კოტეს სტუმრისთვის მამაჩემი გაუცვნია. როცა შექეიფებულან, სტუმარს ჩემი ძმისთვის წამდაუწუმ დაუწყია მიმართვა: სიმონ! სიმონ! სიმონ!

მამაჩემს სტუმარი დარბაისლურად გაუჩუმებია და პირდაპირ უთქვამს: — თქვენ, მეგობარო, გეშლებათ! სიმონი მე ვარ, ეგ კოტეა!

***ოთარ ციცვიძე, ჭიათურა***

# ხუმრობენ გურულები

რუბრიკის სტუმარია
ბატონი ჯემალ ჭკუასელი



## დიდი სოფელი

ჩემს ლამაზ სოფელში ლამაზი, პურღვინიანი, ხალასი იუმორის მქონე ბრძენი ხალხი ცხოვრობს. უჭირთ თუ ულხინთ, იუმორის გრძნობას არ კარგავენ.

სისხამ დილით თუ დაგინახეს, — რავა ღორის გამოშვებამდე ამდგარხარო, — გეტყვიან.

თუ ცოტა მოგვიანებით ადექი, — ვინ მოგდევდა, ძილი დაგესრულებიაო, — გაგკენწლავენ.

თუ ხშირ-ხშირად დამინახავდნენ ჩასულს, — „პრავადნიკად" ხომ არ დაგიწყია მუშაობაო, — შემეკითხებოდნენ.

თუ დამიგვიანდებოდა ჩასვლა, — წამოდი, დედაშენს და მამაშენს გაგაცნობო, — მეტყოდნენ. ანდა — რეიზა ჩამოი, ჯემალი, ფული გაგითავდა თუ ფქვილიო.

## ფეხბურთის სპეციალისტი

1966 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ძალზე საინტერესო მატჩს ვუყურებდით ტელეეკრანზე. ინგლისის ნაკრები თამაშობდა. მის ღირსებას სახელგანთქმული მეკარე ბენქსი იცავდა. მან 3-4 წუთში რამდენიმე „მკვდარი", აუღებელი ბურთი აიღო. კომენტატორებმა მეკარის ასეთი თამაში სასწაულად მონათლეს, ჩვენც მონუსხულები, განცვიფრებულები შევცქეროდით მართლა სასწაულს. მოულოდნელად ჩემი სიდედრის, ქალბატონ ანასტასიას აღელვებული ხმა მოგვესმა:

— არა, გენაცვათ, არა, ამას მე ვერ გავაკეთებდი.

## ანეკდოტის მარილი

— დედი, მომისმინე, — დაიწყო ანეკდოტის მოყოლა ვაჟამ (ჩემმა ცოლისძმამ), — ერთმა კაცმა უნებლიეთ კალამი გადაყლაპა და შეშინებულმა ექიმს მიმართა: მიშველე, ექიმო, კალამი გადავყლაპეო. — მერე რა მოხდა, შენც აიღე და ფანქრით წერეო, — მიუგო ექიმმა.

ყველას გაგვეცინა ადრესატის გარდა. ქალბატონ ანასტასიას კუნთიც კი არ შეტოკებია სახეზე. ვაჟა მიხვდა, რომ დედამისმა ვერ გაიგო ანეკდოტის მარილი, ჩვენ თვალი ჩაგვიკრა და დედამისს კიდევ სამჯერ თუ ოთხჯერ მოუყვა იგივე ანეკდოტი. ბოლოს, გაბეზრებულმა ანასტასიამ მოიხსნა სათვალე, დააგდო ხელსაქმე და გაჯავრებულმა მიაძახა ვაჟიშვილს:

— რა გამიწყალეთ, ბიჭო, საქმე შენ და იმ კაცმა. იმასაც აეღო და ერთი ორი დღე მართლა ფანქრით ეწერა, ვითომ, რა მოხდებოდა?!

## ძაღლი და კაცი

ხახუტას ერთი მეგობარი ეტრაბახებოდა გამუდმებით — შენ არ იცი, ჩემი ძმაი ვინაა. მაგისანა ჯანიანი მოჩხუბარი, რკინის მკვნეტელი, ლომი, ვეფხვი, აფთარი არ მინახავს, გადაყლაპავს, შეჭამს, ვინც არ უნდა იყოსო.

ერთხელ ხახუტამ მიაკითხა სახლში იმ მეგობარს, დადგა ჭიშკართან და დაიძახა — მაინძელო!

გამოვიდა მეგობარი — ჩამოდი, ხახუტა, ეზოში, რა გარედან იძახი, ძაღლი დაბმულიაო.

— ძაღლი აფერი, შენი ძმაი თუა დაბმული, — დაინტერესდა ხახუტა.

„გურულების ხუმრობების" დიდი დამფასებელი ბატონი ჯემალ ჭკუასელი სიამოვნებით დასთანხმდა ჟურნალ „ფილთაქვას" უშურველად მიაწოდოს თავისი თანამოძმეების მხიარული თავგადასავლები და ენამახვილობანი.

დაელოდეთ მორიგ ნომერს.

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



— ჭიჭიკია, შენს ცოლთან საყვარლების რიგი რო დგას თუ იცი?

— რა გინდა მერე, გავშორდე და მეც რიგში ჩავდგე?

***ბადრი ხელაძე, ვანი***



კახელი მამა-შვილი თევზაობს. თევზი ანკესს არ ეკარება. გაწბილებული მამა შვილს:

— მიტუა, ამაიღე პური, მარომ რო გამოგატანა, იქნებ პურს მაინც მოეკაროს თევზი.

— მამი, პური შევჭამე.

— მაშინ ვაშლი მაინც მომეცი.

— მშიოდა და ისიც შევჭამე.

— კარგი, თევზი მაინც არ მოდის: შეჭამე ეს ჭიაყელებიც და წავედით შინა!..

***ვახტანგ ჯანეზაშვილი, თბილისი***



მიხოს ტელევიზორი მიაქვს, ორღობეში შემოხვდა მიტუა:

— სად მიგაქვს ტელევიზორი, მიხავ?

— ა ემ სანეხვეზე უნდა გადავაგდო!

— რათა, ჯოო?

— რათა და ჩემმა სიდედრმა გუშინ თქვა რომა, აე მაგ ტელევიზორსა რო რამე დაემართოს, მაშინვე ინფარქტი დამარტყამსო...

***შოთა ტყეშელაშვილი, ქუთაისი***



შეზარხოშებული ჭიჭიკია ნაზიკიას სიყვარულს უხსნის:

— მე ძაან მიყვარხარ და უფრო ძაან მეყვარები, რო იცოდე, მარა არ დამიწყო ახლა შენ, რატო და რისთვისო, თვარა აგაკრავ კედელზე!..



**ძველი ანეკდოტი:**

მოსკოვში, კინოთეატრში ქუთაისელი მიუჯდა მშვენიერ ნატაშას და შუა ფილმისას შიშველ მუხლებზე დაადო ხელი.

— სეიჩასჟე უბერიტე რუკუ! სჩიტაიუ დო სტა!..

***ბაჩანა ხარაიშვილი, სურამი***

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან ხაუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

# ასე არ სჯობს?!




ამას წინათ ენრიკე იგლესიასი და ანა კურნიკოვა ლონდონში, იაპონურ პრესტიჟულ რესტორან „ნობუში“ ორიგინალურად გაერთნენ.

ახალგაზრდა მომღერალი მომხიბვლელ ჩოგბურთელსა და მეგობრებთან ერთად მიბრძანდა რესტორანში. გულიანად მოულხინა არა მარტო იაპონურ კერძებს, არამედ საკესაც. შეზარხოშებულს გართობაც მონდომებია — ჰოდა, ენრიკემ არც აცია, არც აცხელა, შარვალი ჩაიხადა და თავისი „ავლა-დიდება“ ფანჯარაში „გამოფინა“ გამვლელთა გულის გასახარად. თუმცა გამვლელებმა რა იცოდნენ, რა ძვირად ღირებულ და ცნობილ საჯდომს უმზერდნენ.

რესტორნის მენეჯერს რაიმე რადიკალური ზომა არ მიუღია — ბოლოს და ბოლოს, „ნობუში“ უფრო პიკანტური რამეებიც მომხდარა. სწორედ ამ რესტორანში იყო, ცნობილმა ჩოგბურთელმა ბორის ბეკერმა 1999 წელს მოდელ ანჟელა ერმაკოვასთან რომ „იეშმაკა“. სექს ანცობა ბეკერს 3 მლნ დოლარი დაუჯდა, მეტსაც გადაიხდიდა, ოღონდ აღარ ეხილა არც ზანგი ერმაკოვა და არც ნაჩქარევი სიყვარულის ნაყოფი.

კურნიკოვა, რომელმაც ორი წლის წინ უიმბლდონის ტურნირზე შიშველი კაცის დანახვისას სახეზე მორცხვად აიფარა პირსახოცი, იგლესიასის საჯდომს თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა. ეტყობა, იმდენად მოეწონა სანახაობა, გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ დამტკბარიყო — ერთი საათის შემდეგ ენრიკე და ანა სასტუმრო „ლეინსბოროს“ ზღურბლზე იხილეს.

*სანი*

## ფიცის დღე

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ერთი უცნაური დღე აქვთ — ფიცის დღე ჰქვია. დღესასწაული სათავეს ზულუსთა უძველესი ტომიდან იღებს. ოდესღაც ზულუსები ტომის წინაშე ფიცს დებდნენ, რომ არასოდეს უღალატებდნენ ტომის ზნე-ჩვეულებებს, ყურს მიუგდებდნენ ბელადის სიტყვას და ამასთანავე იზრუნებდნენ თანატომელებზე.

ფიცის დამრღვევები მაშინაც იყვნენ, მათი სასჯელი ტომიდან მოკვეთა იყო. საითაც მოესურვებოდათ, იქ წასულიყვნენ, ოღონდაც მათთვის თვალი აღარ უნდა მოეკრათ ან, თუ ირჩევდნენ, ენას მოკვეთდნენ (ისევ, მოკვეთა!).

ჰოდა, ყოველწლიურად შეახსენებენ ამ ოდინდელ ტრადიციას თანამედროვე სამხრეთაფრიკელებს.

*ოკნა*



## სამოთხე 20 დოლარად

კალიფორნიის კომპანია „ბილეთები სამოთხეში“ მოქალაქეებს სიმბოლურ ფასად ზეცაში გასამგზავრებელ ბილეთებს სთავაზობს. ფირმა პირობას დებს, ასეთი საშვის მფლობელებს გამგზავრების წინ ბიუროკრატიული ბარიერი არ შეექმნებათ და სამოთხეში უპრობლემოდ შევლენო. მსურველს შეუძლია სულ 20 დოლარად იყიდოს სანუკვარი ბილეთი — აქედან 15 ბილეთის ღირებულებაა, 5 დოლარი კი ადგილზე მისაყვანი. გარდა ამისა, ფირმა ბილეთის ნამდვილობის დამადასტურებელ სერტიფიკატსაც გასცემს.

*კომსომოლსკაია პრავდა №4*

## ცეკვავს ყველა საკანი



პეკინის ერთ-ერთ სატუსაღოში პროფესიონალმა ქორეოგრაფმა ცეკვის კურსები გახსნა. პატიმრები გულმოდგინედ სწავლობენ ილეთებს და მთელ კომპოზიციებს... მშვენიერებას ეზიარება ყველაზე სასტიკი დანაშაულის ჩამდენიც კი, ვისაც შესაძლოა, თავისუფლება არც ეღირსოს. შემდეგ აპირებენ კონკურსის ჩატარებას და ჯილდო ღირს გამარჯვებად — შესაძლოა პატიმრობის ვადა შეგიმცირონ... ერთიც არის — ყველა, ვინც ცეკვის კურსებზე დადის, უფრო დამთმობი გახდა, აღარაფერს ვამბობთ იმ პლასტიკაზე, რაც მათ უხეშ მოძრაობებს დაეტყო.

*ობსერვატორი*

## გულახდილი ბარათი

22 წლის კენტ კულსონი სასამართლოს მოლოდინში იუტას შტატის ციხეში იჯდა. იგი დააპატიმრეს სინთეტიკური ნარკოტიკების დამზადებისა და გავრცელებისთვის. კენტი საკმაოდ მდიდარი და გავლენიანი ოჯახის შვილი იყო და ამიტომ მართლმსაჯულებას იოლად დაუძვრებოდა: მხოლოდ უმნიშვნელო ჯარიმა და 200 საათი იძულებითი მუშაობა. საქმე კი ის გახლავთ, რომ კენტის მამა და იუტას შტატის სასამართლოს თავმჯდომარე ერთ გოლფკლუბში დადიოდნენ და თბილი ურთიერთობა ჰქონდათ. როგორც ჩანს, გოლფის ერთ-ერთი პარტიის თამაშის დროს, მამიკომ მოსამართლეს გული აუჩუყა... ამის შესახებ ცნობილი გახდა კენტის იმ ბარათიდან, რომელიც მან ციხიდან თავის შეყვარებულ ქალიშვილს მისწერა. ბრიყვმა ყმაწვილმა ყველაფერი დაწვრილებით აცნობა სატრფოს და თან დაუმატა, რომ ძალიან მალე ის გათავისუფლდებოდა და ახლა აპირებდა პროკურორისთვის საკასაციო საჩივრის დაწერას.

მაგრამ მოხდა საბედისწერო შეცდომა — კენტმა პროკურორის მისამართით დაწერილი საჩივარი სატრფოს გაუგზავნა, ხოლო სატრფოსადმი მიწერილი ბარათი — პროკურორს.

ადვილი წარმოსადგენია პროკურორის სახის გამომეტყველება, როცა მის ხელთ აღმოჩნდა კენტის ხელით დაწერილი დანაშაულის აღიარება.

პროკურორმა, რა თქმა უნდა, ეს სამხილი გამოიყენა და დოყლაპია კენტ კულსონს ექვსი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

*კალეიდოსკოპი №3*

# ბინ ლადენი რუსული თვითმფრინავით დაფრინავს

ამერიკელებმა აღმოაჩინეს ბინ ლადენის თვითმფრინავი, რომლითაც ის არაერთხელ დაუძვრა მათ. ეს იყო რუსეთის თვითმფრინავი „АН-32“, რომელიც ყველაზე კარგად ერგება პაწია, მთიან აეროდრომებს.



ცნობილი გახდა, რომ ბინ ლადენი ხშირად დაფრინავდა „ანტონოვით“ („АН-32“). ბოლოჯერ ის ნახეს ავღანეთიდან მომავალი, ნიუ-იორკის ცათამბჯენებზე შეტევიდან რამდენიმე დღის შემდეგ. „სი-აი-ეი“-ს ეჭვი გაუჩნდა, რომ ისინი ლადენის ორეულზე ნადირობდნენ, მაშინ, როცა მსოფლიოს მთავარი ტერორისტი მშვიდად ცხოვრობს სადღაც საუდის არაბეთში.

ზემოთ აღნიშნული თვითმფრინავი რეგისტრირებულია საუდის არაბეთში და ეკუთვნის ბინ ლადენის ოჯახს. ახლა „სი-აი-ეი“ ადრე დაფიქსირებული რადიოტალღების მეშვეობით ცდილობს ამ საიდუმლო თვითმფრინავის ფრენის სურათის რეკონსტრუირებას, რომელმაც საბჭოთა ტექნიკის ხარისხს შესანიშნავი დემონსტრირება გაუკეთა. ამერიკელი ექსპერტების თქმით, „ანტონოვს“ ძალუძს უმძიმესი ტვირთის გადაზიდვა და როგორც მის შესახებ ამბობენ, ფოსტის მარკაზე დაფრენაც კი შეუძლია.

ამერიკულმა და ბრიტანულმა სპეცსამსახურებმა დაადგინეს, რომ თვითმფრინავი რეგისტრირებულია, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერსონებისა და კორპორაციული ტვირთის გადამტანი. კორპორაციულ ტვირთში იგულისხმება იარაღი და ტყვია-წამალი.

მას შეუძლია 48 ადამიანის და 6 ტონა ტვირთის გადატანა და თანაც 1200 მილს დაფრინავს საწვავის დაუმატებლად, რაც ეხმარებოდა ბინ ლადენს, თავისუფლად გადაფრენილიყო ავღანეთიდან იემენის შორეულ რაიონებში, საუდის არაბეთსა და პაკისტანში. სპეცსამსახურებმა შეძლეს, დაედგინათ თუ საიდან ჰქონდა ლადენს „АН-32“ და მათ კვლავ აღმოაჩინეს რუსული მაფიის ნაცნობი კვალი. როგორც გაირკვა, „ანტონოვი“ ეკუთვნოდა დასავლეთში ცნობილ შავი იარაღით მოვაჭრეს ვიქტორ ბუტუს.

*გარდიანი*

# მაგრად გაერთო...

მოსკოველმა ანდრეიმ სამეგობრო საახალწლოდ აგარაკზე მიიპატიჟა... ცოტა დალიეს, ახალ წლამდე ნახევარი საათიღა დარჩენილიყო... თავში სასმელმა შეუღიტინა და სერგეიმ გასართობად წამოღებული პლასტმასის რქები ჩამოიცვა, სახე ნახშირით მოიმურა, ძველმანები მოიცვა და მეზობლების ცოტა შესაფუცხუნებლად გაბრძანდა...

ქუჩაში დიდი თოვლი იდო, ვიღაცის ეზოში შეაბოტა და მიწაც გამოეცალა ფეხიდან — ზღართანი ჭაში მოადგინა. ვერაფრით ამოვიდა და მორთო ყვირილი... როგორც ჩანს, გაიგონეს მისი ყვირილი... აგარაკის პატრონმა გამოაკითხა — ვინ ხარ, მანდო. — ამომიყვანეთ რა! — იხვეწებოდა ანდრეი... ამოქაჩეს, მაგრამ — ვაიო, იყვირა მეზობელმა და ხელი უშვა თოკს. ახალი წელი რომ დადგა, მეგობრებმა მერე მოიკითხეს და ჭიდან „ეშმაკი“ ამოიყვანეს.

*ოკნა №1*

# მდიდარი მაწანწალა



იტალიურ ქალაქ კომოში პოლიციამ მდიდარი მაწანწალა დააკავა — 80 წლის უსახლკარო მოხუცს ჯიბეში 30 000 დოლარის ეკვივალენტი ლირა ჰქონდა.

როგორც მაწანწალამ თქვა, ეს მისი მთელი სიცოცხლის დანაზოგი ყოფილა.

კაპიტალის დახარჯვა მოხუცს აღარ მოუწევს — იტალიაში დასრულდა ლირას ევროზე გადაცვლა. ამასთან, მოხუცს არც პასპორტი გამოუცვლია — მას თურმე ვადა ჯერ კიდევ 13 წლის წინ გასვლია.

*ოჯი*



# ჭკვიანი ლეიბი

მსოფლიოში ერთ-ერთმა წამყვანმა კომპანიამ გამოუშვა უჩვეულო ლეიბი, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ჭკვიანი. იგი შეკერილია ხელოვნური აბრეშუმისაგან. დაყოფილია 6 ზონად, ყოველი მათგანი „პასუხს აგებს“ სხეულის განსაზღვრულ ნაწილზე და უზრუნველყოფს მის კომფორტს ღამის განმავლობაში. ყველაზე სქელი ზონა იცავს მხრებს და ბარძაყს, საშუალო — წელს, ყველაზე მცირე განსაზღვრულია ფეხებისა და თავისთვის.

ლეიბი იმახსოვრებს ტანის მოძრაობას ძილის დროს და ცვლის საბნის ფორმას, იმის მიხედვით, როგორია დატვირთვა ამა თუ იმ ზონაში. მგრძნობიარე მასალა სწრაფად რეაგირებს სითბოსა და წონაზე და იღებს სხეულის ფორმას, რა პოზაშიც არ უნდა იწვეს ადამიანი.

*შტერნი*

## პეკინიდან ლონდონში ტაქსით... ინგლისური ენისათვის

ერთმა ბრიტანელმა ტაქსისტმა უჩვეულო შეკვეთა შეასრულა — ლონდონში ტაქსით ორი ჩინელი ჩაიყვანა. მგზავრობას 13 კვირა დასჭირდა და 2. 882 გირვანქა სტერლინგი და 50 პენსი დაჯდა. ტაქსიმ 16.000 კმ და რამდენიმე ქვეყანა: რუსეთი, ფინეთი, შვედეთი, გერმანია, ბელგია და საფრანგეთი გაიარა. მგზავრობა ჩინეთის ერთ-ერთმა ტელეარხმა დააფინანსა. საინტერესოა, რომ ეს ღონისძიება ჩინელი მგზავრებისთვის ინგლისური ენის შესწავლას ისახავდა მიზნად.

ტაქსისტიც მოგებული დარჩა — სანამ ლონდონში ჩაიყვანდა ჩინელებს, თვითონ საკმაოდ კარგად ისწავლა ჩინური ენა.

*ვოკრუგ სვეტა №1*

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ფედერიკო გარსია ლორკას სიტყვებს ამოიკითხავთ.




**პ.** რა ერქვა პატარა ბიჭს, რომელიც დურუ ხუნჭუას ყანაში გადაძვრა (მხატვრული ფილმი „რეკორდი“); **ვ.** იტალიელი კომპოზიტორი; **ი.** ქართული ანსამბლი, რომლის შემადგენლობაშიც სისტემატურად ცამეტი მომღერალი და მუსიკოსია; **რ.** ფრანგული საავტომობილო ფირმა; **ი.** თეოდორ დოსტოევსკის ნაწარმოები; **ს.** ვაშლის ღვინო; **პ.** ნახევარკუნძული, რომელზეც მდებარეობს პორტუგალია და ესპანეთი; **ა.** ფეთქებადი ნივთიერება; **ლ.** თხელი ტალახი; **ი.** რისამე სრულყოფის განსახიერება; **ტ.** ამერიკის შტატი, სადაც პრეზიდენტი ჯონ კენედი მოკლეს; **რ.** მგლის შვილთა ქალაქი; **ა.** გემის ნაწილი, რომელზეც მეკობრეებს ახრჩობდნენ; **თ.** პატარა ცხოველი, რომელიც ენის გასატეხის მიხედვით „თეთრ თრთვილზე თრთოდა“; **ქ.** თურქული თამბაქოთი დამზადებული ამერიკული სიგარეტი; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ე.** დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **ნ.** ბუნებრივი, ცოცხალი ნიმუში, რომელსაც ხატავენ; **ი.** თეატრში მაყურებლისათვის განკუთვნილი სართული; **გ.** რა ერქვა ბაშიაჩუკს; **ა.** თვითმფრინავის სადგომი; **ზ.** ხასიათი, ბუნება, თვისება; **ე.** მცენარე, რომლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ი.** ტროას მეორენაირი სახელწოდება; **ა.** მძორიჭამია ცხოველი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დაჭრილი; **ა.** ასკილი; **ი.** იხვი; **ს.** სტიმული; **ვ.** ვუალი; **ე.** ეტნა; **ნ.** ნეილონი; **ე.** ესკიმო; **კ.** კრატერი; **ვ.** ვიცინი; **ი.** ირისი; **რ.** რემარკი; **ი.** იშტა; **ს.** სორბონა; **პ.** პეიზაჟი; **ა.** აქსიომა; **ლ.** ლეგენდა; **ი.** იტალია; **ტ.** ტანკი; **რ.** რეალი; **ი.** ინცესტი; **ს.** სასწორი; **ფ.** ფინალი; **ე.** ელარჯი; **რ.** რევერსი; **ე.** ეკლერი; **ბ.** ბლოკადა; **შ.** შუბი; **ი.** იასონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ჭკვიანი კაცი მტრისგანაც სწავლობს.**

## მილოცვა

**ბატონ აკაკი დვალიშვილს!**

ძვირფასო ბატონო აკაკი! გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს. დიდხანს იცოცხლეთ, ღმერთმა წყალობა არ მოგაკლოთ.

*თქვენი იერბე*

**ანზორ ბახტაძეს!**



ჩვენო კარგო ანზორ, გილოცავთ 19 წლის შესრულებას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს და სიხარულს. იხარე მრავალჟამიერ!

*მზია ქარქუსაშვილი, შალვა ლომიაშვილი*

## მადლობა

აფხაზეთიდან, კერძოდ, ქ. სოხუმიდან დევნილი – მერი თოფურიას, სურს გაზეთ „კვირის პალიტრის“ საშუალებით, უღრმესი მადლობა გადაუხადოს პარლამენტის წევრს, ბატონ **დემურ ივლიანეს ძე გადელიას** და ბატონ **დათო გურამის ძე გვარამიას**, დახმარებისა და დიდი თანადგომისათვის. გისურვებთ წინსვლას და წარმატებას, პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

*პატივისცემით, მერი კონსტანტინეს ასული თოფურია*

## ქირავდება

ქირავდება 4-ოთახიანი, კეთილმოწყობილი, ახალგარემონტებული ბინა, ორი აივნით, მუდმივი წყლით, ბუნებრივი აირით, მე-2 სართულზე, საკუთარი სადარბაზოთი. მის: წინამძღვრიშვილის №47 (მ. „მარჯანიშვილთან“). ტელ: 96-10-67. მაია

ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე (მე-9 საავადმყოფოსთან), 100 კვ ფართი, 3-სართულიანი არასაცხოვრებელი სახლის მე-3 სართულზე საუკეთესოა პრესტიჟული ოფისისათვის. ტელ: 899 50-62-12; 899 53-20-30

მაღაზია ლესელიძის ქუჩაზე, №43-ში, ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს. გამოდგება საოფისედაც. ტელ: 899 11-18-38

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვჭირდება განათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო საოფისეა, კონტრაქტით. საუკეთესო თანამშრომლებს, წელიწადში 2-ჯერ ეძლევათ შანსი, სტაჟირება გაიარონ მსოფლიოს ქვეყნებში. ანაზღაურება მზარდია – თვეში 300-600 ლარიდან. მიღება – გასაუბრებით. მენეჯერი ბ-ნი მიხეილი. მის. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (20 სთ-ის შემდეგ); 899 90-54-78

ყურადღება!!! ახალ, მრავალპროფილიან კორპორაციას ესაჭიროება 27 მენეჯერი ოფისში სამუშაოდ. ანაზღაურება – მაღალი! შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. გვაინტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

## მომსახურება

„ფესვები“, ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნაწილობრივ მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გალიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყაუშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

სილამაზის სალონი „სტილი“! ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით; სახის გაწმენდა; დეპილაცია მცენარეული დეპილატორით სახესა და ტანზე; თმის შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 4-5 ლარი; მელირება – 15-20 ლარი. კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი – ირინა ჯანაშია, მოდელიერ-სტილისტი – ზინა. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

ნებისმიერი სახის ავეჯის რესტავრაცია! სამზარეულოზე, დერმანზე, შალითების გამოცვლა, დარბილება; ნებისმიერი ფორმისა და ზომის ახალი ავეჯის შეკვეთით დამზადება ტელ: 76-01-33. გია

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას: კარადებზე, მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე; ლეიბებსა და სამზარეულოებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას, სრული გარანტიით. აგრეთვე ლამინირებული დსპ-ისგან ვამზადებთ სამზარეულოებს და საოფისე ავეჯს. ტელ: 69-45-18. გიორგი

## მკურნალობა

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმი ლოგოპედი, ფსიქოლოგი – თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი მაძიებელი, ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟით, აღმდგენი აპარატებით და სხვა აღმდგენი მეთოდებით აღვიდგენთ: ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ენაბორძიკობას, ენაბლუობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, გულს; გაგიქრობთ: ნევროზს, ჩიყვს, კუჭქვეშა და ლიმფურ ჯირკვლებს, პროსტატიტს, ჭარბთმიანობას, თმის ცვენას; ოპერაციის გარეშე შეგიცვლით ტუჩების ფორმას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, საშჯდომ ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს“ პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, წნევის (ჰიპერტონიის), მეტყველების დარღვევების (ენადუღუნობა-ლოგონევროზი), მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ. (მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი – ექიმი ზურაბ ხარაიშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 ბინა

სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი გთავაზობთ მკურნალობას: ნებისმიერი სახის ნევროზი, ნევრალგიური ტკივილი; ექიმ-სუ ჯოკ სპეციალისტების მომზადება. კონსულტაციები უფასოა. მის: რესპუბლიკური საავადმყოფო, I სართ. 16-18 სთ. ტელ. 899 107-109; 38-67-56

სუ ჯოკ თერაპიის ცენტრის მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო დონეზე სერტიფიცირებული სპეციალისტები გთავაზობენ მკურნალობას: თავის ტკივილები, უძილობა, ნევროზი, დეპრესია, ქალური დაავადებები, კისტა, ფიბრომატოზული კვანძები, ჩიყვი, წყლულოვანი დაავადებები. კონსულტაციები უფასოა. მის: ელბაქიძის №12ა, II სართ. ტელ: 92-39-44; 99-56-89

## გასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დავი“ კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: პარნავის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

მიღება კოსმეტიკის კურსებზე, 40%-იანი ფასდაკლებით, მხოლოდ 1-ელ თებერვლამდე. შეისწავლება კანის დეფექტები, მკურნალობა, კანის გაწმენდა, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ეპილაცია, მასაჟი, ეპილაცია, ლოსიონები, რძეები, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: დადიანის (ყოფ. ოქტომბრის) ქ. №26. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა); 899 90-67-52. ირინა ჯანაშია

ინგლისური ენის სპეციალისტი მოამზადებს სკოლის მოსწავლეებს ნებისმიერი პროგრამით. ასევე, ნებისმიერი ასაკის მსურველსაც. შესაძლებელია ბინაზე მისვლაც. ტელ: 98-47-11

პროფესიონალი პედაგოგი შეგასწავლით კომპიუტერულ საოფისე (ინტერნეტი – უფასოდ) და გრაფიკულ პროგრამებს, ბინაზე ან ოფისში მისვლით. სწავლის ხანგრძლივობა პროგრამების რაოდენობაზეა დამოკიდებული. მეცადინეობების ბოლოს გაიცემა სერტიფიკატი. ინტერნეტიდან ვაკანსიები – მხოლოდ ჩემს მოსწავლეებს! ტელ: 62-14-72 (საღამოს); 877 75-57-34

## იყიდება

1600 კვ ხეხილიანი ნაკვეთი, სახლით, დენით, წყლით, კანალიზაციით უზრუნველყოფილი, რესტორან „უშბასთან“, ტრასასთან ახლოს – 20-30 კმ-ში. საუკეთესოა როგორც საცხოვრებლად, ისე კომერციული მიზნით. ყიდვა შესაძლებელია განვადებით, ასევე ნაწილ-ნაწილ. ტელ: 899 24-38-10

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი“. 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

### ზურაბ ცინცაძის მონატრება



გავიდა ორი ტკივილიანი წელი, რაც დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე, ჩვენო ლამაზო, კეთილო, თბილო და მოსიყვარულევ, მესამე ძმად შეძენილო, ჩვენო ზურა. 27 იანვარი შავი ასოებით ჩაიწერება შენს ცხოვრებაში, ვერაფერი გაანელებს იმ უსაზღვრო ტკივილს, რასაც შენი მონატრებით, შენი ოჯახი და ახლობლები განიცდიან.

უშენოდ იზრდებიან შენი ვაჟკაცები – გიორგი და პაწო, რომლებიც სიცოცხლეზე მეტად გიყვარდა. ახლა კი, შენი სული გახდა მათი საფიცარი. შენს სურათთან მუხლმოყრილი შენი გიორგი, სანთელს გინთებს და შენ ლამაზ სულს ავედრებს უფალს.

ვცდილობთ შევუმსუბუქოთ შენდამი გამოწვეული სევდა და ტკივილი შენს ცოლ-შვილს, მაგრამ მეუღლის და მამის მონატრება უსაზღვროა, ძმაო. შენს შვილებს იდეალად ჰყავხარ და ასე დარჩები სამარადჟამოდ.

იძინე მშვიდად!

ჩვენი ანთებული წმინდა სანთლები უნათებდეს სამუდამო სასუფეველში შენს სულს.

*ოჯახი, რეზო და დათო*

### მერაბ მამულაიშვილის მონატრება



საყვარელო მერაბ! ერთი წელი გასრულდა, რაც აღარ გვესმის ყველასთვის საფერებელი შენი ხმა. ირგვლივმყოფთათვის იმედის, სიკეთისა და სიყვარულის განსახიერებავ, როგორ გვენატრები! ფიქრებში ყოველდღე გესაუბრებით, ვცდილობთ შენი თვალებით შევხედოთ სამყაროს. ვლოცულობთ, რათა ლოცვებით გაგითბოთ, ერთი პოეტისა არ იყოს, ის ქვევრივით დიდი გული, რომელსაც შენ ატარებდი.

ოჯახის, მეგობრების საფიცარო! შენმა მონატრებამ შეგვკრიბა ისევ. ვინც კი გიცნობდა, ყველას აკლიხარ, მერაბ! საყვარელი დედის, მეუღლის და შვილების დარდ-ნაღველის განელება კი, არავის ძალუძს.

მერაბ! სიკვდილზე გამარჯვება ძნელად თუ რგებია ვინმეს წილად, მაგრამ შენ, როგორც რაინდს შეჰფერის, ისე წახვედი და ჩვენში სიკვდილის შიში დაამარცხე. ნათელში იყოს შენი სული და წმინდა სამება ფარავდეს!

*შენი ოჯახი და ახლობლები*

### ნაზიკო ცანავა-დანელიას მონატრება



მოულოდნელად წახვედი წუთისოფლიდან და უდიდესი ტკივილი და მონატრება დაგვიტოვე, დატოვე დიდი ოჯახი, შთამომავლობა.

ეს ორმოცი დღე გაუსაძლისი იყო ყველასთვის. ვაი, რომ დანარჩენი დღეებიც ასეთივე იქნება.

იყავი ბრწყინვალე დედა, მეუღლე, სითბოთი და სიალალით გამორჩეული; მუდამ მხიარული, ენერგიული. არც კი გვჯეროდა შენი ავადმყოფობის და მეზობლის დაბადების დღის მოსალოცად მისულს, წუთიერად გულმა გიღალატა, სიტყვა შუაზე გაგაწყვეტინა.

დედობრივი სითბოთი და პედაგოგიური ტაქტით, მეუღლესთან ერთად, ხუთი შვილი სასახელოდ აღზარდე, ყველას განათლება მიაღებინე, შვილიშვილებსაც შეაწიე ხელი.

ნათელში იყოს შენი წმინდა სული, მარად დაუვიწყარო, ჩვენო საყვარელო ნაზი.

*ბუბული, ლიანა, ანზორი, ლუიზა, ნარგიზა, დემურ ჯოჯუები*

### ჯუმბერ გვაზავას მონატრება



4 თებერვალს ერთი წელი მიიწურება, რაც ჩვენგან წახვედი, საყვარელო ბაბუ. რა დაგვავიწყებს იმ სახეს, რომელიც ვაჟკაცურად უმკლავდებოდა განუკურნებელ სენს. გვენატრება შენი სითბო და ალერსი, ვერ ვეგუებით უშენობას. ხშირად გინთებთ სანთელს და ყვავილებით გიმკობთ სამუდამო სასუფეველს.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, საყვარელო ბაბუა.

*თეონა, თათია*

### შოთა თოფურიას ხსოვნას!



40 დღე გავიდა შენი წასვლიდან. მძიმე და მწარეა უშენობა შენი ოჯახისათვის. კეთილი, თბილი და ერთგული იყავი ყველასათვის, ყველას ტკივილი გულთან მიგქონდა და როგორი ტკივილიანი წახვედი ამ ქვეყნიდან... მოუშუშებელია უშენობა, განსაკუთრებით შენი შვილებისათვის. შენს ხსოვნას არასოდეს დავივიწყებთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

### თედო ირემაძის ხსოვნას!



დიდი დარდი და ტკივილია შენი გახსენება წარსულ დროში. შენ ხომ ისე ძალიან გიყვარდა სიცოცხლე, მოუსვენარი ცხოვრება.

შენი მოულოდნელი წასვლით მოყენებულ ტკივილს ვერავინ და ვერაფერი მოაშუშებს. ვცოცხლობ მხოლოდ შენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის.

გვენატრები ყველას. შენს შვილებს და შვილიშვილებს აკლიათ მამის და პაპის შენეული სითბო და ალერსი. ისღა დამრჩენია, ღმერთს შევევედრო, ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი მეუღლე თამარი*

### იზო გოთუა-კვაჭაძის გახსენება



გლოვის ზარია შენი უეცარი გარდაცვალება, დედა. შენზე ფიქრსა და დარდში 40 დღე გავიდა. დაუმშვიდობებლად დაგვტოვე, უთქმელად, უხმოდ, ჩუმად გაგვეპარე... წახვედი ისე, როგორც მთელი შენი მიწიერი ცხოვრება გაატარე – მოკრძალებულად, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, მაგრამ დატოვე უსაზღვრო სიყვარული, სითბო და სიკეთე, ერთგული, კეთილი ქალის სახელი. შენი სიცოცხლე შენს ხუთ შვილში გაგრძელდება, დედა, ჩვენი დიდი სახლის დიდო დიასახლისო, დიდო ფუძევ, დიდო დედავ და ბებიავ... დედავ, სულის ტკივილო, უსაშველო მონატრებავ, ცრემლიანო მოგონებავ, გაუსაძლისო დარდო და მოლოდინო.

*შვილები*

### მიშო (რობერტ) კალატოზიშვილის მონატრება



გვენატრები, გვენატრები, მოწყენილი და ცრემლიანია ყოველი დღე. 16 თებერვალს მეხივით გავარდა შენი სიკვდილის ამბავი. ულალატო კაცი იყავი, ძმაო, ჩუმი, მოკრძალებული, უმწიკვლო. ღვთით მომადლებული დიდი სიყვარულის ნიჭი გქონდა, სხვისი სიხარულით ხარობდი და სხვისი გასაჭირი შენად მიგაჩნდა. სითბოს და სიკეთის უშურველად გამცემი იყავი. წახვედი და დატოვე გაოგნებული ცოლ-შვილი, შენი და და მისი ოჯახი. დრო მკურნალიაო, – ამბობენ. ვაი, რომ ეს უფრო მწარეა. პასუხგაუცემელია კითხვა: იქნებ შეგვეძლო შველა? მოსვენებას ვკარგავ, – იქნებ მართლა შეგვეძლო?! ვინ იცის... დაბადების დღეს – 28 იანვარს გილოცავთ, ძმაო. ვლოცულობთ, რომ ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ალალი და კეთილი სული. მსუბუქი იყოს შენი მშობლიური მიწა, სადაც ყოველთვის გიყვარდა ყოფნა...

### ათუკა ცუცქირიძის მონატრება



31 იანვარს 25 წლის გახდებოდი, ჩვენო ათუკა. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი, ოდნავაც ვერ შეასუსტა მან შენი უდროოდ წასვლით მოყენებული ტკივილი.

მუდამ ღიმილიანო, სულიერად და გარეგნულად ლამაზო, უსაზღვროა შენი მონატრება. ძალიან გვენატრები. ყოველთვის სიცოცხლით სავსე და მოსიყვარულე იყავი.. შენს ცივ სამარეს არ აკლია სიყვარულის ცრემლები და ყვავილები. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენ ყოველთვის ჩვენ გვერდით ხარ. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

ამ დღეს ყოველთვის მოვალთ შენს საფლავზე და მოგილოცავთ დაბადების დღეს. დავანთებთ შენი ლამაზი სულის მოსახსენიებლად წმინდა სანთლებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და მოსიყვარულე სული!

*გოგა და გურანდა*

### ლევან ცინცაძის გახსენება



ლევან ცინცაძე კინოდოკუმენტალისტი იყო: სცენარისტი, რეჟისორი და კინოჟურნალ „ადამიანი და კანონის“ რედაქტორი. გახლდათ სანდო მეგობარი და კომუნისტური ქვეყნისთვის არასანდო მოქალაქე. რადგანაც: ვერაზე დავაჟკაცებულს, ნამდვილ თბილისელს, სამშობლო უსაზღვროდ უყვარდა, საქართველოს თავისუფლება ენატრებოდა და თავის ამ სურვილს, მაშინდელი ხელისუფლებისთვის მიუღებელი ფორმით – ხმამაღალი სიტყვით გამოხატავდა.

მახსოვს, ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღებით გამოწვეული მისი სიხარული და ისიც მახსოვს, ე.წ. სამარცხვინო თბილისის ომის დროს, დეკემბრის ცივ საღამოს, პალტოგადაცმული ზღურბლზე როგორ იდგა. გაქვავებულ სახეზე, ფართოდ გახელილი თვალებიდან ცრემლები სცვიოდა და ნიკაპთან ენასკვებოდა. გავოგნდი, კაცი უხმოდ ტიროდა. „ჩემი ქართველები ერთმანეთს ტყვიებს უშენენ“, ისე შემომჩივლა, თითქოს ჩემგან ნუგეშს ელოდა. ვერ ვანუგეშე. ის იმ დღეს მოკვდა, შინაგანად. სხვა ბევრი წესიერი ქართველის მსგავსად. ცხოვრებას კი არა, სიცოცხლეს აგრძელებდა მხოლოდ: უმუშევარი, იმედგაცრუებული, თავის ერზე გულგატეხილი.

ერთი წელია, დაგვტოვე ლევან და სანუგეშოს ახლაც ვერაფერს გეტყვი. ცოცხლებს, მგონი იმედიც გვტოვებს. მხოლოდ შენისთანა ნაღდი ადამიანების სიყვარული, სითბო და მოგონებაღა გვასულდგმულებს.

*დოდო თოფურია*

### ელდარ ოქუჯავას ხსოვნას!



ორმოცმა ტკივილიანმა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა ყველას – ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს.

შენმა გულმა ველარ გაუძლო ამდენ დარდსა და ტკივილს. აუტანელია უშენობა, როგორ გვენატრები...

რამხელა იმედი იყავი და რამხელა ტკივილი ხარ, ჩვენო ელდარ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი, ლამაზი სული.

*შენი ოჯახი*

### კახა ძიძიგურის გახსენება



შვილო, კახა, კიდევ ერთხელ მოვიდა უშენოდ შენი დაბადების დღე. 40 წლის გახდებოდი, დაოჯახებული და ბედნიერი მამა იქნებოდი. შენთან ერთად ჩვენც, შენი მშობლები და შენი ძმა ხომ უზომოდ ბედნიერები ვიქნებოდით.

ამბობენ, – დრო მკურნალიაო. განა შეიძლება, დრომ უმკურნალოს მშობლებს, რომლებმაც შვილი დაკარგეს? პირიქით, დრო გვაშორებს შენთან და უფრო გაუსაძლისს ხდის ჩვენს ცხოვრებას. დედა გენაცვალოს, თავი ვერ მოვიკალი, მეშინია შენი სამუდამოდ დაკარგვის. ვცოცხლობთ შენთვის და ჩვენი ორი შვილიშვილისთვის. ნინიკო და პატარა კახა აგრძელებენ სიცოცხლეს ჩვენს ოჯახში. ჩვენ კი – შენი მშობლები, შენზე დარდმა და დიდმა მწუხარებამ ნაადრევად დაგვაბერა და მოგვტეხა.

ვაი, რომ დაბადების დღეზე ყვავილების და სანთლების გარდა, ვერაფერს გიძღვნით. ჩვენი ოჯახის დიდო ტკივილო, ჩემო კახა, შენი ამ ქვეყნიდან წასვლით გამოწვეულ დანაკლისს ხომ ვერაფერით შევავსებს... რა ვქნა, ვცოცხლობთ შენთან შეხვედრის მოლოდინით. ღმერთს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. მე კი, შენი უბედური დედა, შენ ხსოვნას სანთლად ანთებულს ვატარებ, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე.

*შენი უბედური მშობლები: ნანსი და ჯანო ძიძიგურები*

### ვახტანგ ხათაშვილის გახსენება



გავიდა ტკივილით, ცრემლით, მოგონებებით და მონატრებით სავსე წელიწადი.

სწორედ მოგონებებია, რომელიც ასე გვტანჯავს, სულ ერთი წუთითაც რომ ვერ ვანებებთ თავს. ეს ის მოგონებებია, სადაც შენ ცოცხლობ. მოგონებების იქით კი, მწარე რეალობაა; უშენოდ გაყინული და გაქვავებული არემარე; უშენოდ უკუნეთი ჩამოწოლილა; ეს ის სამყაროა, სადაც „დედას“ არავინ მეძახის და შავ ჩარჩოებში დამალული შენი სურათები კედლიდან იყურებიან.

...მენატრები, შენს ერთ მოფერებაში მთელ სიცოცხლეს გავცვლიდი.

სულ ერთი წელი, ექვსი თვე და ერთი დღე ვიყავით ერთად, მაგრამ სრულიად საკმარისი ყოფილა ოჯახის გასანადგურებლად.

შენი უმანკო და სპეტაკი სული სამუდამო სასუფეველში მოიპოვებდა ადგილს – იქ, სადაც რჩეულების ხვედრია; ჩემო პატარა ანგელოზო, ალბათ ზეციდან ხედავ, რამდენი ტკივილი და ცრემლი დატოვე ამ ცოდვილ დედამიწაზე. მთელი ცხოვრება გვეყოფა სატანჯველად, მოსაგონებლად და სანანებლად.

ზეთისცხები და ნინოობას ნაზიარები, ნინოობასვე მიგვატოვე და გაგვიფრინდი. გავიდა საშინელი წელიწადი და ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ მოგეფერები, მოგეფერები გაზეთის იმ მტკივნეული გვერდიდან, საიდანაც ძაძებში შემოსილი დედები ევედრებიან შვილებს.

ყველას ძალიან ენატრები, ჩემო ვახტანგ.

*დედა – სოფიო აკვაჯანიშვილი*

### ოთარ ლამბაშიძეს!



უკვე ორმოცი დღე შესრულდა, რაც შენი სული მარადისობაში გადავიდა. ჩუმად, უპრეტენზიოდ დატოვე სიცოცხლე ყველას გვაკლიხარ და გვენატრები. გაუსაძლისი ყოფილა უშენობა. იმითღა ვინუგეშებთ თავს, რომ ცათა სასუფეველში ხარ, იქიდან ლოცავ ყველას.

შენს ხსოვნას სანთლად ანთებულს ვატარებთ მთელი ჩვენი სიცოცხლე

*შენი ოჯახი*

### სულიკო მარის გახსენება



3 წელი გავიდა, რაც შენმა სულმა ეს ქვეყანა დატოვა. გვენატრები ყველას – შენს ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს, შენს პაციენტებს, მთელ ჩოხატაურის რაიონს. წახვედი და დატოვე კეთილი კაცის სახელი.

*უჯენი მარის ოჯახი*

### მარიამ სარაჯიშვილს!



ორმოცი დღე გავიდა, რაც დაგვტოვე და მარადისობაში გადახვედი. გვენატრები, შენ ხომ ყველასთვის სათნო და უწყინარი იყავი. რა უცებ, მოულოდნელად გაგვეპარე.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები*

### მატო ციციშვილი-აბულაძის ხსოვნას!



40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან.

მშვიდი, უშფოთველი იყო შენი სიკვდილი. მთელი სიცოცხლე ოჯახსა და საქმეს შეწირულმა, არავინ შეაწუხე, ტვირთად არ დააწექი შენს საფიცარ შვილებს. გრძელი გზა განვლე, სიხარულსაც ბევრჯერ ეზიარე და ტკივილსაც. დიდი, კეთილშობილი ოჯახის შვილი იყავი – წინაპრების მსგავსად, შენც მომავალი თაობების აღზრდას ემსახურე პირნათლად – სკოლაშიც და ოჯახშიც. კიდევ და კიდევ ცრემლითა და გულისტკივილით გემშვიდობებით.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი, ნათელში გამყოფოს...

*ოჯახი და ახლობლები*

### დათო ფირცხალაიშვილის მონატრება



გაუსაძლისი, ტანჯვის და წამების ორი წელი გავიდა უშენოდ, ჩემო სანატრელო დათო, ბებო. ირგვლივ ყველაფერი შენს თავს მაგონებს. მენატრება შენი ხმის გაგონება. ერთხელ დამიძახე – ბებო როგორ ხარო, ჩემო ალალმართალო, 25 წლის ვაჟკაცო. როგორ გვაკლიხარ, დათო, სუყველას... ჩემო მოურჩენელო ჭრილობავ, ახლა გთხოვ, ბებო, მალე წამიყვანე შენთან. უშენოდ ჩემს ცხოვრებას არავითარი აზრი არ აქვს.

*თვალზე ცრემლშეუმშრალი ლუბა ბებო*

### რაულ ბუთურიშვილის გახსენება



გილოცავ დაბადების დღეს, რაულ, შვილო. მეორე წელია, უშენოდ ვხვდებით შენ დაბადების დღეს, შენი მშობლები და დედმამიშვილები. 23 წელი შეგისრულდა 27 იანვარს. წმინდა დღეს მიაბარე ტანჯული სული უფალს. ნათელში იყავი, შვილო.

*შენი გულდამწვარი დედა, მამა და დედმამიშვილები.*

### ზური ჩხაიძის გახსენება



40 დღე გავიდა ჩვენი განშორებიდან – გაუსაძლისი ტკივილის, სევდის, დარდის, უშენობის 40 დღე. რა ავბედითი ყოფილა შენთვის და შენი ოჯახისთვის 13 დეკემბერი.

საყვარელო ზური, უძვირფასესო შვილო და მეუღლევ, მოსიყვარულე მამავ და ძმაო, ერთმა ავბედითმა წუთმა დაამსხვრია და ცას შეატოვა ოჯახის ბედნიერება. სამუდამოდ დაცარიელდა ის შეუცვლელი ადგილი, რომელიც შენ გეკავა. გაქრა შენი ომახიანი შეძახილი, მხიარულება, სითბო, შენი თუნდაც ერთი იმედიანი სიტყვა. შენ ირგვლივ ყველაფერი ლამაზი და ამაღლებული იყო, რადგან შენ თვითონ იყავი ლამაზი და ამაღლებული, ყველას გაჭირვების გულთან მიმტანი. იმ გულმა გიმტყუნა, რომელიც სიყვარულს ვერ იტევდა. ვერ ვუძლებთ ტკივილს, რომელსაც მონატრება ჰქვია. რამდენი რამ დაგვიგროვდა სათქმელი. ვერავინ შეუმსუბუქებს დარდს შენს გულდამწვარ, უბედურ დედას; სამუდამოდ ჩამოუგდე მხარი შენს მეუღლეს, გამოეცალე დიდი იმედი და სიყვარული, ოცდაათი წლის ერთად თანაცხოვრებისა. შენი შვილები და შვილიშვილები მხოლოდ მოგონებებით და მონატრებით დატოვე, ისინი ხომ სიცოცხლეს გერჩივნა.

მხოლოდ სიზმრად დარჩი და ტკბილ მოგონებად, დიდო ბურჯო.

დაე, ჩვენი ანთებული სანთლები გინათებდეს სამუდამო სასუფეველს. ვილოცებთ შენი წმინდა სულისათვის.

*შენი ოჯახი*

### ჩემო ზური!

რა მწარეა ჩვენთვის ამ სიტყვების წარმოთქმა და იმის გააზრება, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. შენ ხომ მხოლოდ სიცოცხლისა და სიყვარულისთვის იყავი ამქვეყნად მოსული, შენ ხომ მხოლოდ სიყვარულსა და სიხარულს თესდი შენ ირგვლივ. ოცდაათი წლის მანძილზე ეს იყო პირველი და ძალიან მტკივნეული ტკივილი, რაც შენ ჩვენ და მთლიანად შენს ოჯახს მიაყენე. ალბათ 13 დეკემბერი ყველა ჩვენგანისათვის გაუსაძლისი ტკივილის მოგონებად დარჩება – შენ ხომ ამ დღეს დაგვტოვე ყველა, დაგვტოვე ისე, რომ ერთი სიტყვაც არ გითქვამს, ერთი „ვაიც“ კი ვერ წარმოთქვი. ზური, გვინდა კიდევ მოგეფეროთ, მაგრამ ცრემლი არ გვაძლევს მეტის თქმისა და დაწერის საშუალებას. მსუბუქი იყოს შენთვის შენი მშობლიური მიწა და ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი სული. ვილოცებთ შენი სულისთვის და დაე, შენთვის ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სამუდამო სამყოფელი.

*შენი ცოლისდა და სიმამრი*



მეუღლე ზაირა გამყრელიძე; შვილები: ნატო, ნოდარი (ბაჭია), ნანა; დები: თინა მონასელიძე, ანი, რუიზან ელიაშვილები; ძმები: მიშიკო მონასელიძე, ზაურ ელიაშვილი; შვილიშვილები; სიძეები: გოჩა ავსაჯანიშვილი, თემურ მთვრალაშვილი, ნოდარ კერაევი, იური მხატვრიშვილი, ვასიკო თუაშვილი, რომან გობრონიძე; ცოლისდები: ელზა, მეგი გამყრელიძეები; ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან

**ზელიმხან (წილკანა) ივანეს ძე მონასელიძის**

გარდაცვალებას.

*დაკრძალვა:* ხუთშაბათს, 30 იანვარს, 14 საათზე;
*მისამართი:* მცხეთის რ-ნი, სოფელი წილკანი.



მეუღლე გიული მერაბიშვილი; შვილი ზაზა; და ნაისი; ძმა ზურაბი; შვილიშვილები: სალომე, ტატა; რძლები: ლანა გაწერელია, ნინო კაპანაძე; სიძე ამირან ჯიბუტი; დისშვილები: ხათუნა, მამუკა; ძმისშვილები: დარეჯან, ალეკო ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რომან თავაძე**

*პანაშვიდი:* 28, 29 იანვარს, 16 საათზე;
*გამოსვენება:* 30 იანვარს, 14 საათზე.
*მისამართი:* იოსელიანის ქ. №37, II სადარბაზო, VI სართული.

ჩაჩანიძეების საგვარეულო კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

**შოთა პლატონის ძე ჩაჩანიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



ს.ს. „აბაშის პურის მიმღები საწარმოს“ მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა საწარმოს ხელმძღვანელი

**ნუგზარ ნოდარის ძე კუჭუხიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

# ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲑᲝᲓᲠᲝᲕᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲕᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲔᲜᲓᲐ...



— ძალიან მინდა მივეხმარო კარმადონის ხეობაში მომხდარი ტრაგედიის მსხვერპლთა ნათესავებს დაღუპულთა მოძებნაში, — ამბობს მზია, — ამ ბოლო დროს სიზმრებში მათი სულები მეცხადებიან. ვხედავ ბევრ სხეულს, რომელთაგან ზოგი ანათებს, განსაკუთრებით კი ერთი. მე ვიცი, ეს სერგეი ბოდროვია. სულები შველას ითხოვენ და მკარნახობენ, რა უნდა გაკეთდეს მათ გასათავისუფლებლად. ვფიქრობ, მალე მივუთითებ ადგილს, სადაც ბოდროვი და სხვები არიან ჩამარხულნი. კარმადონის ხეობა განსაკუთრებული ტერიტორიაა — აქ ბევრი წმინდა ადგილია, რომელიც პატივისცემას მოითხოვს...

მზია (ანუ ხანანა, როგორც მას ბავშვობიდანვე ეძახდნენ) ჩრდილო ოსეთში, სოფელ სანიბაში დაიბადა (ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ). გოგონა ოჯახში ნაბოლარა, მეცხრე შვილი იყო და როგორც დედამისი ამბობდა, მას დაბადებაში ანგელოზები დაეხმარნენ. პატარას უჩვეულო სიზმრები ჰქონდა. სიზმარში წმინდანები მესაუბრებოდნენ და მაფრთხილებდნენ ავზეც და კარგზეცო, — ამბობს მზია.

50-იან წლებში ჩრდილო ოსეთიდან ოჯახი საქართველოში გადასახლდა. იქ დაამთავრა სკოლა, უნივერსიტეტი. მუშაობდა პედაგოგად (მზია ბიოქიმიკოსია), ქორწინება უიღბლო ჰქონდა, პირმშოს — დავითის — დაბადება დიდი ბედნიერება იყო. მოკლედ, ცხოვრება ჩვეულებრივად მიედინებოდა. გარდატეხა მზიას ცხოვრებაში პირველი ზიარების დროს მოხდა, როცა სიონის საკათედრო ტაძარში ორმოცი წლის ქალმა გამოცხადება იხილა. ამან შეუწყო ხელი თავის თავში გარკვეულიყო და გაეგო, რისთვის არის მოვლენილი ამქვეყნად.

1996 წლიდან მზია რუსთავიდან ნალჩიკში გადავიდა საცხოვრებლად — ესეც სიზმრის კარნახით მოხდა.

ეს საოცარი ქალი, რომელსაც „ქალი-ლეგენდა“ შეარქვეს, გაჭირვებულ ხალხს ეხმარება, კურნავს, მომავალს წინასწარმეტყველებს და ავ თვალს აშორებს — ღმერთმა მომანიჭა ეს ყველაფერი, ჩემი ხილვებით მასწავლის რა როდის გავაკეთოო, — ამბობს თავად, — შარშან, აგვისტოში, სიზმარში ჩემი სოფელი ვნახე დატბორილი, საშინელი ხმაურით მოდიოდა ტალღები... ბევრი ვილოცე და ღმერთს შევთხოვე, გადაერჩინა იქაურობა, მაგრამ ეტყობა, ასე უნდა მომხდარიყო. ამ კუთხის მფარველ წმინდანებს გაფრთხილება და პატივისცემა სჭირდებათ... კარმადონში იოანე ნათლისმცემლის წმინდა ადგილია, მიქაელ მთავარანგელოზის მთა, წმინდა გიორგის მთა და ბევრი სხვა, ყველას ვერ ჩამოთვლი. ჩვენი წინაპრები ამ ადგილებს მსხვერპლს სწირავდნენ, ბატკნებს და ცხვრებს უკლავდნენ — ეს სწორი იყო. ახლა... მომხვეჭელმა ხალხმა კარმადონის ხეობა სანატორიუმის ზონად აქცია. განა აქ ჩამოსულმა დამსვენებლებმა იციან აქაური ტრადიციები? ადგილობრივებმაც დაივიწყეს ადათ-ჩვევები. ღმერთიც სჯის მათ.

ბოდროვს კარმადონის წმინდანებისთვის რომ მიემართა — ცოცხალი დარჩებოდა. ცოდვაა ხალხი. მათ, მსხვერპლთშეწირვას ვინ ჩივის, თავისი ხმაურით, აფეთქებებით სულები შეაშფოთეს — არაფერი იცოდნენ და იმიტომ. ახლა დაღუპულთა სულები შველას ითხოვენ. მე ვიცი, რა უნდა გაკეთდეს. ხეობაში წმინდანებს პატიება უნდა შესთხოვონ და მიცვალებულებიც მოიძებნებიან...

***სევერნი კავკაზი №2***

# ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ



XIX საუკუნის შუა ხანებში დაიწყო სატელეგრაფო ხაზების გაყვანა. ინჟინერ-მეკავშირე საირუს იტონი მორზეს სისტემის ახალ სატელეფონო აპარატს ამონტაჟებდა ამერიკის ქალაქ სენტ-ლუისის სადგურის ერთ-ერთ შენობაში. ხაზი ჯერ არ იყო დამონტაჟებული, მაგრამ იტონს სურდა აპარატის მუშაობის შემოწმება და ხაზს სატელეფონო აპარატი მიაერთა. უეცრად, ინჟინრის თვალწინ, აპარატი თითქოს გაცოცხლდაო, აკაკუნდა ელექტრომაგნიტი და ფირზე გამოჩნდა მკაფიო ხაზები და წერტილები. უცნობი აბონენტის დეპეშა მოკლე შინაარსის იყო და როცა საირუსმა წაიკითხა, გაოგნდა: „მამიკო, უშველე დედას. მაიკლი“, — იტყობინებოდა დეპეშა.

მაიკლი ერქვა იტონის 14 წლის დაღუპულ ვაჟს...

რამდენიმე თვე იყო გასული მას შემდეგ, რაც ინჟინერი ცოლ-შვილთან ერთად ეტლით სასეირნოდ წავიდა მახლობელ სოფელში. გზაში ცხენები ტყიდან გამოვარდნილმა კურდღელმა დააფეთა. საირუსმა ვერ დაიმორჩილა ცხენი დაღმართზე და ეტლი კლდეზე გადაიჩეხა. ბიჭი დაიღუპა, ხოლო ინჟინრის დამტვრეულ-დალეწილი მეუღლე გაუნძრევლად იწვა შინ. მას მოსამსახურე უვლიდა. თვითონ იტონი იოლად გადარჩა...

სანამ ინჟინერი გონს მოვიდოდა, აპარატი კვლავ აკაკუნდა: „მამიკო, უშველე დედას, სახლში ხანძარია“.

თავზარდაცემული ინჟინერი შეშლილივით გავარდა შინისკენ. შორიდან დაინახა, რომ სახლი არ იწვოდა — არც ბოლი ჩანდა და არც ხანძარი. მაგრამ შინ შესულმა ცოლის ყვირილი გაიგონა. ხმა მეორე სართულიდან მოდიოდა, როცა კიბე აირბინა და საძინებლის კარი შეაღო, დაინახა — ხალიჩაზე გატეხილი ნავთის ლამპა ეგდო და ცეცხლი ეკიდა. კაცი არ დაიბნა, გადააბრუნა ხალიჩა და ჩააქრო ცეცხლი, რომელიც რამდენიმე წამში შთანთქავდა მთელ სახლს...

როცა ცოლ-ქმარი დამშვიდდა, ინჟინერმა უამბო ცოლს შვილის მიერ გამოგზავნილი მორზეს დეპეშის შესახებ. მამას გაახსენდა, რომ მაიკლს ძალიან აინტერესებდა ტელეგრაფის მოწყობილობა, ამიტომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე საირუსმა შვილს მორზეს ანბანი ასწავლა და მისი გამოყენებაც აუხსნა.

მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება ერთიანი საინფორმაციო ველის შესახებ, რომელიც შეიცავს გარდაცვლილი ადამიანების საინფორმაციო მატრიცებს. ეს კონტაქტები წარმოადგენს ველის ინფორმაციული სტრუქტურის თავისებურ მოკლე ჩართვას. ადვილი შესაძლებელია, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და ეს იყო ტელეგრაფის ტრანსკომუნიკაციის (კავშირი საიქიოსთან ტექნიკური საშუალებების მეშვეობით) პირველი, მაგრამ არა ერთადერთი შემთხვევა...

P.S. შეგახსენებთ, რომ ინტერნეტის საფუძველს წარმოადგენს გლობალური სატელეფონო ქსელი, თანამგზავრული არხების ჩათვლით.

***ნლო №2***

# ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ



სტამბოლში, ყოფილ კონსტანტინოპოლში, ერთი ცხოველმყოფელი წყაროა. ძველთაგან ცნობილია, რომ მისი წყალი დიდხანს ინახება. როდესაც თურქებმა ქალაქი აიღეს, დაიწყო ქრისტიანობის დევნა, ანადგურებდნენ სიწმინდეებს.

სულთანმა გადაწყვიტა, ქრისტიანების თანდასწრებით საჯაროდ წაებილწა წმინდა წყარო და ხელქვეითებს უბრძანა, მასში დახოცილი თევზები ჩაეყარათ. მაგრამ მოხდა სასწაული — თევზები გაცოცხლდნენ!

ამ ამბის მოწმენი განცვიფრდნენ და დაფრთხნენ კიდეც. სულთანსაც შეეპარა შიში და ბრძანა, შეეწყვიტათ ამ სიწმინდის ხელყოფა.

ცხოველმყოფელ წყაროზე უამრავი მომლოცველი ჩადის. როცა ისინი ღვთისმშობლის სადიდებელ ჰიმნს გალობენ, წყალსაცავიდან ნაპირზე ოქროს თევზები მოცურდებიან ხოლმე და გატრუნულნი უგდებენ ყურს, თანაც ნათელს ასხივებენ. როგორც კი გალობა დამთავრდება — მაშინვე თვალს მიეფარებიან...

ამ წყაროს წყალი მკურნალია და თვალის დახამხამებაში აქრობს ტკივილს...

***მეგაპოლის ექსპრესი №2***

# ᲙᲝᲛᲑᲝᲡᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ!



ცოლ-ქმარი სინდი და იგალ ზაცერები ჭეშმარიტად იუდეურ ოჯახში გაიზარდნენ და გაურბოდნენ ჯვარს..

ებრაულ ახალ წლამდე (სექტემბერში დგება), სინდიმ საშინელი სიზმარი ნახა, — რაბინის გარეგნობის მქონე მოხუცმა უთხრა, — შენს შვილს განსაცდელი ელის და მას ყვავილოვანი კომბოსტო გადაარჩენსო.

სინდი მთელი კვირა ადგილს ვერ პოულობდა, დარდით არ ეძინა. მერე გონება გაუნათდა — მიხვდა, შვილისთვის ყვავილოვანი კომბოსტო უნდა ეჭმია. მამაზეციერს „საიდუმლოს გამხელისათვის“ მადლობა შესწირა და საწყალი ბიჭის წამებაც დაიწყო: უნდოდა თუ არა, კომბოსტოს სალათა უნდა ეჭამა...

ქრისტესშობამდე იგალმა შინ მოზრდილი კომბოსტოს თავი მიიტანა. სინდიმ გარეცხა კომბოსტო, გაჭრა შუაზე და ერთ-ერთი ნახევრიდან ოქროს ჯვარმა შეანათა...

რაღაც ძალით ქალი გარეთ გავარდა და დაინახა, მისი შვილი მშვიდად იჯდა უზარმაზარი ტრაილერის უკანა ბორბალზე და მძღოლი, რომელიც პატარა დავითს ვერ ხედავდა, ძრავას ჩართვას აპირებდა. სინდიმ იკივლა და კაპოტზე ახტა. გაოცებულმა მძღოლმა ძრავა გამორთო... ოჯახი დარწმუნდა, რომ მამაზეციერმა სწორედ ჯვრით გადაურჩინა შვილი.

რამდენიმე დღის შემდეგ ოჯახმა ქრისტიანობა მიიღო.

ორთოდოქსი ებრაელისთვის ეს ამბავი კომბოსტოში ჯვრის პოვნაზე არანაკლებ საოცარია...

***ტაინაია ვლასტ №1***

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ

# ᲫᲘᲠᲛᲐᲒᲐᲠᲐ, ᲒᲝᲛᲑᲔᲨᲝ ᲓᲐ... ᲛᲖᲔᲗᲣᲜᲐᲮᲐᲕᲘ



ისრაელში სასწაულები მარტო წმინდა ადგილებში არ ხდება.

ლვოველი ემიგრანტი ელია გორელიკი აშკელონის მახლობლად ცხოვრობს. ბავშვობიდანვე აწუხებდა ძირმაგარები, რომელსაც ვერც ერთმა ექიმმა ვერაფერი მოუხერხა. ახალგაზრდა კაცს ურჩიეს, ჯარაექიმს მიაკითხეო. ექიმბაშმა დახედა თუ არა ძირმაგარებს, ურჩია, გამთენიისას მდინარე იორდანეს ნაპირთან მიდი და დაიჭირე გომბეშო, — თუმცა ეს იოლი საქმე არ არის, ჩასვი მინის ქილაში და სამი დღე ცხვრის ხორცით კვებე. მისი ექსკრემენტი სამკურნალო გახდება. ამ „წამლით“ დაიზილე მტკივანი ადგილები და სამუდამოდ მორჩები. ოღონდ გომბეშო იმავე ადგილას დააბრუნე, საიდანაც წამოიყვანე, თორემ ველარაფერი გიხსნისო.

ელია ასეც მოიქცა.

მაგრამ მესამე დილას ექსკრემენტის ასაღებად რომ მიადგა თავდახურულ ქილას, ელდა ეცა, არც გომბეშო ჩანდა სადმე და აღარც მისი სკორე!

შეწუხებული აივანზე გავიდა და ახლა მართლა კინაღამ გული წაუვიდა — ეზოში, ჰამაკში, ანგელოზივით გოგო იწვა და ეძინა.

ელიამ შიშს სძლია, მძინარეს მიუახლოვდა და ებრაულად ფრთხილად ჩაეკითხა, — ხომ არ შეგცივდათო. გოგონამ ძილ-ღვიძილში რუსულად მიუგო, — არა უშავსო...

როგორც გაირკვა, გოგონა და მისი საქმრო აშკელონიდან მეზობელ ქალაქში მიდიოდნენ. გზაში უჩხუბიათ. გაბრაზებული ბასია გადმომხტარა მანქანიდან და შუაღამისას ელიას ეზოს მისდგომია. მასპინძლების გაღვიძებას მორიდებია და დეკემბრის ცივ ღამეს ეზოში, ჰამაკში ჩაწოლილა.

ელიამ შინ შეიწვია ბასია, გაათბო, დააპურა. ქალიშვილი ისეთი მშვენიერი იყო, რომ ვაჟს დანახვისთანავე ჩაუვარდა გულში. არც ბასიას გული გამოდგა მაგრად ჩაკეტილი. ერთი კვირის შემდეგ იქორწინეს...

რაც შეეხება გომბეშოს და ძირმაგარებს, ორივე ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

გომბეშოს ნაჯდომ ქილას კი გორელიკების ოჯახი თვალისჩინივით უფრთხილდება.

***დებორა მირილაშვილი***

*ეს წერილი ისრაელში ასულმა ჩვენმა თანამოქალაქემ მოგვაწოდა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.*

## „საზალდო-სალადო“ გვერდის პასუხები

I. ᲐᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘ
1) — ა); 2) — ბ); 3) — ბ);
4) — გ); 5) — ბ);

II. ᲠᲔᲑᲣᲡᲘ
თივა და ცეცხლი ერთად არ დაიდებაო.

III. ციყვი.

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ "ᲛᲔᲓᲘ"
MEDI
ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲒᲚᲣᲕᲘ ᲙᲐᲜᲘ
ᲚᲘᲞᲝᲡᲐᲥᲪᲘᲐ
ᲜᲐᲝᲭᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ
ᲢᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲥᲪᲘᲐ
ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲭᲘᲛᲕᲐ
ᲑᲚᲔᲤᲐᲠᲝᲞᲚᲐᲡᲢᲘᲙᲐ
ᲝᲢᲝᲠᲘᲜᲝᲚᲐᲠᲘᲜᲒᲝᲚᲝᲒᲘᲐ
ᲔᲞᲘᲚᲐᲪᲘᲐ
ᲗᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ
ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲙᲘᲐᲟᲘ

ᲔᲞᲘᲚᲐᲪᲘᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘᲡ ᲚᲐᲖᲔᲠᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲗ
ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება
• ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲖᲔ
• ᲩᲮᲕᲚᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ
• ᲣᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲝᲓ
• ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ
ფასდაკლება ექიმებზე და სტუდენტებზე
ᲐᲚ. ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ №1 ᲢᲔᲚ: 250 202; 306 307
ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ

# რუსებს „ლოკომოტივის“ სტადიონი აშინებთ



*12 ოქტომბრის მოვლენები დღემდე ბურუსით მოცულია. საქართველო-რუსეთის მატჩის ჩაშლის მიზეზების კვლევა მართალია კარგა ხნის წინ დაიწყეს, მაგრამ აგერ უკვე სამი თვეა, დაუზუსტებელია ვინ არის დამნაშავე. ამ ფაქტის შესახებ უშიშროების სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა* **ნიკა ლალიაშვილმა** *პირდაპირი მინიშნება გააკეთა:*

— ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზი სტადიონზე დამონტაჟებული სტაბილიზატორის ქარხნული წუნი იყო, თუმცა მაინც იყო შესაძლებელი სირცხვილის თავიდან აცილება.

*საკუთარი დასკვნა გამოიტანა საინჟინრო-ტექნიკურმა ექსპერტიზამაც, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს აქამდე არსებულ ვერსიას, რომლის თანახმადაც სტაბილიზატორი მწყობრიდან გამოვიდა. ეს მოწყობილობა თურქული კომპანია „ჩათინ ქაიას“ მიერ დამონტაჟდა, დროთა განმავლობაში თავი იჩინა ტექნიკურმა წუნმა და ლალიაშვილის თქმით, ხარვეზები მატჩის დროს გამოჩნდა.*

— ამდენად, ელექტროენერგიის გათიშვის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მაგრამ ამის შემდეგ შეიძლებოდა დაზიანებული სტაბილიზატორის ელექტროსქემიდან ამორთვა და ტრანსფორმატორებიდან დენის პირდაპირი მიწოდება.

ამ დროს სტადიონის ტექნიკურმა პერსონალმა არაადეკვატურად იმოქმედა. ექსპერტიზის დასკვნით, რომ არა სტადიონის ხელმძღვანელთა დაუდევრობა და ტექნიკური პერსონალის დაბნეულობა, სავსებით შესაძლებელი იყო სტადიონზე ელექტროენერგიის მიწოდების განახლება და ასეთი სამარცხვინო პრეცედენტის თავიდან აცილება.

საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ, რომ ეს არ იყო საბოტაჟი. თუმცა, გამოძიება კვლავაც გრძელდება და მომხდარ ფაქტს უმოკლეს დროში სამართლებრივი შეფასება მიეცემა.

თურქული კომპანიის წარმომადგენლები ამ შეფასებას არ იზიარებენ და უარყოფენ სტაბილიზატორის ტექნიკურ გაუმართაობას. ისინი ხელს „ეი-ი-ეს-თელასისკენ“ იშვერენ. თურქთა წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ სტაბილიზატორის მწყობრიდან გამოსვლა ცვალებადი ძაბვის მიწოდებამ გამოიწვია, ავტომატურად ჩართული გენერატორების გათიშვა კი სავენტილაციო სისტემის არასწორი დამონტაჟების ბრალიაო.

ურთიერთბრალდებები სავსებით ბუნებრივი ასახსნელია — გარდა ფინანსური ზარალის ანაზღაურებისა (რაც 300 ათას ლარს უდრის და რუსების მეორედ ჩამოსვლისა და ორგანიზაციული საკითხების ხელახლა მოგვარებას დასჭირდება), დამნაშავეს კანონის წინაშეც მოუწევს პასუხის გაცემა.

ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **ვალერი ჩოლარია** თურქების „ადვოკატად“ მოგვევლინა. მისი თქმით: „თუკი სტაბილიზატორი ხარვეზიანი იყო, 2001 წლის შემდეგ ასეთი რამ ერთხელ მაინც უნდა მომხდარიყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დანადგარის მოქმედების ვადა უკვე ამოწურული იყო. ამდენად, თურქებისთვის ბრალის დადება არასწორია.“

21 იანვარს სახელმწიფო კანცელარიაში შეიკრიბნენ სკანდალურად ჩაშლილი მატჩის დეტალების განსახილველად. ვინ არის დამნაშავე და ვინ უნდა აანაზღაუროს ზარალი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თედო ისაკაძის კაბინეტში რკინიგზის შეფი აკაკი ჩხაიძე, უშიშროების მინისტრის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და სხვა დაინტერესებული პირები ცდილობდნენ.

სხდომაზე **ლაშა ნაცვლიშვილმა** ახალი დეტალები გაამხილა, — თურმე უშიშროების სამინისტროს ეჭვები თურქული მხარის პოზიციამ აღუძრა. ამ კომპანიის წარმომადგენლებმა თავდაპირველად კომისიაში მუშაობაზე თანხმობა განაცხადეს, მაგრამ შემდეგ თანამშრომლობაზე უარი თქვეს. უშიშროების მინისტრის მოადგილის თქმით, საბოლოო მიზეზად სწორედ თურქთა მიერ უხარისხოდ დამზადებული სტაბილიზატორი დასახელდა: „თურქების პასუხისმგებლობის საკითხი აშკარაა, სისტემა ისეა აწყობილი, დენის მოწოდების ყველა წყარო მხოლოდ ერთ სტაბილიზატორზე გადიოდა. გამოძიების აზრით, მომხდარზე პასუხისმგებლობა სხვადასხვა პროცენტით ყველა მხარემ უნდა გაინაწილოს“.

აქ, თურქებთან ერთად ნაცვლიშვილმა „ლოკომოტივის“ სტადიონის ხელმძღვანელებისა და „ეი-ი-ეს თელასის“ პასუხისმგებლობაც იგულისხმა.

რკინიგზის შეფმა **აკაკი ჩხაიძემ** საგულისხმო ფაქტები გაახმაურა: თურმე, ჯიხურის გასაღებად (სადაც ტრანსფორმატორია მოთავსებული) 20 წუთი დასჭირდათ, რადგან იგი თელასის განკარგულებაშია: „ამასთანავე ისიც სათქმელია, რომ თურქულ ფირმას მსგავსი მოწყობილობა კიდევ 76 ქვეყანაში აქვს დამონტაჟებული, მაგრამ ასეთი ავარია მხოლოდ ჩვენთან მოხდა. ამიტომაც ვთვლი, რომ სტაბილიზატორი ძაბვის ვარდნამ გამოიყვანა მწყობრიდან“.

მოკლედ, უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა მკაფიოდ განმარტა, რომ დამნაშავე მხოლოდ ერთი მხარე არ არის, მაგრამ სწორედ ამის გამო, თითოეული მათგანი ბრალეულობის უდიდეს წილს სხვას აკისრებს. მოკლედ, დღემდე უცნობია, კონკრეტულად ვინ აანაზღაურებს ზარალს.

კანცელარიაშივე გადაწყდა, რომ ეროვნული ნაკრები ისევ „ლოკომოტივის“ სტადიონზე ითამაშებს. შეხვედრა 30 აპრილს გაიმართება. რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ფედერაციას ბილეთებიდან შემოსავლის წილის გაზრდა მოსთხოვა. რუსეთთან მატჩზე გაყიდულმა 11 ათასმა ბილეთმა 150 ათასი ლარი შემოიტანა, საიდანაც სტადიონს მხოლოდ 13 ათასი ერგო. ჩხაიძის თქმით, ამ თანხით გაწეული ხარჯებიც ვერ გაისტუმრეს, ამიტომაც, შემოსავლის 10 პროცენტზე მეტს და ნაკრების სამივე შეხვედრაზე ბილეთების გაყიდვის უფლებას ითხოვს. სხვაგვარად, ფედერაციას ნაკრების მატჩების სხვაგან გამართვას ურჩევს. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჩოლარიამ ჩხაიძის მოთხოვნა ჯერჯერობით მხოლოდ რუსეთთან შეხვედრისთვის დააკმაყოფილა. თუმცა, ნათელია, რომ ეს მხოლოდ შემოსავლის გასაზრდელად დაწყებული შეფარული მოლაპარაკებაა და არა რეალური ულტიმატუმი. რკინიგზას თუნდაც მინიმალური შემოსავლის დაკარგვა არ უნდა, ფედერაციას კი დღეს უკეთესი სტადიონი არ ეგულება. ეროვნულ არენაზე დღეს სანაკრებო დონის მატჩის გამართვაზე საუბარი არასერიოზულია და ეს ორივე მხარემ მშვენივრად იცის. რკინიგზელებს 12 ოქტომბრის ინციდენტის გამეორების აღარ ეშინიათ, რადგან აკაკი ჩხაიძის თქმით, უკვე შეიძინეს „ვოლვოს“ დიზელ-გენერატორები. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, არ არის გამორიცხული, სტადიონი თავიდანვე სწორედ ამ გენერატორების საშუალებით განათდეს.

ეს ინფორმაცია რუსებისთვისაც გახდა ცნობილი. მათი კომენტარებიდან აშკარად იგრძნობა შეშფოთება ხელახალი თბილისური ვიზიტის გამო, თანაც რუსული ფეხბურთის თავკაცს, ვიაჩესლავ კოლოსკოვს შეფარულად საყვედურობენ კიდეც, მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვა რომ არ მოითხოვა.

# ისლანდიის ნაკრებში ქართველი ჩაირიცხა(!)



ხელბურთი საქართველოში ნელ-ნელა სულს ღაფავს. სპორტის ეს მშვენიერი სახეობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და საშველიც არ ჩანს. მიზეზი ჩვენი სინამდვილისთვის ტრადიციული უფულობაა. მართალია, სპორტის დეპარტამენტს ამჟამად ყოფილი ხელბურთელები, ირაკლი მეძმარიაშვილი და მერაბ მეტრეველი მართავენ, მაგრამ ფულს ვერც ისინი „დახატავენ“ და აქამდე დადგენილ პრიორიტეტებს ვერ შეცვლიან.

ხელბურთი სპორტის გუნდური და მეტად ძვირად ღირებული სახეობაა. გუნდის ნორმალურ მომზადებას არაფრით არ ეყოფა დღეისათვის გამოყოფილი თანხები. ამის ლოგიკური შედეგი იყო საქართველოს ნაკრების სამარცხვინო გამოსვლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, სადაც ჩვენი მეტოქეები (ავსტრია, თურქეთი და კვიპროსი) სულაც არ განეკუთვნებოდნენ ძლიერთა კატეგორიას. ამის მიუხედავად ზაზა დოლიძის გაწვრთნილებმა მიყოლებით ხუთი მატჩი წააგეს: ავსტრიასთან (24:32 და 19:40), თურქეთთან (28:38 და 24:34) და კვიპროსთან (21:24), მართალია, ამ უკანასკნელს ბოლო ტურში 26:25 სძლიეს, მაგრამ ეს შემდეგ წრეში გასასვლელად არანაირად არ გვეყოფოდა. დასანანია არა მხოლოდ ეს წაგებები, არამედ ისიც, რომ შესარჩევ ციკლში ჩაბმული გუნდებიდან 21 ბურთის სხვაობით არავის წაუგია და ამით ქართველმა ხელბურთელებმა შესარჩევი ეტაპის ანტირეკორდი დაამყარეს.

ქვეყნის სირცხვილია ისიც, რომ ჩვენი ხელბურთის ასოციაციამ მეტოქეთა შინ მიღებაც ვერ მოახერხა, რადგან სპორტის სასახლის გათბობა უკვე ძველი პრობლემაა. მოზღვავებულ პრობლემებს ეროვნული პირველობის ჩაშლაც დაემატა და ნაკრების წევრებს მომზადების ეს შანსიც წაერთვათ. ასეთ ვითარებაში გამოცანადაც კი რჩება, როგორ მოვახერხეთ თუნდაც იმ ერთადერთი მატჩის მოგება.

უიმედო წაგებების ერთ-ერთ მიზეზად იქცა ნაკრების ძირითადი მეკარის, როლანდ ერაძის უთამაშებლობაც. იგი წლების განმავლობაში ცნობილ სერბულ და ფრანგულ კლუბებში თამაშობდა და სპეციალისტების აზრით, მისი საქართველოს ნაკრებში გამოსვლა საცოდაობა იქნებოდა. ერაძისნაირი დონის სპორტსმენებს ევროპაში გაცილებით ფართო გასაქანი აქვთ.

ეტყობა, როლანდს მობეზრდა ხელბურთის მიმართ აგდებული დამოკიდებულება და, ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად, ნაკრებიც შეიცვალა. მან მზიურ, თუმცა გაჭირვებულ საქართველოს ცივი, მაგრამ ფინანსურად „მზიური“ კუნძულის ნაკრებში თამაში ამჯობინა. უკვე მესამე წელია, რაც ერაძე ისლანდიის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, „ვალურის“ კარსა და ღირსებას იცავს. აქ იგი პირველსავე სეზონში დაასახელეს ქვეყნის საუკეთესო მეკარედ, მეორე წელს კი — საუკეთესო მოთამაშედ.

ცნობისთვის: როლანდ ერაძეს სპორტული ოჯახი აქვს. მისი მეუღლეც სპორტსმენია, მეუღლის და, ვიქტორია რავა კი ფრენბურთში ევროპის საუკეთესო მოთამაშეა.

გაჭირვებას რა ვუთხარით, თორემ ლამის თეთრ დათვებთან ქართველს რა გახიზნავდა?

# კალაძე ანჩელოტის ფავორიტია



ჩემპიონთა ლიგასა და იტალიის ჩემპიონატში „მილანის“ წარმატებულმა სტარტმა კლუბის გულშემატკივრებში ძველი დროის დაბრუნების დიდი იმედი აღძრა, კარლო ანჩელოტიმ მიზანდაკარგულ ვარსკვლავებს ახალი სული შთაბერა. შედეგი სახეზეა, „მილანი“ ლიგისა და სერია A-ს ფავორიტად მიიჩნიეს. ანჩელოტის ჟურნალისტებმა წარმატების მიზეზები გამოჰკითხეს. იტალიური გრანდის თავკაცმა წარმატებაში ლომის წილი დაცვის საიმედო თამაშს მიაწერა, მაგრამ კალაძისა და შიმიჩის საოცარ პროგრესს მაინც უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ასახელებს. გასულ ოთხშაბათს „მილანმა“ იტალიის თასის გათამაშების მატჩში სტუმრად 5:2 მოუგო „კიევოს“. ანგარიში კი სწორედ კალაძემ გახსნა — შეხვედრის პირველსავე წუთზე ულამაზესი გოლი გაუტანა მასპინძლებს.

# მოსკოვს „ტორპედოსი“ არ სჯერა

წლიდან წლამდე მოსკოვში ერთი და იგივე სურათი მეორდება: ქართული გუნდები თანამეგობრობის თასის ტრადიციულ გათამაშებას ადრეულ ეტაპზე ეთიშებიან. მართალია, ამჯერად საქართველოს ჩემპიონი, ქუთაისის „ტორპედო“ ჯგუფურ ტურნირს ღირსეულად და უპრობლემოდ გაუმკლავდა, მაგრამ ზედიზედ მეორედ დამარცხდა რიგის „სკონტოსთან“ (0:2), ამჯერად მეოთხედფინალში და მოსკოვში მიმდინარე ტურნირსაც გამოეთიშა. არადა, წლეულს ჩვენს მოთამაშეებს რუსულ-უკრაინული ჰეგემონიის დამხობის უნიკალური შანსი ჰქონდათ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს გათამაშება საფეხბურთო სლავური ბაზრობაა, რომელსაც წამყვანი რუსული და უკრაინული კლუბები სერიოზულად ადევნებენ თვალს. სამწუხაროა, რომ ბოლო დროს ამ ბაზრობაზე ლატვიური, მოლდავური და წლეულს უკვე უზბეკური „საქონელი“ ქართულზე ძვირად ფასობს.

# ლეონსიო საუკეთესოა



ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, რომ საქართველოში რაგბი პოპულარობით ფეხბურთს თითქმის გაუტოლდა, „ბორჯღალოსნები“ კი ყველაზე პოპულარული ქართული გუნდია. მსოფლიო თასზე გასვლა ამ ყოველივეს საწინდარი შეიქმნა, მაგრამ რაგბის სამყარო მაინც იჩრდილებოდა: იმ დროს, როდესაც სხვადასხვა სახეობაში საუკეთესოთა გამოვლენა და შედეგების ყოველწლიურად შეჯამება ტრადიციად იქცა, მორაგბეებისათვის მსგავსი ღონისძიებები უცხო ხილი იყო.

ბოლოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა აღმოაჩინეს, რომ ჩავარდნილი, უპერსპექტივოებიც კი თავის არსებობას შემაჯამებელი საღამოებით ალამაზებდნენ და მათი განზე გადგომა არასწორი და გაუმართლებელიც იქნებოდა. ამიტომაც, 15 იანვარს, კინოთეატრ „ამირანში“ რაგბის კავშირის პრეზიდენტის, ბიძინა გეგიძის და საქართველოში რაგბის მხარდამჭერთა ლიგის ინიციატივით, ამ სახეობის წამყვანი სპეციალისტები და საქართველოს მოწინავე გუნდების წევრები შეიკრიბნენ. იმის გამო, რომ ეროვნული გუნდის წევრთა უდიდესი უმრავლესობა საფრანგეთშია, დამსწრეთა შორის ისინი არ ჩანდნენ.

ორგანიზატორებმა პირველი გამოკითხვის შედეგები დაასახელეს: საქართველოს წლის მწვრთნელის ტიტული ბათუმის „დათვებისა“ და აჭარის ნაკრების მწვრთნელს, ლევან მგელაძეს მიეკუთვნა. ქვეყნის ჩემპიონის ტიტულთან ერთად, ბატონი ლევანის ანგარიშზეა ჩასაწერი ევროპის რეგიონთა თასზე ბათუმელთა ღირსეული გამოსვლა, სადაც გუნდი მხოლოდ ნახევარფინალში, თანაბარ ბრძოლაში დამარცხდა პროვანსის (საფრანგეთი) რეგიონის გუნდთან.

„დათვების“ პრეზიდენტი ილია წულუკიძე წლის მენეჯერად აღიარეს, სამაგიეროდ, ქვეყნის პირველობის საუკეთესო მოთამაშედ თბილისელი სპორტსმენი, „ლელო-ორბელის“ ცხრა ნომერი, მერაბ კვირიკაშვილი დაასახელეს.

დაბოლოს, საქართველოს საუკეთესო მორაგბის ნომინაციის გამარჯვებულიც დასახელდა, მაგრამ მის შედეგს წინასწარ ყველა ხვდებოდა — ეს პრიზი ლევან ცაბაძეს ხვდა წილად, ეროვნული ნაკრების ლიდერსა და კაპიტანს.

***გვერდი მოამზადა ზვიად კალანდაძემ***

## „გაზა" ჩინელებმაც დაიწუნეს




ბრიტანული ფეხბურთის ვარსკვლავი, უკანასკნელი ათწლეულის ყველაზე სკანდალურად ცნობილი ფეხბურთელი პოლ გასკოინი კარიერის გაგრძელებას ჩინეთში აპირებდა, თუმცა... ჩინეთის ერთ-ერთ კლუბში გასასინჯად ჩასული ფეხბურთელი იქაურებმა უარით გამოისტუმრეს — ჩინელები გასკოინის სათამაშოდ მზადყოფნამ არ დააკმაყოფილა. „ლიოანნბოდაო" — ასე ჰქვია კლუბს, საიდანაც გასკოინი უარით გამოუშვეს. „ჩვენს გუნდს ისეთი ფეხბურთელი სჭირდება, რომელიც რეალურად დაგვეხმარება, გასკოინის სახელი კლუბს სასიკეთოს არაფერს მოუტანს" — დაასკვნეს ჩინელებმა. 35 წლის გასკოინის შეძენა ინგლისურ „ჯილინგემსა" და ამერიკული საფეხბურთო ლიგის რამდენიმე კლუბს სურთ.

## „მილანს" მსაჯების მოქრთამვას აბრალებენ

საქვეყნოდ ცნობილია, როგორი ურთიერთობა აქვთ მილანის ორ კლუბს: „მილანსა" და „ინტერს". ამ ორი გუნდის წარმომადგენლები მომენტს არ უშვებენ ხელიდან, რომ ერთმანეთს კბილი არ გაჰკრან, „მილანიც" და „ინტერიც" წლეულს „სკუდეტოს" მოგების უპირველესი ფავორიტები არიან და ამდენად მათ შორის ურთიერთობაც უკიდურესად დაძაბულია. ამას წინათ „ინტერის" ვიცე-პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ განაცხადა, რომ „მილანის" პრეზიდენტი ადრიანო გალიანი იტალიის საფეხბურთო წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, რაც მინდორზეც აისახება. ფაკეტის არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ „მილანს" წლეულს ცხრა პენალტი „აჩუქეს", „ინტერმა" კი ორად-ორი პენალტი დაარტყა. ფაკეტი საქვეყნოდ აცხადებს, რომ უკანასკნელ ტურებში მსაჯები სულ უფრო და უფრო ხშირად „ცდებიან" „მილანის" სასარგებლოდ, რაც „ინტერს" ერთიორად უმცირებს ჩემპიონობის შანსს. „ინტერის" ვიცე-პრეზიდენტის ნათქვამს უმალ გამოეხმაურა „მილანის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი, რომელმაც რასაკვირველია უარყო მსაჯების მოქრთამვა და განაცხადა, რომ ამგვარი განცხადებები „მილანის" შეურაცხყოფაა და სხვა არაფერი. ანჩელოტიმ დასძინა, რომ „მილანი" წელს ყველა გუნდზე ძლიერია, რასაც უშუალო კონკურენტებთან მატჩებშიც დაამტკიცებს.

## ეფენბერგი კიდევ ორ სეზონს ითამაშებს



მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილი ლიდერი და კაპიტანი შტეფან ეფენბერგი, რომელიც ამჟამად „ვოლფსბურგის" ღირსებას იცავს, კიდევ ორი წლით აპირებს ფეხბურთელის კარიერის გაგრძელებას. არადა, 34 წლის ფეხბურთელი მიმდინარე სეზონის ბოლოს აპირებდა მინდორთან გამოთხოვებას. „ეს გადაწყვეტილება შვილების თხოვნით მივიღე, სწორედ მათ მირჩიეს კიდევ ორი წელი დავრჩენილიყავი დიდ ფეხბურთში" — განუცხადა ეფემ ჟურნალისტებს. გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ვარსკვლავი ახლა „ვოლფსბურგთან" კოტრაქტის გახანგრძლივებას ცდილობს და ალბათ 2004 წლამდე გააგრძელებს ხელშეკრულებას მის ამჟამინდელ კლუბთან. ეფენბერგმა განაცხადა, რომ მისი უმთავრესი მიზანი წლეულს „ვოლფსბურგის" უეფას თასზე გაყვანაა. ეფე ბუნდესლიგის ჩემპიონატსაც შეეხო და აღიარა, რომ დარწმუნებულია „ბაიერნის" ჩემპიონობაში. მისივე სიტყვებით, საკითხავი მხოლოდ ის არის, რამდენი ქულით ჩამოიტოვებს ჰიტცფელდის გუნდი უახლოეს მდევარს.

## სოლარი და მორიენტესი „რეალისთვის" ზედმეტია

მადრიდის „რეალის" სპორტულმა დირექტორმა, არგენტინელმა ხორხე ვალდანომ განაცხადა, რომ „სამეფო კლუბს" აღარ სჭირდება ფერნანდო მორიენტესი და სანტიაგო სოლარი. „რეალი" მზადაა, მოლაპარაკება აწარმოოს ამ ფეხბურთელების შეძენის მსურველ კლუბებთან. მიუხედავად იმისა, რომ მორიენტესსა და სოლარის უდიდესი წვლილი მიუძღვით „რეალის" წარმატებებში, „სამეფო კლუბში" მათ თავიანთი შესაძლებლობა ამოწურეს — მიაჩნიათ „რეალის" ხელმძღვანელებს და ალბათ არც გაემტყუნებათ. სოლარისა და მორიენტესის ადგილზე შესაბამისად ზიდანი და რონალდო თამაშობენ, მათ შემცვლელებად კი „რეალის" შეფებს რაულ ბრავო და პორტილიო წარმოუდგენიათ. ალბათ თავად ფეხბურთელთათვისაც უკეთესი იქნება, თუ სხვა კლუბებს გამონახავენ, შეგახსენებთ, რომ სოლარის შეძენით მილანის „ინტერია" დაინტერესებული, მორიენტესის გადაბირება კი რამდენიმე ევროპულ გრანდს სურს.

## კაფუ იაპონიაში გადადის



იაპონიის „ჯეი ლიგის" კლუბ „იოკოჰამა მარინოსის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ 32 წლის ბრაზილიელი ვარსკვლავი კაფუ, რომელიც ამჟამად იტალიური „რომას" ღირსებას იცავს, მიმდინარე წლის 1-ელი ივლისიდან ზემოთ აღნიშნული იაპონური კლუბის ღირსებას დაიცავს. სხვათა შორის, იოკოჰამა კაფუსთვის ბედნიერი ქალაქია, გასულ ზაფხულში სწორედ ამ ქალაქში იზეიმა ბრაზილიელმა მსოფლიო ჩემპიონობა. კაფუ 1990 წლიდან იცავდა ბრაზილიის ნაკრების ღირსებას, იგი ერთადერთი ფეხბურთელია, ვისაც სამჯერ უთამაშია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის ნაკრების ახალდანიშნულმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პერეირამ კაფუ ნაკრებიდან დაითხოვა. ასე რომ, 32 წლის ბრაზილიელის ძირითადი საზრუნავი მომავალი სეზონიდან, იაპონური კლუბი იქნება.

## სიმენს მარკოსი შეცვლის



როგორც ჩანს, ლონდონის „არსენალის" „მოხუცი" მეკარე დევიდ სიმენი სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს „მეთოფეთა" რიგებს და ალბათ დიდ ფეხბურთსაც დაემშვიდობება. ვ·ნ იცის, ეს გადაწყვეტილება სიმენს ერთი წლით ადრე რომ მიეღო, იქნებ ინგლისის ნაკრები უფრო წინაც წასულიყო კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე. სიმენი ველარც „არსენალში" ირჯება ძველებურად და ლონდონელებმაც მისი შემცვლელის ძებნა დაიწყეს. როგორც ჩანს, „არსენალის" კარს მომავალი სეზონიდან ბრაზილიის ნაკრებისა და „პალმეირასის" კარის დარაჯი მარკოსი დაიცავს, რომელიც დიდად დაეხმარა ბრაზილიელებს მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებაში. მარკოსს 2004 წლამდე აქვს გაფორმებული „პალმეირასთან" კონტრაქტი და მის გამოსასყიდად ინგლისელებს საკმაოდ გვარიანი თანხის გადახდა მოუწევთ.

## დიუფი საუკეთესო აფრიკელია



კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი აღმოჩენის, სენეგალის ნაკრების ლიდერი ელ ჰაჯი დიუფი აფრიკის 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. „შავი კონტინენტის" 55 წამყვანი სპორტული გამოცემის გამოკითხვით, სენეგალელმა 33 ხმა მიიღო, დიუფმა უდიდესი უპირატესობით აჯობა მისსავე თანამემამულეს, პაპა ბუბა დიოპსა და კამერუნელ სამუელ ეტოოს, რომელთაც შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები ხვდათ წილად. აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი ინგლისური „ლივერპულის" ღირსებას იცავს და პრემიერლიგის დებიუტანტის კვალობაზე სეზონს არცთუურიგოდ ატარებს.

## „ლივერპული" შავიერს არ თმობს

ინგლისური „ლივერპულის" ხელმძღვანელობამ უარით გაისტუმრა სტამბოლის „გალათასარაის" წარმომადგენლები, რომელთაც „ლივერპულის" პორტუგალიელი მცველის აბელ შავიერის შეძენა უნდოდათ. შავიერის გადაყვანა თურქებს იჯარის წესით სურდათ, რაც ინგლისელებმა იუარეს. „ლივერპული" პორტუგალიელის სანაცვლოდ ორ მილიონ გირვანქას ითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ შავიერი სულ უფრო იშვიათად ხვდება მერსისაიდელთა ძირითად შემადგენლობაში. შეგახსენებთ, რომ აბელ შავიერმა სახელი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე გაითქვა, თუმცა სწორედ მის მიერ ხელით თამაშის გამო დაინიშნა ის საბედისწერო პენალტი, რომელმაც პორტუგალიელები ევროპის ჩემპიონატის ფინალს მიღმა დატოვა.

## ბირჰოფი ფეხბურთიდან მიდის



გერმანელმა ოლივერ ბირჰოფმა განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონი უკანასკნელი იქნება მის კარიერაში. ბირჰოფი ამჟამად იტალიურ „კიევოში" თამაშობს და საკმაოდ წარმატებითაც, თუმცა 34 წლის „თავბურთელი", ძველებურად ველარ ბრწყინავს. ოლივერ ბირჰოფმა კარიერის უდიდესი ნაწილი იტალიურ კლუბებში გაატარა, იგი ჯერ „უდინეზეს" ღირსებას იცავდა, საიდანაც „მილანში" გადავიდა, სადაც 1999 წელს „სკუდეტოც" მოიპოვა. გერმანიის ნაკრებში ოლივერ ბირჰოფმა ყველაზე დიდ წარმატებას 1996 წელს მიაღწია, როცა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, თანაც ფინალურ შეხვედრაში ორივე გოლი თავად გაიტანა. ფეხბურთთან დამშვიდობება ბირჰოფს არც კარიერის დასრულების შემდეგ სურს. იგი სამწვრთნელო ლიცენზიის მოპოვებას აპირებს. გარდა ამისა, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში მოღვაწეობასაც გეგმავს. მოგეხსენებათ 2006 წლის მუნდიალი გერმანიაში გაიმართება.

## ბატისტუტა ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს



არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა, რომელიც ახლახან „რომადან" მილანის „ინტერში" გადავიდა, იტალიელ ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ ახალი კლუბის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე ოცნებობს და არც „სკუდეტოს" მოპოვებას გამორიცხავს. „ვგრძნობდი, რომ „რომას" ფანებს ისე აღარ ვუყვარდი, როგორც ორი წლის წინ, ამიტომ მივიღე კლუბის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება, რომში გატარებული ორი სეზონი ჩემთვის დაუვიწყარია", — განაცხადა ბატისტუტამ, რომელმაც შარშანწინ „რომას" იტალიის ჩემპიონობა მოაპოვებინა, მანამდე კი ცხრა წლის მანძილზე იცავდა ფლორენციის „ფიორენტინას" ღირსებას.

## გრაფი და აგასი ერთად ითამაშებენ?





საფრანგეთის ღია პირველობაზე, ჩოგბურთის მოყვარულნი შესაძლოა მეტად საინტერესო ამბის მომსწრენი გახდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ შერეულ წყვილებში ერთად ასპარეზობას გეგმავენ ამერიკელი ანდრე აგასი და გერმანელი შტეფი გრაფი. აგასი ახლაც ბრწყინვალე ფორმაშია, რაც შეეხება გრაფს, მან კარგა ხანია ჩოგბურთს თავი დაანება, თუმცა აგასი ამბობს, რომ გერმანელს კვლავაც შეუძლია უწინდელივით თამაში და მისი და გრაფის წყვილი გამარჯვების ერთ-ერთი ფავორიტი იქნება მსოფლიო ჩოგბურთის უმნიშვნელოვანეს ტურნირზე.

## ირვინი ტრასას ემშვიდობება

როგორც ჩანს, დასრულდა ფორმულა-1-ის ირლანდიელი პილოტის ედი ირვინის სპორტული კარიერა. ირვინი შარშან „იაგუარის" ღირსებას იცავდა, თუმცა თავი ვერაფრით გამოიჩინა და სეზონის ბოლოს გუნდიდან დაითხოვეს, რის შემდეგაც ირლანდიელმა „ჯორდანთან" დაიწყო მოლაპარაკება და თითქოს გადაწყვეტილიც იყო, რომ წლეულს სწორედ „ჯორდანის" სახელით უნდა ესპარეზა, მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა და ვინაიდან სხვა გუნდები მთლიანად დაკომპლექტებულია, ირვინი უგუნდოდ დარჩა. „2003 წლის ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მივიღებ და ალბათ საერთოდ დავემშვიდობები ფორმულა-1"-ს — განაცხადა ვეტერანმა ირლანდიელმა.

*მოამზადა მათე კბილაძემ*

## რამ ამღერა ლევან ლაზარიშვილი?

**— მრავალი წლის შემდეგ სცენაზე კვლავ გამოჩნდა ლევან ლაზარიშვილი. მაინტერესებს, სად იყო იგი ამ ხნის მანძილზე და დაბრუნდება თუ არა ესტრადაზე?**

***თეონა ნატროშვილი***



კითხვაზე უპასუხებს **ლევან ლაზარიშვილი**.

— მიუხედავად იმისა, რომ ამ წლების მანძილზე სცენაზე არ ვჩანდი, მუსიკალური სამყაროსგან არც ისე შორს ვყოფილვარ. სამი წელია, რაც საქართველოში დავბრუნდი და აქტიურად ვმუშაობ. ვარ ხმის რეჟისორი, ვეხმარები ჩვენი ესტრადის მომღერლებს. არ ვჩანდი 1992-99 წლებში, რადგანაც ვიმყოფებოდი საფრანგეთში, ვსწავლობდი მუსიკალურ კოლეჯში ვოკალურ ფაკულტეტზე. ასევე ვცხოვრობდი მოსკოვში და პარალელურად ვემზადებოდი კონსერვატორიის პედაგოგებთან. ამის მიუხედავად, კლასიკური განხრით არ ვაპირებ მუსიკალური მოღვაწეობის გაგრძელებას. მინდა დავუბრუნდე ესტრადას. ფაქტობრივად, შევქმენი როკ-ჯგუფი. სერიოზულ მუშაობას ამ დღეებში ვიწყებთ. 6-7 თვეში გრანდიოზული კონცერტის გამართვას ვაპირებ. ასევე დაგეგმილი მაქვს სიმღერების ჩაწერა და კლიპების გადაღება. ჩემი ბავშვობის დროინდელი სიმღერის დახმარებით კი შევეცადე მაყურებლისთვის თავი შემეხსენებინა.

## როდის ჩამოწერენ წყლის დავალიანებას

**— რუბრიკაში „ანიდან ჰოემდე“ ამოვიკითხე ინფორმაცია გასული წლების წყლის დავალიანების ჩამოწერის თაობაზე. მივმართე „თბილწყალკანალის“ რაიონულ განყოფილებას, სადაც მომთხოვეს მინიმუმ ორი თვის მოხმარებული წყლის დავალიანების დაფარვა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამემუქრნენ, რომ ვალს არ ჩამომაწერდნენ. გთხოვთ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე?**

***მარინა კაპანაძე***

კითხვაზე უპასუხებს **გოჩა ჯელია**, „თბილწყალკანალის“ პრესცენტრის უფროსი.

— გასული წლების მანძილზე მოხმარებული წყლის დავალიანების ჩამოწერის შესახებ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების ამოქმედების ვადამ 2 თვით გადაიწია. ეს პროცესი სავარაუდოდ მარტის ბოლომდე გაგრძელდება. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას — წყალგასაღების უბანზე ჩვენი თანამშრომლების თვითნებობისა და სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების ფაქტს, — ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია კონკრეტული მაგალითით მოგვმართოს „თბილწყალკანალის“ ცენტრალურ ოფისში, გვაცნობოს ამ პირთა ვინაობა და თანამდებობა, რომელთაც უხეშად დაარღვიეს მომხმარებლის უფლებები. შესაბამისად, „თბილწყალკანალი“ მიმართავს ყველა სათანადო ზომას, რათა ასეთი ხალხი აღარ მუშაობდნენ ჩვენს სისტემაში. გარდა ამისა, კვლავაც გავიმეორებ, თუ მოქალაქეებს რაიმე პრობლემა შეექმნებათ წყალგასაღების უბნის თანამშრომლებთან, შეუძლიათ დაუყოვნებლივ მოგვმართონ „თბილწყალკანალის“ ცენტრალურ ოფისში, სადაც თუ ექნებათ საშუალება, გადაიხდიან 2002 წელს მოხმარებული წყლის დავალიანებას, თუ არა, ძალას მათ ვერავინ დაატანს.

## ისევ «ნორდ-ოსტის» შესახებ

**— „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში წავიკითხე, რომ ნორდ-ოსტის ტრაგედიაში საქართველოს მოქალაქეები არ დაზარალებულან, ეს ძალზე სასიხარულო ფაქტია, მაგრამ მზარავს იმის წარმოდგენა, რომ რუსებმა საკუთარი მოქალაქეები გაიმეტეს. თან ტრაბახობენ, წარმატებული ოპერაცია ჩავატარეთო. ალბათ ანალოგიური შემთხვევები მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც ყოფილა და იქნებ მოგვითხროთ მათ შესახებ?**

***ნინო ჯალაღანია***

კითხვაზე უპასუხებს **ირაკლი ალადაშვილი**, „კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველი.




— რუს სამართალდამცავებს მართლაც არაფერი აქვთ საამაყო. მათ მიერ ჩატარებული ოპერაცია ძნელად თუ იპოვის ანალოგს მსოფლიო მასშტაბით. მძევლების მასობრივად დაღუპვის ყველაზე გახმაურებული შემთხვევა მოხდა კოლუმბიაში, 1985 წელს, სადაც 400 მძევლიდან დაიღუპა 115. კოლუმბიასთან შედარება კი რუსებისთვის სანუგეშო არ უნდა იყოს. სხვა შემთხვევებში სპეცსამსახურები უფრო დიდი წარმატებით მოქმედებდნენ: 1977 წელს ჰოლანდიაში მძევლად აიყვანეს 51 ადამიანი, შტურმის შედეგად დაიღუპა 3; 1978 წელს ნიკარაგუაში დაატყვევეს 4000(!) მძევალი, ყველა გათავისუფლდა მოლაპარაკების გზით; 1982 წელი, ჰონდურასი — 105 მძევალი ასევე მოლაპარაკებით გაათავისუფლეს; 1989 წელი, ნიკარაგუა — 100-ზე მეტი მძევალი, შტურმი... მძევლები გადარჩნენ; 2000 წელი, ტაილანდი — 2000 ადამიანი, შტურმის შედეგად ყველა გაათავისუფლეს...

## როგორ გავხდე პროფესიონალი მწვრთნელი?

**— სურვილი მაქვს გავხდე პროფესიონალი მწვრთნელი ფეხბურთში. როგორ შეიძლება ამ მიზნის მიღწევა?**

***პეტრე მოსიძე***

კითხვაზე უპასუხებს **გაიოზ დარსაძე**, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა სასწავლო-სალიცენზიო კომისიის ხელმძღვანელი.

— დაინტერესებულმა პირმა სჯობს პირადად მოგვმართოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში. წარმოადგინოს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ასევე სათანადო ცნობები შსს-დან, ნარკოლოგიური დისპანსერიდან და სხვა საბუთები. გარდა ამისა, უნდა ჰქონდეს მუშაობის 1 წლის სტაჟი (მწვრთნელად ან ხელმძღვანელად). აღნიშნული საბუთებისა და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ იგი გაივლის გასაუბრებას და კონკურსის წესით შერჩევას. უეფას სტანდარტებით მწვრთნელთა სალიცენზიო სისტემაში სამი საფეხური არსებობს (მათ შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ფეხბურთის ფედერაციაში). ფაქტობრივად, 4-5 წელია საჭირო იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა მიზანს მიაღწიოს და პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზია მიიღოს. წარმატებას ვუსურვებ ყველას, ვისაც მწვრთნელობა სურს, მაგრამ აქვე დავძენ, რომ ეს პროცესი არც ისეთი ადვილია, როგორც გაზეთის ფურცლებიდან შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## სომხებს ბუნებრივი აირის რეზერვუარიც აქვთ, ჩვენ კი...

**— ჩემი ინფორმაციით, გაზსადენის აფეთქების შემდეგ თბილისს გაზი ლილოში არსებული რეზერვუარიდან მიეწოდებოდა. გთხოვთ გვიპასუხოთ, მართალია თუ არა ეს და რა მოცულობისაა იგი. ასევე არსებობს თუ არა მისი ანალოგი საზღვარგარეთ?**

***თემურ ცინცქალაძე***

კითხვაზე უპასუხებს **ლალი ხუციშვილი**, „თბილგაზის“ პრესცენტრის უფროსი.



— სამწუხაროდ, ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. თბილისს ბუნებრივი აირის საცავი საერთოდ არ გააჩნია. 17 იანვარს მომხდარი ავარიის შემდგომ, 3-4 დღის განმავლობაში დედაქალაქის მოსახლეობას მიეწოდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ქსელებში არსებული ბუნებრივი აირის დარჩენილი მარაგი. თუმცა, დღეისათვის მიმდინარეობს USAID-ის პროექტზე მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ბუნებრივი აირის საცავის მშენებლობას. სტაციონარის, ანუ რეზერვუარის მშენებლობის პროექტი როდის განხორციელდება, ამაზე ვერაფერს გეტყვით, რადგანაც საჭიროა სპეციალური პარამეტრებისა თუ პირობების დაცვა და სხვა.

რაც შეეხება კითხვას საზღვარგარეთ ამ ტიპის რეზერვუარის არსებობის თაობაზე, „თბილგაზი“ ამ ინფორმაციას არ ფლობს. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ პოსტსაბჭოურ სივრცეში, კერძოდ სომხეთში არსებული ბუნებრივი აირის რეზერვუარის შესახებ, რომლის წყალობითაც ჩვენს მეზობლებს კრიზისის შემთხვევაში ბუნებრივი აირის მარაგი 3 თვეს ეყოფათ.

## ყველაზე, ყველაზე მაღლები...

**— ვინ იყო მსოფლიოში ყველაზე მაღალი მამაკაცი და თუ შეიძლება მოგვითხროთ მის შესახებ. ასევე მაინტერესებს ცნობები ყველაზე მაღალი ქალის შესახებ.**

***მიშიკო ჩადუნელი***


**ამერიკელი სენ ალენი**

— ამჟამად მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაცი ტუნისელი რადჰუნა ჩარბიბია, რომლის სიმაღლე 2 მ და 36 სმ-ია. ეს ზომა აღებულია 1999 წლის 22 აპრილს და დღეისათვის იგი მსოფლიოში ყველაზე მაღალ მამაკაცად ითვლება. რადჰუნას ჰყავს 10 და-ძმა და ყველა მათგანი მაღალია. იგი თამაშობს კალათბურთს ადგილობრივ გუნდში. სწორედ რადჰუნას წყალობით გუნდი ლიგაში -ელ ადგილზეა. საკუთარ ქალაქში რადჰუნა ვარსკვლავია, თუმცა თავის პოპულარობას მხოლოდ სიმაღლეს არ მიაწერს.

ყველაზე მაღალი ქალბატონი კი ამერიკელი სენ ალენი გახლავთ. ჯერ კიდევ 10 წლის ასაკში მისი სიმაღლე 190 სმ იყო, ხოლო 16 წლისთვის 2 მ და 16 სმ. მისი რეკორდი ჯერ კიდევ 1974 წელს დააფიქსირეს გინესის წიგნში. თავის დროზე სენ ალენს თვით ფედერიკო ფელინიმ შესთავაზა როლი ფილმში „კაზანოვა“. ხოლო რაც შეეხება მედიცინის ისტორიაში ოფიციალურად დაფიქსირებულ მსოფლიოში ყველაზე მაღალ ადამიანს, იგი გახლავთ რობერტ ფერშინ ვოდლოუ (დაიბადა ამერიკაში, ილინოისის შტატში, 1918 წლის 22 თებერვალს). როდესაც რობერტი უკანასკნელად გაზომეს (1940 წელს), მისი სიმაღლე 2 მ და 72 სმ-ს შეადგენდა. იწონიდა 222კგ-ს. ფეხის ტერფის სიგრძე 47 სმ ჰქონდა, ხოლო ხელის მტევნისა — მაჯიდან შუა თითამდე 32,4 სმ. მისი ყოველდღიური ულუფის ნორმა 8 000 კილოკალორიას შეადგენდა. რობერტ ფერშინ ვოდლოუ 1940 წელს, 21 წლის ასაკში გულის უკმარისობით გარდაიცვალა. სასახლე, რომელშიც იგი ესვენა, 3 მ და 28 სმ სიგრძისა იყო.

## როცა მსჯავრდებული მართალია...

**— სასამართლოს განაჩენით ვიხდი პირობით სასჯელს ორი წლის საგამოცდო ვადით. დანაშაულის ჩადენის მომენტში ვცხოვრობდი თბილისში ქირით, მაგრამ უკვე სასამართლოს მსვლელობისას (გამასამართლეს თბილისში) ვცხოვრობდი რაიონში, სადაც ვარ ჩაწერილი და ვიმყოფები ამჟამად. სააღსრულებო ბიურო მთხოვს რეგულარულად გამოვცხადდე თბილისში, რაც ჩემთვის შეუძლებელია (ვცხოვრობ თბილისიდან 130 კმ-ის მოშორებით). აღმასრულებელი უარს მეუბნება ჩემს რაიონში გადაგზავნოს განაჩენი. კანონიერია თუ არა ჩემი მოთხოვნა?**

P.S. **იქნებ დროულად გამცეთ პასუხი, რადგანაც აღმასრულებელი კი გავამდიდრე, მაგრამ მე გავღატაკდი...**

***ერთგული მკითხველი***



კითხვაზე უპასუხებს **მედეა დემეტრაშვილი**, იურიდიული ფირმის დირექტორი.

— პირობითი მსჯავრის გამოტანისას სასამართლო უფლებამოსილია მსჯავრდებულს დააკისროს რაიმე ვალდებულება (მაგალითად, არ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, არ მიიღოს ალკოჰოლური ან ნარკოტიკული საშუალებები, არ იქონიოს ურთიერთობა საზოგადოების გარკვეულ კატეგორიასთან და ა.შ.). საქართველოს კანონის „არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების წესის და პრობაციის შესახებ“ მე-18 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით, თუ სასამართლომ განაჩენით არ დააკისრა პირს მოვალეობა საცხოვრებელი ადგილის შეუცვლელობის შესახებ, მას შეუძლია საცხოვრებელი ადგილის შეცვლამდე ერთი თვით ადრე წერილობითი განცხადებით მიმართოს სააღსრულებო ბიუროს უფროსს, სააღსრულებო საქმის ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადაგზავნის თაობაზე. სააღსრულებო ბიუროს უფროსი ვალდებულია საქმე გადააგზავნოს მოქალაქის თხოვნით მისი ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად მოქალაქის მოთხოვნა სავსებით კანონიერია.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

K

# მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №3 (329) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 690 მკითხველი გამოეხმაურა. 11 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 244-მა ქალმა და 446-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რისი განხორციელება უფრო რეალურად გეჩვენებათ 2003 წელს?“**

არასწორად შევსებულად ჩაითვალა ის ბარათებიც, სადაც ყველა გრაფა ნულით ან 1 ქულით იყო შეფასებული (მკითხველებმა ასე გამოხატეს თავიანთი აზრი — ანუ, მათ 2003 წლისთვის არარეალურად მიიჩნიეს სრული ჩამონათვალი). ისეთი ბარათებიც საკმაოდ ბევრი შეგვხვდა, რომლებიც ინსტრუქციის სრული დაცვით იყო შევსებული, მაგრამ ავტორი თავის უიმედობას იქვე აფიქსირებდა: „ამ მთავრობის ხელში“, „ყველაფერი არარეალურია“, „უტოპიური რეიტინგია!“ და ა.შ. და მაინც, რესპონდენტთა უმრავლესობას ყველაზე რეალურად წელს ქართველი ფეხბურთელების მიერ რუსების დამარცხება მიაჩნია. მკითხველთა 51%-მა შეაფასა ეს გრაფა მაქსიმალური — 8 ქულით. საშუალო ქულით **6,68** „ფეხბურთში საქართველოს ნაკრების გამარჯვება რუსებზე“ პირველ ადგილზეა.

რესპონდენტებს ასევე რეალურად ეჩვენებათ ელექტროენერგიის გადასახადის შემცირება. მკითხველთა 27% თვლის მას წელს ყველაზე შესაძლებლად.

შეიძლება გასაოცრადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“ მესამე ადგილზეა, საშუალო ქულით 4,67. ამ უკანასკნელს კი „ელექტროენერგიისა და გაზის შეუფერხებლად მოწოდებასთან“ და „სამართლიან საპარლამენტო არჩევნებთან“ საერთო ის აქვს, რომ სამივე მათგანი ზუსტად ერთნაირი რაოდენობის მაქსიმალური ქულებით შეფასდა — მკითხველთა 3-3%-მა დაუწერა თითოეულ მათგანს 8 ქულა.

რესპონდენტების აზრით, წელს „აფხაზეთის დაბრუნება“ ყველაზე მიუწვდომელია. 57%-მა მინიმალური ქულით შეაფასა ეს გრაფა, თუმცა, მკითხველთა შორის ისეთი ოპტიმისტებიც (4%) აღმოჩნდნენ, რომელთაც აფხაზეთის დაბრუნება სავსებით რეალურად ეჩვენებათ 2003 წელს.




საპრიზოს ზუსტად ოთხი ბარათი-რეიტინგი დამთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: საჩხერელი 27 წლის **იამზე ღონღაძე,** თბილისელები — 41 წლის **პარმენ ბუაძე**, 49 წლის **რევაზ ბუხაიძე** და 44 წლის **ნესტორ თოდრია.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 29 იანვარს, 17 საათზე.

## №4 (330) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№4 (330) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 29 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 30 იანვრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**ყურადღება!** საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათები.

თემა №4 (330) — თბილისი

**ყველაზე მეტად როგორი თბილისი გსურთ** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№4(330) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | თბილისი მათხოვრების გარეშე | |
| 2 | თბილისი ავტოინსპექტორების გარეშე | |
| 3 | თბილისი შევარდნაძის გარეშე | |
| 4 | თბილისი „ეი-ი-ეს თელასის“ გარეშე | |
| 5 | თბილისი კაზინოების გარეშე | |
| 6 | თბილისი ზოდელავას გარეშე | |
| 7 | თბილისი ბაზრობების გარეშე | |
| 8 | თბილისი კრიმინალების გარეშე | |

**მკითხველის რეიტინგი**

დაასახელეთ იანვრის თვის ადამიანი საქართველოში

✓ ____________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ____________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**მკითხველის რეიტინგის შედეგები**

**პოლიტიკური პარტია, რომელიც ყველაზე მეტად იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ლეიბორისტული პარტია | 47,2% |
| 2. | ნაციონალური მოძრაობა | 16,3% |
| 3. | ახალი მემარჯვენეები | 9,7% |
| 4. | გაერთიანებული დემოკრატები | 4,6% |
| 5. | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს | 2,7% |
| 6. | ტრადიციონალისტები | 2,2% |
| 7. | ედპ | 2,0% |
| 8. | დემოკრატიული აღორძინების კავშირი | 1,9% |
| 9. | სმკ | 1,2% |
| 10-11. | ერთობა | 0,5% |
| 10-11. | სოციალისტური პარტია | 0,5% |

**კითხვაზე პასუხის გაცემა 0,8%-ს გაუჭირდა; რესპონდენტთა 8,8% კი აცხადებს, რომ მის კეთილგანწყობას არც ერთი პოლიტიკური პარტია არ იმსახურებს.**

**და ერთი საგულისხმო ფაქტიც: უნდა ითქვას, რომ ახალ მემარჯვენეებს მანდილოსნები უფრო სწყალობენ, ვიდრე მამაკაცები.**

***მკითხველის რეიტინგში 589 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.***

## მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

**1. ვაჟა გაგაშელი** — „ბორკილები ორდენის მაგივრად...“ — 233 ხმა

**2. ლელა ჯიყაშვილი** — „ელდარ შენგელაია: „ნუ გაიტანთ „გრენლანდიას“ — 61



**3. გიორგი კალანდია** — „ასე ნაცნობი დადიანების უცნობი თავგადასავლები“ — 48

**4. მარინა ბაბუნაშვილი** — „ინტერვიუ, რომელიც ბოლომდე ვერ შედგა, ანუ გამოთხოვება იზა გიგოშვილთან“ — 47

**5. ზვიად ჩაკვეტაძე** — „რატომ გვახდევინებენ უხარისხო გაზში ზედმეტს...“ — 44

თქვენი პრემია — 50 ლარი გადაეცემა რუბრიკა „ვერსიის“ ავტორს — **ვაჟა გაგაშელს.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 549 რესპონდენტმა გამოავლინა.***

## ფოტოანეკდოტი © • ფოტოპალიტრა •




შევარდნაძე-პუტინის უკანასკნელი „ტანგო“.

***ავთანდილ წერეთელი, თბილისი***

**ვ.პ.** — ბ-ნო ედუარდ, როგორ ხართ, როგორ არის ქართველი ხალხი?

**ე.შ.** — გმადლობთ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ, თქვენ რომ გაგიხარდებათ, ისე.

**ვ.პ.** — რავა, დაწყდით სუყველა?!.

***ვოვა ლომთათიძე, ჩოხატაური***

**ვ.პ.** — ძალიან დავაშავე წელს მეკვლედ რომ არ მიგიწვიე.

**ე.შ.** — რატომ?

**ვ.პ.** — ცოლთან გაცილება მინდა და ვერ ვახერხებ. შენ კი დაშლა-მოშლის „გროსმაისტერი“ ხარ.

***ჯაბა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ე.შ.** — ვალოდია! როგორ დახოცე ამდენი ხალხი გაზით მოსკოვში?!

**ვ.პ.** — შენ უგაზოდ რომ ხოცავ ამდენ ხალხს, მე ხომ არ გეკითხები?

***რ. ნაფეტვარიძე, ვანი***

**ვ.პ.** — „შევერკინოთ ფეოლა?!“

**ე.შ.** — ვაი, შენს პატრონს!

***ბარსა, კატალონია***

**ვ.პ.** — გილოცავ ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტს, ჩვენც გიწვევთ ახალი მარშრუტის პრეზენტაციაზე: სოჭი-სოხუმი-ცხინვალი-პანკისი; გაგრძელებაზე მერე ვიფიქროთ, ერთად, ძველებურად!

***უავტორო***

**ვ.პ.** — ბ-ნო ედუარდ, თმა სულ გაგთეთრებიათ!

**ე.შ.** — აბა, შენ გყავდეს შალვასა და მიშასნაირი ოპოზიციონერები და ვნახავდი მერე!

***მამუკა მარღიშვილი, ქარელი***

**ე.შ.** — ნატოში საქართველოს შესვლის საქმე სანახევროდ გადაწყვეტილია!

**ვ.პ.** — ეს როგორ?

**ე.შ.** — ჩვენ თანახმა ვართ, მარტო ნატოს თანხმობაღაა საჭირო.

***დათო ხვედელიძე, ქუთაისი***

**ვ.პ.** — ნუ, ჩტო ვი, ედუარდ ამბროსოვიჩ! ეტო-ჟე ნე ტანკ, ა, პაკა-ლიშ, ტოლკო ელექტრიჩკა...

***გიორგი ჯანელიძე, თბილისი***



ედუარდ შევარდნაძე, ვლადიმირ პუტინი

**ე.შ.** — ვოვა, შვილო, არა გრცხვენია, რუსულ პასპორტებს რომ არიგებ აფხაზეთში. შენს ამ საქციელზე რა პასუხს მაძლევ?!

**ვ.პ.** — ედიკ, დზმაო, თუ გინდა, ერთ რუსულ პასპორტს შენც გაგიჩალიჩებ. თქვენთან, მომავალ საპარლამენტო არჩევნებს ისეთი პირი უჩანს, ვიცი, აუცილებლად დაგჭირდება.

***ლ. ქაჩიბაია, თბილისი***

## ფოტო განწყობისთვის



„დათვებს“ თბილისში ზამთარშიც არ სძინავთ

## 2002 წლის ყველაზე ლამაზი სხეული





ჟურნალმა „celebriti bodies“-მა ათასობით მკითხველის დახმარებით შეადგინა ყოველწლიური რეიტინგი ყველაზე საუკეთესო მანდილოსნისა და მამაკაცის სხეულის გამოსავლენად. მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა შორის პირველობა მიიღო ავსტრალიელმა მომღერალმა კაილი მინოუგმა. მეორე ადგილი მიაკუთვნეს ძალიან ეშხიან ქალბატონს — ჰოლი ბერის, რომელსაც ფეხდაფეხ მიჰყვება ბრიტანელი ლიზ ჰერლი. მამაკაცებში — პირველი ადგილი ინგლისელმა ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა დაიკავა.

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



1/II ახალი მთვარე

მაგნიტური დღეებია:
28/I 22-დან 24 საათამდე
30/I 23-დან
31/1 01 საათამდე
2/II 02-დან 05 საათამდე

პროფესორი ატარებს ლექციას მიჩურინზე:
— აი, ამ მსხალზე მან ვაშლი დაამყნო...
— ამ ვაშლს კიდევ მსხალი მოაბმევინა.
ლექციის ბოლოს:
— შეკითხვები თუ გაქვთ?
— დიახ... ამბობენ, თავისი სიკვდილით არ მომკვდარაო...
— კამა მოუნდა, აძვრა ალვის ხეზე, ფეხი დაუცდა და თავში საზამთრო მოხვდა...



ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

**ყურადღება!**
„კვირის პალიტრა“ სათანამშრომლოდ იწვევს ჟურნალისტს, ეკონომიკის რუბრიკაში სამუშაოდ. აუცილებელია ეკონომიკური განათლება.
☎ 33-50-32



**თარაზულად:** 1. სალებავებით ხატვის ხელოვნება; 3. ძალიან არომატული სუნამო, რომელიც განუმეორებელმა ალენ დელონმა „მონათლა“; 5. „ვაზ-21“, ან 24 ან 31; 7. მატყლის ან ბამბის მკვრივი ქსოვილი ზედა ტანსაცმლისათვის; 8. ამერიკული კინოს მარადიული ვარსკვლავი; 9. მეცნიერება, რომლის შემქმნელადაც ჰეროდოტეა მიჩნეული; 12. კათოლიკური ეკლესიის ყველაზე რეაქციული ორდენის წევრი; 15. პლანეტა იუპიტერის ერთ-ერთი ძველი ქართული სახელწოდება; 17. ღვინის ჩამოსხმის „სპეციალისტი“; 18. ქვეყანა, რომლის ლუდი ისე მცირე ალკოჰოლს (0,48%) შეიცავს, რომ მისი მირთმევა თამამად შეუძლიათ მძღოლებს; 19. ამერიკელი კინომსახიობი ... თურმანი; 21. ადამიანთა ჯგუფი, რომელთა მიმართაც თამამად შეგიძლიათ გამოთქვათ უკმაყოფილება თვითმფრინავით მგზავრობისას. 23. საკუთარი ღირსების გრძნობით გამსჭვალული მდგომარეობა; 25. ამ ელემენტის ნაკლებობა იწვევს სისხლის გათეთრებას; 26. ინდოეთის „წმინდა“ მდინარე; 27. ცბიერი, გაიძვერა ადამიანი; 28. ინგლისური ავტომობილი; 29. პირი არმიისა და ფლოტის მეთაურთა შემადგენლობიდან.

**შვეულად:** 1. ხელოვნების რომელიმე დარგის მიღწევათა პერიოდული ჩვენება-დათვალიერება; 2. ზოგი ცხოველის თვისება, ძლიერი გაღიზიანების დროს თვითონ მოიცილოს სხეულის ესა თუ ის ნაწილი; 3. მსახიობის საყვარელი ინსტრუმენტი; 4. დაწესებულების კუთვნილი ნივთების ერთობლიობა; 6. საფრანგეთში უცხო ტომების წარმომადგენელთაგან შექმნილი საჯარისო შენაერთის წევრს უწოდებენ ამ სახელს; 10. საზეიმო საკონდიტრო ნაწარმი; 11. ტრანსპორტის სახეობა სამხრ.-ალმ. აზიაში; 13. ქართული თანამედროვე ვოკალურ-ინსტრუმენტული ჯგუფი; 14. უმცროსი მეზღვაური გემზე; 15. სამხრეთკორეის ერთ-ერთი უდიდესი კორპორაცია; 16. შხამიანი გომბეშო; 20. რევაზ გაბრიაძის თეატრის თოჯინა; 21. ადგილი, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა მიწისძვრის დამანგრეველი ძალა; 22. ჩინური დამწერლობის ნიშანი; 23. ადრე მას მინიჭებული ჰქონდა ნომერი 31, მოგვიანებით ეწოდა ... ქარხანა; 24. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი.

შეადგინა რამაზ ალანიამ




ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## ④ უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№4 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 30 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი Ⓒ518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი